964/3

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

675/3

მაცნე

35

1

1964

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

მაცნე

საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილების
ორგანო

*

МАЦНЕ

(ВЕСТНИК)

ОРГАН

ОТДЕЛЕНИЯ ОБЩЕСТВЕННЫХ НАУК
АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

9515



1

16

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
Издательство Академии наук Грузинской ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია

ნ. ბერძენიშვილი, ა. ბოჭორიშვილი (მთავარი რედაქტორი), პ. გუგუშვილი, ი. დოლიძე, გ. ლეონიძე, ქ. ლომთათიძე, ე. ქვათაძე (პასუხისმგებელი მდივანი), გ. ჩუბინაშვილი, გ. წერეთელი, ს. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Бердзенишвили Н. А., Бочоришвили А. Т. (главный редактор), *Гугушвили П. Б., Долидзе И. С., Кватадзе Э. Г.* (ответственный секретарь), *Леонидзе Г. Н., Ломтатидзе К. Б., Чубинашвили Г. Н., Церетели Г. В., Церетели С. Б.,*

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ი. ლენინი კომუნისტური შრომის განვითარების კანონზომიერებათა შესახებ

ვ. ჭანუყვაძე

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

ჩვენი ქვეყნის შესვლამ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში კომუნისტური შრომის დამკვიდრებისათვის ბრძოლა დასახა პრაქტიკულ ამოცანად, რომელსაც საბჭოთა ხალხი წარმატებით წყვეტს.

საზოგადოებრივ შრომაზე კ. მ ა რ ქ ს ი ს და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი ს მოძღვრების შემდგომი განვითარებით ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად განსაზღვრა კომუნისტური შრომის არსი და მიუთითა კომუნისტური შრომის გამარჯვების ობიექტურ და სუბიექტურ პირობებზე.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გამოცდილების განზოგადებით, იმ უდიდესი ეკონომიური და სოციალური გარდაქმნების გათვალისწინებით საფუძველზე, რაც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ჩვენს საზოგადოებაში განხორციელდა, სკკპ პროგრამაში კონკრეტულად არის განსაზღვრული კომუნისტური შრომის გამარჯვების გზა, რომელიც ზუსტად შეესაბამება ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს მოძღვრებას და წარმოადგენს მის განვითარებას ახალი პირობების შესაბამისად.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი მიუთითებდა, რომ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდა რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას სწამდა, რომ „ჩვენ მივალთ კომუნისტური შრომის გამარჯვებამდე". ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ს განსაზღვრის მიხედვით, კომუნისტური შრომა—ეს არის წინასწარ დადგენილი და დაკანონებული ნორმის გარეშე უსასყიდლო, უფასო, ნებაყოფლობითი შრომა, რომელსაც ადამიანები ეწევიან საზოგადოების საერთო სარგებლობისათვის[1]. ვ. ი. ლენინის ამ განსაზღვრის შესაბამისად სკკპ პროგრამაში მითითებულია, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში საერთო სარგებლობისათვის შრომა ყველასათვის გახდება პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება და შეგნებული აუცილებლობა, თვითეულის უნარი გამოყენებული იქნება უდიდესი სარგებლობით ხალხისათვის[2]. კომუნისტური შრომა საზოგადოებრივი შრომის თვისობრივად ახალი საფეხურია, რომელიც კომუნიზმის მშენებლობის საერთო პროცესისაგან მოწყვეტით თავისთავად არ წარმოიშობა, იგი მზადდება სოციალისტური შრომის განვითარების პროცესში. ეს პროცესი მოიცავს მთელ ისტორიულ ეპოქას—პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების მოპოვებიდან კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში გადასვლამდე. შრომის განვითარების ამ ისტორიულ ეპოქა-

---

[1] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 30, გვ. 631.

[2] იხ. სკკპ პროგრამა, 1961, გვ. 69—70.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ვ. ი. ლენინი ორ ეტაპს გამოყოფს—სოციალისტურს და კომუნისტურს. სოციალიზმის კომუნიზმში თანდათანობითი გადაზრდის კვალდაკვალ სოციალისტური შრომა ასევე თანდათანობით იძენს კომუნისტური შრომის ნიშნებს და ხასიათს.

რამდენადაც სოციალიზმი და კომუნიზმი არის ორი ფაზა ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციისა და მათთვის დამახასიათებელია განვითარების საერთო კანონზომიერებანი და საერთო ეკონომიური ბაზა, ამდენად სოციალისტურ და კომუნისტურ შრომასაც საერთო სოციალურ-ეკონომიური საფუძველი აქვთ. განვითარების საერთო სოციალურ-ეკონომიური საფუძვლის არსებობა არ გამორიცხავს კომუნისტური შრომის ამ ორ საფეხურს შორის თვისობრივი ხასიათის განსხვავებას. ამ თვისობრივი სხვადასხვაობის ახსნა მხოლოდ განვითარების საფუძველზე შეიძლება. თვისობრივი განსხვავება სოციალისტურ და კომუნისტურ შრომას შორის პირველ რიგში განპირობებულია იმით, რომ ისინი წარმოადგენენ წარმოების ერთი წესის სხვადასხვა ფაზის შესატყვის საზოგადოებრივ შრომას, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა სხვადასხვა დონეს შეესაბამებიან, ისინი ვითარდებიან მათთვის ადეკვატურ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე. ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში სოციალისტური შრომა განიცდის სრულყოფას, შრომის ხასიათში ხდება არსებითი თვისობრივი ხასიათის ცვლილებები, რის შედეგად ლიკვიდაციას განიცდის ძველი წყობიდან შემკვიდრეობით გადმოყოლილი ნიშნები და ვითარდება ახალი, პროგრესული ნიშნები.

სოციალიზმის არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე რჩება სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის და შესაბამისად—ინდუსტრიულ და სასოფლო-სამეურნეო შრომის ხასიათსა და პირობებს შორის; ასევე არსებითი განსხვავება არსებობს გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. საწარმოო ძალთა განვითარების არასაკმაო დონის გამო ფიზიკური და არაკვალიფიციური შრომა ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს წარმოებაში. შრომის იარაღთა და საშუალებათა განვითარების დონე ამ ეტაპზე ყველა დარგში ჯერ კიდევ არ მოითხოვს მუშაკის მაღალ კვალიფიკაციას და კულტურულ-ტექნიკური მომზადების მაღალ დონეს; ადამიანები ჯერ კიდევ ვერ არიან იმდენად შეგნებულნი, რომ იშრომონ საზოგადოების საკეთილდღეოდ მთელი თავიანთი უნარისა და ძალების გამოყენებით; შრომის მოხმარების ზომა მკაცრ კონტროლს ექვემდებარება; შემონარჩუნებულია შრომის დანაწილების კაპიტალისტური ფორმის ნაშთები; შრომა საზოგადოების წევრთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის ჯერ კიდევ არ გადაქცეულა პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად, შეგნებულ აუცილებლობად. შრომის ძირითად სტიმულად ამ ეტაპზე მატერიალური დაინტერესება გვევლინება. კომუნისტურ და სოციალისტურ შრომას საერთო დამახასიათებელი ნიშნებიც აქვთ. მათი ერთიანობა ვლინდება მთელ რიგ ფაქტორებში. სოციალისტური შრომა არის თავისუფალი შრომა, რომელსაც უშუალო საზოგადოებრივი ხასიათი აქვს. საზოგადოების მიერ დაწესებულია შრომის საყოველთაო ვალდებულება და თვითეული მშრომელი გარანტირებულია შრომის უფლებით. საზოგადოების წევრთა უმრავლესობა შემოქმედებითად შრომობს, ასეთი შრომა წარმოადგენს მუშაკის გონებრივი და ფიზიკური უნარის გამოვლინებისა და განვითარების საშუალებას. უკვე ამ ეტაპზე ლიკვიდირებულია ანტაგონიზმი გონებრივ და ფიზიკურ შრომას

შორის. ამრიგად, შრომა სოციალიზმისა და კომუნიზმის პირობებში წარმოადგენს ექსპლოატაციისაგან სამუდამოდ თავისუფალი მუშაკების შრომას, რომელიც ორგანიზებულია გეგმიან საწყისებზე. სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების მუშაკების შრომის საერთო მიზანია—დააკმაყოფილოს ხალხის მუდმივად მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები. ამ მიზნით განხორციელებული შრომა გვევლინება კომუნისტური საზოგადოების აშენების მთავარ ფაქტორად, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ძირითად საშუალებად.

სოციალისტური და კომუნისტური შრომის ერთიანობა გამოდის აგრეთვე ორივე შემთხვევაში შრომის საყოველთაო ვალდებულებიდან და მისი უმუალო საზოგადოებრივი ხასიათიდან. როგორც სოციალისტური, ასევე კომუნისტური შრომის დროს გამორიცხულია შრომის სახეებს შორის დაპირისპირებულობა და ანტაგონისტური წინააღმდეგობა.

შრომის განვითარების პროცესში ეს საერთო ნიშნები ვითარდება, სრულყოფას განიცდის.

ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ სოციალისტური შრომის გადაზრდა კომუნისტურ შრომად ითვალისწინებს როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური (ეკონომიური განვითარების მაღალი დონე, მასების შეგნებულობის და კულტურის მაღალი დონე, სწორი ეკონომიური პოლიტიკის გატარება, მასების აღზრდის სრულყოფილი საშუალებების განხორციელება) პირობების მომზადებას. ორივე ეს ძირითადი პირობა დიალექტიკურ კავშირშია, ისინი ურთიერთს განაპირობებენ და ეს პირობები მომზადდება ამ მიზნით საზოგადოებაში განხორციელებული ღონისძიებების სწორი შეხამებით.

სოციალისტური შრომა და კომუნისტური შრომა ორი ეტაპია, ორი სტადიაა ერთი და იგივე კომუნისტური შრომისა, თანაც კომუნისტური შრომა უმუალო გაგრძელებას წარმოადგენს პირველის ანუ სოციალისტური შრომისას, გადასვლა ერთიდან მეორეში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უდიდესი თვისობრივი ცვლილების შედეგად. ეს არის ნამდვილი დიალექტიკური პროცესი, რომელიც თვისობრივად ახალს წარმოშობს. კერძოდ, ამ პროცესში დიალექტიკური კანონზომიერება ვლინდება ობიექტური გარდუვალობის, პროცესის თანდათანობითობის, ძველსა და ახალს შორის ბრძოლის, განვითარების პროგრესული ხასიათისა და უწყვეტობის სახით.

გადაზრდის თანდათანობა მიუთითებს, რომ გარდაქმნა ხდება არა ერთბაშად, ერთი დაკვრით, არამედ პროცესში. როცა შრომის ძველი, მემკვიდრეობით წინა წყობისაგან მიღებული, ან საწარმოო ძალთა განვითარების თანამედროვე დონეს შეუფერებელი, ნიშნები დაიძლევა, აღიკვეთება, ხოლო ახალი თვისობრიობის ყლორტები, კომუნისტური შრომის ნიშნების სახით, ვითარდება თანდათანობით, ძველის დაძლევის ხარჯზე. ამ თანდათანობით განვითარებაში თვისობრივი ცვლილება შეიმჩნევა საერთო მოვლენის ცალკეული ახალი ფორმის გამოვლინებით, რომლის განვითარება გვაძლევს სრულიად ახალ თვისობრიობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა თანამედროვე ეტაპზე არის სოციალისტური შეჯიბრების თვისობრივად ახალი საფეხური, რომელიც ჩვენი ცხოვრების თანადროულობას შეესაბამება. სერიოზული შეცდომა იქნება მივიჩნიოთ კომუნისტური შრომის ყლორტების არსებობა, ცალკეული ნიშნის გამოვლინება, მთელი თვისობრივი გარდაქმნის პროცესის დასასრულად (მთლიან თვისობრივ გარდაქმნად). ცნობილია, რომ პარტიამ მიუთითა მათ, ვინც კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის დღევანდელ დონეს მიიჩნევდა საკმარისად ანაზღაურების გათახაბრებისათვის, „საერთო სალაროს“ შექმნისათვის. ეს იქნებოდა მოვლენისათვის წინ გასწრება, განვითარების გარდუვალ საფეხურზე გადახტომა. ახალი თვისობრიობის ცალკეული ელემენტის განვითარების პროცესი უნდა დეტალურად იქნეს გაანალიზებული. და რაც მთავარია, ახალი თვისობრიობის დამკვიდრების პროცესი არ უნდა განვსაზღვროთ მარტო რაოდენობრივი თვალსაზრისით. განვითარების პროცესი მთელი სირთულით წარმოდგება. სინამდვილეში ზრდა არა მარტო რაოდენობის მხრივ გაფართოებით იჩენს თავს, არამედ ახალი აღმოცენებული ფორმის თვისობრივი განვითარებითაც; თავის მხრივ ახალი თვისობრიობა განიცდის განვითარებას, ცვლილებას. ამ განვითარებაში გადის საფეხურებს და სრულყოფის პროცესში ყალიბდება მის საწყის ეტაპთან შედარებით დასრულებული სახით.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ უნდა დროულად ვამჩნევდეთ, მხარს ეუჭერდეთ და მზრუნველობით ვზრდიდეთ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჯანსაღ ყლორტებს. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება ვ. ი. ლენინმა საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე აღმოაჩინა შაბათობებში. სოციალისტური შეჯიბრი ამ შაბათობების განვითარების შედეგია. კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში ხალხთა ინიციატივამ წარმოშვა ამ პერიოდის შესაბამისი, კომუნისტისათვის ბრძოლაში ხალხთა მასების აქტიური მონაწილეობის ახალი ფორმა—კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და ბრიგადების მოძრაობა; დღეისთვის ამ მოძრაობაში ჩაბმულია 23 მილიონზე მეტი მშრომელი. კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა კანონზომიერად მომზადდა სოციალისტური შეჯიბრების განვითარების მთელი წინა პერიოდით. წარმოშობიდან (იგი 1958 წელს წარმოიშვა) სოციალისტური შეჯიბრების ამ ახალმა სახეობამ განვითარება განიცადა, როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისობრივად. კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელის მოპოვებისათვის ცალკეულ მუშაკებს გარდა ბრიგადები, სამჭროები ჩაებნენ ამ მოძრაობაში და თანდათანობით მან მთელი კოლექტივი მოიცვა. ჩვენს დედაქალაქში უკვე სამი საწარმოა (ჩაის გადამწონი ფაბრიკა, კერამიკული კომბინატი და შამპანური ღვინოების კომბინატი) ამ საპატიო სახელის მფლობელი. თუ დასაწყის ეტაპზე ეს მოძრაობა მარტო მრეწველობის დარგებში იყო გავრცელებული, ამჟამად მან მოიცვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებანი. თუ პირველ ხანებში მხოლოდ საწარმოო მაჩვენებლები იყო ამ მოძრაობის მთავარი კრიტერიუმი, ამჟამად დევიზი—„ვიცხოვროთ და ვიშრომოთ კომუნისტურად“ მოიცავს მუშაკთა ცხოვრების ყველა მხარეს. ჩვენი ქვეყნის კომუნიზმის გზაზე წინსვლასთან დაკავშირებით ამ მოძრაობის ობიექტური გარდუვალობა კიდევ გამოავლენს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების თვისობრივად ახალ ფორმას, გაღრმავდება და სრულყოფილი გახდება.

სოციალისტური შრომის კომუნისტურ შრომად გადაზრდა არის სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის საერთო პროცესის ერთი მხარე. სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის პროცესში წარმოიშობა გარკვეული წინააღმდეგობანი, რომლებიც ახალი საზოგადოების მშენებლობის მსვლელობაში გადაიჭრება. ასევე, სოციალისტური შრომის კომუნისტურ შრომად გადაზრდის პროცესში წარმოიშობა და გადაიჭრება გარკვეული წინააღმდეგობანი.

იქ, სადაც განვითარებაა, ყოველთვის არსებობს ძველი და ახალი, მზარდი და დროშამუდი და ამასთან ერთად ადგილი აქვს ბრძოლას მათ შორის. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი მიუთითებდა, რომ ანტაგონიზმი და წინააღმდეგობა არ არის იგივეობრივი ცნებები. პირველი ქრება, მეორე კი რჩება სოციალიზმის დროსაც, მაგრამ კოხფლიქტის საფეხურამდე არასოდეს არ აღწევს და არ იღებს სოციალური გარდაქმნების ხასიათს.

ერთ-ერთი მთავარი წინააღმდეგობა სოციალისტურ საზოგადოებაში არის წინააღმდეგობა წარმოების დონესა და მოხმარებას შორის. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი მიუთითებდა, რომ სოციალისტური წარმოების მიზანია—უზრუნველყოს საზოგადოების წევრთა სრული კეთილდღეობა და ყოველმხრივი თავისუფალი განვითარება. ხალხთა მოთხოვნილების დონე აჭარბებს წარმოების დონეს და ქმნის წინააღმდეგობას, რომელიც წარმოადგენს სტიმულს წარმოების განვითარებისათვის. თავის მხრივ, წარმოება ახალ მოთხოვნებს წარმოშობს და ამით სტიმულს აძლევს უკვე არსებულის შემდგომ განვითარებას. ამ წინააღმდეგობის რეგულირების საშუალებად ჩვენს საზოგადოებაში მოქმედებს გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონი, რომელიც საზოგადოების მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფად საზოგადოებრივი შრომის კოორდინაციას ახდენს. შრომის ორგანიზაციის სრულყოფა უნდა ხდებოდეს საწარმოო ძალების განვითარების დონის გათვალისწინებით.

ხშირად ძველდება ის, რაც თავის დროს ახალი იყო სოციალიზმისათვის, მაგრამ თანდათანობით შეწყვიტა განვითარებისადმი სამსახური და მუხრუჭად გადაიქცა. სოციალიზმისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობები. მაგალითისათვის ავიღოთ წინააღმდეგობა მატერიალური დოვლათის განაწილებაში. ჩვენს საზოგადოებაში მთლიანად ლიკვიდირებულია კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე და ამდენად მიღწეულია ადამიანთა თანასწორობა წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულებაში. ამასთან ერთად საწარმოო ძალების დონე ჯერ კიდევ არ იძლევა საშუალებას განხორციელდეს განაწილება მოთხოვნილების მიხედვით და მოითხოვს განაწილებას შრომის მიხედვით, რაც განაპირობებს გარკვეულ ქონებრივ უთანასწორობას. ეს არის წინააღმდეგობა, რომელიც სოციალიზმისათვისაა დამახასიათებელი და ამავე დროს გარდუვალია.

კომუნისტური საზოგადოების განვითარების მსვლელობის ანალიზის დროს მარქსიზმი გამოდის იქიდან, რომ კომუნიზმი, პირველ ყოვლისა, იძულებულია (საწარმოო ძალების განვითარების ობიექტური დონისა და შრომის ნაყოფიერების დონის გამო) მოსპოს ბურჟუაზიული საზოგადოების მხოლოდ ის უთახასწორობა, რომელიც გამოიხატება წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობაში. მაგრამ მას არ შესწევს უნარი და იძულებულია გარკვეულ პერიოდამდე შეურიგდეს მეორე უთანასწორობის არსებობას, რომელიც შრომის (და არა მოთხოვნილების) მიხედვით განაწილებაში მდგომარეობს. ეკონომიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინამძღვრები არ იძლევა საშუალებას, რომ ყველა უთანასწორობა ერთბაშად მოისპოს.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ მ ა კ. მ ა რ ქ ს ის მოძღვრების შემდგომი განვითარებით კონკრეტულად განსაზღვრა წინააღმდეგობა, რომელიც გარდუვალია კომუნისტური საზოგადოების დაბალ საფეხურზე. ამ წინააღმდეგობამ თავი იჩინა იმაში, რომ საზოგადოებრივი საკუთრების არსებობა და შრომის საშუალებებისადმი თანასწორი დამოკიდებულება შეთავსებული „ბურჟუაზიულ უფლებასთან"— შრომის მიხედვით განაწილებასთან. ეს წინააღმდეგობა შეიძლება „პარადოქსად" ან „გონების დიალექტიკურ თამაშად" მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ის თქმით, ამ ეტაპზე იგი აუცილებელი და გარდუვალი საფეხურია შემდგომი წინსვლისათვის.

თვით ეს წინააღმდეგობა კარნახობს, თუ რა უნდა გაკეთდეს მისი აღკვეთისათვის. საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება, საწარმოო ძალთა გიგანტური ზრდა, შესაბამისად შრომის ხასიათის შეცვლა, შრომის ძველი დანაწილების მოსპობა, ადამიანის ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება შეძლებს უზრუნველყოს „ბურჟუაზიული უთანასწორობის" მკვეთავი პირობების მოსპობა. ეკონომიური პირობების მომზადება, მათი პირველადი მნიშვნელობის გამო, მიგვიყვანს უთანასწორობის დაძლევამდე. ეს ისევე გარდუვალი და კანონზომიერია, როგორც ცვლილება რომელიმე ბიოლოგიური სახეობისა, რომელიც მისთვის ხელსაყრელ ახალ გარემოში მოექცა.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ს მიაჩნია:... „როდესაც ადამიანები იმდენად მეჩვევიან თანაცხოვრების ძირითადი წესების დაცვას და როდესაც მათი შრომა იმდენად ნაყოფიერი იქნება, რომ ისინი ნებაყოფლობით „იშრომებენ უნარის მიხედვით, „ბურჟუაზიული სამართლის ვიწრო ჰორიზონტი", რომელიც გვაიძულებს, გულქვა შეილოკის მსგავსად, ვიანგარიშოთ—ისე არ მომივიდეს, რომ სხვაზე ნახევარი საათით მეტი ვიმუშავო, სხვაზე ნაკლები ხელფასი მივიღო—ეს ვიწრო ჰორიზონტი მაშინ გადალახული იქნება. პროდუქტების განაწილება მაშინ აღარ მოითხოვს საზოგადოებისაგან ნორმების დადგენას, თუ რამდენი პროდუქტი უნდა მიიღოს თვითეულმა; თვითეული თავისუფლად მიიღებს „მოთხოვნილების მიხედვით"[3].

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ მიუთითებს ბურჟუაზიულ მეცნიერთა უმეცრებაზე, რომელთაც ვერ გაუგიათ, რომ კომუნიზმის განვითარების უმაღლესი ფაზა არ გულისხმობს არც შრომის დღევანდელ ნაყოფიერებას და არც დღევანდელ ობივატელს, რომელსაც შეუძლია „ტყუილუბრალოდ" გააფუჭოს საზოგადოებრივი სიმდიდრის საწყობები და შეუძლებელი მოითხოვოს. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ მიუთითებს, რომ სანამ კომუნიზმის უმაღლესი ფაზა დადგებოდეს, საჭიროა საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ უსასტიკესი კონტროლი შრომის ზომასა და მოხმარების ზომაზე.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ დასცინის მათ, ვისაც ბოლშევიკების დემაგოგიურ დაპირებად მიაჩნიათ კომუნიზმის პრინციპის „შემოღება" და წერს, რომ კომუნიზმის უმაღლესი სტადიის „შემოღება" ბოლშევიკებს არასოდეს უფიქრიათ, ვინაიდან საერთოდ მისი „შემოღება" არ შეიძლება. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ამით ხაზს უსვამს იმას, რომ საჭიროა ასეთი მოვლენის ანალიზისას ვხელმძღვანელობდეთ განვითარების თეორიით.

---

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 25, გვ. 584.

ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ თავის პირველ საფეხურზე კომუნიზმი არ შეიძლება ჯერ კიდევ ეკონომიურად სავსებით მომწიფებული, სავსებით თავისუფალი იყოს კაპიტალიზმის ტრადიციების ნაშთებისაგან. აქედან წარმოდგება ისეთი საინტერესო მოვლენა, როგორიცაა კომუნიზმის დროს, მის პირველ ფაზაში, „ბურჟუაზიული სამართლის ვიწრო ჰორიზონტის“ შენარჩუნება.

„...მარქსს თვითნებურად კი არ შეუჭედია „ბურჟუაზიული“ უფლების ნაჭერი კომუნიზმში, არამედ მან აიღო ის, რაც ეკონომიურად და პოლიტიკურად გარდუვალია იმ საზოგადოებაში, რომელიც კაპიტალიზმის წიაღიდან გამოდის“[5].

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ „როგორც კი განხორციელდება საზოგადოების ყველა წევრის თანასწორობა წარმოების საშუალებათა ფლობის მიმართ, ე. ი. თანასწორობა შრომისა, თანასწორობა ხელფასისა, კაცობრიობის წინაშე აუცილებლად დადგება საკითხი იმის შესახებ, რომ გასწიოს წინ ფორმალური თანასწორობიდან ფაქტიურისაკენ, ე. ი. შემდეგი წესის განხორციელებისაკენ: „თითეულმა უნარის მიხედვით, თითეულს—მოთხოვნილების მიხედვით“. რა საფეხურებით, რა პრაქტიკულ ღონისძიებათა გზით გასწევს კაცობრიობა ამ უმაღლესი მიზნისაკენ, ჩვენ არ ვიცით და არც შეგვიძლია ვიცოდეთ. მაგრამ მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, რა უზომო სიცრუეს წარმოადგენს ჩვეულებრივი ბურჟუაზიული წარმოდგენა, თითქოს სოციალიზმი რაღაც მკვდარი, გაყინული, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ იყოს, მაშინ როდესაც ნამდვილად მხოლოდ სოციალიზმიდან დაიწყება სწრაფი, ნამდვილი მასობრივი, მთახლეობის უმრავლესობის და შემდეგ მთელი მოსახლეობის მონაწილეობით დაწყებული წინსვლა საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა დარგში“

აღრიცხვა და კონტროლი ვ. ი. ლენინს მიაჩნდა „კაპიტალიზმის ტრადიციების დამცველთა“—მუჭთახორების, ბატონკაცების, გაიძვერების წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად საშუალებად, ბრძოლის აუცილებელ პირობად მათ წინააღმდეგ, ვისაც „კაპიტალისტური ზნე“ ჯერ კიდევ შეუნარჩუნებია. იგი აქვე შენიშნავდა, რომ ეს „ფაბრიკული“ დისციპლინა არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს არც ჩვენს იდეალს და არც ჩვენს საბოლოო მიზანს. ეს არის მხოლოდ საფეხური, რომელიც აუცილებელია საზოგადოების რადიკალური გაწმენდისათვის კაპიტალისტური ექსპლოატაციის საზიზღრობათა და სისაძაგლეთაგან და შემდგომი წინსვლისათვის.

ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ მხოლოდ საწარმოო ძალთა გიგანტური განვითარება, რომლის სრული შესაძლებლობა იქმნება კაპიტალისტთა ექსპროპრიაციის შემდეგ, უზრუნველყოფს შრომის დანაწილების მოსპობას, გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსპობას, შრომის „პირველ საარსებლო მოთხოვნილებად“ გადაქცევას[6].

---

[5] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25. გვ. 588.

[6] იქვე.

[6] აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს არა საერთოდ შრომის დანაწილების მოსპობა, ან უკუგდება, არამედ შრომის კაპიტალისტური დანაწილების მოსპობა; ამის აღნიშვნა ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი მეცნიერი ჟურნალის—„Вопросы философии“-ს ფურცლებზე მომდინარე დისკუსიაში იმოწმებს ვ. ი. ლენინს იმაში, რომ მისი მოძღვრებიდან შრომის დანაწილების მოსპობასა და კომუნისტურ საზოგადოებაში პიროვნების ყოველმხრივ განვითარებაზე თითქოს გამომდინარეობდეს აზრი კომუნიზმის პიოობებში საერთოდ შრომის დანაწილების მოსპობის შესახებ. აღნიშნული საკითხის გარკვევა ამ სტატიაში შეუძლებელია, მაგრამ ერთს მაინც აღვნიშნავთ, რომ ვ. ი. ლენინის დამოწმება ამ შემთხვევაში სწორი არ უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ საჭიროა მოვსპოთ როგორც განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, ისე განსხვავება ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის. ეს მეტად შორეული მომავლის საქმეა და საამისოდ საჭიროა უდიდესი ნაბიჯის გადადგმა წინ საწარმოო ძალთა განვითარებაში.

ყველა საკითხს საზოგადოებრივი შრომის განვითარებაში ვ. ი. ლენინი განვითარების დიალექტიკური მოძღვრების გამოყენებით განიხილავს, იქნება ეს შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის ახალი ტიპის შექმნა, თუ შრომის ახალი დისციპლინის აღზრდა.

საზოგადოებრივი შრომის კომუნისტური ორგანიზაცია, მიუთითებს ვ. ი. ლენინი, რომლისკენაც პირველ ნაბიჯს სოციალიზმი წარმოადგენს, ემყარება და, რაც უფრო დრო გადის, მით უფრო დაემყარება თვით მშრომელთა თავისუფალ და შეგნებულ დისციპლინას. კომუნიზმის ძალის წყარო და მისი „აუცილებელი სრული გამარჯვების საწინდარი“ არის შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის უფრო ძაღალი ტიპი კაპიტალისტურთან შედარებით.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი წ ე რ ს: „იმისათვის, რომ გაიმარჯვოს, რომ შეჰქმნას და განამტკიცოს სოციალიზმი, პროლეტარიატმა უნდა გადასწყვიტოს ორნაირი ან ორმაგი ამოცანა“; ეს ამოცანა, ლენინის თქმით, მდგომარეობს იმაში, რომ დაამხოს ბურჟუაზია და სავსებით დათრგუნოს მისი ყოველგვარი წინააღმდეგობა, და მეორეც, შექმნას შრომის ახალი დისციპლინა, შრომის ახალი ორგანიზაცია, რომელიც მეცნიერებისა და კაპიტალისტური ტექნიკის უკანასკნელ სიტყვას აერთებს მსხვილი სოციალისტური წარმოების შემქმნელ შეგნებულ მუშაკთა მასობრივ გაერთიანებასთან. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი აღნიშნავს, რომ მეორე ამოცანა პირველზე უფრო ძნელი და პირველთან შედარებით უფრო არსებითია, რადგან იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გადაიჭრას ცალკეული გმირული გატაცებით და მოითხოვს მასობრივი მუშაობის უაღრესად ხანგრძლივ, უაღრესად შედგარ და საძნელო გმირობას, და რადგან საბოლოო ანგარიშში ბურჟუაზიაზე გამარჯვებისათვის ძალის ყველაზე ღრმა წყარო და ამ გამარჯვების სიმტკიცისა და ხელშეუვალობის ერთადერთი საწინდარი შეიძლება იყოს მხოლოდ საზოგადოებრივი წარმოების ახალი, უფრო მაღალი წესი, კაპიტალისტური წარმოების შეცვლა მსხვილი სოციალისტური წარმოებით.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი გვასწავლის, რომ საჭიროა მოვლენას ვხედავდეთ პერსპექტივაში. „კომუნისტურ შაბათობებს“ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ასეთ დიდ მნიშვნელობას იმიტომ ანიჭებდა, რომ „კომუნისტურმა შაბათობებმა“ გამოავლინა მუშების შეგნებული და ნებაყოფლობითი თაოსნობა შრომის ნაყოფიერების განვითარებაში, ახალ შრომით დისციპლინაზე გადასვლაში, მეურნეობისა და ცხოვრების სოციალისტური პირობების შექმნაში.

მათ, ვინც შაბათობებში მზარდის ყლორტები ვერ შენიშნა, ლენინი კონსერვატორებად მიიჩნევდა. ეს პირები შაბათობების უმნიშვნელო რიცხვზე რაიმე იმედის დამყარებას დასცინოდნენ და ამ იმედს უწოდებდნენ „ბაობაბს რეზედის ქოთანში“, ისინი ახალ საზოგადოებაში ხედავდნენ მხოლოდ ძარცვის, უსაქმურობის, ნაყოფიერების დაცემის და პროდუქტების გაფუჭების შემთხვევებს.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი წერდა: „...განა ყოფილა ისტორიაში, რომ წარმოების ახალი წესი ერთბაშად დანერგილიყოს, მთელ რიგ წარუმატებლობათა, შეცდომათა, რეციდივთა გარეშე...., ჩვენ არა ვართ უტოპისტები და ვიცით, რომ ძველის ნაშთები ზნეჩვეულებაში განსაზღვრული დროის განმავლობაში გადატრიალების შემდეგ ახლის ყლორტებზე აუცილებლად მეტი იქნებიან. როდესაც ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ესაა დაიბადა, ძველი ყოველთვის რჩება ერთხანს, მასზე ძლიერი, ეს ყოველთვის ასე ხდება ხოლმე ბუნებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაში“[7].

ჩვენ გულდასმით უნდა შევისწავლოთ (პრაქტიკაში გამოვცადოთ) ახლის ყლორტები, უდიდესი ყურადღებით მოვეპყრათ მათ, ყოველნაირად დავეხმაროთ მათს ზრდას და „მოვუაროთ“ ამ სუსტ ყლორტებს. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი გამოდიოდა იქიდან, რომ ჭეშმარიტების კრიტერიუმია პრაქტიკა. იგი მიუთითებდა, რომ არ შეიძლება წინასწარ თავდებობა იმისა, რომ სწორედ „კომუნისტური წ-ებათობანი“ ითამაშებენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს. საქმე ამაში როდია, საქმე ახლის ყველა და ყოველგვარი ყლორტების მხარდაჭერაშია, რომელთაგან ცხოვრება გადაარჩენს ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანთ. იგი მიუთითებდა, რომ საჭიროა ასობით და ათასობით ახალი ნერგების, წვენებისა და საწუალებების გამოცდა მათში ყველაზე გამოსადეგთა გამოსამუშავებლად.

თეორიულად ეჭვს გარეშეა—წერდა ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, რომ კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შუა ძევს ერთგვარი გარდამავალი პერიოდი. მას არ შეუძლია არ აღრთიანებდეს თავის თავში საზოგადოებრივი მეურნეობის ორივე ამ წყობის ნიშნებს, ან თვისებებს. ეს გარდამავალი პერიოდი არ შეიძლება არ იყოს პერიოდი ბრძოლისა მომაკვდავ კაპიტალიზმსა და დაბადების პროცესში მყოფ კომუნიზმს შორის; ანუ, სხვა სიტყვებით: დამარცხებულ, მაგრამ ჯერ მოუსპობელ, კაპიტალიზმსა და დაბადებულ, მაგრამ ჯერ კიდევ სრულებით სუსტ კომუნიზმს შორის.

არამცთუ მარქსისტისათვის, არამედ ყოველი განათლებული ადამიანისათვის, რომელიც ასე თუ ისე იცნობს განვითარების თეორიას, თავისთავად ნათელი უნდა იყოს აუცილებლობა მთელი ისტორიული ეპოქის, რომელიც განირჩევა გარდამავალი პერიოდის ამ ნიშნებით. ამ ისტორიული ხანის აღიარება აუცილებელია. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ყველა შემთხვევაში ობიექტური პირობების გათვალისწინებით, საწარმოო ძალთა განვითარების დონის გათვალისწინებით საჭიროა დავსახოთ განვითარების გეგმა. ეს განსაკუთრებით ყურადსაღები გაფრთხილებაა. 1958 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერებმა გამოაცხადეს „სამი წითელი დროშის კურსი და დაიწყეს „დიდი ნახტომის“ განხორციელება სახალხო კომუნების ჩამოყალიბებით. ამ საფიფთო ექსპერიმენტს, რომლითაც უგულებელყოფილია ეკონომიური კანონებისა და სხვა ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილება, რა თქმა უნდა, კარგის მოტანა არ შეეძლო. ჩინელებმა არ გაითვალისწინეს საწარმოო ძალთა განვითარების დონე, უგულებელყვეს მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპი, უარი თქვეს შრომის მიხედვით განაწილებაზე და გადავიდნენ სახალხო კომუნებში გათანაბრებულ განაწილებაზე. „დიდი ნახტომი“ ფაქტიურად იყო უარის თქმა ახალი საზოგადოების მშენებლობის მთელ ეტაპზე, რომლის აუცილებლობასაც ასაბუთებს მარქსიზმ-ლენინიზმი. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ მან სერიოზული ზიანი მიაყენა ჩინეთის ეკონომიკას, რომელიც ამის გამო ახლა „მოწესრიგების“ პროცესშია.

კომუნიზმის უმაღლეს ფაზაზე გადასვლა და მასთან ერთად კომუნისტური შრომის გამარჯვება „დაკავშირებულია სოციალისტური შეგნებიდან კომუნისტურ შეგნებულობაზე „გადასვლასთან“. ეს „გადასვლა“ გულისხმობს ყველა

[7] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი, გვ. 503.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანში თანდათანობით ჩამოყალიბებას იმ ორგანული მოთხოვნილებისა, რომლის მიხედვით ადამიანმა თავისი უნარის სრული შესატყვისობით, მთელი შესაძლებლობით უნდა იშრომოს საზოგადოების სასარგებლოდ, ნებაყოფლობით დაიცვას სოციალისტური თანაცხოვრების წესები. ეს გადასვლა უნდა განხორციელდეს არა სოციალისტური შეგნების ძირეული „ნგრევის“, არამედ მისი კომუნისტურ შეგნებად თანდათანობით გარდაქმნის მეშვეობით.

კომუნისტური საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური წინამძღვრების საკითხთან მჭიდრო კავშირში განიხილავს ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ადამიანის მორალური განვითარების საკითხს. მას მიაჩნია, რომ „...ადამიანთა ერთბაშად გარდაქმნა შეუძლებელია, რომ ათეული მილიონობით ადამიანებისათვის სოციალიზმისადმი რწმენის ერთბაშად შთაგონება, შეუძლებელია“[8].

კომუნისტურ საზოგადოებაზე გადასვლის პირობების მომზადებასთან ერთად იცვლება, „მზადდება“ თვით ადამიანიც. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი გამოდის იქიდან, რომ ადამიანის ზნეობა, ხასიათი, შეგნების დონე და საერთოდ მორალური თვისებები არ წარმოადგენს რაღაც მეტაფიზიკურ, უცვლელ თვისებებს.

ბურჟუაზიული საზოგადოების ზნეობის ადამიანებს არ შეუძლიათ ერთბაშად კომუნიზმის მორალური პრინციპები შეითვისონ და თავიანთი ქცევა მას დაუმორჩილონ. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ ყოველგვარ ძველს, ბოლომდე მოვსპოთ ძველი საზოგადოებრივი კავშირი, ძველი ეკონომიური ურთიერთობა, კაპიტალისადმი დამორჩილებული შრომის ძველი თავისუფლება, ძველი ჩვეულებები. ეს არის უძნელესი საქმის დასაწყისი, ვინაიდან ყველა შრომითი ჩვევების და ზნის გარდაქმნა—ათეული წლების საქმეა. საჭიროა წლების და ათეული წლების განმავლობაში შეუსვენებლივი მუშაობა, რათა ადამიანის შეგნებიდან აღვკვეთოთ დაწყევლილი წესი—„თითოეული თავისთვის. ღმერთი—ყველასათვის“, რომ აღმოვფხვრათ ჩვეულება, რომლის მიხედვით შრომა მხოლოდ ბეგარაა და კანონიერია მხოლოდ განსაზღვრული ნორმით ანაზღაურებული შრომა. უნდა ვიმუშაოთ დაუღალავად, რომ განვამტკიცოთ ადამიანთა შეგნებაში ჩვეულება, წესი—„ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის“. წესი: „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით“, რომ თანდათან, მაგრამ შეურყევლად შევიტანოთ კომუნისტურ შრომაში კომუნისტური დისციპლინა. შრომის განთავისუფლებით ადგილიდან დაიძრა გაუგონარი სიმძიმის ლოდი, დაიწყო ყველაზე დახავსებულ ცრურწმენათა, ყველაზე მტკიცე, საუკუნეობრივ გაქვავებულ ჩვეულებათა შერყევა და დამსხვრევა. კომუნისტურმა შაბათობამ პირველი დიდი ნაბიჯი გადადგა ამ მხრივ. ახლა კი საჭიროა მუშაობა წლობით და ათეული წლობით შაბათობის გამოყენებაზე, მის განვითარებაზე, გავრცელებაზე, გაუმჯობესებაზე და ზნეჩვეულებაში შეზრდაზე“[9].

კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან გათავისუფლება არის ის პირველი გიგანტური „ფრთხილდავი“, რომელიც ადამიანებს გაათავისუფლებს, ახალ ადამიანურ თვისებებს შესძენს და ადამიანები თანდათან შეეჩვევიან ჯერ სოციალისტურ, ხოლო შემდეგ კი კომუნისტური ნორმების დაცვას. კომუნისტურ შაბათობებში სწორედ ეს აღმოაჩინა ლენინმა. კომუნისტური შეგნებისა და მორალის ეს პირველი ყლორტები წლების მანძილზე სოციალისტურ საზოგადოებაში

---

[8] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 27, გვ. 645.

[9] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 139—140.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარდება, მტკიცდება და ახლა ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ „ახალ ადამიანზე"; ახალი ადამიანის ცნება სინონიმია ყოველმხრივ განვითარებული, სულიერად და ფიზიკურად სრულყოფილი, მაღალი კომუნისტური შეგნების დღევანდელი ადამიანისა. ადამიანი ახსტრაქტულად არ არსებობს. მარქსიზმმა დიდი ხანია დაამტკიცა, რომ ადამიანი სოციალური არსებაა და იცვლება იმ პირობებთან ერთად, რომელშიც იგი ცხოვრობს.

კომუნისტური შრომის პრაქტიკულად გამარჯვება შეუძლებელია ახალი ადამიანის აღზრდის გარეშე. კომუნიზმის მშენებლობის პროცესში, ამ საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში და შრომაში ყალიბდება ახალი, მომავლის ადამიანი, რომელიც თავის ძოღვაწეობაში ხელმძღვანელობს მეცნიერული მსოფლმხედველობით, მაღალი კომუნისტური იდეებით, კომუნისტური მორალის პრინციპებით, ადამიანი, რომელსაც შეგნებული აქვს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის აუცილებლობა.

კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდა როგორც პროცესი ასევე დიალექტიკურ-წინააღმდეგობრივია, რადგან იგი ითვალისწინებს ბრძოლას ყოველივე იმასთან, რაც შეუსაბამობაში იმყოფება ახალი საზოგადოებრივი იდეალების მქონე ადამიანებთან. იგი ითვალისწინებს ბრძოლას ყოველივე არ პატიტულ, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის მქონე, ზარმაც ელემენტებთან.

ნათელია, რომ ჩვენი საზოგადოების წევრთა უმრავლესობა ჯეშმარიტად ამჟღავნებს მაღალ შეგნებას შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებაში, აქტიურად მონაწილეობს კომუნიზმის მშენებლობაში. მაგრამ არის საზოგადოების წევრთა გარკვეული ნაწილი, რომლის ინტერესი და ქცევა ეწინააღმდეგება საზოგადოების უმრავლესობის ინტერესებს. რა თქმა უნდა, ეს წინააღმდეგობა დროებითია, რამდენადაც იგი გამომდინარეობს არა წყობის ბუნებიდან, არამედ ადამიანთა ამ გარკვეული ნაწილის შეგნებასა და ქცევაში კაპიტალიზმის გადმონაშთების არსებობიდან. მათი დაძლევა მოითხოვს ღონისძიებათა მთელ სისტემას (ღონისძიებათა ეს სისტემა უნდა მოიცავდეს ცხოვრების როგორც ეკონომიურ, ასევე სულიერ სფეროს).

ცნობილია, რომ პირადი მატერიალური დაინტერესება შრომის ძირითად სტიმულად რჩება სოციალიზმის დროს და კომუნიზმის სრულ აშენებამდე მთელ პერიოდში. იგი შეხამებულია შრომის მორალურ სტიმულებთან. მატერიალური დაინტერესების პრინციპი, რაც შრომის მიხედვით განაწილებაში გამოიხატება, შეესაბამება საწარმოო ძალთა განვითარების დღევანდელ დონეს და ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია მისი განვითარებისათვის. მაგრამ უკვე კომუნიზმის საწარმოო ძალთა შექმნისას იგი წინააღმდეგობაში მოვა მასთან და გარდუვალად დადგება მისი კომუნისტური პრინციპით შეცვლის აუცილებლობა. განაწილების სოციალისტური პრინციპი არის საშუალება კომუნისტურ პრინციპზე გადასვლის მოსამზადებლად. განაწილების სოციალისტურ პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორი შეხამებისათვის. სოციალიზმის დროს სწორედ შრომის საშუალებით ხორციელდება პიროვნების კავშირი საზოგადოებასთან და ამასთან, პირადი ინტერესების კავშირი საზოგადოებრივთან.

ამიტომ განაწილების სოციალისტური პრინციპის სწორ გატარებას, შრომის მატერიალური და მორალური სტიმულების სწორ შეხამებას გადამწყვეტი მნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვნელობა აქვს საზოგადოებრივი განვითარებისათვის. კომუნისტური საზოგადოების განვითარების პროცესში ისტორიული გარდუვალობა წარმოშობს წინააღმდეგობასაც და ასევე გარდუვალობით აღიკვეთება იგი.

განაწილების სოციალისტური პრინციპი ასრულებს უდიდეს როლს, უზრუნველყოფს მშრომელთა მატერიალურ დაინტერესებას შრომის ნაყოფიერების ზრდაში, საერთოდ საწარმოო ძალების განვითარებაში და ამრიგად თვით ამზადებს ნიადაგს მისი კომუნისტური პრინციპით შეცვლისათვის. შრომის მიხედვით განაწილება ძირითადია,—მაგრამ არაა განაწილების ერთადერთი ფორმა. არსებობს კიდევ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდი, რომლის მიხედვით მატერიალური დოვლათის განაწილება ხდება დამოუკიდებლად შრომის ხასიათისა და რაოდენობისა. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდის ზრდა აუცილებელი პირობაა განაწილების მაღალ ფორმაზე გადასვლისათვის.

როცა განაწილების მოქმედი პრინციპი წინააღმდეგობაში მოვა საწარმოო ძალთა განვითარების დონესთან, იგი შეიცვლება კომუნისტურით.

ან კიდევ, თუ ჯერჯერობით სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში ძხიშველოვანი წილი არაკვალიფიციურ ხელით შრომაზე მოდის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პროცესში, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით, უეჭველად წარმოიქმნება წინააღმდეგობა მუშათა კულტურულ-ტექნიკურ დონესა და შრომის ტექნიკურ აღჭურვილობას შორის. ვ. ი. ლენინი მიიჩნევდა, რომ შრომის გადაქცევა ჩვევად, პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად,—რაც კომუნისტური შრომის დამაგვირგვინებელი ეტაპია,—"შეუძლებელია თავისუფალი შრომის მოწინავე მეცნიერებითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვის გარეშე, რამაც უნდა უზრუნველყოს შრომის უმაღლესი ნაყოფიერების მიღწევა. ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდა კი ერთ-ერთი ძირითადი პირობაა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ტექნიკური და კულტურული მომზადებულობის არასაკმაო დონე ამუხრუჭებს წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვასა და ეფექტურ გამოყენებას, აბრკოლებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს. საჭიროება იქმნება სასწრაფოდ იქნეს გამონახული კვალიფიკაციის ამაღლების ახალი ფორმები, ზოგადსაგანმანათლებლო და ტექნიკური სწავლების ხარისხის ამაღლების გზები. ვ. ი. ლენინის მოძღვრების შესაბამისად სკკპ პროგრამაში მითითებულია, რომ სოციალისტური შრომის კომუნისტურ შრომად გარდაქმნის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, საერთოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. ტექნიკური პროგრესი ძირეულად ცვლის შრომის პირობებს და ხასიათს, ამსუბუქებს მუშაკის შრომას, და ამავე დროს მეტ მოთხოვნას უყენებს მას, ობიექტურ აუცილებლობად აყენებს მუშაკის კულტურული და სპეციალური მომზადების მაღალ დონეს, ზრდის შრომის ინტელექტუალურ შინაარსს და მოითხოვს მუშაკის ფართო დიაპაზონს, მრავალმხრივ მომზადებას, დევნის შრომის პროცესიდან მონოტონურობას და მოითხოვს შემოქმედებას, ნოვატორობას; მძიმე, ხელით შრომა და საერთოდ არაკვალიფიციური შრომა ლიკვიდაციას განიცდის ტექნიკურ განვითარებასთან ერთად მუშაკთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების მეშვეობით.

კულტურულ-ტექნიკური დონის არასაკმაობა და მისით განპირობებული არსებითი განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის წინააღმდეგობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ექცევა სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან, რომელმაც წარმოების ყველა მხარე უნდა მოიცვას. უკვე უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდეს გონებრივი და ფიზიკური შრომის ორგანული შეერთება. ინტელიგენცია ჩვენს საზოგადოებაში აღარ იქნება განსხვავებული სოციალური ფენა, ფიზიკური შრომის ადამიანები კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების გზით გაუთანაბრდებიან გონებრივი დარგის მუშაკებს. კომუნიზმის მშენებლობას ერთ-ერთ უდიდეს შედეგად უნდა მოყვეს სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავების მოსპობა ქალაქსა და სოფელს შორის. ხასიათის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო შრომა ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად უნდა იქცეს. ეს პროცესი მიმდინარეობს და ვითარდება გარკვეულ, სპეციფიკურ წინააღმდეგობათა გადაჭრის გზით.

წინააღმდეგობათა დროული გამოვლენა და გადაჭრა პროგრესის აუცილებელი პირობაა.

კომუნისტური შრომის გამარჯვების ერთ-ერთ ძირითად პირობად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაცია და მისი სრულყოფა ობიექტური გარდუვალობით დასმული მოთხოვნების შესაბამისად.

სოციალისტური საზოგადოების განვითარების მსვლელობაში გარდუვლად წარმოიშობა წინააღმდეგობა მუდმივად მზარდ სახალხო მეურნეობასა და სამეურნეო ხელმძღვანელობის დრომოჭმულ ფორმებსა და მეთოდებს შორის და. თუ იგი დროულად არ გადაიჭრა, მოსალოდნელია ეკონომიური განვითარების შეფერხება, რაც განაპირობებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეებსაც. ჩვენი ცხოვრების გამოცდილება ადასტურებს, რომ პარტია ყოველთვის დროულად ამჩნევს და აღკვეთს იმ წინააღმდეგობას, რომელიც საერთოდ გარკვეული მასშტაბით მუდამ გარდუვალია.

წინააღმდეგობა მრავალმხრივ იჩენს თავს. არ შეიძლება ყველა მათგანის გადაჭრის ერთი საშუალება არსებობდეს. ასეთ უნივერსალურ საშუალებად ერთი რომელიმე კონკრეტული პირობის მიჩნევა შეუძლებელია.

ჩვენს საზოგადოებაში წინააღმდეგობათა და ნაკლოვანებათა დაძლევის, დრომოჭმულის, კონსერვატულის, რუტინის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე გავრცელებულ ფორმად აღიარებულია კრიტიკა და თვითკრიტიკა, მაგრამ მას არ შეიძლება მივაწეროთ ყოვლისშემძლეობა და ყველაფერი მასზე დავიყვანოთ.

მაგ., მხოლოდ საწარმოო ძალების დაჩქარებული ზრდისა და რაციონალური გამოყენებით შეიძლება გადაიჭრას წინააღმდეგობა მუდმივად მზარდ მოთხოვნილებასა და წარმოების გარკვეულ ჩამორჩენას შორის. სათანადო რეორგანიზაციის დროული გატარება უზრუნველყოფს წინააღმდეგობის გადაჭრას განვითარებული საწარმოო ძალასა და წარმოებითი ურთიერთობის საერთო სისტემის მოძველებულ რგოლს შორის. სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ უკანასკნელ ათწლედში გატარებული ღონისძიებანი (მტს-ს რეორგანიზაცია, მშენებლობისა და მრეწველობის მართვის გარდაქმნა, სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და საწარმოო სამმართველოების შექმნა, კანონი სახალხო განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფის შესახებ), ნათლად მიუთითებენ იმაზე, თუ დროულად როგორ უნდა აღმოვაჩენდეთ და ვწყვეტდეთ წინააღმდეგობას საზოგადოებაში. ამ ღონისძიებათა ეფექტურობა იმაზე მიუთითებს, რომ სკკპ ხელმძღვანელობს ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს მითითებით იმის შესახებ, რომ საჭიროა აღმოვაჩინოთ წინააღმდეგობებში მთავარი, რომლის ამოღებით წინააღმდეგობათა მთელ ჯაჭვს ვპოულობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური საზოგადოების დაბადა სტადიიდან უმაღლესში გადაზრდის ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ გადაზრდის პროცესი არ მოითხოვს პირველი ფაზისათვის დამახასიათებელი პრინციპების მსხვრევას ან გაუქმებას; პირიქით, სწორედ სოციალიზმის პრინციპების განვითარება და განძტკიცებაა ეს გადაზრდა. ის, რაც უნდა უკუგდებულ იქნეს და დაიმსხვრეს, არის არა სოციალიზმისათვის დამახასიათებელი, არამედ გადმონაშთი ძველი წყობიდან. მოწინავის ბრძოლა ჩამორჩენილთან განვითარების კანონია სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის მთელ პერიოდში. ამ ჩამორჩენილს, დრომოჭმულს, ახალის, მოწინავეს მეშვეობით უნდა ვებრძოლოთ მთელი პროცესის ყველა ცალკეულ მხარეში. არა წინააღმდეგობათა მიჩქმალვა ან უგულებელყოფა, არამედ სწორედ გარკვეულ წინააღმდეგობათა გარდუვალობის შეგნება და მზადყოფნა მისი გადაჭრისათვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წინააღმდეგობა არ არსებობს რაღაც საერთო ფორმით, იგი კონკრეტულად, სპეციფიკურად იჩენს თავს კონკრეტულ მხარეში, ამ კონკრეტული და სპეციფიკური წინააღმდეგობის გადაჭრა ასევე მოითხოვს კონკრეტულ და სპეციფიკურ ღონისძიებას, კონკრეტულ-სპეციფიკურ სფეროში, სადაც მან თავი იჩინა.

სოციალისტური შრომის კომუნისტურ შრომად გადაზრდისათვის ობიექტური და სუბიექტური პირობების მომზადების პროცესში თავს იჩენს აგრეთვე სპეციფიკური წინააღმდეგობანი. ისინი შეიძლება გამოვლინდნენ როგორც ერთის მეორესაგან (ობიექტურის—სუბიექტურისაგან) ჩამორჩენით ან თვითეულ მათგანში სხვადასხვა ელემენტის დროებითი შეუსაბამოობით. ამ წინააღმდეგობათა და შეუსაბამობათა დროულ გადაჭრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური შრომის გამარჯვებისათვის.

* * *

სოციალისტური შრომის კომუნისტურ შრომად გადაზრდა ობიექტური კანონზომიერებაა, რომელსაც სოციალისტური წყობილების განვითარების მთელი წინა პერიოდი ამზადებს.

სოციალისტური შრომის კომუნისტურ შრომად გარდაქმნა გულისხმობს შრომის პირობებში, ხასიათსა და შინაარსში ისეთ ცვლილებებს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება:

—მძიმე ფიზიკური და არაკვალიფიციური შრომის ლიკვიდაცია. შრომის ტექნიკური აღჭურვილობის საფუძველზე;

—შრომის პროფესიული დანაწილების შემდგომი სრულყოფა. შრომის კაპიტალისტური დანაწილების სრული ლიკვიდაცია და მუშაკთა ვიწრო სპეციალიზაციის სრული დაძლევა. ყოველმხრივ განვითარებული მუშაკის მრავალპროფესიულობა. შრომის სახეების მონაცვლეობა თავს იჩენს როგორც ბუნებრივი კანონი;

—სასოფლო-სამეურნეო შრომის გადაქცევა ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად;

—შრომის ინტელექტუალური შინაარსის გაფართოება და გონებრივი და ფიზიკური შრომის ორგანული შერწყმა შრომით მოღვაწეობაში მუშაკთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების საფუძველზე;

—შრომის უმაღლესი ნაყოფიერების მიღწევა, შესაბამისად აუცილებელი სამუშაო დროის შემცირება და თავისუფალი სამუშაო დროის ზრდა;

—შრომის გადაქცევა ადამიანის მოთხოვნილებათა შორის უპირველეს სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

სოციალისტური შრომის კომუნისტურ შრომად გარდაქმნის გადამწყვეტ პირობას შეადგენს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, რაც ნიშნავს: ქვეყნის სრულ ელექტროფიკაციას და მის საფუძველზე ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მთელი საზოგადოებრივი წარმოების სრულყოფას; საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას და მისი სრული ავტომატიზაციის მიღწევას; ქიმიის ფართოდ გამოყენებას სახალხო მეურნეობაში; ენერგიის, და მასალების ახალი სახეების გამოყენებას; ყველა ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაღალ ტემპს, მეცნიერების ორგანულ შეერთებას წარმოებასთან; მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური მომზადებულობის მაღალ დონეს; შრომის ნაყოფიერების უმაღლეს დონეს;

ამ ამოცანებიდან თვითეულის გადაწყვეტა სხვა მხარეებთან მჭიდრო კავშირშია, ისინი ურთიერთს განაპირობებენ.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პროცესში განხორციელდება ძირეული ცვლილებანი შრომის პირობებში, ხასიათსა და შინაარსში. ძირეულად შეიცვლება ადამიანის როლი და ადგილი წარმოების პროცესში. ვ. ი. ლენინის თქმით, ძირეულად შეიცვლება ურთიერთობა ადამიანთა შორის, მათი მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში.

სკკპ პროგრამაში დასახული სამი ურთიერთდაკავშირებული ამოცანის— კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომუნისტურად გადაზრდის, ახალი ადამიანის აღზრდის განხორციელებისათვის ბრძოლა არის ამავდროულად ბრძოლა კომუნისტური შრომის გამარჯვებისათვის; სწორედ ამ ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლის პროცესში მზადდება ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები კომუნისტური შრომის სრული გამარჯვებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ახალი, სოციალისტური ინტელიგენციის ფორმირების ისტორიიდან

ვ. სულაძე

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. დ. გულიას სახ. აფხაზეთის ინსტიტუტმა)

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ მუშათა კლასი ქვეყნის ნამდვილი პატრონი ვერ იქნება, თუ თავს ვერ დააღწევს უკულტურობას, ვერ შექმნის საკუთარ ინტელიგენციას, ვერ დაეუფლება მეცნიერებას და თუ ვერ შეძლებს გაუძღვეს მეურნეობას მეცნიერების საფუძველზე, ე. ი. საკუთარი ინტელიგენციის გარეშე მუშათა კლასს, რომელმაც თავისი დიქტატურა დაამყარა და დაიწყო კაპიტალიზმიდან კომუნისტურ საზოგადოებაზე გარდამავალი პერიოდის გრანდიოზული ამოცანების გადაჭრა, არ შეუძლია არათუ ამ ამოცანების განხორციელება, არამედ თავისი დიქტატურის ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროით შენარჩუნებაც.

იბრძოდა რა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ვ. ი. ლენინს, კომუნისტურ პარტიას სწამდა, რომ სოციალისტური რევოლუცია მშრომელი მასებიდან წამოაყენებდა ათასობით ტალანტს, ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს, რომელთაც ადრე ახშობდა კაპიტალიზმი, რომ რევოლუციის გამარჯვება შექმნიდა ყველა აუცილებელ პირობას მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობისათვის, დაუფლებოდნენ ცოდნას, მეცნიერებასა და კულტურას, გამოეზარდათ საკუთარი რაზმები ინტელიგენტებისა, რომლებსაც უნარი ექნებოდათ მოეწყოთ სოციალისტური მშენებლობის ორგანიზაცია და მუშათა კლასთან და გლეხობასთან ერთად უზრუნველეყოთ სოციალიზმის გამარჯვება.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობამ ჩვენში, მართლაც, განაპირობა მანამდე ჩაგრული მასებიდან ათიათასობით მეთაურის, ხელმძღვანელის და ორგანიზატორის წამოყენება, გამოაღვიძა „აღორძინებისა და განახლების მთვლემარე დიადი ძალები“[1], მშრომელი მასებისა, რომლებმაც ისტორიულად უმოკლეს დროში შექმნეს საკუთარი ინტელიგენციის მაღალკვალიფიციური არმია, რომელსაც შეეძლო წარმატებით გადაეჭრა სოციალიზმის მშენებლობის უძხელესი ამოცანები.

კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის მითითებებზე დაყრდნობით შეიმუშავა ახალი, საბჭოთა ინტელიგენციის კადრების მომზადების მოქნილი პროგრამა, რომელიც სრულად ითვალისწინებდა ჩვენი ქვეყნის განვითარების ცალკეულ პერიოდებში სოციალიზმის მშენებლობით წამოყენებულ კონკრეტულ ძოთხოვნებს.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნი, თხზ., ტ. 26, გვ. 563.

მუშათა კლასის, გლეხობის და მშრომელი ინტელიგენციის წრიდან ახალი საკუთარი ინტელიგენციის შექმნისა და გამოზრდის რთულ ამოცანას კომუნისტური პარტია ორი ძირითადი გზით წყვეტდა: პირველი—ეს იყო ხელმძღვანელ სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო სამუშაოებზე მუშებისა და მშრომელი გლეხობის ყველაზე აქტიური, და კულტურულად მომწიფებული წარმომადგენლების დაწინაურება და გამოზრდა; მეორე—უმაღლეს სასწავლებლებსა, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ახალი, საბჭოთა სპეციალისტების მომზადება და პრაქტიკულ მუშაობაში მათი გამოწრთობა. ახალი ინტელიგენციის შექმნის ეს ორი გზა ერთმანეთთან იყო დაკავშირებული და ერთმანეთს ავსებდა.

* * *

საქართველოს კომუნისტების მთელი საქმიანობა და, კერძოდ, ბრძოლა ახალი, საკუთარი ინტელიგენციის შექმნისათვის განუყრელად დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის იმ უდიდეს ღონისძიებებთან, რომელთა განხორციელება ლენინური ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე დაიწყო რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებიდანვე. კომუნისტური პარტიისა და რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების მდიდარი გამოცდილების გამოყენება, რუსი ხალხის უანგარო მატერიალური და მორალური დახმარება საქართველოში სოციალიზმის გამარჯვების აუცილებელ პირობად იქცა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ დღეებში, სახელდობრ 1921 წლის ივნისში, თბილისის პირველი საქალაქო პარტიული კონფერენციის სამი თვის მომართვაში ს. მ. კიროვი ამბობდა: „ძნელი და რთული მუშაობა გიდევთ წინ თქვენს გზაზე, მე მინდა გაგახსენოთ, რომ თქვენი მუშაობა საგრძნობლად გაადვილებულია მით, რომ წინ გიდევთ რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის დიდი მაგალითი... მე ვფიქრობ, რომ საქართველოს პარტია გათვალისწინებს გაკვეთილებს, რომლებსაც საბჭოთა რუსეთი იძლევა და შესძლებს შემოიკრიბოს და შეაღუღოს ახალგაზრდა საქართველოს ნამდვილი რევოლუციური ელემენტები და ამით საფუძველი ჩაუყაროს დიდ აღმშენებლობით მუშაობას“[2].

იმისათვის, რომ ჩვენში საფუძველი ჩაყროდა დიდ აღმშენებლობით მუშაობას საქართველოს კომუნისტებს, უპირველესად ყოვლისა, უნდა განემტკიცებინათ მოპოვებული, გაეტარებინათ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას. პირველ რიგში დამსხვრეული უნდა ყოფილიყო ბურჟუაზიული სახელმწიფო მმართველობის ორგანოები. ამ ძნელი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში კომუნისტური პარტია ეყრდნობოდა ძირითადად იმ კადრებს, რომლებსაც იგი ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლების რთულ პირობებში ზრდიდა. მაგრამ ეს კადრები, სახელმწიფოს მართვის ჩვევებსა და ცოდნას მოკლებულნი, სრულიადაც არ იყვნენ საკმარისი ქვეყნის მმართველობის აპარატის დასაუფლებლად.

---

[2] გაზ. „კომუნისტი“, № 83, 1921 წლის 14 ივნისი.

მდგომარეობიდან გამოსავალს კომუნისტური პარტია მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლებაში, მათ მიერ მეცნიერების დაუფლებაში ხედავდა, ე. ი. საჭირო იყო მასების ორგანიზებული ლაშქრობის მოწყობა მეცნიერების დასაუფლებლად. ეს ლაშქრობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით დამთავრდა. სოციალიზმის გამარჯვება, კულტურული რევოლუციის განხორციელება ჩვენს ქვეყანაში იყო შედეგი ამ ჭეშმარიტად ძნელი ლაშქრობისა, რომელიც თითქმის ორი ათეული წელი გრძელდებოდა.

კომუნისტური პარტიის მიერ გადადგმულმა პირველმა ნაბიჯებმა მშრომელი მასების კულტურული დონისა და პოლიტიკური შეგნებულობის ამაღლებისათვის ჯერ კიდევ აღდგენით პერიოდში შექმნეს პირობები სახელმწიფო მმართველობაში მათი მასიურად ჩაბმისათვის. საკ. კპ(ბ) მეთოთხმეტე ყრილობა უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ „მუშათა კლასისა და მასთან ახლო მდგომი გლეხობის ფენების, პოლიტიკური აქტივობის უდიდესი ზრდა, რამაც ამ ბოლო ხანებში იჩინა თავი, ხელსაყრელ ვითარებას ქმნის ამ მასების ჩასაბმელად სახელმწიფო მშენებლობაში“[3].

პროლეტარულ სახელმწიფოებრივ და სამეურნეო მმართველობაში ხელმძღვანელ საძუშაოებზე მშრომელი მასების წარმომადგენელთა წამოყენება და ღაწრისაურება განსაკუთრებით მოითხოვა რეკონსტრუქციის პერიოდში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით შექმნილმა ვითარებამ, როცა ძველი ბურჟუაზიული ინტელიგენციის ერთი ნაწილის კონტრრევოლუციური მუშაობა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერებისათვის ძირის გამოთხრისაკენ მიმართული აშკარა ფაქტი გახდა. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ მუშებისა და მშრომელი გლეხობის წრიდან გამოსულ, სოციალიზმის საქმის ერთგულ ადამიანებს დაეკავებინათ საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელობის პოსტები ყველა გადამწყვეტ უბანზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის 1928 წლის სექტემბრის პლენუმმა, ეყრდნობოდა რა საკ. კპ(ბ) ცენტრ. კომიტეტის სათანადო გადაწყვეტილებას, ხაზი გაუსვა საბჭოთა-სამეურნეო აპარატის შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობას და პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვა ხელმძღვანელ საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოებზე მუშებისა და მუშა ქალების დაწინაურების ტემპის გაძლიერება[4].

აღსანიშნავია, რომ მუშებისა და გლეხობის წრიდან პარტიული. პროფკავშირული, კომკავშირული, საბჭოთა და სამეურნეო აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთა წამოყენება, მათი გამობრძმედა პრაქტიკულ მუშაობაში და პერიოდული გადამზადება მუდამ იყო კომუნისტური პარტიის ზრუნვის საგანი და სოციალიზმის გამარჯვებისათვის გაჩაღებული ბრძოლის მთელ მანძილზე ამ პრობლემას არასდროს უკანა ხაზზე არ გადაუწევია. უფრო მეტიც, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ, სახელდობრ 1937 წლიდან 1938 წლამდე, ხელმძღვანელ სამუშაზე პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში დაწინაურებულ იქნა 4000-ზე მეტი კაცი, ხოლო ქვემდგომ ორგანოებში—

[3] სკკპ... რეზოლუციებში, ნ. I, 1954, გვ. 263.

[4] სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მლი საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14, ს. 1364, ფ. 387.

2.128 კაცი[5]. 1938—1939 წლებში კი დაწინაურებულთა რიცხვმა 10.000 კაცი შეადგინა[6].

ამრიგად, საქართველოში კომუნისტური პარტია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე სისტემატურად და დაჟინებით, რთულ საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, საბჭოთა რუსეთის უანგარო დახმარებით ქმნიდა საბჭოთა ინტელიგენციის—პარტიული, კომკავშირული. საბჭოთა, საბეურნეო, კოოპერაციული და სამხედრო კადრების პირველ რაზმებს „რომელთა დახმარებითაც მართავენ მუშათა კლასი და გლეხობა საბჭოთა ქვეყანას"[7].

კომუნისტური პარტია უდიდესი გულისხმიერებით არჩევდა და აწინაურებდა რა ხელმძღვანელ სამუშაოებზე სოციალიზმის საქმის ერთგულ ადამიანებს, ერთი წუთითაც არ ივიწყებდა იმას, რომ ახალი ტიპის სახელმწიფოს ახალი მეთაურები უნდა დაუფლებოდნენ ხელმძღვანელობის ხელოვნებას, რომელიც თავის მხრივ მოითხოვდა „თეორიის ცოდნას, საზოგადოების განვითარების კანონების, მუშათა მოძრაობის განვითარების, პროლეტარული რევოლუციის განვითარების, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების ცოდნას და იმის უნარს, რომ გამოვიყენოთ ეს კანონები პრაქტიკულ მუშაობაში სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის გასაწევად"[8].

ამ მიზნით, სსრ კავშირში და მაშასადამე საქართველოშიც, შეიქმნა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო აპარატის მუშაკთა მომზადებისა და გადამზადების მთელი სისტემა.

საქართველოში პარტიული და საბჭოთა კადრების მოსამზადებლად 1921 წლის ივნისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან გაიხსნა ცენტრალური პარტიული სკოლა, ხოლო მალე კომკავშირის ცეკასთან—სკოლა კომკავშირულ მუშაკთა მოსამზადებლად[9]. ცოტა ხნის შემდეგ საბჭოთა-პარტიული სკოლები გაიხსნა ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ჭიათურაში, თიანეთში, სამხრეთ ოსეთში, ოზურგეთში და სხვ., რომლებიც ყოველწლიურად საბჭოთა და პარტიულ-ქვედა საფეხურის აპარატისათვის დაახლოებით 750 მუშაკს ამზადებდნენ.

ასრულებდა რა საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებებსა და გადაწყვეტილებებს, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ გააძლიერა სახელმწიფო, საბჭოთა სამეურნეო ქვედა აპარატის მუშაკთა მომზადების ტემპი. მაგალითად, 1935 წელს საბჭოთა-პარტიულ სკოლებში ორი ათასი კაცი სწავლობდა[10]. ამასთან მარტო 1936 წლის მანძილზე გადამზადებულ იქნა სხვადასხვა დარგის 3625 პრაქტიკოსი მუშაკი[12].

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ზემდგომი ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა მომზადებისათვის სსრ კავშირში მუშაობდნენ უმაღლესი პარტიული

---

[5] სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მლი საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14, ს. 7847, ფ. 12.

[6] იქვე, ფ. 14, ს. 10454, ფ. 203.

[7] სკკპ რეზოლუციებში, ნ. I, 1954, გვ. 449.

[8] იქვე, გვ. 450.

[9] სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მლი საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14, ს. 134, ფ. 155.

[10] გაზ. „კომუნისტი", 1925 წ. 20 თებერვალი, № 44.

[11] სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მლი საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14, ს. 5381, ფ. 192.

[12] იქვე, ფ. 14, ს. 511, ფ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლები, კომუნისტური უნივერსიტეტები, სამრეწველო აკადემიები და სხვა.

1923 წლიდან მუშაობა დაიწყო 26 კომისრის სახელობის ამიერკავკასიის კომუნისტურმა უნივერსიტეტმა, რომელშიც საქართველოდან იმავე წელს სწავლობდა 78 კაცი[13]. 1926 წელს უნივერსიტეტში მიღებულ იქნა 54 ქართველი, 1928 წელს—80, ხოლო 1932 წელს—140[14].

სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლების აშენებისათვის ბრძოლის დასასრულს საქართველოს სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის მუშაკთა მომზადებას, აღნიშნული უნივერსიტეტის გარდა, ემსახურებოდა საქართველოს კპ(ბ) თბილისის კომიტეტის საღამოს კომუნისტური უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიც 1932 წელს 259 კაცი სწავლობდა, საქართველოს უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო კომუნისტური სკოლა, რომელმაც 1932 წელს მიიღო 213 კაცი, საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი, რომელშიც ამრეთვე 1932 წელს სწავლობდა 326 კაცი[15].

ფართოდ გაიშალა დაუსწრებელი სწავლება. სულ უფრო და უფრო მეტი ადგილები ეთმობოდა საქართველოდან წარგზავნილებს საბჭოთა რუსეთის უმაღლეს კომუნისტურ სასწავლებლებსა, სამრეწველო აკადემიებსა და წითელი დირექტორების კურსებზე. დაწინაურებულ პრაქტიკოს მუშაკთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სსრ კავშირში 1933 წლისათვის არსებობდა: „1. განსაკუთრებული დანიშნულების ფაკულტეტები. 2. დაუსწრებელი აკადემიები და დაუსწრებელი კურსები, 3. ხელმძღვანელი შემადგენლობის კურსები.“ და სხვა[16].

სოციალიზმის მშენებლობის ახალი ამოცანების შესაბამისად სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და პარტიული აპარატის მუშაკთა საერთო მომზადების დონის ამაღლების მიზნით, საკ. კპ(ბ) ცენტრ. კომიტეტის დადგენილების საფუძველზე, 1934 წლიდან პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან მუშაობა დაიწყო მარქსიზმ-ლენინიზმის ერთწლიანმა კურსებმა, ხოლო საქართველოს კპ(ბ) ცენტრ. კომიტეტის 1936 წლის მარტის დადგენილების საფუძველზე ასეთივე ერთწლიანი კურსები შეიქმნა საქართველოში, რომლის კონტიგენტი განისაზღვრა 60 კაცით[17].

ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია მტკიცედ მიყვებოდა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთო ხაზს, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის მთელ მანძილზე შეუპოვრად ზრდიდა ახალი ტიპის ხელმძღვანელებსა და ორგანიზატორებს, გამუდმებით გამოყოფდა მუშათა კლასისა და გლეხობის წრიდან სოციალიზმის საქმისათვის მებრძოლ წინამძღოლებს, აწყობდა მათ პოლიტიკურ წრთობას, აიარაღებდა თეორიული და სპეციალური ცოდნით და აქცევდა მათ ახალი ეპოქის ინტელიგენტებად.

გარდამავალ პერიოდში კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის გაჩაღებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს მუშათა კლასისა და გლეხობის

---

[13] გაზ. „კომუნისტი“, 1923, 12 ივლისი, № 158.

[14] მასალები საქართველოს სსრ კულტურული მშენებლობის შესახებ, 1941, გვ. 111.

[15] იქვე.

[16] საქ. სსრ არქივი, ფ. 302, ს. 17, ფ. 66.

[17] სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მლი საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14, ს. 6270, ფ. 211.

წრიდან გამოსული ადამიანების ახალი ეპოქის ინტელიგენტებად გადაქცევა და მათთვის ქვეყნის მთელი სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული ხელმძღვანელობის მინდობა დამახასიათებელია მხოლოდ სოციალისტური საზოგადოებისათვის.

სოციალისტური რევოლუციით შობილმა პროლეტარიატის დიქტატურამ, რომელიც აღიჭურვა ასეთი ინტელიგენტებით, „მსოფლიო-ისტორიული როლი შეასრულა, უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში“[18].

* * *

სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა ახალ-ახალი რაზმების წამოყენებით კომუნისტური პარტია განამტკიცებდა და პროლეტარული მმართველობის მთელ სისტემას, აადვილებდა სოციალიზმის აშენების ძნელი ამოცანების გადაჭრას. მაგრამ პროლეტარული დიქტატურის ნამდვილი გამტკიცება და სოციალიზმისაკენ ძლევამოსილი სვლა მუშათა კლასს „საბოლოო ანგარიშით, შეუძლია არა სახელმწიფო აპარატის მეშვეობით.., არამედ მრეწველობის მეშვეობით, რომელიც თვითონ წარმოშობს პროლეტარიატს... ქმნის პროლეტარული დიქტატურის ურყევ საფუძველს“[19]. მაშასადამე, მრეწველობისა და პირველყოვლისა, მძიმე მრეწველობის განვითარება გახდა სოციალიზმის გამარჯვების გადამწყვეტ რგოლად. შეუდგა რა სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის განხორციელებას, პარტიამ საქვეყნოდ განაცხადა: „ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია წარმოადგენს იმ გადამწყვეტ ამოცანას, რომლის წარმატებით გადაჭრაც განსაზღვრავს მთლიანად შემდგომ ზრდას სოციალიზმის გამარჯვების გზაზე“[20].

პარტია ხედავდა, რომ სოციალიზმის შენება შეუძლებელი იყო საქმის მცოდნე, მეცნიერულ და ტექნიკურ ცოდნას დაუფლებული ადამიანების გარეშე. ახლა ბურჟუაზიული ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩადგა[21], არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა სოციალისტური მშენებლობით დაყენებული გრანდიოზული მოთხოვნილება ასეთ ადამიანებზე. პარტიას ესმოდა, რომ ისე როგორც არ შეიძლება აშენო ახალი არმია, თუ მეთაურთა ახალი შემადგენლობა არ გყავს, არ შეიძლება აგრეთვე აშენო ახალი ინდუსტრია, ახალი მეურნეობა, თუ მეცნიერებისა და კულტურის თანამედროვე დონის შესაფერისი ორგანიზატორების, სპეციალისტებისა და ხელმძღვანელების ახალი შემადგენლობა არა გყავს, თუ საწარმოო ტექნიკური ინტელიგენციის საკმაო კადრი არა გვყავს.

სწორედ ამიტომ პარტიამ შეიმუშავა ასეთი კადრების შექმნის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა და სათავეში ჩაუდგა ამ პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლას.

---

18 სკკპ პროგრამა, 1961, გვ. 111.

19 სკკპ რეზოლუციებში, ნ. I, 1954, გვ. 886.

20 სკკპ რეზოლუციებში, ნ. II, 1955, გვ. 338.

21 ბურჟუაზიული ინტელიგენციის საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩაბმისათვის ბრძოლის ისტორია გაშუქებულია ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ სპეც. სტატიაში. იხ. საქ. სუბტროპიკული ინსტიტუტის შრომები, ტ. 3—4, 1959.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი საწარმოო ტექნიკური ინტელიგენციის და საერთოდ, ახალი, საბჭოთა ინტელიგენციის შექმნის ინტერესები გადაუდებლად მოითხოვდა მთელი სასკოლო საქმის ახლებურად დაყენებას, ახალი, საბჭოთა სკოლის შექმნას.

საქართველოს კომუნისტებმა უდიდესი მუშაობა გასწიეს ახალი სკოლის, და ამასთან ერთად უმაღლესი სკოლის შექმნისათვის. მაგრამ, აღდგენითი პერიოდის საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, ინტელიგენციის ახალი კადრების მომზადებამ სათანადო გაქანება ვერ პოვა. პარტია მაშინ მოითხოვდა არა უმაღლესი და სამუალო სპეციალური სასწავლებლების ქსელის გაფართოებას, რადგან ასეთი გაფართოების საშუალებანი არ გააჩნდა, არამედ არსებული კადრების „მომჭირნეობითა და მიზანშეწონილად“ გამოყენებას[22].

მთელ რიგ გარემოებათა გამო საბჭოთა რუსეთში დაახლოებით ათი წელი დასჭირდა სასწავლო დაწესებულებათა გარდაქმნას და მათი ქსელის გაფართოებას. ასევე მოხდა საქართველოშიც. 1921—1928 წწ. ძირითადად მოხმარდა სახალხო განათლების მთელი სისტემის ახლებურად მოწყობას და ამით მომზადდა ყველა პირობა საკუთარი ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრების შეუფერხებელი გამოზრდისათვის ქვეყნის განვითარების შემდგომ პერიოდში.

ახალი, საბჭოთა ინტელიგენციის, და კერძოდ, საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის შექმნის პრობლემების ნამდვილ გადაწყვეტას დასაბამი მისცა ს.კპ(ბ) ცენტრ. კომიტეტის 1928 წლის აპრილის პლენუმის დადგენილებამ „შახტის საქმესთან დაკავშირებით გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ“[23].

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებით ხელმძღვანელობდნენ საქართველოს კომუნისტები, როცა მათ გადაწყვიტეს სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესების მიზნით გაეერთიანებინათ სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტიკური ინსტიტუტის ფაკულტეტები პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან და შეექმნათ იქ ქართული და რუსული სექტორები[24]. გადიდებულ იქნა მისაღები კონტიგენტი. თუ 1926 წელს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სულ მიღებულ იქნა 79 სტუდენტი, 1928 წელს მიღებულთა რაოდენობამ 713 მიაღწია[25]. დიდი ყურადღება მიექცა სასწავლო-დამხმარე სახელოსნოებისა და კაბინეტ-ლაბორატორიების სათანადოდ მოწყობას. ინსტიტუტს 1927 წელს მიეცა საკუთარი შენობა[26].

უმაღლესი ტექნიკური განათლების სათანადოდ დაყენებასთან ერთად დიდი ყურადღება მიექცა საშუალო კვალიფიკაციის ტექნიკოსების მომზადებას. თუ, 1925—1926 სასწავლო წელს სამრეწველო და სააღმშენებლო ტექნიკუმებში 1117 კაცი სწავლობდა, 1928—1929 სასწავლო წელს მათმა რაოდენობამ 2089 მიაღწია. შესაბამისად, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ტექნიკუმების მოსწავლეთა რაოდენობა 357-დან 754-მდე გაიზარდა[27].

სერიოზული წარმატებები იქნა მოპოვებული უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მუშათა და გლეხთა, აგრეთვე, პარტიულ-კომ-

---

[22] სკკპ რეზოლუციებში, ნ. II, 1955, გვ. 395.

[23] იქვე, გვ. 647.

[24] სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მლი საქ. ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14, ს. 72734, ფ. 172.

[25] მასალები საქ. სსრ კულტურული მშენებლობის შესახებ, 1941, გვ. 111.

[26] გაზ. „კომუნისტი“ 1928, 14 იანვარი, № 11.

[27] მასალები საქ. სსრ კულტურული მშენებლობის შესახებ, 1941, გვ. 121.

კავშირული შემადგენლობის გაზრდის საქმეში. მაგრამ ყველაზე მთავარი მიღწევა იყო ის, რომ ძირფესვიანად შეიცვალა სპეციალისტთა მომზადების პროცესის იდეურ-პოლიტიკური მიმართულება და ახლა იგი სავსებით დაემორჩილა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ინტერესებს.

აღსანიშნავია საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის კადრების მომზადებაში მოპოვებული მთელი რიგი მიღწევები, საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ივლისის პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი წითელ სპეციალისტთა მომზადების მთელი სისტემის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. პლენუმმა მოითხოვა სპეციალისტთა კადრების მომზადების ზუსტი დაგეგმვა და მისი შეფარდება მრეწველობის განვითარების ტემპებთან და მასშტაბებთან.

საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის აპრილისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე საქართველოს კომპარტიის VI ყრილობამ 1929 წლის ივლისში, ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო მიღებულ რეზოლუციაში მოითხოვა განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა „სამეურნეო კადრების და წითელი სპეციალისტების მომზადებას მუშათა კლასის წრიდან და მათ სათანადოდ გამოყენებას წარმოებაში“[28].

ძალე დაიწყო სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მოთხოვნილებათა შესწავლა კადრებზე და გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობისათვის საჭირო კადრების მომზადების ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის მარტის დადგენილებით „სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადების შესახებ“[29]. დამტკიცებულ იქნა სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებისა და ახალი ტექნიკუმების მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრები. ამასთან, მითითებულ იქნა ამ ციფრების შემდგომი დაზუსტების აუცილებლობაზე.

დადგენილებით მოწონებულ იქნა ცენტრ. კომიტეტის სამდივნოს გადაწყვეტილება ათასი მუშის, გლეხის, კომკავშირელისა და პარტიის წევრის საკურსო წესით მომზადების შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტმა, საკ. კპ(ბ) ცენტრ. კომიტეტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, 1930 წლის 17 მაისს მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლებისა და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების რეორგანიზაციის შესახებ“[30].

დადგენილებით სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთა ბაზაზე შეიქმნა მთელი რიგი დამოუკიდებელი დარგობრივი ინსტიტუტები. ამ რეორგანიზაციამ უმაღლესი სასწავლებლები მიუახლოვა სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებს, რამაც ხელი შეუწყო თეორიული სწავლების წარმოებასთან კავშირის განმტკიცებას.

ძაგრამ ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება დაუბრკოლებლად როდი განხორციელდა; ძველი პროფესურის ერთი ნაწილი უმაღლესი სასწავლებლების

---

[28] გაზ. „კომუნისტი“, 1929, 11 ივლისი, № 157.

[29] სკკპ ცენტრ. კომიტეტთან არსებული მლი საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14, ს. 3463, ფ. 220.

[30] იქვე, ფ. 14, ს. 3463, ფ. 370.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი რეორგანიზაციის წინააღმდეგ გამოვიდა. საქართველოს კომპარტიის მე-7 ყრილობა აღნიშნავდა, რომ ძველი პროფესურის ნაწილი „ინსტიტუტების რეორგანიზაციის წინააღმდეგ გამოდის, რადგან იცის, რომ პარალელურად ჩვენ რევოლუციური კადრებით ინსტიტუტების გაჯანსაღებასაც ვატარებთ“[31]. მართლაც, პარტიამ შესძლო ახლად შექმნილი უმაღლესი სასწავლებლების სათანადოდ მოწყობა და მათი დაკომპლექტება მეცნიერ-მუშაკთა ახალი კადრებით, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ამ სასწავლებლების ნორმალურ მუშაობას.

1930 წლის 15 ნოემბერს საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებით უზრუნველყოფის ხუთწლიანი გეგმა, რომელიც საგეგმო კომისიამ წარადგინა.

ამ გეგმის მიხედვით დარჩენილი სამი წლის განმავლობაში (1930—1933 წწ.) უნდა მომზადებულიყო 1757 ინჟინერი უმაღლესი განათლებით და 3932 ტექნიკოსი[32]. ამასთან, სახალხო მეურნეობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღების სწრაფი ტემპები მოითხოვდა კვალიფიციური მუშების გაზრდას, ახალი ტექნოლოგიური პროცესების ათვისებას და იმის გაგებას, რომ „ტექნიკა რეკონსტრუქციის პერიოდში ყველაფერს სწყვეტს!“.

ამიტომ იყო, რომ პარტიამ გადაჭრით გაამახვილა ტექნიკური აქტივისა და სამეურნეო მუშაკების ყურადღება ტექნიკური ხელმძღვანელობის აუცილებლობაზე, ტექნიკის შესწავლის აუცილებლობაზე. ამ საქმის სამსახურში ჩაყენებულ იქნა ტექნიკური სწავლების ფართოდ განშტოებული სისტემა, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა, სრულყოფილი ხდებოდა და უზრუნველყოფდა ჩვენში საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის მაღალ-კვალიფიციური კადრების საკმაო რაოდენობით მომზადებას.

პირველი ხუთწლედის დასასრულისათვის საქართველოს მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისათვის სპეციალისტების, მომზადებას, სხვადასხვა კურსებისა და დაუსწრებელი სწავლების გარდა ემსახურებოდა რვა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი 7222 სტუდენტით და 45 ტექნიკუმი 11942 მოსწავლით[33]. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ამ სასწავლებლების მუშაობა სათანადო სიმაღლეზე ყოფილიყო დაყენებული. გაძლიერებულიყო ბრძოლა სასწავლებელთა „გამუშურებისათვის“. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა სწავლების ხარისხის ამაღლებას და სხვ. ყველა ეს ამოცანა გადაჭრილ იქნა მეორე ხუთწლედში.

1932 წლის ივნისში საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტმა მიიღო „დირექტივები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის (1933—1937 წწ.) შესადგენად“. დადგენილებაში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ ხუთწლიან გეგმას უნდა უზრუნველეყო საქართველოს სახალხო მეურნეობის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრებით, რომ სამრეწველო მშენებლობის გიგანტური გაშლა, რაც ნავარაუდევი იყო გეგმით, მოითხოვდა საკუთარი საწარ-

---

[31] სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მლი საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14, ს. 3456, ფ. 118.

[32] საქ. სსრ ორცსა, ფ. 600, ს. 1586, ფ. 73.

[33] მასალები საქართველოს სსრ კულტურული მშენებლობის შესახებ, 1941, გვ. 113.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოო-ტექნიკური ინტელიგენციის კადრების მომზადების ტემპების გაძლიერებას.

კადრების მომზადების მთელი სისტემა ისე უნდა გარდაქმნილიყო, რომ შეთანაბრებოდა მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრების გეზს, ე. ი. გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ტექნიკური კადრების მომზადება მრეწველობის იმ დარგებისათვის, რომლებიც ახლად იქმნებოდნენ.

მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლის პერიოდში, როცა მთელი სახალხო მეურნეობის უახლესი ტექნიკით შეიარაღების საქმე თავის დასასრულს მიუახლოვდა, ქვეყანამ ახალი სიმწვავით იგრძნო ტექნიკას დაუფლებული კადრების ნაკლებობა. ამ პრობლემის გადაწყვეტას ემსახურებოდა პარტიის მიერ წამოყენებული ლოზუნგი „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“ რომელიც იყო ბუნებრივი დამატება უკვე განხორციელებულ ლოზუნგზე „ტექნიკა რეკონსტრუქციის პერიოდში ყველაფერს წყვეტს!“.

ლოზუნგის „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“ წარმატებით განხორციელებისათვის ქვეყანაში გაჩაღებული ბრძოლა აისახა სტახანოვური მოძრაობის წარმოშობაში, რომელიც მეურნეობის ყველა დარგს მოედო. მაშასადამე, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდი ხასიათდება არა მარტო საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის შექმნის პრობლემების გადაწყვეტით, არამედ მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის უდიდესი ამაღლებით.

მუშათა კლასის ფართო ფენების ტექნიკური სწავლების სპეციალისტთა და პრაქტიკოს მუშაკთა არსებული კადრების გადამზადების და ახალი ინჟინრებისა და ტექნიკოსების მომზადების საქმეში უდიდეს წარმატებას მიაღწია საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ. საკმარისია ითქვას, რომ მარტო მეორე ხუთწლედში უმაღლესი და საშუალო ტექნიკური სასწავლებლების მიერ მომზადებულ და გამოშვებულ იქნა მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის 4345 უმაღლესი კვალიფიკაციისაა და 7049 საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტი[34].

ამრიგად, კომუნისტური პარტიის ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა საკუთარი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის შექმნისათვის წარმატებით დამთავრდა. „ჩვენ დღეს გამარჯვებულები ვართ,—ამბობდა გ. კ. ორჯონიკიძე საბჭოების მე-7 საკავშირო ყრილობაზე 1935 წელს, ჩვენს მრეწველობას ამჟამად კადრები ჰყავს. ათასობით, ათიათასობით მეთაურები, რომლებიც დღეს ცუდად როდი მუშაობენ, და რომლებიც მრავალჯერ უკეთ იმუშავებენ ხვალ“[35].

ძართლაც, თუ 1930 წელს სსრ კავშირის მძიმე მრეწველობაში ყოველ 1000 მუშაზე 20 ინჟინერი მოდიოდა, 1936 წელს მათი რაოდენობა 33-მდე გაიზარდა, ქიმიურ მრეწველობაში კი—33 ინჟინრიდან 1930 წელს ყოველ ათას მუშაზე გაიზარდა 52 ინჟინრამდე 1936 წელს[36].

მაშასადამე საკუთარი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის შექმნის საერთო-საკავშირო საქმის გადაწყვეტაში დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და ქართველმა ხალხმა. საქართველოს უმაღლეს და საშუალო-ტექნიკურ სასწავლებლებში აღზრდილმა ინჟინრებმა და ტექნიკო-

---

[34] Народное хозяйство Грузинской ССР, 1957, стр. 193—194.

[35] Орджоникидзе, Г. К. стати и речи, т. 2, 1957, стр. 608.

[36] Жур. „Советское строительство“ 1937, № 6, стр. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებმა, აგრეთვე სამეურნეო-ტექნიკურ საქმიანობაში გამობრძმედილმა მეთაურებმა დიდი საბჭოთა ქვეყნის საწარმოო ტექნიკური ინტელიგენციის ერთი სახელოვანი რაზმი შეადგინეს, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს სოციალისტური მრეწველობის ორგანიზაციისა და სრულყოფის საქმეში.

საბჭოთა სახელმწიფოს ახალი, საკუთარი საწარმო-ტექნიკური ინტელიგენცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის სამრეწველო განვითარების სამართავ პოსტთან დგას, სულ უფრო და უფრო ზრდის თავის რიგებს და სულ უფრო მეტ როლს თამაშობს კომუნიზმისაკენ საბჭოთა ხალხის ძლევამოსილ სვლაში. საბჭოთა კავშირმა დიდი ხანია ინჟინერთა მომზადების დარგში უკან მოიტოვა მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები და მათ შორის აშშ. მაგალითად, 1958 წელს სსრ კავშირში მომზადდა 94 ათასი ინჟინერი, ხოლო აშშ—მხოლოდ 35 ათასი[37]. ამასთან ეს განსხვავება წლითიწლობით იზრდება ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან დრომოჭმული იმპერიალიზმისაგან განსხვავებით კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა აუცილებლად გულისხმობს წარმოებაში „ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ხვედრითი წონის გადიდებას“[38].

* * *

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმე, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელებასთან ერთად სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნასაც მოითხოვდა. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ დაქუცმაცებული, ერთპიროვნული ღატაკური გლეხური მეურნეობების ნაცვლად შექმნილიყო მსხვილი კოლექტიური მეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, რომლებიც დააკმაყოფილებდნენ ინდუსტრიისა და მოსახლეობის მოთხოვნილებას ნედლეულსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. ამ მეტად ძნელი და რთული ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო საქმის მცოდნე, სოფლის მეურნეობის წარმოების მეცნიერული ცოდნით შეიარაღებული ადამიანების, სოციალიზმის მშენებლობის კანონების მცოდნე ადამიანების გარეშე. ასეთი ადამიანები კი ქვეყნის განკარგულებაში არ იყო ან ძალზე მცირე რაოდენობით იყო. მაშასადამე, ისე როგორც ამას ადგილი ჰქონდა მრეწველობაში, გადაუდებელ საქმედ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშენებელი მრავალრიცხოვანი კადრების მომზადება გახდა.

საქართველოს კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ რა კომუნისტური პარტიის მითითებებით და საბჭოთა რუსეთის გამოცდილებით, აღდგენით პერიოდში მთელ თავიანთ საქმიანობას მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას, სოფლის მეურნეობის გამოცოცხლებას, გლეხთა მასების კულტურული დონის ამაღლებას ახმარდნენ.

1926 წლის თებერვალში საბჭოთა საქართველოს ხუთი წლისთავზე თბილისის პარტაქტივის კრებამ აღნიშნა მოპოვებული წარმატებანი სახალხო მეურნეობის და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის დარგში და ამასთან ხაზი გაუსვა, რომ მიწათმოწყობის, ტყისმოწყობის და სოფლის მეურნეობის წარმოების

[37] Журн. „Вестник статистики“, 1960, № 2, стр. 13.
[38] სკკპ პროგრამა, 1961, გვ. 83.

კულტურის შემდგომი გაუმჯობესება შეუძლებელია ისე, თუ იგი უზრუნველყოფილ არ იქნა სათანადო ცოდნით შეიარაღებული კადრებით. „უამისოდ ჩვენს მეურნეობას დიდი საფრთხე მოელის... ამიტომ ჩვენ უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრონომების, ტყის გამგეების, ტაქსატორების, ღვინის დამამზადებლების და სხვ. მომზადებას“[39]. „სოფლის მეურნეობისათვის შესაფერი სწავლულნი შეიძლება ჩვენშივე მომზადდნენ. საქართველოში არის ჩაი, ბამბა, ძახდარინი, ყურძენი, და სხვა, რაც გინდა. სასოფლო-სამეურნეო ცოდნის შეძენა ჩვენშიაც შეიძლება, უამისოდ კი წინ ვერ წავიწევთ“[40].

ხედავდა რა ასეთ მდგომარეობას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიუთითებდა, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის წარმოების ხასიათის გამო ამჟამად ჩვენ გვესაჭიროება არა იმდენად მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, არამედ დაბალი და საშუალო კვალიფიკაციის მუშაკები[41]. ეს მითითება გაითვალისწინა განათლების სახალხო კომისარიატმა და შექმნა ახალი სასოფლო-სამეურნეო სკოლები და ტექნიკუმები ასეთ სპეციალისტთა მოსამზადებლად.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები უმაღლესი განათლების ამ დარგის სპეციალისტებზე არცთუ ისე დიდი მოთხოვნილების გამო უფერულ მუშაობას ეწეოდნენ და ნახევრად თავმინებებულის მდგომარეობაში იყვნენ. მხოლოდ შემდეგ, როცა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა უშუალო პრაქტიკის საკითხად იქცა, გაძლიერდა აგრეთვე მოთხოვნილება უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებზე. „აგრონომის წინაშე ამჟამად,—აღნიშნული იყო მიწისა და ტყის სპეციალისტებისა და მუშაკების მისალმებაში საქართველოს კომპარტიის მე-6 ყრილობისადმი,—დგანან სრულიად ახალი ამოცანები.—აგრონომი ამჟამად უნდა იყოს ახალი გრანდიოზული მეურნეობის მშენებელი... მისი ვალია შექმნას რაციონალური, მსხვილი, მაშინიზირებული, კოლექტიური, მეურნეობანი“[42].

სწორედ ამ ახალი ამოცანების შესაბამისად უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო განათლების დაყენებისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1928 წლის მაისში მიიღო დადგენილება სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები გაერთიანებულიყვნენ ერთ ფაკულტეტად საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან[43].

1929 წლის იგლისში შემდგარმა საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-6 ყრილობამ თავის მუშაობას საფუძვლად დაუდო საკ. კპ(ბ) მე-15 ყრილობის და საკ. კპ(ბ) ცენტრ. კომიტეტის 1928 წლის პლენუმების გადაწყვეტილებანი. ეს ყრილობა გახდა მობრუნების პუნქტი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ[44], რომელმაც პარტიისა და საქართველოს მშრომელების ყველაზე მთავარ საქმედ სოფლად, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების მსხვილ

---

[39] გაზ. „კომუნისტი“, 1926, 21 თებერვალი, № 42.

[40] ჟურ. „რევოლუციის მატიანე“, 1926, გვ. 34, № 1 (14).

[41] სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მლი საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 14, ს. 1367, ფ. 43.

[42] იქვე, ფ. 14, ს. 3151, ფ. 331—332.

[43] იქვე, ფ. 14, ს. 2736, ფ. 172.

[44] იქვე, ფ. 14, ს. 3151, ფ. 226.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექტიურ მეურნეობად გაერთიანება და ამ საქმისადმი სწორი ხელმძღვანელობა გამოაცხადა.

მიღებულ დადგენილებაში ყრილობამ ხაზგასმით ჩაწერა: „უზრუნველვყოთ კოლმეურნეობანი, როგორც ცენტრში ისევე ადგილებზე საუკეთესო მუშაკებით... რომელთაც უნარი აქვთ გაიანგარიშონ, ჩაიწერონ და აკეთონ საქმე იმგვარად, რომ კოლმეურნეობა იყოს კარგად ორგანიზებული“[45].

მალე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახული იყო რა კონკრეტული გზები სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის და კერძოდ სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ხელმძღვანელი და სპეციალისტთა კადრების მომზადების დაჩქარებისათვის, წინადადება ეძლეოდა საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მიწსახკომს, შრომის სახალხო კომისარიატს, კოლმეურნეობათა ცენტრს და სოფლის კავშირს გადაჭრით გაეუმჯობესებინათ მუშაობა არსებული კადრების სწორად შერჩევისა და განაწილებისათვის, ახალი კადრების გამოყენებისა და დაწინაურებისათვის[46].

სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობისათვის სპეციალისტთა კადრების მომზადების ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შემდეგ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სოფლის მეურნეობის სექცია თავის განმარტებით ბარათში მიუთითებდა, რომ საქართველოში 1929 წელს იყო 566 აგრონომი, ხუთწლედის ბოლოს კი მეურნეობას უნდა ჰყოლოდა 4695 უმაღლესი განათლების მქონე და 10129 საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტი[47].

1929 წლის დეკემბრის დადგენილებით საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტმა სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე შექმნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ხუთი ფაკულტეტით[48], ხოლო შემდეგ ინსტიტუტში ხუთი პროფილის ნაცვლად შეიქმნა 19 პროფილი და ამით დაიწყო უნივერსალიზმიდან ვიწრო სპეციალიზაციაზე გადასვლა, რაც მოცემულ დარგში მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევათა სრული და ყოველმხრივი დაუფლების შესაძლებლობას იძლეოდა.

1932 წლის მაისში საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი „უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების შესახებ საქართველოში“ და მიიღო ვრცელი დადგენილება. ამ დადგენილებით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი გაიყო ორ ინსტიტუტად: ზოოვეტერინარულ და სპეციალური ტექნიკური და მარცვლეული კულტურების ინსტიტუტად. ამასთან, ამ დროისათვის საქართველოში უკვე მუშაობდა ხუთი უმაღლესი სასწავლებელი 2519 სტუდენტით[49]. პირველი ხუთწლედის ბოლოს კი სოფლის მეურნეობისათვის სპეციალისტების მომზადების საქმეს შვიდი უმაღლესი და 69 საშუალო სპეციალური სასწავლებელი ემსახურებოდა[50]. მარტო 1932—1933 სასწ.

---

45 იქვე, ფ. 14, ს. 3151, ფ. 227.

46 გაზ. „კომუნისტი“, 1930, 21 აპრილი, № 91.

47 საქ. სსრ ორცსა, ფ. 600, ს. 1986, ფ. 147—151.

48 იქვე, ფ. 147, ს. 11, ფ. 4.

49 გაზ. „კომუნისტი“, № 126, 11 ივნისი 1932 წელი.

50 მასალები საქ. სსრ კულტურული მშენებლობის შესახებ, 1941, გვ. 111, 121.

წელს საქართველოს სოფლის მეურნეობამ 949 უმაღლესი განათლების მჭრნე სპეციალისტი მიიღო[51].

სოფლის მეურნეობისათვის უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების საქმემ კიდევ უფრო დიდი გაქანება მიიღო მეორე ხუთწლედში. მარტო 1932—35 წლებში სამმა სპეციალიზებულმა უმაღლესმა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელმა და 44 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა 10 ათასი მაღალი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტი გამოუშვა. 1936 წელს სასოფლო სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში 3400 სტუდენტი სწავლობდა, ე. ი. დაახლოებით 1400 კაცით მეტი, ვიდრე გერმანიაში— 1934 წელს, ორჯერ და უფრო მეტი, ვიდრე — იტალიაში და სამჯერ და უფრო მეტი, ვიდრე—ინგლისში[52].

1937 წლის მაისში საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობამ შეაჯამა განვლილი მუშაობის შედეგები და აღნიშნა უდიდესი მიღწევები სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა ფრონტზე.

1937 წლისათვის კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო ყველა გლეხური. მეურნეობის 76,5 პროცენტი, რომელთა მფლობელობაში იყო მთელი სათესი ფართობის 82,8 პროცენტი. რესპუბლიკაში არსებობდა ყველა სისტემის 83 საბჭოთა მეურნეობა, 45 სამანქანო-სატრაქტორო სადგური და 4366 კოლმეურნეობა[53]. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო სულ 9316 სპეციალისტი, მათგან 3000-ზე მეტი უმაღლესი განათლებით[54].

სოფლის მეურნეობის წარმოების მცოდნე სპეციალისტების ამ დიდი რაზმის ეგერდით სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის დაწყების პირველი დღეებიდანვე იზრდებოდა და მტკიცდებოდა ასეთი გარდაქმნის უშუალო ხელმძღვანელებისა და ორგანიზატორების რაზმი.

მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის დაწყებისთანავე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება „ადგილებზე სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცების შესახებ“ და მობილიზაციის წესით ცენტრიდან ადგილებზე გააგზავნა 25 გამოცდილი მუშაკი, ამასთან დაავალა პარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტებს გამოეყოთ თავიანთი აქტივიდან პასუხისმგებელი ამხანაგები და გაეგზავნათ მიწათმოქმედების განყოფილებებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში სამუშაოდ[55].

ეს იყო საქართველოს სინამდვილეში, გამოცდილი მუშაკების პირველი ორგანიზებული და გეგმიანი გაგზავნა სოფლად სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის. შემდეგ, ყოველთვის, როცა ამას საჭიროება მოითხოვდა სოფელი გეგმაზომიერად იღებდა ასეთ ხელმძღვანელებს, როგორც ქალაქიდან, ასევე თვით სოფლის აქტივიდან უნარიანი და მომზადებული მუშაკების სახით. მარტო 1931 წლიდან 1932 წლამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრ.

---

[51] სკკპ ცენტრ. კომიტეტთან არსებული მლი საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14, 5372, ფ. 97.

[52] გაზ. „კომუნისტი“ № 214, 15 სექტემბერი, 1936 წელი.

[53] Народное хозяйство Грузинской ССР, 1957, стр. 51.

[54] სკკპ ცენტრ. კომიტეტთან არსებული მლი საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14, ს. 6844, ფ. 86.

[55] სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მლი საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14, ს. 3463, ფ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტმა სოფლად სამუშაოდ გაგზავნა 1300 მეტი კაცი[56]. რომლებმაც სერიოზული როლი შეასრულეს საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიული ხაზის გამრუდებათა მავნე შედეგების ლიკვიდაციის და კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-9 ყრილობა, რომელიც მუშაობდა 1934 წლის იანვარში, აღნიშნავდა, რომ სოფლის მეურნეობის სათანადო კადრებით შეიარაღებისა და განმტკიცებისათვის 1932—1933 წლებში სხვადასხვა სახის კურსები გაიარა 21000 კაცმა—კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, ბრიგადირებმა, აღმრიცხველებმა და სხვ. ამასთან ძირეულ ორგანიზაციებში ცენტრიდან გადასროლილ იქნა რამდენიმე ათასი კაცი[57].

შეიქმნა და მუშაობა დაიწყო ხელმძღვანელი საკოლმეურნეო მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების სკოლებმა, რომლებმაც 1937 წლის შემდგომისათვის მოასწრეს სამი ნაკადის გამოშვება, ხოლო მეოთხე ნაკადი ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით განისაზღვრა 1000 კაცის რაოდენობით[58].

ამრიგად კომუნისტური პარტიის ბრძოლა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ძნელი ამოცანის გადაწყვეტისათვის, მთელი ისტორიული პერიოდის მანძილზე, თავისთავში ითავსებდა სოფლის ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი არმიის შექმნისათვის ბრძოლას. ეს ბრძოლა წარმატებით დამთავრდა მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის მთელ კავშირში და მაშასადამე საქართველოშიც.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის სათანადო მეთაურების, ხელმძღვანელების, ორგანიზატორებისა და სპეციალისტების მრავალრიცხოვანი კადრების შექმნის ძნელი ამოცანა წარმატებით გადაიჭრა. ისტორიულად მოკლე ვადაში გამოიზარდა ინჟინრების, აგრონომების, ტექნიკოსების, ეკონომისტების, ვეტერინარების. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მეთაურთა უზარმაზარი არმია, რომელმაც ფასდაუღებელი როლი შეასრულა ჩვენს ქვეყანაში მეურნეობის სოციალისტური სისტემის შექმნისა და განმტკიცების საქმეში.

*

* *

კომუნისტური პარტიის გამუდმებული ბრძოლა ახალი, საბჭოთა ინტელიგენციის სხვადასხვა რაზმების შექმნისათვის ერთმანეთისაგან იზოლირებულად კი არ წარმოებდა, არამედ ეს იყო ერთიანი, მთელი ფრონტით წარმოებული ბრძოლა ახალი, სოციალისტური ინტელიგენციის ფორმირებისათვის.

კულტურული მშენებლობის, მასების ხელახალი აღზრდისა და ისტორიის შეგნებული მშენებელი ადამიანის შექმნის საქმეში კომუნისტურმა პარტიამ გადაჭრეტი როლი ძველი ბურჟუაზიული სკოლის დანგრევასა და ახალი, პროლეტარული განათლების სისტემის შექმნას მიანიჭა. ეს უკანასკნელი კი მოითხოვდა მასწავლებლებისა და ქვეყნის ყველა კულტურული ძალების მობილიზაციას, მათ აღზრდას სოციალიზმის სულისკვეთებით და მის პარალელურად

[56] იქვე, ფ. 14, ს. 213, ფ. 13.

[57] იქვე, ს. 5372, ფ. 87.

[58] იქვე, ს. 7020, ფ. 242.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელთა საკუთარი, საბჭოური კადრების შექმნას, ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ მასწავლებელი გადაგვექცია საბჭოთა წყობილების დასაყრდენად და დაგვეყენებინა იმ სიმაღლეზე „რომელზედაც იგი არასოდეს არ მდგარა, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში“[59].

კომუნისტური პარტიის სწორმა პოლიტიკამ მასწავლებლობასთან და, საერთოდ, ინტელიგენციასთან დამოკიდებულებაში, გამოიწვია მათი თანდათანობით, მაგრამ მტკიცედ დარაზმვა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, მაგრამ ეს ჯერ სრულიადაც არ ნიშნავდა პრობლემის გადაწყვეტას.

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა აღდგენით პერიოდში, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, არ იძლეოდა საშუალებას ფართოდ გაჩაღებულიყო სასკოლო მშენებლობა და მასწავლებელთა ახალი კადრების მომზადების საქმე. ამასთან, ეს პერიოდი ახალი სკოლის მიმართულების განსაზღვრასა და ორგანიზაციული ფორმების დადგენას დასჭირდა. ცოტა უფრო გვიან, როცა დღის წესრიგში დადგა სოციალისტური რეკონსტრუქციის დიდი საქმეები, რამაც ახალი კადრების მომზადების საკითხი დააყენა, საჭირო გახდა, არა მარტო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სრულყოფა და ზრდა, არამედ უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მოსამზადებელ დაწესებულებათა ქსელის დიდად გაფართოება, რაც თავის მხრივ კვალიფიციური პედაგოგიური კადრების ახალი არმიის შექმნის აუცილებლობას აყენებდა.

პედაგოგთა ახალი კადრების მომზადების გაუმჯობესების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა საკ. კპ(ბ) ცენტრ. კომიტეტის 1929 წლის 8 მარტის დადგენილებამ „პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებსა და პედტექნიკუმებში მასწავლებელთა მომზადებისა და მასწავლებელთა გადამზადების შესახებ“[60].

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება და საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის ამოცანები დაედო საფუძვლად მასწავლებელთა ახალი რაზმების მომზადების იმ დიდ გეგმას, რომლის განხორციელებამ უზრუნველყო მაღალკვალიფიციური, სოციალიზმის საქმის ერთგული პედაგოგების მრავალრიცხოვანი არმიის შექმნა.

კულტურული მშენებლობის გეგმით განსაზღვრული იყო საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის პირველ ხუთწლედში მომზადებულიყო 1673 უმაღლესი და 5661 საშუალო კვალიფიკაციის მასწავლებელი[61]. მაგრამ მასწავლებელთა მომზადების სისტემა პირველ ხუთწლედში ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა დაეკმაყოფილებინა რესპუბლიკის სასკოლო ქსელის სულ უფრო მზარდი მოთხოვნები ახალი ტიპის პედაგოგებზე. ხშირი იყო შემთხვევა როცა დაწყებით სკოლაში ასწავლიდნენ მცირე მცოდნეები[62]. ამიტომ მეორე ხუთწლედი ნამდვილად გადაიქცა პედაგოგთა ახალი კადრების მომზადების ხუთწლედადაც. თუ პირველი ხუთწლედის დასასრულისათვის უმაღლესი კვალიფიკაციის პედაგოგებს საქართველოში ამზადებდა 4 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 5074 სტუდენტი სწავლობდა, მეორე ხუთწლედის დასასრულისათვის, ე. ი. 1937 წელს უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებელთა რაოდენობა 7-მდე გაიზარდა 8972 სტუდენტით. თუ 1932—1933 სასწ. წელს გამოშვებულ იქნა

[59] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 547.

[60] Директивы, 1947, стр. 62.

[61] საქ. სსრ ორცსა, ფ. 600, ს. 1586, ფ. 140—141.

[62] გაზ. „კომუნისტი“, 1932, 12 იანვარი, 1932, № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი განათლების 408 პედაგოგი, 1937—1938 სასწ. წელს გამოშვებულთა რიცხვმა 1301 კაცი შეადგინა. ასევე გაიზარდა საშუალო კვალიფიკაციის პედაგოგთა გამოშვებაც. მარტო 1937—1948 სასწ. წელს გამოშვებულ იქნა საშუალო კვალიფიკაციის 2245 პედაგოგი[63]. დიდი გაქანება მიიღო მასწავლებელთა დამზადებამ და დაუსწრებელმა სწავლამ. 1935 წლის დამდეგისათვის დაუსწრებელ პედაგოგიურ სწავლებაში ჩაბმული იყო 400-მდე მასწავლებელი[64].

მასწავლებელთა როლის ამაღლებისა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ მეტად სერიოზული ღონისძიებანი განახორციელეს და ამასთან, მოითხოვეს მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარება. ატესტაცია გულისხმობდა სკოლის გაწმენდას შეუფერებელი მასწავლებლებისაგან. რის შედეგადაც საქართველოში მასწავლებლობიდან განთავისუფლებულ იქნა 882 კაცი, რომელთა ადგილი ახალმა, მაღალკვალიფიციურმა პედაგოგებმა დაიკავეს[65].

ახალი საბჭოთა სკოლის შექმნისა და მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მრავალრიცხოვანი არმიით მისი უზრუნველყოფისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლას შედეგად ის მოჰყვა, რომ სოციალიზმის გამარჯვების პერიოდისათვის საქართველოს სსრ პირველ ადგილზე გამოვიდა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის უმაღლესი და საშუალო განათლების მქონეთა ხვედრითი წონის მიხედვით მოსახლეობაში, ხოლო ამჟამად ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

*

* *

არნახულ აყვავებას მიაღწია მეცნიერულმა აზრმა საქართველოში. კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკის შედეგად ძველი სკოლის მეცნიერთა დიდი ნაწილი მტკიცედ დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე და მთელ თავის ძალებს სამეცნიერო ძალთა გამრავლებასა და მეცნიერული აზრის განვითარებას ახმარდა.

ახალი საზოგადოების ამენების ინტერესები გადაჭრით მოითხოვდა მეცნიერების ყველა დარგის განვითარებას, ახალი ნაირი სამეცნიერო კადრების მომზადებას და მათი მოღვაწეობისათვის სათანადო მატერიალური ბაზის შექმნას.

საქართველოში მეცნიერული მუშაობის ცენტრს წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1931 წელს თბილისში გაიხსნა ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალი, 1932 წელს კი—სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალი, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს მეცნიერთა დარაზმვის, მათი რიგების ზრდისა და მეცნიერული აზრის სოციალისტური მშენებლობის სამსახურში ჩაყენების საქმეში. დაიწყო საკვლევი ინსტიტუტების ქსელის სწრაფი ზრდა და მეცნიერთა ახალი კადრების მომზადება. თუ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პერიოდისათვის საქართველოში მხოლოდ ორიოდე ასპირანტი მზადდებოდა,

63 მასალები საქ. სსრ კულტურული მშენებლობის შესახებ, 1941, გვ. 113.

64 გაზ. „კომუნისტი", 1935, 8 იანვარი № 7.

65 სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მლი საქართველოს პარტიული არქივი, ფ. 14, ს. 5037.

1935 წელს ასპირანტთა რაოდენობამ 500 კაცი შეადგინა, ხოლო 1936 წელს მათი რიცხვი 600 კაცს აჭარბებდა[66].

1935 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალი გადაკეთდა საქართველოს ფილიალად. აკადემიის საქართველოს ფილიალში შემავალი ინსტიტუტებისა და სექტორების მუშაობას წარმართავდნენ ისეთი მეცნიერები, როგორც არიან: ლ. ვ. პისარჟევსკი, ნ. ი. მუსხელიშვილი, ი. ი. მუშჩანინოვი, პ. მ. ნიკიფოროვი, ივ. ჯავახიშვილი, ი. ს. ბერიტაშვილი, დ. ი. სისხოვსკი, ა. ი. ჯანელიძე, ვ. ი. კუპრაძე, დ. გედეონიშვილი, ა. თვალჭრელიძე, გ. წულუკიძე, ა. დიდებულიძე, გ. ახვლედიანი, ი. ყიფშიძე და სხვები, ხოლო ცალკეულ ინსტიტუტების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აკადემიკოსი ბ. ა. კელერი, ს. ნ. ბერნშტეინი, მ. ა. როზენბურგი, მ. ა. ლავრენტიევი და ბევრი სხვა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ვ. ლ. კომაროვი, რომელიც 1935 წელსვე გაეცნო საქართველოს ფილიალს და მისი ინსტიტუტების მუშაობას, აღნიშნავდა, რომ ეს ფილიალი ერთ-ერთი მოწინავე დაწესებულებაა აკადემიის სისტემაში და მის მიერ დამუშავებულ პრობლემათა მნიშვნელობა ფრიად დიდიაო[67].

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვის შედეგად საქართველოს მეცნიერებმა თავიანთი გამოკვლევებით შორს გაითქვეს სახელი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. სოციალიზმის გამარჯვების პერიოდისათვის ქართველ მეცნიერთა რაოდენობამ 2000 კაცს გადააჭარბა, რომლებიც რთული მეცნიერული პრობლემების გადაწყვეტაზე მუშაობდნენ. ქართველ მეცნიერთა მუშაობის და სიძლიერის მკაფიო აღიარებას წარმოადგენდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 20 წლისთავზე მეცნიერებათა საკუთარი აკადემიის შექმნა.

ამჟამად, საქართველოს მეცნიერთა 9000-იანი არმია, რომელიც თავის რიგებში ცოდნის სხვადასხვა დარგის 430-ზე მეტ დოქტორსა და 3200-ზე მეტ კანდიდატს აერთიანებს[68], მთელ საბჭოთა მეცნიერებთან ერთად მტკიცედ მიდის წინ ცოდნის უცნობი მწვერვალებისაკენ.

შეაქვთ რა ფასდაუდებელი წვლილი კაცობრიობის ცოდნის საგანძურში, ქართველი მეცნიერების მთელი შემოქმედება თანამედროვე ეტაპზე დაქვემდებარებულია კომუნიზმის მშენებლობის დიდი ამოცანებისადმი. ისინი ერთი წუთითაც არ ივიწყებენ ჩვენი პარტიის პროგრამის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ „...განუმტკიცონ საბჭოთა მეცნიერებას მოპოვებული მოწინავე პოზიციები ცოდნის უმნიშვნელოვანეს დარგებში და დაიკავონ წამყვანი მდგომარეობა მსოფლიო მეცნიერებაში ყველა ძირითადი მიმართულებით“[69].

* * *

საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ახალი, სოციალისტური ინტელიგენციის შექმნისათვის სრულად ვერ ჩაითვლებოდა, თუ იგი ვერ შექმნიდა მხატვრულ ინტელიგენციას, ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალფეროვანი დარგების მოღვაწეთა მაღალიდეურ, საიმედო არმიას.

---

[66] გაზ. „კომუნისტი“, 1936, 21 თებერვალი, № 42.

[67] გაზ. „კომუნისტი“ 1934, 28 აგვისტო, № 198.

[68] **Мусхелишвили, Н. И., Наука в Советской Грузии, 1961, стр. 19.**

[69] პკპ პროგრამა, 1961, გვ. 143.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტია ერთი წუთითაც არ ივიწყებდა ლიტერატურისა და ხელოვნების უდიდეს საზოგადოებრივ-გარდამქმნელ როლს და განიხილავდა მათ მასების კომუნისტურად აღზრდის ერთ-ერთ მეტად სერიოზულ საშუალებად. ამიტომ იყო, რომ იგი იმ თავითვე შეუდგა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა დარაზმვას მუშათა კლასის მხარეზე და მწერალთა და ხელოვნების მუშაკთა ახალი ძალების გამოძებნას.

კომუნისტური პარტია გამოვიდა იმ იდეური ბრძოლის მარეგულირებელის როლში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში გაჩაღდა ლიტერატურისა და ხელოვნების ფრონტზე. იგი გადაჭრით არ ერეოდა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა სხვადასხვა გაერთიანებებს შორის წარმოებულ ბრძოლაში, რადგან სწამდა, რომ ამ ბრძოლას მწერალთა და ხელოვანთა დიდი უმრავლესობა პროლეტარიატის იდეურ პოზიციაზე უნდა მიეყვანა, მაგრამ, ამავე დროს პარტია ფხიზლად ადევნებდა თვალყურს „რომ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული ელემენტები არ სარგებლობდნენ ზოგადი განათლების აპარატით და ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სასახლეები არ ატარებდნენ საზოგადოებრივად მავნე, კონტრრევოლუციურ ტენდენციებს...“[70].

20-იანი წლების შუა ხანებში ლიტერატურის ფრონტზე არსებული რთული მდგომარეობის გამო, და იმ მიზნით, რომ შემუშავებული ყოფილიყო სწორი პოლიტიკა მხატვრული ლიტერატურის დარგში, კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტეტმა შექმნა სპეციალური კომისია, რომელმაც რამდენიმე თათბირი გამართა ლიტერატურის საკითხებზე. კომისიის მიერ შემუშავებულმა ღონისძიებებმა თავისი ასახვა პოვა სკპ(ბ) ცენტრ. კომიტეტის რეზოლუციაში „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“, რომელიც მიღებულ იქნა 1925 წლის 18 ივნისს[71].

რეზოლუცია კომუნისტური პარტიის ლოზუნგად აცხადებდა პრძოლას კაპიტულანტობის და მეორე მხრივ—კომუნისტური ყოყოჩობის წინააღმდეგ და მიუთითებდა, რომ „ხელმძღვანელობა ლიტერატურის დარგში ეკუთვნის მუშათა კლასს მთლიანად, მთელი მისი მატერიალური და იდეოლოგიური რესურსებით“[72], რომ პროლეტარული მწერლობის ჰეგემონია ჯერ კიდევ არ არსებობს და ამიტომ პარტიამ დახმარება უნდა გაუწიოს ამ მწერლებს მოიპოვონ ისტორიული უფლება ამ ჰეგემონიაზე.

რეზოლუცია გმობდა ლიტერატურულ საქმეებში თვითნებურ და არაკომპეტენტური ადმინისტრაციული ჩარევის ცდებს და მოითხოვდა მუშათა კლასისა და გლეხობის წრიდან გამოსული შემოქმედებითი ძალების აღზრდას.

აღნიშნული დადგენილება ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში იქცა ქართველი კომუნისტების სამოქმედო პროგრამად. მალე ახალი ძალით ამღერდნენ ქართული პოეზიის ოსტატები: გ. ტაბიძე, ა. მირცხულავა, სიმბოლოზმისაგან პირი იბრუნეს პ. იაშვილმა, ტ. ტაბიძემ, ვ. გაფრინდაშვილმა. კ. ნადირაძემ, რ. გვეტაძემ, შ. აფხაიძემ, გ. ლეონიძემ, რევოლუციური თანადროულობის პოზიციებთან მოვიდნენ ი. მოსაშვილი და ვ. ჟურული. მალე პროლეტარულ მწერლობას შეემატა ახალგაზრდა ძალები ს. წვერავას, კ. ბობოხიძის, გ. კაჭახიძის, ი. აბაშიძის, ა. გომიაშვილის და სხვათა სახით.

---

[70] სკპ... რეზოლუციებში, ნაწ. 1, 1954, გვ. 567.

[71] პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, 1956, გვ. 458—463.

[72] იქვე, გვ. 460.

მეტად სერიოზული ნაწარმოებები შექმნეს პროზაიკოსებმა შ. დადიანმა, მ. ჯავახიშვილმა, ლ. ქიაჩელმა, ნ. ლორთქიფანიძემ, ს. კლდიაშვილმა, დ. შენგელაიამ და სხვებმა. მათ რიგებს შეემატა ნიჭიერი პროზაიკოსი პ. ჩხიკვაძე და ბ. ჩხეიძე.

ძაშასადამე, რეკონსტრუქციის პერიოდის პირველ წლებში გააქტიურდა ქართველი მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებითი საქმიანობა. სხვადასხვა თაობისა და მიმდინარეობის წარმომადგენლებმა თანდათან დაიწყეს თავმოყრა სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე, ე. ი. დაიწყო ანტიპროლეტარულ ლიტერატურულ მიმდინარეობათა იდეური განიარაღება და ორგანიზაციული თვითლიკვიდაცია. ამასთან, პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლიტერატურული მოძრაობის განვითარებაში, თანდათან გადაიქცა ამ განვითარების მუხრუჭად. ახლა ეს ასოციაცია მწერალთა პატიოსანი და ერთგული ძალების საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე კონსოლიდაციის ხელშემშლელ ფაქტორად იქცა.

მომწიფდა აუცილებელი პირობები პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის და სხვა ცალკე ლიტერატურული დაჯგუფებების ლიკვიდაციისა და სოციალიზმის მხარეზე მდგარი ყველა შემოქმედებითი ძალების ერთ ორგანიზაციაში გაერთიანების შესახებ.

ეს საქმე სკკ (ბ) ცენტრ. კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ცნობილმა დადგენილებამ შეასრულა.

დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ „ყველა ის მწერალი, რომლებიც მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას და ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში, გაერთიანებული იქნან საბჭოთა მწერლობის ერთიან კავშირში, რომელშიაც შეიქმნას კომუნისტური ფრაქცია“[73].

1932 წლის ივნისის ბოლოს ქართველ მწერალთა საგანგებო ყრილობამ, აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, შექმნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი.

ამრიგად, დამსხვრეულ იქნა ჯგუფობრიობა როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს და სხვა რესპუბლიკების მხატვრულ ინტელიგენციაში. გადალახულ იქნა მეშარცხენული ვულგარიზატორობისა და ადმინისტრირების ტრადიციები შემოქმედებითი ორგანიზაციების საქმიანობაში. ქართველ მწერალთა და ხელოვანთა ძირითადი მასა აქტიურად ჩაება სოციალისტურ მშენებლობაში. პარტიის გაძლიერებულ ყურადღებას და ნდობას მათ უპასუხეს სოციალიზმის დიადი ეპოქის სულით გაჟღენთილი ნაწარმოებების შექმნით.

ასე შეხვდა საქართველოს საბჭოთა მწერლობა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლობის პირველ ყრილობას, რომელიც 1934 წლის აგვისტო-სექტემბერში გაიმართა, და რომელმაც კომუნისტური პარტიის ირგვლივ მწერალთა მრავალრიცხოვანი არმიის დარაზმულობის დემონსტრაცია მოახდინა. ყრილობამ მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის ძირითად შემოქმედებით მეთოდად სოციალისტური რეალიზმის მეთოდი გამოაცხადა, რომელიც ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპს ემყარებოდა.

30-იანი წლები ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგის გაფურჩქვნისა და აყვავების წლებს წარმოადგენს. ეს ის პერიოდია, როცა ქართული ლიტერატურა და ხელოვნება თანდათანობით, მაგრმ მტკიცედ გავი-

[73] პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, 1956, გვ. 581.

და საკავშირო ასპარეზზე და იწყო გადაქცევა მთელი საბჭოთა ხალხის კუთვნილებად.

ქართული თეატრის ტრიუმფალური გასტროლები მოსკოვში 1936 წლის შემოდგომაზე და ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში 1937 წლის იანვარში, რომლებმაც საქვეყნოდ უჩვენეს ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის გამარჯვება, ქართველ ხელოვანთა ვირტუოზული ოსტატობა, ფაქტიურად იმ დიდი მუშაობის შედეგების შეჯამებას წარმოადგენდა, რომელიც გასწია კომუნისტურმა პარტიამ და მთელმა ქართველმა ხალხმა საკუთარი მხატვრული ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრების შექმნისათვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ახალმა, სოციალისტურმა ინტელიგენციამ პარტიისა და ხალხის მიერ მხილებული მტრის ბერიასა და მისი თანამზრახველების ბანდიტური მოქმედების შედეგად სერიოზული დანაკლისი განიცადა. გამარჯვებული სოციალიზმის პირობებში, მათ პირადი, ხალხისათვის უცხო მიზნებისათვის უხეშად დაარღვიეს სოციალისტური კანონზომიერება და ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტით შექმნილი ვითარებით ხელებგახსნილებმა გახორციელეს მასობრივი რეპრესიები „პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეების წინააღმდეგ“[74]. მათ სოციალიზმის საქმისათვის მებრძოლი ინტელიგენციის რიგებს მრავალი სახელოვანი მოღვაწე ჩამოაშორეს და დაუსაბუთებელი ბრალდებებით გაანადგურეს, რითაც დიდი ზიანი მიაყენეს საბჭოთა საზოგადოებას, სოციალიზმის საქმეს.

ასეთია მოკლედ საქართველოში ახალი, სოციალისტური ინტელიგენციის შექმნისათვის წარმოებული დიდი და ხანგრძლივი ბრძოლის ზოგიერთი მომენტი.

საქართველოს სოციალისტური ინტელიგენცია, შექმნილი და აღზრდილი კომუნისტური პარტიის მიერ, წარმოადგენს საბჭოთა ქვეყნის მრავალმილიონიანი ინტელიგენციის ერთ-ერთ ძლიერ და მაღალინტელექტურ რაზმს, რომელიც მთელ ხალხთან ერთად ძალების უდიდესი დაძაბვით იბრძვის კომუნიზმის გამარჯვებისათვის. მას მაღლა უჭირავს სოციალისტური კულტურის დროშა და ღირსეული წვლილი შეაქვს საერთო საკაცობრიო კულტურის საგანძურში.

---

[74] ნ. ს. ხრუშჩოვი, სკკპ ცენტრ. კომიტეტის ანგარიში პარტიის XXII ყრილობას, სკკპ XXII ყრილობის მასალები, გვ. 111.

ИЗ ИСТОРИИ СОЦИАЛЬНО-ПОЛИТИЧЕСКОГО ПОЛОЖЕНИЯ И ОСВОБОДИТЕЛЬНОГО ДВИЖЕНИЯ ГРУЗИИ В 30—50 ГОДАХ XIX ВЕКА

И. Г. АНТЕЛАВА

(Представлено Акад. АН Грузинской ССР Н. А. Бердзенишвили)

1. Черты колониальной политики (колонизация края, характер, экономической политики, система управления).

После успешного завершения к концу 20-х годов XIX века русско-иранских и русско-турецких воин, царское правительство занялось более основательно всесторонним освоением Закавказья, и, в частности, Грузии. Задача состояла в том, чтобы связать край с «Россиею гражданскими и политическими узами в единое тело и заставить жителей... говорить, мыслить и чувствовать по-русски»[1]. Высшая власть преследовала цель превратить Грузию в уголок, политически надежный, а экономически — максимально выгодный. Осуществления этой программы царизм добивался различными путями, среди которых важнейшее место занимала колонизационная деятельность.

* *
*

Колонисты, по мнению правительственных кругов, принося в районы своего нового поселения «нравы, обычаи, язык, ремесла и художества... метрополии», сохраняли между тем «чувства детской привязанности и верности к прежнему своему отечеству»[2].

Считая, таким образом, колонизацию одним из важнейших средств освоения края, царизм сравнительно рано обратился к ней, но особенную деятельность в этом направлении развил он с 30-х годов прошлого столетия. Именно в это время все чаще и настойчивее стали раздаваться голоса о необходимости учреждения в Закавказье (следовательно и в Грузии) русских колоний, вообще, и военных поселений, в частности. Последние предполагалось образовать из отставных семейных солдат, снабженных «нужным количеством земли», а также оружием. На поселенцев смотрели как на оплот «от мятежей и вспоможение, готовое в крайности»[3]. Они, по словам Николая I, должны были упрочить господ-

---

[1] Колониальная политика царизма в Азербайджане (в дальнейшем сокращенно — КПЦА), часть I, Москва-Ленинград, 1936 г., стр. 280.

[2] Там же, стр. 286.

[3] КПЦА, ч. I, стр. 286. Постановление Государственного совета о преобразовании системы управления в Закавказье, с изложением проекта, применения к нему и замечаний главноуправляющего Кавказом гр. И. Ф. Паскевича-Эриванского, сенаторов гр. Кутаисова и Мечникова и др. лиц (1833 г.).

ство царизма на Кавказе и обеспечить полную покорность местного населения[4].

Скоро, именно в 1835 году, последовало предписание барону Розену о составлении соответствующего проекта, а спустя два года в Грузии уже появились первые военные поселения. Они были основаны в местах, расположенных близ Тбилиси — в Цалке, Манглиси, Коджори, а также Ахалцихском районе[5]. Всего за период 1837—1860 годов в Закавказье в целом было создано 10 военных колоний. Правительство очень заботилось о материальном обеспечении поселенцев. Так, в 1841 году кавказскому начальству было предложено весь фонд свободных казенных земель обратить на удовлетворение нужд уже существующих и вновь создаваемых военных колоний[6]. Независимо от этих правительственных мероприятий, поселенцы нередко сами себя снабжали землей, захватывая участки, принадлежавшие местному крестьянству[7].

თუ არ გვეცოდინება მოსახლეობის რაოდენობა და მისი შემადგენლობა, არა მარტო მთლიანად მთელ სახელმწიფოში, არამედ მისი ცალკეული ადმინისტრაციული ტერიტორიის მიხედვით, შეუძლებელია სახალხო მეურნეობის შემდგომი ამაღლების სწორი დაგეგმვა.

თბილისის მოსახლეობა, ქალაქის არსებობის 1500 წლის მანძილზე, სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით, მკვეთრად იცვლებოდა, როგორც რაოდენობრივად, ისე შემადგენლობის მიხედვით. ძირითადად თბილისის მოსახლეობის რაოდენობისა და მისი შემადგენლობის ცვალებადობას XVIII საუკუნის დამლევამდე იწვევდა თბილისის ეკონომიკის აღმავლობა ან დაქვეითება, რაც გამოწვეული იყო მტრების არა ერთგზის შემოსევით.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისმა თავისი არსებობის მანძილზე 40-ჯერ განიცადა მტრების გამანადგურებელი შემოსევა, რის შედეგადაც ქალაქი მრავალჯერ ნანგრევებად და ფერფლად იყო ქცეული, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოქლეტილი თუ დატყვევებული, დროთა ვითარებაში ქართველი ხალხი მას ხელმეორედ აშენებდა და ამაგრებდა.

რომ არაფერი ვთქვათ ჯალალედინის, თემურ-ლენგისა და ქართველი ხალხის მრავალი მტრის შემოსევების შედეგად თბილისის მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაზე, მარტო აღა-მაჰმად-ხანის უკანასკნელი 1795 წლის შემოსევიდან 8 წლის შემდეგ თბილისში მოსახლეობის რაოდენობა, ჩვენი გაანგარიშებით, 18 ათას სულს ვერც კი აღწევდა.

დიდი პროგრესული მოვლენა, რომელმაც იხსნა ჩვენი სამშობლო, ჩვენი ხალხი და ქალაქი თბილისი მონობისა და საბოლოო ფიზიკური განადგურებისაგან, იყო აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება 1801 წელს (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელომ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო 1803 წ. იმერეთმა 1810 წ., გურიამ 1811 წ. და ა. შ.).

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს და, კერძოდ, თბილისს აღარ განუცდია მტრების შემოსევები და ნგრევა-აოხრებანი. რუსეთი იცავდა როგორც მთლიანად მთელ საქართველოს, ისე თბილისსაც გარეშე მტრებისაგან. ს.-ქართველოს გარეშე მტრებისაგან დაცვას მოითხოვდა თვით რუსეთის ცარიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკა, რომელიც გამოიხატებოდა ამიერკავკასიის კოლონიზაციაში, ამიერკავკასიის გადაქცევაში რუსული კაპიტალის გასასაღებელ ბაზრად. თბილისს, რუსეთის ცარიზმის ამიერკავკასიაში ბატონობის პერიოდში, მიეცა შესაძლებლობა განვითარებულიყო კაპიტალისტური გზით. ამ გარემოებას ხელს უწყობდა აგრეთვე ისიც, რომ თბილისში თავმოყრილი იყო მეფის რუსეთის როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ადმინისტრაციული დაწესებულებანი. თბილისი, გარდა იმისა, რომ იყო კავკასიის ადმინისტრაციულ და ეკონომიურ ცენტრად რუსეთის მიერ ამ მხარის პოლიტიკური და ეკონომიური დაპყრობის დასაყრდენად, იყო აგრეთვე აზიაში რუსეთის გაბატონების ცენტრიც[4].

XIX საუკუნის დასაწყისიდან იწყება თბილისის მოსახლეობის რაოდენობის განუხრელი ზრდა, რომელიც გამოწვეული იყო როგორც საქალაქო მეურნეობის, ისე მისი ეკონომიკის ე. ი. ვაჭრობა-მრეწველობის ზრდა-განვითარებით.

[4] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., издание второе, т. XI, გვ. 639.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1803 წლის იანვრისათვის თბილისში სახეზე მყოფი მოსახლეობის რაოდენობა, ჩვენი გაანგარიშებით, შეადგენდა 17128-ს, 1864 წლისათვის—66899-ს, 1876 წლისათვის—104024-ს, 1897 წლისათვის—159590-ს და 1914 წლისათვის —370562 კაცს.

პირველი მსოფლიო ომის შედეგად თბილისის მოსახლეობა 1914 წ. 1917 წლამდე შემცირდა 370,6 ათასიდან 261,4 ათასამდე, ხოლო მეწარმეობრივი მთავრობის ბატონობის დროს (1918—1920 წწ.) ეკონომიკის შემდგომ დაცემა-დაქვეითებასთან ერთად თბილისის მოსახლეობის რაოდენობა კიდევ უფრო შემცირებულა.

1921 წლის 25 თებერვალს ქართველმა ხალხმა წითელი არმიის დახმარებით თბილისში ააფრიალა წითელი დროშა, ამ დროიდან საქართველოსა და მათ შორის თბილისის სინამდვილეში იწყება ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების არნახული აღმავლობის დიადი ისტორიული ეპოქა.

ქვეყნის აღმავლობის ერთ-ერთ უტყუარ მაჩვენებელს წარმოადგენს მოსახლეობის ზრდა.

თბილისის ეკონომიკის აღმავლობასთან ერთად განუხრელად იზრდება მოსახლეობის რაოდენობაც. ასე, 1922 წლის აღწერით და ჩვენი გაანგარიშებით თბილისის სახეზე მყოფი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 245,5 ათასს, 1926 წლის აღწერით—294,0 ათასს, 1939 წ. აღწერით—519,2 ათასს, ხოლო 1959 წლის აღწერით—694,7 ათასს. ამრიგად, 1922 წლიდან 1959 წლამდე ე. ი. 37 წლის მონაკვეთში თბილისის მოსახლეობა გაზრდილა 449,2 ათასით, ანუ 2,8-ჯერ.

თბილისის მოსახლეობის კვლევის პერიოდი მოიცავს 156 წელს (1803—1959 წწ.), აღნიშნულ პერიოდში ჩატარებული მოსახლეობის აღწერების მასალები არაერთფეროვანია. სხვადასხვა დროს სხვადასხვა გვარი იყო:

1. აღწერის მასალების მოპოვების მიზანდასახულობა;
2. ორგანოები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ მასალების მოპოვებას;
3. საშუალებები და ხერხები, რომელთა გამოყენებით წარმოებდა დაკვირვება.

1803 წლის ცნობები ემყარება თბილისის მოსახლეობის, შენობების და სიძაგრეების აღნუსხვას (опись), რომელიც მიღებულია პრიმიტიული სტატისტიკური ოპერაციის ჩატარების შედეგად და ხასიათდება მოსახლეობის აღწერის მეთოდოლოგიის სერიოზული და დიდი დარღვევებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური წყაროების მიხედვით თბილისის მოსახლეობა 1803 წლის იანვრისათვის განისაზღვრებოდა 20,0 ათასი სულის რაოდენობით[5].

ჩვენი აზრით და გაანგარიშებითაც, მტკიცდება, რომ მოსახლეობის ეს რაოდენობა (20.000) გაცილებით დიდია, ვიდრე სინამდვილეში უნდა ყოფილიყო. ამავე აზრს გამოსთქვამდა ი. გოგებაშვილიც, რომელიც ჯერ კიდევ 1897 წელს აღნიშნავდა: „... в Тифлисе не могло оказаться 20 тысяч через несколько лет после Агамагаметовского погрома, как это выдно из переписи 1803 года..."[6].

[5] Сборник сведений о Кавказе, т. VI, Тифлис, 1880, გვ. 302.
[6] Я. Гогебашвили, Правда о Тифлисе, 1897, გვ. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული ჩვენი მოსაზრება გამომდინარეობს შემდეგიდან: ქართველ მკვლევარს ს. კაკაბაძეს საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში აღმოუჩენია თბილისის მოსახლეობის აღწერილობა „Списки в городе Тифлисе состоящим домом“.[7] თბილისის აღწერილობა, როგორც ჩანს, შესრულებულია 1803 წლის იანვარში. ამ აღწერაზე ყოფილა დამყარებული კავკასიის არქეოგრაფიის კომისიის აქტების მეორე ტომში დაბეჭდილი ცნობა თბილისის მოსახლეობის რაოდენობის (20.000) შესახებ.

აღწერილობის სიის მიხედვით ირკვევა, რომ თბილისში იმ დროისათვის ცხოვრობდა 2923 კომლი ანუ 11805 სულზე ცოტა მეტი, ვინაიდან ზოგიერთ შეკომურთა სულადობით განსაზღვრა აღწერილობაში არ ყოფილა წარმოდგენილი. მოსახლეობის ეს რაოდენობა (11805) საგრძნობლად განსხვავდება ზემოთ აღნიშნულ მოსახლეობის რაოდენობისაგან (20.000), მაგრამ ეს სხვაობა (8195 სულით), ს. კაკაბაძის აზრით, გამოწვეული ყოფილა იმ გარემოებით, რომ „...ჩვენს აღწერილობაში წარმოდგენილია მხოლოდ სრულწლოვანი მოსახლეობა. მცირე წლოვანნი აღრიცხვაში არ ყოფილან შეტანილნი“[8]. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ბავშვთა ხვედრითი წონა (დაახლოებით 14—15 წლის ასაკამდე) მთლიან მოსახლეობაში შეადგენდა 41,0 პროცენტს, რაც ძლიერ დიდია და ყოვლად შეუძლებელიცაა, რომ სინამდვილეში ყოფილიყო.

აღნიშნული ასაკის მცირეწლოვანთა ხვედრითი წონა მთლიან მოსახლეობაში იმ დროისათვის არ შეიძლება ყოფილიყო 20 პროცენტზე მეტი[9] იმ გარემოებათა გამო, რომ 1803 წელს წინ უძღოდა თბილისში 1770 და 1781—82 წლებში[10] გაჩენილი ჭირი, რამაც მცხოვრებთა, მათ შორის ბავშვთა საგრძნობი ნაწილი იმსხვერპლა, ხოლო 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანმა თბილისის განადგურებასთან ერთად ქალაქში დარჩენილი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მცირეწლოვანებითურთ. მოსპო, ხოლო გადარჩენილნი, მათ შორის მცირეწლოვანნიც ტყვედ წაიყვანა. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ, სახელდობრ 1797 წელს და 1803 წელს, თბილისში ისევ გაჩენილა ჭირი, რასაც არ შეეძლო რამდენიმედ მაინც არ ემოქმედა თბილისის მოსახლეობის შემცირებაზე.

ამრიგად ჩვენი აზრით, მცირეწლოვანნი აღნუსხვის სიებში შეტანილნი უნდა ყოფილიყვნენ, რაც აგრეთვე იქიდან ჩანს, რომ აღნუსხვის სიების მიხედვით თითო კომლ მოსახლეზე საშუალოდ მოდიოდა 4 სული (11805:2923 = 4,04). მართალია იმ დროისათვის მრავალი მკვლევარი თითო კომლზე საშუალოდ 5 სულს ვარაუდობდა, მაგრამ თბილისის სინამდვილეში 1803 წლისათვის, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, თითო კომლი საშუალოდ შედგებოდა 4,04 სულისაგან.

---

[7] ს. კაკაბაძე, ქ. თბილისის აღწერა, 1803 წელსა. „საისტორიო მოამბე“, წიგნი II, 1925, გვ. 27 — 104.

[8] იქვე, გვ. 29.

[9] საყურადღებოა, რომ 1876 წლის აღწერით (ე. ი. თბილისის 73 წლის მშვიდობიანი განვითარების შემდეგ) ბავშვების რაოდენობა 15 წლამდე მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შეადგენდა 29,3 პროცენტს.

[10] აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „1781—2 წ. თბილისში 4000 კომლის მაგიერ (ამდენი იყო, როგორც ვიცით, 1770 წელს) 3478 კომლიღა ირიცხებოდა“. (ივ. ჯავახიშვილი, ქალაქები სქ. წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს., ჟურნ. „პრომეთე“, 1918, № 1, გვ. 39). ამრიგად, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე ქ. თბილისის მოსახლეობა შემცირებულა 13%-ით და შეადგენდა 3478 კომლს ანუ 17390 სულს.

ამრიგად, ს. კაკაბაძის მოსაზრებას იმის შესახებ, ვითომ აღნუსხვის სიებში მცირეწლოვანნი შეტანილნი არ უნდა ყოფილიყვნენ, ჩვენ ვერ გავიზიარებთ; პირიქით, აღვნიშნავთ და ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ მცირეწლოვანნი სიებში შეტანილნი არიან.

თბილისის მოსახლეობის რაოდენობა (11805 სული) მოითხოვს სათანადო შესწორებას, რადგანაც აღმწერები მცირედ განათლებულ პირთაგან შედგებოდნენ (როგორც ეს მათ მიერ შედგენილ სიებიდანაც ჩანს) და რასაკვირველია მოსახლეობის ზუსტად აღრიცხვას იმდენ ყურადღებას არ დაუთმობდნენ, რამდენადაც ეს საჭირო იყო; ამიტომ აღრიცხვიდან გამოტოვებულ მოსახლეობის, ე. ი. აღურიცხველობის პროცენტი უნდა ყოფილიყო საკმაოდ დიდი—არა ნაკლები 15 პროცენტისა.

ამრიგად, 1803 წლის იანვრისათვის თბილისის მოსახლეობის რაოდენობა რუსი მოსახლეობისა და ჯარის გარეშე უნდა ყოფილიყო 13,575 სული.

ს. კაკაბაძის მიერ არქივში აღმოჩენილ თბილისის მოსახლეობის აღწერილობის სიებიდან ჩანს, რომ თბილისში ცხოვრობდნენ რუსი სამხედრო და სამოქალაქო პირები, მაგრამ ვინაიდან ისინი სიებში აღწერილნი არ არიან არც ცალკეული გვარებისა და არც ცალკეულ სახლებში მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, ამიტომ მათი საერთო რაოდენობის დადგენა შეუძლებელია. მაგრამ, ცნობილია, რომ 1803 წლის მარტამდე თბილისში განლაგებული ყოფილა: ნარვისა და ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის 2 ესკადრონი; კავკასიის გრენადერთა პოლკის 1 ბატალიონი და ეგერთა მეჩვიდმეტე პოლკის 1 ბატალიონი[11]. ჩამოთვლილ სამხედრო ნაწილებში იმ დროის საშტატო განრიგით ითვლებოდა 1636 კაცი.

გარდა ამისა, აღწერილობის სიებიდან ჩანს, რომ თბილისში 1803 წლის იანვრისათვის განლაგებული ყოფილა რუსეთიდან წარმოგზავნილი, როგორც სამხედრო (არანაკლები 400—450 კაცისა, მოსამსახურე პერსონალის ჩათვლით), ისე სამოქალაქო სამმართველოს აპარატი. რუს სამოქალაქო მოხელეთა, მათი შრომსახურე პერსონალისა და სხვა რუსი ეროვნების მცხოვრებთა რაოდენობა იმ დროისათვის უნდა ყოფილიყო სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობაზე ცოტა ნაკლები, დაახლოებით არა უმეტეს 70—75 პროცენტისა, რაც 1492 კაცს შეადგენს.

თბილისის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა 1803 წლის აღრიცხვით[12].

		% ჯამთან
1. თავადაზნაურობა	1055	6,1
2. მაღალი სასულიერო წოდება	30	0,2
3. ვაჭრები	422	2,5
4. ყმები	13560	79,1
5. სამხედრო და სამოქალაქო სამმართველო აპარატი	425	2,5
6. სამხედრო მოსამსახურეები	1636	9,6
ს უ ლ	17128	100,0

[11] Хроника Кавказских войн, Тифлис, 1896, стр. 24—25.

[12] ცხრილი გაანგარიშებული და შედგენილია ჩვენს მიერ ს. კაკაბაძის სტატიის ქ. თბილისის აღწერა 1803 წელს, „საისტორიო მოამბე", წიგნი II, 1925, 30-ე გვერდზე მოტანილი მონაცემების და ჩვენს მიერ გაანგარიშებულ ჯარისა და სამხედრო და სამოქალაქო სამმართველო აპარატში მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, თბილისის სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხვი 1803 წლის იანვრის მდგომარეობით უნდა ყოფილიყო არა 20,000, როგორც ეს ოფიციალურადაა გამოქვეყნებული, არამედ 17128.

ინტერესმოკლებული არ იქნება აქვე მოვიტანოთ თბილისის 1803 წლის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობით დაყოფა.

მოსახლეობის აღწერის მეთოდოლოგიის სერიოზული დარღვევებით ხასიათდება აგრეთვე 1864 და 1865 წლების მოსახლეობის ერთდღიანი აღწერები.

თბილისის 1876 წლის მოსახლეობის ერთდღიანი აღწერის ორგანიზაცია და თვით აღწერა ჩატარებულია გაცილებით უკეთ ვიდრე წინა წლების აღწერები, აღნიშნული აღწერა ჩატარებულა პეტერბურგის, მოსკოვის და კიევის მოსახლეობის აღწერების მეთოდოლოგიის მიხედვით და, შეიძლება ითქვას, უფრო უკეთაც, ვინაიდან ჩამოთვლილი ქალაქების მოსახლეობის აღწერის დროს, სააღწერო ფურცელი კითხვა „ეროვნება“-ს არ ითვალისწინებდა, ქ. თბილისის მოსახლეობის აღწერის დროს კი კითხვა „ეროვნება“ გათვალისწინებული იყო.

1897 წლის ცნობები ემყარება ამავე წლის 28 იანვრის მდგომარეობით ჩატარებულ მოსახლეობის საყოველთაო აღწერას, რაც მოსახლეობის პირველი და უკანასკნელი აღწერა იყო მეფის დროინდელ რუსეთში. აღნიშნული აღწერა საკმაო ნაკლის მატარებელია როგორც პროგრამის, ისე განსაკუთრებით, დაკვირვების ორგანიზაციის მხრივ.

1922 წლის მოსახლეობის ცნობები ემყარება 1922 წლის 30 ნოემბერს **ჩატარებულ სრულიად საქართველოს ქალაქთა** მოსახლეობის აღწერის მასალებს. **აღნიშნული აღწერა** არასრულყოფილია იმდენად, რამდენადაც მასში არ **შესულა თბილისში** განლაგებულ სამხედრო პირთა რაოდენობა. მაგრამ ჩვენს მიერ, იმ დროის სამხედრო ნაწილებში მყოფ მოსამსახურეთა დაკითხვის წესით, ე. ი. ექსპერტულად, დადგენილ იქნა, რომ თბილისში 1922 წლის დასასრულისათვის ჯარის რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო 12875 კაცზე ნაკლები. ჯარის ეს რაოდენობა. მიღებული უნდა იქნეს, მით უმეტეს, რომ ის უახლოვდება 1926 წლის აღწერით თბილისში განლაგებული ჯარის რაოდენობას, სახელდობრ 10877-ს.

1926, 1939, 1959 წლების ცნობები ემყარებიან ამავე წლებში, შესაბამისად 17 დეკემბერს, 17 და 15 იანვარს ჩატარებულ მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერებს. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის სამივე (1926, 1939, 1959 წწ.) საკავშირო აღწერა ემყარება სტატისტიკური მეცნიერების, კერძოდ, დემოგრაფიული სტატისტიკის საფუძვლებს.

1. თბილისის მოსახლეობა XIX საუკუნეში

XIX საუკუნის დასაწყისიდან იმ დიდი პროგრესული მოვლენის შედეგად, რასაც საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთება (1801 წ.) წარმოადგენდა, საქართველომ დაიცვა თავი უცხოელთა მუდმივი დამღუპველი თავდასხმებისაგან და ფიზიკური მოსპობის საფრთხისაგან. ამ გარემოებამ, მიუხედავად ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა[13], ხელი შეუწყო საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას.

[13] საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაციის შესახებ იხილე, პ. გუგუშვილი, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს.“, ტ. I, 1949, გვ. 451—747.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1801 წლიდან თბილისი გადაიქცა საგუბერნიო ქალაქად, რომელიც 1845 წლიდან 1917 წლამდე კავკასიის მეფის ნაცვლის რეზიდენციას წარმოადგენდა.

თბილისი გარდა იმისა, რომ გადაქცეული იყო კავკასიის ადმინისტრაციულ და ეკონომიურ ცენტრად, მეფის რუსეთის მიერ ამ მხარის პოლიტიკური და ეკონომიური დაპყრობის დასაყრდენად, ის იყო აგრეთვე აზიაში რუსეთის გაბატონების ცენტრიც.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებამ გამოიწვია თბილისის მოსახლეობის სწრაფი ზრდა, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, კულტურის გამოცოცხლება და თვით ქალაქ თბილისის გაშლა-გაფართოება, მისი აღმოსავლეთის ტიპის ქალაქიდან ევროპული ტიპის ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ქალაქად გარდაქმნა.

თბილისის სახეზე მყოფი მოსახლეობა XIX საუკუნის მონაკვეთში, 1803 წლიდან 1897 წლამდე ე. ი. 94 წლის მანძილზე გაიზარდა 142462 ანუ 831,7%, ხოლო მისი საშუალო წლიური მატების ტემპი შეადგენდა 2,4%.

დროის ცალკეულ მონაკვეთში სახეზე მყოფი მოსახლეობის რაოდენობა ასე იცვლებოდა:

ცხრილი 1

წლები	მოსახლეობის[14,15] რაოდენობა	მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა	ზრდის %	საშუალო წლიური მატების ტემპი პროცენტობით
1803	17128	—	—	—
1864	66890	49762	290,6	2,26
1876	104024	37134	55,5	3,75
1897	159590	55566	53,4	2,06

თბილისში XIX საუკუნის მონაკვეთში მამაკაცთა რაოდენობა საგრძნობლად სჭარბობდა ქალთა რაოდენობას. ასე მაგალითად:

ცხრილი 2

მამაკაცთა და ქალთა ხვედრითი წონა მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში

წლები	მამაკაცი	%	ქ ა ლ ი	%
1803	9946	58.1	7182	41.9
1864	40247	60.2	26652	39.8
1876	66147	63.6	37877	36.4
1897	95240	59.7	64350	40.3

აქვე აღვნიშნავთ, რომ თბილისში, მოსახლეობის ერთდღიანი აღწერის მასალების მიხედვით 1864 წლის ზამთრიდან 1865 წლის ზაფხულამდე, ე. ი.

[14, 15] 1864, 1876 და 1897 წლების მოსახლეობის რაოდენობის, სქესობრივი (იხ. ცხრილი №3) და ეროვნული შემადგენლობის (იხ. ცხრილი № 4) მაჩვენებლები, ამოღებულია შესაბამისად:

Сборник сведений о Кавказе, т. VI, 1880, стр. 60—61; Сборник сведений о Кавказе, т. VI, 1880, ч. II, стр. 227; Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897 г. т. LXIX, Тифлисская губерния, 1905, стр. 155, 182.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5—6 თვის მანძილზე, ჩამოსულა 11004 სული, მათგან 10676 მამაკაცი და მხოლოდ 328 ქალი. ჩამოსულთაგან სპარსელები შეადგენდნენ 58,5%; სომხები 30,3%; თათრები 5,1%; ბერძნები 2.8% და ა. შ.

ამრიგად, თბილისის მოსახლეობა ძირითადად იზრდებოდა თბილისში სავაჭროდ ან სამუშაოდ ჩამოსულ (უმეტესად სხვა ქვეყნის ქვეშევრდომ) მამაკაცთა ხარჯზე (ე. ი. მოსახლეობის მექანიკური ზრდით), რაც კაპიტალიზმის განვითარების პროცესზე მიგვითითებს.

XIX საუკუნის მონაკვეთში თბილისი წარმოადგენდა მრავალეროვან ქალაქს. გარდა ქართველებისა აქ ცხოვრობდნენ: სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, სპარსელები, პოლონელები და სხვანი. მაგრამ თბილისის მოსახლეობის ძირითად ეროვნებად ითვლებოდნენ: ქართველები, სომხები და რუსები, რომელთა ხვედრითი წონა მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში შეადგენდა (პროცენტობით):

ცხრილი 3

	1803 წ.	1864 წ.	1876 წ.	1897 წ.
ს უ ლ	100,0	100,0	100,0	100,0
მათ შორის:				
ქართველები	18,2	22,2	21,4	26,5
სომხები	59,4	42,6	36,2	29,5
რუსები	20,7	28,6	29,6	28,1
დანარჩენი ეროვნებანი	1,7	6,6	2,8	15,9

სომხების რაოდენობრივი ზრდა თბილისში ძირითადად იწყება XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ერეკლე II-ის პოლიტიკის შედეგად. ერთი მხრით განუწყვეტელმა ომებმა, რომელსაც აწარმოებდნენ თურქები და სპარსელები ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრით, მათივე წაქეზებით, დაღესტნის მთიელების—ლეკების განუწყვეტელმა თარეშმა და აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეული კუთხეების რბევა-აწიოკებამ (განსაკუთრებით XVII საუკუნიდან), გამოიწვია მოსახლეობის შემცირება და შესაბამისად ეკონომიკის დაცემა-დაქვეითება. აღნიშნულის გამო ერეკლე II მოსახლეობის ზრდისა და ეკონომიკის გამოცოცხლების მიზნით, როგორც მთელ საქართველოში, ისე თბილისშიც, იზიდავდა სომეხ მოსახლეობას, განსაკუთრებით—ხელოსნებსა და ვაჭრებს.

სომეხი მოსახლეობის ზრდა თბილისში უფრო გაძლიერდა XIX საუკუნეში, როცა სპარსეთი და თურქეთი რუსეთთან ომის დროს ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდნენ მათ. ამ ვითარებაში, მომძლე სომეხ ხალხს თავი უნდა შეეფარებინა ქრისტიანული სარწმუნოების მქონე საქართველოსათვის. საფრანგეთის კონსული თბილისში (1820—1824 წწ.) ჟ. გამბა წერდა: თბილისს მოსახლეობა სულ იზრდება სომეხთა მოზღვავებისაგან, რომლებიც აქ ეძებენ თურქთა ტირანიისა და სპარსელთა დევნისგან თავშესაფარს[16].

[16] М. Полиевктов и Г. Натадзе, Старый Тифлис в известиях современников, Тифлис, 1929, стр. 79.

სომეხ ლტოლვილთა ჩამოსახლება საქართველოში და კერძოდ თბილისში ყველაზე დიდი ზომით ხდება 1823—1831 წწ. აგრეთვე 1897—1910 წწ. და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში.

რუსების ჩამოსახლება საქართველოში და მათ შორის თბილისშიაც, ძირითადად იწყება 1836 წლიდან, როცა მეფის რუსეთის ხელისუფლებამ 1836 წელს მოლოკნები, ხოლო 1841 წელს დუხობორები[17] ცენტრალური რუსეთის ტერიტორიიდან ამიერკავკასიაში გადმოასახლა. გარდა ამისა თბილისი წარმოადგენდა ცენტრს, საიდანაც მეფის რუსეთი ახორციელებდა ამიერკავკასიის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ დაპყრობას. ამის გამო თბილისში თავმოყრილი იყო ყველა საგუბერნიო-სამხარეო, სამოქალაქო და სამხედრო სამმართველო-ადმინისტრაციული დაწესებულებანი, რამაც გამოიწვია რუსი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა თბილისში.

XIX საუკუნის მონაკვეთში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში ვაჭრობისა და ხელოსნობის შემდგომ განვითარებასთან ერთად მიმდინარეობს წარმოების კაპიტალისტური წესის დანერგვა. იზრდება საწარმოთა რაოდენობა, იხსნება მთელი რიგი ელექტრო-სადგურები და ლითონდამამუშავებელი საწარმოები. ყოველივე ამას დიდი გასაქანი მისცა ბატონყმობის გაუქმებამ საქართველოში.

ამ პერიოდში საგრძნობლად იზრდება თბილისის თვითმოქმედი და დამოუკიდებელი საარსებო წყაროს მქონე მოსახლეობა.

ასე, მაგალითად: 1876 წელს 104024 მცხოვრებიდან თვითმოქმედი და დამოუკიდებელი საარსებო წყაროს მქონე მოსახლეობა შეადგენდა 57152 კაცს ანუ მთელი მოსახლეობის 55,5%, ხოლო 1897 წელს 159590 მცხოვრებიდან—82277 ანუ 52,1%. თბილისის თვითმოქმედი და დამოუკიდებელი საარსებო წყაროს მქონე მოსახლეობის რაოდენობა სახალხო მეურნეობის დარგებისა და საარსებო წყაროს მიხედვით 1897 წელს 1876 წელთან შედარებით შემდეგნაირად შეცვლილა:

ცხრილი 4

	1876 წ.	1897 წ.	ზრდის %
ს უ ლ[18]	57152	82277	44,0
მათ შორის:			
მრეწველობაში	11978	19499	62,5
სოფ. მეურნეობაში	836	1002	19,9
ვაჭრობასა, კრედიტსა და შუამავლობაში	7646	9725	27,2
ტრანსპორტში	2113	3895	84,3
კულტის მსახურნი	309	472	52,8
ხელოვნებასა, ლიტერატურასა და მეცნიერებაში	446	510	14,3
აღზრდა-განათლებაში	1651	1384	—16,2
ჯანმრთელობაში	330	856	159,4
სამხედრო სამსახურში	14914	13426	—10,0
შინა და ხელზე მომსახურებაში	9337	15308	63,9
ცხოვრობდა უძრავი ქონებისა, კაპიტალისა და პენსიების საშუალებით	2207	5927	168,6
დანარჩენ მოსაქმეობაში	5385	10303	91,3

[17] ფ ო რ ა ქ ი შ ვ ი ლ ი, რელიგიური სექტანტობა და მისი იდეოლოგია, თბილისი, 1960, გვ. 7.

[18] 1876 წლის მაჩვენებლები გაანგარიშებულია ჩვენს მიერ, „Тифлис по однодневной переписи 25-го марта 1876 года" 229—230 გვერდებზე მოცემული ცხრილის მიხედვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოაღნიშნული მაჩვენებლები თვალნათლივ ასახავენ თბილისის ცხოვრებაში მომხდარ იმ ცვლილებებს, რასაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, სახელდობრ: მრეწველობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, განმრთველობის და მეურნეობის სხვა დარგების გაშლა-გაფართოებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ 1876 წელს თბილისში 8650 მსხვილი მრეწველი, ვაჭარი და სხვა მესაკუთრე ყოფილა, რომელთაგან 48,2% შეადგენდა სომხები, 23,8%—ქართველები; 11,8%—რუსები და 16,2% დანარჩენი ეროვნებანი[19].

თბილისის ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებები შედეგი იყო — ერთი მხრივ, ქართული ნაციონალური ბურჟუაზიის წარმოშობისა და ცხოვრებაში მისი დამკვიდრებისა, ხოლო, მეორე მხრივ, მეფის რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის განხორციელებისა, რომელიც ითვალისწინებდა ამიერკავკასიის სრულ ეკონომიურ დაპყრობას.

თბილისის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა 1876 წელს მიახლოებით ასეთი იყო[20]:

ცხრილი 5

		% ჯამთან
1. მუშები	31864	30,6
2. მოსამსახურეები	42149	40,5
მ. შ. სამხედრო მოსამსახურეები	14914	14,3
3. მეპატრონეები	20408	19,6
4. პირნი, რომელნიც ცხოვრობდნენ უძრავი ქონებისა, კაპიტალისა და პენსიების საშუალებით	4867	4,7
5. კულტის მსახურნი	1195	1,2
6 უმუშევრები	229	0,2
7. პირნი, რომელთაც გაურკვევლად ან სულ არ უჩვენეს სოციალური მდგომარეობა	3312	3,2
ს უ ლ	104024	100,0

XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისის მოსახლეობაში წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა (ბავშვთა 9 წლამდე რაოდენობის გამოკლებით) საგრძნობლად გაზრდილა, თუ 1876 წელს წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა შეადგენდა—44,8%, 1897 წელს—57,4%, მათ შორის მამაკაცთა და ქალთა წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 1876 წელს შეადგენდა შესაბამისად 50,5% და 34,0%, ხოლო 1897 წელს შესაბამისად 61,2% და 51,3%.

ამრიგად, წერა-კითხვის ცოდნა თბილისის მცხოვრებთა შორის 21 წლის მონაკვეთში საგრძნობლად გაზრდილა და ეს ზრდა ქალთა შორის უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე მამაკაცთა შორის.

XIX საუკუნის მონაკვეთში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში თბილისში არსდება მთელი რიგი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულე-

---

1897 წლის მაჩვენებლები გაანგარიშებულია, „Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 г.“ т. LXIX, Тифлисская губерния-ს 155 და 182—185 გვერდებზე მოტანილი ცხრილების საფუძველზე.

[19] გამოთვლილია, „Тифлис по однодневной переписи. 25. III. 1876 г“, 208—222 გვერდებზე მოტანილი ცხრილებიდან.

[20] იქვე, შედგენილია 198—207, 212—213 გვერდებზე მოტანილი ცხრილების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბები. მათ შორის როგორც საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო ისე საშუალო სპეციალური სასწავლებლები.

მიუხედავად მეფის რუსეთის კოლონიზატორული და რუსიფიკატორული პოლიტიკისა XIX საუკუნე იყო პერიოდი დიდი რუსი ხალხის კულტურასთან მჭიდრო კავშირისა, ქართული კულტურის შემდგომი განვითარებისა.

ქართველი ხალხის კულტურის ამაღლების საქმეში დიდი როლი ითამაშა ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის და სხვა ქართველი მოღვაწეების მიერ 1897 წელს დაარსებულმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით, საქართველოს ცალკეული კუთხეების და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის ეკონომიური კავშირის განმტკიცება-გაღრმავებასთან ერთად იწყება ქართველი ბურჟუაზიული ერის ჩამოყალიბება, რომლის წიაღში ჩაისახა და განვითარდა საქართველოს მუშათა კლასი თავისი ინტერნაციონალისტური პარტიით, რამაც დასაბამი მისცა დიდი მომავლის მქონე ქართველი სოციალისტური ერის წარმოშობასა და განვითარებას[21].

XX საუკუნის დასაწყისში თბილისის სახეზე მყოფი მოსახლეობის რაოდენობა კაპიტალიზმის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით საგრძნობლად გაიზარდა. ეს ზრდა 1897 წლიდან 1914 წლამდე შეადგენდა 211,0 ათასს ანუ 132,2% ხოლო მისი საშუალო წლიური მატების ტემპი 5,08%.

თბილისის მოსახლეობამ, 1914 წლიდან 1917 წლამდე, პირველი მსოფლიო, ომით გამოწვეული მიზეზების გამო, რუსეთთან შეერთების შემდეგ, პირველად განიცადა შემცირება 108,7 ათასით ანუ 29,3%, ხოლო 1917 წლიდან 1922 წლამდე მენშევიკების ბატონობის წლებში, საქართველოსა და მათ შორის თბილისის ეკონომიკის კიდევ უფრო დაქვეითების გამო თბილისის მოსახლეობა შემცირდა 16,4 ათასით ანუ 6,3%.

2. თბილისის მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რითაც საქართველო გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ სრულუფლებიან რესპუბლიკად.

ამ დროიდან მოყოლებული, როგორც საერთოდ საქართველოს, ისე თბილისის ისტორიაში დაიწყო ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი არნახული აღმავლობის ეპოქა, ეპოქა სოციალიზმის მშენებლობისა.

შედარებით მცირე ისტორიულ მონაკვეთში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა იქცა მოწინავე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად. ხოლო თბილისი — საქართველოს დედაქალაქი — საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მსხვილ ეკონომიურ და კულტურულ ცენტრად.

1922—1939 წლებში ძირეულად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, კულტურა და საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა. ლიკვიდირებულ იქნა ექსპლოატატორული კლასები.

[21] იხ. გ. ვ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართველი სოციალისტური ერის ისტორიისათვის, თბილისი, 1959, გვ. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პერიოდში განხორციელებულ იქნა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში მოხდა კულტურული რევოლუცია.

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში ააშენა სოციალიზმი, რომელიც საკანონმდებლო წესით განმტკიცდა 1936 წლის 5 დეკემბერს სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში.

1941 წლის ივნისში საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ შეწყვიტა. დაიწყო დიდი სამამულო ომი (1941—1945 წწ.).

მიუხედავად იმისა, რომ ომმა ბევრი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და დიდი ზარალი მიაყენა სახალხო მეურნეობას, ჩვენმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაანადგურა მტერი და მოკლე ვადაში დასძლია ომით გამოწვეული სიძნელეები.

ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირი გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ კომუნიზმის დიადი მშენებლობის გზაზე.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში შესანიშნავი მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა, რომელმაც შეიმუშავა ძირითადი ეკონომიური ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლის პროგრამა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

XXI ყრილობამ 1959 წლის დამდეგს აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სახელდობრ 1922 წლის 30 ნოემბერს საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ ჩატარდა სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერა.

ცხრილი 6

წლები	მოსახლეობის[22] რაოდენობა	მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა	ზრდის %	საშუალო წლიური მატების ტემპი პროცენტობით
1922	245461	—	—	—
1926	294044	48583	19,8	4,62
1939	519220	225176	76,6	4.47
1959	694664	175444	33,8	1,47

[22] 1926, 1939 და 1959 წლების. მოსახლეობის რაოდენობის, სქესობრივი (იხ. ცხრ. № 7) და ეროვნული შემადგენლობის (იხ. ცხრ. № 8) მაჩვენებლები ამოღებულია, შესაბამისად: 1. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლის, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, გვხუ. 1, 1929, ცხრილი VI, გვ. 19—20; 2. ქ. თბილისის სტატისტიკური სამმართველოს არქივიდან, საქმე № 11/03—მოსახლეობა Итоги всесоюзной переписи населения. 1959 года, Грузинская ССР, Москва, 1963 г., стр. 13, 24, 142.

1922 წლის აღწერიდან 1959 წლის აღწერამდე ე. ი. 36 წლის მანძილზე თბილისის სახეზე მყოფი მოსახლეობა გაიზარდა 449203 სულით ანუ 183% მისი საშუალო წლიური მატების ტემპი შეადგენდა 2,85%. ე. ი. გაცილებით მეტს ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

დროის ცალკეულ მონაკვეთში სახეზე მყოფი მოსახლეობის რაოდენობა ასე იზრდებოდა:

თბილისის მოსახლეობის უფრო ინტენსიურ ზრდას 1939—1959 წლებში ხელი შეუშალა დიდმა სამამულო ომმა.

ამავე პერიოდში მამაკაცთა და ქალთა ხვედრითი წონა მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში შემდეგნაირად იცვლებოდა:

ცხრილი 7

წლები	მამაკაცთა რაოდენობა	%	ქალთა რაოდენობა	%
1922	123499	50,3	121962	49,7
1926	143349	50,1	146695	49,9
1939	250916	48,3	268304	51,7
1959	307703	44,5	386961	55.7

მამაკაცთა და ქალთა ხვედრითი წონის საგრძნობი ცვლილებები (პირველის შემცირება ხოლო მეორის ზრდა), 1922 წელს 1897 წლის აღწერასთან შედარებით, გამოწვეული იყო ძირითადად პირველი მსოფლიო ომით (1914—1918 წწ.) ამ დროს ბევრმა უცხო ქვეყნის ქვეშევრდომმა მამაკაცმა დატოვა თბილისი.

მამაკაცთა და ქალთა აღნიშნული შეფარდება უმნიშვნელო ცვლილებებით დარჩენილა 1939 წლამდე, ხოლო მეორე მსოფლიო ომით (1941—1945 წწ.) გამოწვეული მიზეზების გამო ქალთა ხვედრითი წონა, მთლიან მოსახლეობაში ისევ გადიდდა, რაც გვიჩვენა 1959 წლის აღწერამ.

თბილისი 1922—1959 წლებში ისევ დარჩენილა მრავალეროვან ქალაქად. მის ძირითად მცხოვრებლებად ითვლებოდნენ ქართველები, სომხები და რუსები, რომელთა ხვედრითი წონა მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში შეადგენდა:

ცხრილი 8

	1922 წ.	1926 წ.	1939 წ.	1959 წ.
ს უ ლ	100,0	100,0	100,0	100,0
მათ შორის:				
ქართველები	35,2	38,2	44,0	48,4
სომხები	34,9	34,0	26,4	21,5
რუსები	17,9	15,6	18,0	18,1
დანარჩენი ეროვნებანი	12,0	12,2	11,6	12,0

როგორც ჩანს 1922 წლიდან თბილისში მცხოვრებ ცალკეულ ეროვნებათა ხვედრითი წონა მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში წინა აღწერებთან შედარებით საგრძნობლად შეიცვალა. 1922 წელს ქართველების ხვედრითმა წონამ პირველად გადააჭარბა სხვა ცალკეულ ეროვნებათა ხვედრით წონას. ეს შემთხვევითი მოვლენა არ იყო. იგი შედეგი იყო მთელი რიგი მოვლენებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელდობრ: 1. ქ. ქუთაისის, როგორც საგუბერნიო ქალაქის გაუქმებამ 1917 წელს და ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ თბილისში 1918 წელს გამოიწვია ქუთაისში მცხოვრები ქართველი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილის გადმოსახლება (განსაკუთრებით 1917—1920 წლების მონაკვეთში) თბილისში.

2. 1921 წლის მარტიდან, დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის პირდაპირი მითითების საფუძველზე, თბილისში და ბათუმში დაიწყო ინტენსიური და ფართო მუშაობა ქართული ტერიტორიული, ნაციონალური წითელი არმიის ნაწილების ფორმირებისათვის. ამავე დროს თბილისში არსდება ქართული წითელი არმიისათვის საჭირო ქართველ მეთაურთა კადრების მოსამზადებელი სასწავლებლები, კურსები და სხვა სამხედრო დაწესებულებები.

ამ გარემოებებმა, რასაკვირველია, გამოიწვია თბილისში ქართველ მცხოვრებთა მოზიდვა და ზრდა. გარდა ამისა მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ 3. მენშევიკური მთავრობის ბატონობის წლებში თბილისის ეკონომიკის დაქვეითება-დაცემისა, სახელმწიფო სამმართველო აპარატში ქართული ენის დანერგვისა და მენშევიკური მთავრობის ნაციონალურ-შოვინისტური პოლიტიკის განხორციელების შედეგად თბილისში შეიქმნა არაქართველი მოსახლეობის მიმართ ძნელი საცხოვრებელი პირობები, რის გამოც სხვა ეროვნების განსაკუთრებით რუსი და სომეხი ეროვნების მცხოვრებთა საგრძნობი ნაწილი იძულებული შეიქმნა ნებით თუ უნებლიეთ დაეტოვებინა თბილისი. აღნიშნულმა გარე-

ცხრილი 9

თბილისის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა 1922—1959 წლებში ასეთი იყო [23]

	1922 წ.	% ჯამთან	1926 წ.	% ჯამთან	1939 წ.	% ჯამთან	1959 წ.	% ჯამთან
1. მ უ შ ე ბ ი	52540	21,4	73604	25.0	226755	43.7	352629	50,8
2. მოსამსახურეები	82402	33.6	99445	33,8	224778	43,3	323285	46,6
3. კოლმეურნეები	—	—	—	—	26464	5,1	16450	2.4
4. კოოპერირებული და არაკოოპერირებული შინამრეწველნი	55331	22,5	60901	20,7	33804	6,5	1004	0,1
მ. შ. არაკოოპერირებული შინამრეწ.	55331	22,5	56102	19,1	8314	1,6	1004	0,1
5. გ ლ ე ხ ე ბ ი	16152	6,6	12293	4,2	3720	0,7	233	0,0
6. მეპატრონეები, დაქირავებული მუშებით	3163	1,4	4172	1.4	—	—	—	—
7. პირნი, რომელნიც ცხოვრობდნენ უძრავი ქონებისა და კაპიტალის საშუალებით	12143	4.9	2834	1,0	—	—	—	—
8. თავისუფალი პროფესიის პირნი	6645	2,7	2861	0,9	. . .	0,0	631	0,1
9. კულტის მსახურნი	626	0,3	206	0,1	. . .	0,0	136	0,0
10. პირნი, რომელთაც გაურკვევლად ან სულ არ დაუსახელებიათ სოციალური მდგომარეობა	5021	2.0	19114	6,5	3699	0,7	296	0,0
11. უ მ უ შ ე ვ რ ე ბ ი	10540	4,3	18218	6,3	—	—	—	—
12. დეკლასიური ელემენტები	798	0.3	396	0,1	—	—	—	—
ს უ ლ	245461	100.0	294044	100,0	519220	100,0	694664	100,0

[23] 1922 წლის მონაცემები გაანგარიშებული და შედგენილია, სტატისტიკური კრებული 1924, თბილისი 1925, 376—405 გვერდებზე მოტანილი ცხრილების საფუძველზე; 1926 წლის მონაცემები, მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლისა, განვ., 11, თბილისი. 1930, მეოთხე გვერდზე მოტანილი ცხრილის საფუძველზე; 1939 და 1959 წწ. მონაცემები, თბილისის სტატისტიკური სამმართველოს არქივში დაცული მასალების საფუძველზე.

მოებამაც, რასაკვირველია, გამოიწვია რუს და სომეხ მცხოვრებთა რაოდენობის შემცირება თბილისში.

თბილისის თვითმოქმედი და დამოუკიდებელი საარსებო წყაროს მქონე მოსახლეობა, მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში 1922 წელს შეადგენდა 45,2%; 1926 წელს — 38,5%; 1939 წელს — 47,7%, ხოლო 1959 წელს 60,5%.

1959 წელს 1922 წელთან შედარებით თვითმოქმედი და დამოუკიდებელი საარსებო წყაროს მქონე მოსახლეობის ზრდის პროცენტი შეადგენდა 224,1%. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 138,0%-ით.

თბილისში 1959 წელს 1926 წელთან შედარებით არნახულად გაიზარდა მომუშავე სპეციალისტთა რაოდენობა. ასე, მაგალითად:

ცხრილი 10

	წლები	მამაკაცი	ქალი	ს უ ლ
1. ი ნ ჟ ი ნ ე რ ი	1926	424	19	443
	1959	6633	2942	9575
გაიზარდა	—	16-ჯერ	155-ჯერ	22-ჯერ
2. ე ქ ი მ ი	1926	633	235	868
	1959	1588	4074	5662
გაიზარდა	—	3-ჯერ	17-ჯერ	7-ჯერ
3. განათლების დარგის მუშაკი ს უ ლ	1926	1413	1775	3188
	1959	8142	12183	20325
გაიზარდა	—	6-ჯერ	7-ჯერ	6-ჯერ
მათ შორის: მეცნიერი მუშაკი, პროფესორი, უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელი	1926	229	49	278
	1959	4081	2262	6343
გაიზარდა	—	18-ჯერ	46-ჯერ	23-ჯერ
მასწავლებელი	1926	971	1619	2590
	1959	3364	7255	10619
გაიზარდა	—	3-ჯერ	4-ჯერ	4-ჯერ
4. მწერალი, ლიტერატორი, რედაქტორი	1926	152	10	162
	1959	747	393	1140
გაიზარდა	—	5-ჯერ	39-ჯერ	7-ჯერ
5 ხელოვნების დარგის მუშაკი ს უ ლ	1926	565	223	783
	1959	2812	1716	4528
გაიზარდა	—	5-ჯერ	8-ჯერ	6-ჯერ
მათ შორის: მსახიობი, რეჟისორი	1926	264	147	411
	1959	1152	744	1896
გაიზარდა	—	4-ჯერ	5-ჯერ	5-ჯერ
მუსიკოსი	1926	203	38	241
	1959	545	176	221
გაიზარდა	—	3-ჯერ	5-ჯერ	3-ჯერ
მხატვარი	1926	51	7	58
	1959	829	690	1569
გაიზარდა	—	17-ჯერ	99-ჯერ	27-ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, როგორც თვითმოქმედ და დამოუკიდებელ საარსებო წყაროს მქონეთა, ისე მომუშავე სპეციალისტთა შორის ქალთა რაოდენობა არნახულად გაზრდილა.

აღნიშნული გარემოება შედეგია ქალთა მამაკაცთან პოლიტიკური და ეკონომიური თანასწორუფლებიანობისა, რაც მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოშია შესაძლებელი.

თბილისი, როგორც საქართველოს დედაქალაქი და მნიშვნელოვანი სამრეწველო, სამეცნიერო-კულტურული ცენტრი, იყო და რჩებოდა ახალი, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის ერთ-ერთ მძლავრ კერად.

თბილისის მოსახლეობაში წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა შემდეგნაირად იზრდებოდა (პროცენტობით):

ცხრილი 11

	1922 წ.	1939 წ.	1959 წ.
სულ	76,5	91,3	96,0
მათ შორის:			
მამაკაცი	82,1	94,7	98,0
ქალი	70,8	88,2	94,5

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ წერა-კითხვის უცოდინარები 1959 წელს ძირითადად შედგებოდა 60 და მეტი წლის ასაკის მცხოვრებთაგან, შეიძლება ითქვას, რომ თბილისის (9 და მეტი წლის) მოსახლეობაში მთლიანად ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა.

განუხრელად იზრდება საშუალო და უმაღლესი განათლების მქონეთა რაოდენობა. თბილისის ყოველ 1000 სულ მცხოვრებზე მოდიოდა უმაღლესი და საშუალო განათლების მქონეთა შემდეგი რაოდენობა:

ცხრილი 12

	1922 წ.	1959 წ.	1959 წელს 1922 წელთან შედარებით გაზრდილა
უმაღლესი განათლებით სულ	27	102	4 ჯერ
მათ შორის:			
მამაკაცი	39	116	3-ჯერ
ქალი	14	92	7-ჯერ
საშუალო განათლებით სულ	113	274	2-ჯერ
მათ შორის:			
მამაკაცი	91	246	3-ჯერ
ქალი	136	206	2-ჯერ

1939—1959 წლებში თბილისში მუდმივ საცხოვრებლად ჩამოვიდა 521,7 ათასი სული, წავიდა — 384,1 სული. ამრიგად, მოსახლეობის მექანიკური მატება შეადგენდა 137,6 ათასს. საყურადღებოა, რომ თბილისის მოსახლეობის მექანიკური მატება ამ პერიოდში რამდენადმე უსწრებდა ბუნებრივ მატებას.

ამავე პერიოდში თბილისის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:[24].

---

[26] 13, 14, და 15 ცხრილების მაჩვენებლები გაანგარიშებულია ჩვენს მიერ; მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის წლიური ანგარიშების დამუშავების საფუძველზე, რომელიც ინახება ქ. თბილისის სტატისტიკურ სამმართველოს არქივში, საქმე № 11/03—მოსახლეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 13

წ ლ ე ბ ი	შობადობის კოეფიციენტი 1000 მცხოვრებზე	სიკვდილიანობის კოეფიციენტი 1000 მცხოვრებზე	ბუნებრივი მატების კოეფიციენტი 1000 მცხოვრებზე
1939—1940	22,2%	12,3%	9,9%
1941—1945	15,2%	14,7%	0,5%
1946—1950	19,8%	10,3%	9,5%
1951—1955	19,4%	8,4%	11,0%
1956—1958	19,5%	7,6%	11,9%

მიუხედავად იმისა, რომ 1956—1958 წწ. შობადობის კოეფიციენტი საკმაო მაღალ დონეზე დგას, ის მაინც რამდენიმედ ჩამორჩებოდა 1939—1940 წლებში არსებულ კოეფიციენტებს.

სიკვდილიანობის კოეფიციენტი სისტემატურად და საგრძნობლად მცირდება. 1939—1940 წლებთან შედარებით, ის შემცირებულა 39,2%.

აღსანიშნავია, რომ ბავშვთა 1 წლამდე სიკვდილიანობის კოეფიციენტი 1000 დაბადებულზე, ამ პერიოდში, არნახულად შემცირებულა. ასე მაგალითად: 1939—1940 წწ. ის შეადგენდა 137,0%, 1941—1945 წწ. — 117,0% 1946—1950 წწ. — 101,3%, 1951—1955 წწ. — 84,6% და 1956—1958 წწ. — 54,4%. მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი წლითი-წლობით იზრდება. ამ პერიოდში ის გაზრდილა 20,2%.

ამრიგად, ამ პერიოდში ძირითად ტენდენციად რჩება როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა (1 წლამდე) სიკვდილიანობის სისტემატური კლება, რაც აუცილებლად შედეგი უნდა ყოფილიყო ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და რაც მთავარია, თვით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების საგრძნობი ამაღლებისა, რაც დასტურდება თბილისში გარდაცვლილთა საშუალო წლოვანების განუხრელი ზრდით:

ცხრილი 14

წ ლ ე ბ ი	გარდაცვლილთა საშუალო წლოვანება	მათ შორის	
		მამაკაცი	ქ ა ლ ი
1915	27,9	27,7	28,1
1939	31,4	30,2	32,6
1950	40,2	37,5	42,9
1955	47,0	44,2	49,8
1959	55,1	52,7	57,5

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გარდაცვლილთა წლოვანებითი სტრუქტურის ცვალებადობა უკანასკნელი 45 წლის (1915—1959 წწ.) მანძილზე (პროცენტობით):

ცხრილი 15

წლები	1—14 წლამდე	15—24 წლამდე	25—34 წლამდე	35—49 წლამდე	50—59 წლამდე	60—69 წლამდე	70—79 წლამდე	80 წლისა და მეტი
1915	29,9	15,3	15,2	14,4	7,4	7,2	5,8	4,8
1926	26,9	10,9	10,4	15,3	10,4	11,8	8,8	5,5
1939	26,1	7,8	8,4	11,7	11,8	14,7	12,3	7,2
1959	3,5	2,7	4,4	9,5	15,3	22,9	25,5	16,2

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტანილი მაჩვენებლები კიდევ ერთხელ ადასტურებენ უმცროს ასაკში გარდაცვლილთა ხვედრითი წონის სისტემატურ კლებას. რაც მიგვითითებს მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდაზე და სიცოცხლის გახანგრძლივებაზე.

აღნიშნულ გარემოებაზე მიგვითითებს აგრეთვე თბილისის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა 1897 და 1959 წლებში (პროცენტობით):

ცხრილი 16

ასაკობრივი ჯგუფები	1897 წ.	1959 წ.
0—4	9,3	8,6
5—9	8,7	7,7
10—14	10,3	6,6
15—19	10,9	7,6
20—24	15,9	11,3
25—29	10,2	9,2
30—39	14,4	15,0
40—49	9,0	12,6
50—59	5,5	10,5
60—და მეტი წლის	5,7	10,0
გამოურკვეველი	0,1	—
ს უ ლ	100,0	100,0

მოტანილი მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ 1897 წლიდან 1959 წლამდე თბილისის მოსახლეობის წლოვანებითი სტრუქტურა საგრძნობლად შეიცვალა. ეს ცვლილება გამოიხატება მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში 30 და მეტი წლის მცხოვრებთა ხვედრითი წონის საგრძნობ ზრდაში.

აღნიშნული მოვლენა კიდევ ერთხელ ადასტურებს როგორც საერთო, ისე განსაკუთრებით ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას და სიცოცხლის გახანგრძლივებას.

თბილისში როგორც საერთო, ისე ბავშვთა სიკვდილიანობის საგრძნობმა შემცირებამ და აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებამ განაპირობა მოსახლეობის შემდგომი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობის გადიდება.

მოსახლეობის ქვემოთ მოტანილი შემდგომი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობის მონაცემები[25] გვიჩვენებენ ცალკეულ პირთა შემდგომი სიცოცხლის ხანგრძლიობას, რომლებმაც უკვე მიაღწიეს ამა თუ იმ გარკვეულ წლოვანებას. გაანგარიშების დროს პირობით მიღებულია, რომ მოსახლეობის სიკვდილიანობა ცალკეულ ასაკში, რომელიც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობის ცხრილის შედგენის საფუძველს წარმოადგენს, ამ თაობის სიცოცხლის მთელ მანძილზე უცვლელი რჩება.

[25] მოსახლეობის შემდგომი სიცოცხლის ხანგრძლიობის შესახებ იხ. ა) М. В. Птуа „Очерки по статистике населения" Москва, 1960, გვ. 175—240; ბ) ЦСУ при Совете Министров СССР, „Таблицы смертности и средней продолжительноси жизни населения СССР 1958—59 гг., Москва, 1962.

მოსახლეობის შემდგომი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის, ქვემოთ მოტანილი ცხრილის საფუძველს წარმოადგენს თბილისის მოსახლეობის ცალკეული ასაკის სიკვდილიანობა 1958—1959 წლებში.

ცხრილი ასახავს ახალშობილთა და მომდევნო ასაკის მცხოვრებთა (5 წლის ინტერვალით) შემდგომი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას. შემდგომი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გვიჩვენებს წელთა იმ რაოდენობას, რომლის განმავლობაშიც უნდა იცოცხლოს ერთმა კაცმა ახალშობილთაგან ან მათგან, რომელთაც უკვე მიაღწიეს გარკვეულ წლოვანებას.

შემდგომი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა სხვადასხვა ასაკის მცხოვრებთათვის არათანაბარია. წლოვანების ზრდასთან ერთად ის მცირდება. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ახალშობილთა (0 წლის ასაკის) შემდგომი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც ნაკლებია, ვიდრე ბავშვთა მომდევნო წლოვანებებში. ეს გამოწვეულია სიკვდილიანობის სიდიდით ახალშობილთა შორის; ბავშვებმა, რომელთაც უკვე იცოცხლეს პირველი წელი, შემდგომ. საშუალოდ, უნდა იცოცხლონ უფრო მეტი, ვიდრე ახალშობილებმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის 1958—1959 წწ. მოსახლეობის შემდგომი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაანგარიშება წარმოადგენს პირველ ცდას თბილისის მოსახლეობის მიმართ.

ცხრილი 15

თბილისის 1958—1959 წწ. მოსახლეობის შემდგომი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ცალკეულ წლოვანებათა მიხედვით (წლებში)

წლოვანება	შემდგომი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა		
	სულ	მათ შორის	
		მამაკაცი	ქალი
ა	1	2	3
0	68,96	65,90	71,71
1	71,37	68,39	73,88
2	70,66	67,61	73,42
3	69,75	66,69	72,52
4	68,84	65,76	71,64
5	68,09	64,80	70,71
10	63,29	59,98	65,91
15	58,49	55,26	61,03
20	53,71	50,55	56,16
25	49,01	45,94	51,38
30	44,32	41,27	46,65
35	39,76	36,85	41,96
40	35,13	32,37	37,25
45	30,65	28,03	32,67
50	26,23	23,89	28,21
55	22,14	19,98	23,97
60	18,43	16,50	19,91
65	15,11	13,56	16,27
70	12,11	10,91	13,00
75	9,67	8,87	10,27
80	7,57	7,05	7,99
85	6,33	6,07	6,66
90	5,24	4,94	5,76
95	4,34	4,61	5,04
100	3,48	3,29	3,66

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, შეიძლება აღინიშნოს, რომ თბილისის 1958—1959 წწ. მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 74 წელს, მათ შორის: მამაკაცების — 71 წელს, ხოლო ქალების — 77 წელს.

თბილისის მოსახლეობის რაოდენობის დადგენილი დინამიკის საფუძველზე, მოსახლეობის საშუალო წლიური მატების ტემპი ცალკეულ პერიოდების მიხედვით შეადგენდა:

ცხრილი 17

თბილისის მოსახლეობის საშუალო წლიური მატების ტემპი 1803—1959

1803—1864 წწ.	—2,26 %
1864—1876 წწ.	—3.75 %
1876—1897 წწ.	—2,06 %
სულ 1803—1897 წწ. ე. ი. 94 წლის მონაკვეთში	—2,4 %
1897—1902 წწ.	6,03 %
1902—1910 წწ	5.47 %
1910—1914 წწ.	2,8 %
1914—1917 წწ.	—10,92 %
1917—1922 წწ	1.29 %
სულ 1897—1922 წწ. ე. ი. 25 წლის მონაკვეთში	—1,75 % მთლიანად
1893—1925 წწ. ე. ი. 119 წლის მონაკვეთში	—2,4 %
1922—1926 წწ.	—4.62 %
1826—1939 წწ.	— 4.47 %
1939—1959 წწ.	—1.47 %
სულ 1922—1959 წწ. ე. ი. 37 წლის მონაკვეთში	—2,85 %, მთლიანად
1803—1959 წწ. ე. ი. 156 წლის მონაკვეთში	—2,4 %.

ზემოაღნიშნულ მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ თბილისის მოსახლეობის საშუალო წლიური მატების ტემპი მომავალში დარჩება იგივე როგორც იყო 1803—1959 წწ. ე. ი. 156 წლის მონაკვეთში (2.4%), თუ 1922—1959 წწ. მონაკვეთში ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ვიდრე 1959 წლის მოსახლეობის აღწერამდე (2.85%)? თუ მეტი ან ნაკლები?

აღნიშნულ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ მიახლოვებით თუ შევძლებთ თბილისის მომავალი მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მატების კოეფიციენტის განსაზღვრას, იმ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება, თბილისის მოსახლეობის მიახლოებითი რაოდენობის გაანგარიშება უახლოესი წლებისათვის.

უკანასკნელი 10 წლის (1951—1960 წწ.) მონაკვეთში თბილისის მოსახლეობის ბუნებრივი მატების საშუალო წლიური კოეფიციენტი ყოველ 1000 მცხოვრებზე შეადგენდა 11,62‰, ხოლო მექანიკური მატების კოეფიციენტი — 17.28‰, სულ თბილისის ყოველ 1000 მოსახლეზე ბუნებრივი და მექანიკური მატების კოეფიციენტი შეადგენდა 28.9‰.

ვარაუდით, მომავალში, თუნდაც უახლოესი 40 წლის (1960—2000 წწ.) მონაკვეთში თბილისის მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მატების საშუალო წლიური კოეფიციენტი ყოველ 1000 მცხოვრებზე რომ დარჩეს იგივე, როგორიც იყო უკანასკნელი 10 წლის (1951—1960 წწ.) მონაკვეთში, ამ შემთხვევაში თბილისის მოსახლეობის რაოდენობამ უნდა მიაღწიოს.

ცხრილი 18
(ათასობით)

1965 წელს— 834.5
1970 წელს— 961.8
1975 წელს—1108.9
1980 წელს—1278.6
1985 წელს—1474.3
1990 წელს—1699.9
1995 წელს—1960.1
2000 წელს—2260.2

მაგრამ უახლოეს 40 წლის მონაკვეთში მოსახლეობის ისეთ დიდ მექანიკურ ნამატს, როგორიც უკანასკნელი 10 წლის მონაკვეთში გვქონდა, ადგილი არ უნდა ექნეს, რამდენადაც თბილისის მრეწველობის, მშენებლობის და საერთოდ ეკონომიკის ზრდა-განვითარება ძირითადად ხორციელდება (და ეს პროცესი უახლოეს წლებში სულ უფრო გაძლიერდება): მრეწველობაში მექანიზაციის და ავტომატიზაციისა, ხოლო მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის გზით და აგრეთვე თვით თბილისის მზარდი მოსახლეობის წარმოებასა, მშენებლობასა და ქალაქის ეკონომიკის სხვა დარგებში ჩაბმის გზით. აქედან გამომდინარე უახლოესი 40 წლის მონაკვეთში თბილისის მოსახლეობა მექანიკური მატების საშუალო წლიური კოეფიციენტი ყოველ 1000 მცხოვრებზე არ უნდა აღემატოს 5%.

რაც შეეხება მოსახლეობის ბუნებრივ ნამატს, იმასთან დაკავშირებით, რომ მომავალში ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდება, ხოლო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმის შემდგომ ამაღლებასთან ერთად, ბავშვთა სიკვდილიანობა კიდევ უფრო შემცირდება, უახლოესი 40 წლის მონაკვეთში თბილისის მოსახლეობის ბუნებრივი მატების საშუალო წლიური კოეფიციენტი ყოველ 1000 მცხოვრებზე გაიზრდება და ეს ზრდა როგორც მაქსიმუმი საშუალოდ მიაღწევს 14—15%[26].

ამრიგად, მომავალი 40 წლის მონაკვეთში თბილისის ყოველ 1000 მოსახლეზე საშუალო წლიური მატების კოეფიციენტი არ უნდა აღემატოს 19—20%, ანუ 1.9—2.0%.

თბილისის მოსახლეობის მომავალ რაოდენობასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება ითქვას, რომ თბილისის განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით 1985 წლისათვის თბილისის თითოეულ მოსახლეზე ნავარაუდევია 15 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართი. მაშასადამე, თბილისის მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად 1985 წლისათვის საჭირო იქნება (ძველი, ამორტიზირებული დასანგრევი საცხოვრებელი სახლების გათვალისწინებით) დაახლოებით 17.0 მლნ კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართი.

---

[26] აღსანიშნავია, რომ თბილისის მოსახლეობის ბუნებრივი მატების საშუალო წლიური კოეფიციენტი, 1935—1940 წლების მონაკვეთში შეადგენდა 109%, ხოლო 1955—1960 წლების მონაკვეთში 11.9% ე. ი. ბოლო 20 წლის მონაკვეთში თბილისის მოსახლეობის ბუნებრივი მატების საშუალო წლიური კოეფიციენტი გაზრდილა 9,2%-ით. ჩვენი გაანგარიშებით კი 1960—2000 წლების მონაკვეთში აღნიშნული კოეფიციენტი უნდა გაიზარდოს 1—15%-მდე ე. ი. 1955—1960 წწ. მოსახ. საშ. წლიური ბუნებრ. მატების კოეფიციენტთან (11,9%) შედარებით 23—32 პროცენტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 17

თბილისის მოსახლეობის სავარაუდო რაოდენობა 1965—2000 წლებისა ძირითადი ვარიანტით

(ათასობით)

1965 წელი— 789.5
1970 წელი— 869.5
1975 წელი— 957.6
1980 წელი— 1054,8
1985 წელი— 1161.7
1990 წელი— 1279 6
1995 წელი— 1409,3
2000 წელი— 1552.2

თუ გავიხსენებთ, რომ 1960 წლის იანვრის აღწერით თბილისის საცხოვრებელი ფონდი, დაბა ავჭალის ჩათვლით, შეადგენდა 5,0 მლნ კვ. მეტრს, 1985 წლამდე თბილისში დამატებით უნდა აშენდეს 12,0 მლნ კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართი ე. ი. საშუალოდ ყოველწლიურად 480.0 ათასი კვ. მეტრი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების შვიდწლიანი გეგმის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას, სასურსათო პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვან ზრდას, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ზრდას, პენსიების გადიდებას, საბინაო, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო დაწესებულებების, საავადმყოფოების, კლუბების, სასადილოების და სხვა მშენებლობათა გაშლას, დიდი ღონისძიებებია დასახული თბილისის შემდგომი კეთილმოწყობისათვის.

თუ 1950—1957 წწ. თბილისის საქალაქო მეურნეობაზე (ფულის ახალი მასშტაბით) 72,3 მილიონი მანეთი დაიხარჯა, მომდინარე შვიდწლედში ეს თანხა ოთხჯერ და უფრო მეტად გადიდდება.

ქალაქი ელექტროენერგიას მიიღებს ახალი დიდი თბოელექტროსადგურიდან, რომელიც იმუშავებს იაფი გაზის სათბობზე.

1965 წელს თბილისი მიიღებს 156 მლნ კუბმეტრ წყალს, რაც 50%-ით მეტი იქნება, ვიდრე 1958 წელს.

განზრახულია აბანო-სამრეცხაოების, საპარიკმახერო მეურნეობის და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის საყოფაცხოვრებო კომბინატების შემდგომი გაფართოება.

შვიდწლიანი გეგმის მიხედვით დასახულია აშენდეს სკოლები და სკოლა-ინტერნატები.

დიდი ყურადღება დაეთმობა ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას და კულტურის ახალი კერების მშენებლობას.

გათვალისწინებულია სამკურნალო-პროფილაქტიკური და საბავშვო დაწესებულებების შემდგომი გაფართოება.

მომდინარე შვიდწლედში თბილისის სავაჭრო ქსელი გაიზრდება 311 ერთეულით. აშენდება ახალი დიდი უნივერსალური მაღაზია, რაზედაც 400 ათასი მანეთი დაიხარჯება.

ჩვენი დედაქალაქი მომავალში უფრო გალამაზდება, გაიშლება და კეთილმოწყობილი გახდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უახლოეს წლებში თბილისის საცხოვრებელი სახლები მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება გაზით და ცხელი წყლით.

გაიზრდება სკოლების, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების, საბავშვო ბაგებისა და ბაღების, კინო-თეატრების, ბიბლიოთეკების, სავაჭრო დაწესებულებების, საზოგადოებრივი კვების, აბანოებისა და სხვათა რაოდენობა.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე აშკარაა ის დიდი და ყოველდღიური ზრუნვა, რომელსაც იჩენს ჩვენი დიადი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ხალხის მიმართ, რაც მხოლოდ სოციალისტური სისტემისათვისაა დამახასიათებელი.

საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვას თბილისის მოსახლეობა პასუხობს თავდადებული შრომით, რითაც თავისი გარკვეული წვლილი შეაქვს კომუნიზმის დიადი მშენებლობის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთის სამეფოს გაუქმების საკითხებისათვის

მ. გრნიაშვილი

(წარმოადგინა საქ. სსრ აკად. აკადემიის წ/კ. გ. ჩიტაიამ)

რუსეთის იმპერიამ, 1783 წელს დადებული მფარველობის ტრაქტატის საფუძველზე, ქართლ-კახეთის სამეფოს აღუთქვა გარეშე მტრებისაგან მფარველობა, ქარლ-კახეთმა კი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მიიღო.

აღნიშნულმა ტრაქტატმა ქართლ-კახეთსა და მის მეზობელ სახელმწიფოებს შორის არსებულ პოლიტიკურ ურთიერთობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა, რაც გამოიხატა იმაში, რომ აღმოსავლეთ ა/კავკასიის სახანოები და აგრეთვე ირანი და ოსმალეთი ქართლ-კახეთის სამეფოს დაუძინებელ მტრად გადაეკიდნენ.

ქართველმა ხალხმა, სანამ მას დამოუკიდებელი სამეფო გააჩნდა, ვერ მიაღწია საუკუნეობრივ ნატვრას — მშვიდობიან ცხოვრებას, ხოლო მოექცა თუ არა რუსეთის იმპერიის ფარგლებში, გარეშე მტრების შემოტევებისაგან მაინც რამდენადმე მოისვენა.

საქართველოს ყველა კუთხე ერთდროულად არ მოქცეულა რუსეთის ხელქვეით. აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს გაუქმებას თანდათან მოყვა რუსული მმართველობის შემოღება დასავლეთ საქართველოს მანამდის არსებულ სამეფო — სამთავროებშიც.

იმერეთის სამეფო წარმოიშვა საქართველოს დაქუცმაცების შედეგად ჯერ კიდევ XV საუკუნის მეორე ნახევარში. თავდაპირველად ამ სამეფოს მეთაურის (მეფის) უპირატეს უფლებას აღიარებდნენ ოდიშის (სამეგრელოს) და გურიის მთავრები, რომელნიც იწოდებოდნენ დადიანად და გურიელად (ეს იყო მათი ტიტულები, რომელთაც XIX საუკუნეში რუსული მმართველობის დროს მიეცათ გვარის მნიშვნელობა). რაც შეეხება აფხაზეთს, ის XV—XVI საუკუნეებში დადიანს ემორჩილებოდა, მაგრამ XVI საუკუნის დასასრულიდან განზე გადგა და დადიანისაგან განთავისუფლდა.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მთელი დასავლეთ საქართველო მოექცა ოსმალეთის იმპერიის ხელქვეით და როგორც იმერეთი, ისე ოდიში და გურია უხდიდნენ ოსმალეთის სულთანს ხარკს — იმერეთი ფულით და ნაწილობრივ, ქალ-ვაჟებით, ხოლო ოდიში და გურია — სელის ტილოებით და, ნაწილობრივ, ქალ-ვაჟებითაც. მარტო ის ფაქტი, რომ ოდიში და გურია სხვა რაიმეს უქონლობის გამო ხარკს ხშირად ქალ-ვაჟებით იხდიდნენ, ცხადი მაჩვენებელია იმისა თუ დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ბატონობის ხანაში რამდენად დაცემული იყო როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად[1]. მართლაც, დაწყებული XVI საუკუნიდან და უფრო XVII—XVIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველო გადაქცეული იყო მუდმივი რბევა-აწიოკების, შემოსევათა და გამუდმე-

[1] Пирцхалаишвили, Д. Г., Имеретия и Гурия в период 1804—1840 г., Материалы по истории Грузии и Кавказа, 1942, вып. I, стр. 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული შინაური ომების ასპარეზად. XVIII საუკუნეში დასავლეთ საქართველო-ში კეთილდღეობის ყოველგვარი ნასახი გაქრა. 1691 წელს ოსმალებმა დაანგრიეს ჭუთაისის განთქმული ტაძარი, რომლის მშენებლობა დამთავრდა 1003 წელს ბაგრატ III-ის დროს; ამ ტაძრის შესახებ არქეოლოგი ფრ. დიუბუა დე-მონპერე 1830-იან წლებში წერდა — ეს შენობა უნდა ყოფილიყო ულამაზესი შუა საუკუნეების საქართველოშიო. იმერეთი იმდენად გაღარიბებული იყო, რომ დიდი სურვილების მიუხედავად, შემდეგშიც — XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში ტაძრის აღდგენა მაინც შეუძლებელი შეიქმნა. მიუხედავად იმისა რომ დიდხანს შენობას სახურავის თაღები მთელი ჰქონდა.

1750-იან წლებში ჩამოინგრა გეგუთის XI საუკუნის განთქმული სასახლის (ციხე-დარბაზის) მთავარი თაღი. მაშინ მისი შეკეთება შედარებით ადვილი იყო, მაგრამ იმერეთს, გაღატაკების და მუდმივი შინაური და გარეშე ომების გამო, არც ამის შესაძლებლობა ჰქონდა. შემდეგში, XIX საუკუნის პირველ მესამედში გეგუთის ციხე-დარბაზი მთლად განადგურდა, რადგანაც როგორც ეს იმავე ფრ. დიუბუა დე-მონპერეს აქვს აღნიშნული ამ შენობიდან სისტემატურად ეზიდებოდნენ აგურს ჭუთაისში ზოგიერთი საუწყებო სახლის ასაშენებლად.

1770 წელს იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა შესძლო, საქართველოში გენ. ტოტლებენის მეთაურობით გამოგზავნილი რუსის ჯარის დახმარებით, გაედევნა ოსმალთა მცირე გარნიზონები და ბაღდათისა და ჭუთაისის იმ ადგილებიდან, რომლებიც ჯერ კიდევ თურქებს ეკავათ[2]. (სოლომონ I-მა ტოტლებენის საქართველოში მოსვლამდე თავისი ძალებით გაათავისუფლა მთლიანად ცუცხვათისა და შორაპნის ციხე-სიმაგრეები და ნაწილობრივ ჭუთაისი). სოლომონმა მაშინ დაანგრევინა ჭუთაისისა და შორაპნის ციხეები, რათა შემდეგში ოსმალთ ისინი ხვლავ არ გადაექციათ თავიანთი ბატონობის საყრდენად იმერეთში. ეს ღონისძიება მიზანშეწონილი აღმოჩნდა, რადგანაც იმერეთი იურიდიულად შემდეგაც ოსმალეთის ხელქვეითად ითვლებოდა. მართლაც, ოსმალეთმა ვერ შეძლო დანგრეულ ციხეებში თავისი გარნიზონების დაყენება[3]. ამიტომ იმერეთი, სამეგრელო და გურია იმ დროიდან ფაქტიურად გადაიქცნენ თითქმის დამოუკიდებელ პატარა სახელმწიფოებად.

იმერეთის უკანასკნელ მეფედ სოლომონ II არჩილის ძე იყო, დედით ერეკლე II-ის შვილიშვილი. მისი მმართველობა მეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებას დაემთხვა. სოლომონს თავიდანვე მრავალი სერიოზული წინააღმდეგობა ელობებოდა წინ. სამეფოს შიგნით მას მოუხდა ბრძოლა ტახტიდან ჩამოგდებულ ბიძაშვილთან — დავით გიორგის ძესთან, რომელიც ყოველ ხელსაყრელ პირობას იყენებდა მმართველობის დასაბრუნებლად. ტახტიდან ჩამოგდებული დავითის შეიარაღებული გამოსვლა სოლომონ II-ს წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა[4].

მიუხედავად იმ ერთგულებითი ფიცისა, რომელიც დავითმა მეფე ერეკლესა და ახალციხის ფაშას წარმომადგენელთა თანდასწრებით დასდო სოლომონ

---

[2] ნ. ა. ბერძენიშვილი, რუსეთ-ოსმალეთის ომი და საქართველო, საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 359.

[3] იქვე, გვ. 360.

[4] Давид Царевич Грузинский, Краткая История Грузин. Тиф., 1893, изд. II, стр. 56.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II-ის წინაშე[5], მან 1794 წელს მეფის წინააღმდეგ ახალი შეთქმულების ქსელი გააბა გრ. დადიანის, აბაშიძისა და თვით ახალციხის ფაშას დახმარებით. მაგრამ სოლომონმა დროზე შეიტყო შეთქმულების მიზანი და გადაწყვიტა ტახტის მოტრფიალის სასტიკად დასჯა.

ამჯერად ნიღაბახდილმა დავით გიორგის ძემ თავის დასახსნელად სოლომონს კვლავ ერთგულება შეჰფიცა და ფიცის დასამტკიცებლად მძევლად თავისი სამი წლის შვილი — კონსტანტინე გაუგზავნა, რომელიც მეფემ საცხოვრებლად მუხურის ციხეში მოათავსა და იქ ზრდიდა[6].

მიუხედავად მეორედ მიცემული ფიცისა, დავითი მაინც არ ცხრებოდა და ხშირად აქეზებდა მთავრებს მეფის წინააღმდეგ. მთავრებს კი მეფის გაძლიერების ეშინოდათ, რადგან ამას მოყვებოდა იმერეთზე მათი სამთავროების დამოკიდებულების განმტკიცებაც, ამიტომ მთავრები ხშირად აქტიურად ეხმაურებოდნენ (უფრო ეს ითქმის დადიანის შესახებ) სოლომონ II-ის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯებს, რაც ხშირად საომარ მოქმედებას იწვევდა.

ზემოთ აღნიშნულის მაგალითს წარმოადგენს დავით გიორგის ძის და დადიანის მიერ იმერეთის დედაქალაქ ქუთაისის მიმართულებით 1794 წ. იერიშის მიტანა, რაც გათავდა მოიერიშეთა დამარცხებით. სოლომონ II ნამეფარს და დადიანს გზები შეუკრა, მათხოჯთან დაამარცხა ისინი და მრავალი ტყვე იგდო ხელთ; ამჯერად მეფის გამარჯვება განაპირობა ერეკლე II-ის დახმარებამ ჯარით, რომელსაც თვით ერეკლეს ერთ-ერთი შვილი ხელმძღვანელობდა[7]. დამარცხებული მთავარი დადიანი გაიქცა სამთავროდან. მეფის დაუძინებელი მტერი დავით გიორგის ძე კი ტახტის დაბრუნების ნატვრაში 1795 წელს ყვავილისაგან გარდაიცვალა ახალციხეში[8]. მისი მცირეწლოვანი შვილი კონსტანტინე დარჩა იმერეთში, სადაც ის ამის შემდეგ ნახევრად პატიმრის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

იმერეთის სამეფოსა და ოდესღაც მის მორჩილებაში მყოფი სამთავროების — სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის — რუსეთთან შეერთება, სხვა მიზეზებთან ერთად, იქ გაჩაღებულმა ასეთმა შინაფეოდალურმა ომებმა დააჩქარა[9]. იმერეთის მეფე ცდილობდა მთავრების დამორჩილებას. გურიის სამთავრო უკვე მის ხელქვეით იყო, მაგრამ ოდიშის სამთავროს დამორჩილება ძნელდებოდა.

---

[5] Бутков П. Г., Материалы для новой ист. Кавказа с 1722 по 1803 год. ч. I, стр. 284.

[6] Там же.

[7] იხ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დაცული გამოქვეყნებული. ხელნაწერი Князь Николай Константинович Имеретинский „багратиды в России", СПб., 1885 г., Часть II Имеретинский царский род. стр. 48; Бутков, П. Г. Материалы для новой Истории Кавказа с 1722 по 1803 год СПб 1869, часть II, стр. 285.

[8] Там же.

[9] მ. გონიაშვილი, შენიშვნები იმერეთის სამეფოს გაუქმების შესახებ, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკ. 34, გვ. 129.

სოლომონ II ცდილობდა გაეგრძელებინა სოლომონ I-ის საშინაო პოლიტიკა[10] ფეოდალთა დაპყრობა-დამორჩილების საქმეში, იგი კმაყოფილდებოდა იმით, რაც იმერეთში დახვდა და ახალს არაფერს დაეძებდა. არავითარი რეფორმა, სულ მცირედიც კი, მის დროს იმერეთში არ გატარებულა. იმერეთს ფეოდალური მმართველობა და ფეოდალურივე წყობილება ჰქონდა თავადებით, აზნაურებით და დამორჩილებული გლეხებით. მეფესთან არსებობდა რჩევა არა მუდმივი შემადგენლობით. ამ რჩევაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ ეპისკოპოსებს (ისინი ოთხნი იყვნენ), ოცდაათიოდე თავადს (სულ ზემო და ქვემო იმერეთსა და რაჭაში იყო 11 სათავადო გვარეულობა) და ორი-სამიოდე ტახტის ანუ სამეფო აზნაურს. გლეხთაგან რჩევაში არავინ შედიოდა. სკოლები არ იყო, მხოლოდ ზოგ მონასტერში ამზადებდნენ მომავალ მღვდლებსა და დიაკვნებს ეკლესიებისათვის. თავად-აზნაურნი თავიანთ შვილებს ასწავლიდნენ, ვისაც როგორ შეეძლო. ისიც უნდა ითქვას, რომ წერა-კითხვა აზნაურთაგან ცოტამ იცოდა, არც ყველა თავადმა იცოდა წერა-კითხვა. სამეფოს მუდმივი ჯარი არ ჰყავდა[11]. საჭიროების დროს ჯარში უნდა გასულიყო ყველა თავადი და აზნაური ცხენოსნებად, სოლო გლეხთაგან შეწერით. წინდაწინვე შეწერილი იყო, ამა თუ იმ მებატონეს რამდენი მეომარი უნდა ჰყოლოდა თავიანთ გლეხთაგან მზად. მეფის კარზე თავმოყრილი იყო მთელი მმართველობა, ამიტომ იქ ყოველთვის ბლომად იყვნენ საქმეების გამო ჩასული პირნი. მაშინდელი წესის მიხედვით მეფის კარზე და თავადების ოჯახებში მუდმივად იყვნენ აუარებელი უსაქმური მოსაძახურესი, რომელნიც, მოგონებათა მიერ 1810 წელს მოცემული ცნობით, ცხოვრობდნენ მეფის ხარჯზე. მეფეს და თავადებს მოსამსახურეთა დიდი რაოდენობა ესახელებოდათ, ასე იყო მეზობელ სახელმწიფოებშიც.

მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით, შემდეგი მდგომარეობა იყო. იმერეთის სამეფოში, რომელსაც შეადგენდა საკუთრივ იმერეთი და რაჭა, მოსახლეობა უდრიდა დაახლოებით 22 ათას კომლს. თითო კომლზე ორივე სქესის შვიდამდე სულის ჩათვლით. ოდიშის სამთავროში, რომელშიც შედიოდა ლეჩხუმი და სამურზაყანოც (ახლანდელი გალის რაიონი), მას ემორჩილებოდა. ითვლებოდა დაახლოებით 13 — 14 ათასი კომლი. გურიაში, რომლის საზღვარი მდ. ნატანებამდის აღწევდა (ქობულეთის მხარე უკვე ოსმალეთის ხელში იყო), მოსახლეობა შეადგენდა 5 ათას კომლს[12]. ოდიშის სამთავრო გურიისაზე ბევრად მეტი იყო და იმერეთის სამეფოს მოსახლეობის მხრივ მხოლოდ ერთი მესამედით ჩამოუვარდებოდა. ეს იყო მიზეზი, რომ იმერეთის მეფეს ძლიერ უჭირდა ოდიშის სამთავროს დამორჩილება. თავის მხრივ ოდიშის მთავარი, დადიანი, ყველაფერს აკეთებდა, რათა თავი დაეცვა მეფის შემოტევებისაგან და თავისი სამთავროს სრული ბატონ-პატრონი ყოფილიყო.

[10] შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789—1802 წლებში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, თბ., 1962, გვ. 244.

[11] Дубровин Н., История войн и владычества русских на Кавказе, т. I, кн. II, СПб. 1871, стр. 266; Пирцхалаишвили А. Г., Имеретия и Гурия в период 1804 — 1840 г., Материалы по истории Грузии и Кавказа, вып. I, 1942, стр. 13.

[12] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქ-ში, ტ. I, თბ., 1962 წ. შ. გელაშვილის გამოცემა, გვ. 323, 325.

როდესაც 1801 წლიდან ქართლ-კახეთში დამყარდა რუსული მმართველობა, იმერეთის მესვეურებმა ამაში დიდი საფრთხე დაინახეს, რადგანაც მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთი მოინდომებდა დასავლეთ საქართველოს დამორჩილებასაც. საჭირო იყო დასავლეთ საქართველოს ძალთა კონსოლიდაცია. ამიტომ იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ 1802 წელს გაილაშქრა სამეგრელოს მთავრის დადიანის წინააღმდეგ, რომელსაც აფხაზეთის მთავარი ეხმარებოდა[13].

იმერეთის მეფემ დასძლია მოწინააღმდეგენი და თითქმის ოდიშის სამთავროც დაიმორჩილა[14]. მაგრამ მიუხედავად ამისა, სოლომონ II-ის გამარჯვება ხანმოკლე აღმოჩნდა. ოდიშის დამარცხებულმა მთავარმა გრიგოლ დადიანმა თავი სამურზაყანოს შეაფარა და იქიდან დახმარების თხოვნით მიმართა რუსეთის მეფე დაყენებულ საქართველოს მთავარმართებელს თბილისში, თავად პავლე ციციანოვს. დადიანის კაცს არ შეეძლო იმერეთზე გავლა და ამიტომ ის სვანეთიდან გადავიდა ჩრდ. კავკასიაში და იქიდან დარიალის ხეობაზე გავლით მოვიდა თბილისში. ეს ელჩობა დამთავრდა იმით, რომ ციციანოვმა გაგზავნა დადიანთან მაიორი მაიხოვე. სოფ. ჭალადიდში დადიანმა ხელი მოაწერა რუსეთის ქვეშევრდომობის აქტს და მიიღო ფიცი რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე[15]. სათანადო აქტი 1803 წლის დეკემბერში გაფორმდა. რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის ერთ-ერთი პირობა იყო ის, რომ ლეჩხუმი, რომლზედაც თავის პრეტენზიას იმერეთის მეფე აცხადებდა, ოდიშის სამთავროში უნდა დარჩენილიყო.

უფრო ადრე ანა დედოფალმა,—გარდაცვლილი დავით გიორგის ძის მეუღლემ, ჯერ ქართლიდან აღძრა საქმე, ხოლო შემდეგ წვიდა პეტერბურგს და პირადად სთხოვა იმპერატორს იმერეთში დატყვევებული თავისი ვაჟის კონსტანტინეს განთავისუფლება[16].

აღნიშნული თხოვნის საპასუხოდ პეტერბურგიდან 1802 წელს რუსეთის სახელმწიფო კოლეგიის გარეშე საქმეთა მოხელე სოკოლოვი იმერეთში იქნა გამოგზავნილი, რათა პირადად გადაეცა იმერეთის მეფისათვის იმპერატორის წერილი დატყვევებულ კონსტანტინეს განთავისუფლებლად[17]. „ხოლო წელსა 1802—წერს ბაგრატ ბატონიშვილი, იმერთა მეფის დავითის ცოლი ანნა დედოფალი ყაფლანიშვილის მამუკას ასული, წარვიდა როსიად იმპერატორს ალექსანდრეს წინაშე. მისრული დიდისა პატივითა მიიღო, და ევედრა დედოფალი, რათა შუამდგომელ ექმნეს მეფესა თანა და განატევებინოს ძე მისი კონსტანტინე პყრობილებისაგან, რომელიცა ჰყვა მეფესა მუხურის ციხესა შინა. მსმენელმან იპერატორმა წარუვლინნა კაცნი მეფესა და სთხოვა განთავისუფლება კო-

---

[13] შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789—1802 წლებში. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტ. მოამბე, ტ. IV, 1962, გვ. 248, 250; ნ. დადიანი, ქართველთა ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოცემა, თბ., 1962, გვ. 192.

[14] ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოც. 1941, გვ. 80; Соколов А. Е., Путешествие мое в Имеретию с линии кавказской, Мое там у царя пребывание, с ним сношение и обратное оттуда путешествие в Грузию, М., 1874, стр. 177, 190, 191;

[15] ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 86; გ. ხაჭაპურიძე, შრომები, ტ. II, თბ., 1958, გვ. 30; Бутков П. Г., Материалы . . . ,ч. II, стр. 527.

[16] ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 81; Соколов, А. Е., Путешествие. . . стр. 118.

[17] იქვე, გვ. 11.

ნსტანტინესი, რომლისა არა მნებებელმან მეფემან სოლომან უკუნ აქცივნა კაცნი იგი ცალიერნი"[18].

ამგვარად, სოლომონმა რუსეთის ამ ოფიციალურ წარმომადგენელს უარი ჯეთხრა კონსტანტინეს განთავისუფლებაზე იმ მოტივით, რომ მას შვილი არ ჰყავდა და იგი თავის მემკვიდრედ უნდა გაეხადა.

ქართლ-კახეთში რუსული მართებლობის შემოღების შემდეგ რუსეთის იმპერია ვერ დაკმაყოფილდებოდა ა/კავკასიაში მარტოოდენ ქართლ-კახეთით. მეფის რუსეთმა მოისურვა თავისი ახალი საზღვრების უზრუნველყოფა ბუნებრივი მიჯნებით—აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე და დასავლეთით შავ ზღვამდე. ასეთი დავალება სიტყვიერად, მართლაც, ჰქონდა იმპერატორ ალექსანდრე I-ს მიცემული ციციანოვისათვის[19] და ადვილად შესაძლებელია სოლომონ II-მ გაიგო ზოგი რამ ამ დავალების შესახებ. ციციანოვს შეეძლო ამ პროექტის შესახებ ზოგი რამ წამოსცდენოდა თავის უახლოეს თანამოსოფელ ქართველთან ან და ეს უკანასკნელნი ციციანოვის მოქმედების მიხედვით მიხვდებოდნენ ასეთი გეგმის რეალურად არსებობას. ციციანოვს გადაწყვეტილი ჰქონდა იმპერატორის მითითების შესრულება ნებით ან იარაღის საშუალებით. სოლომონმა და მისმა მრჩეველებმა გადაწყვიტეს თვითონ დაესწროთ და რუსეთის ცენტრალური მართებლობის წინაშე დაესვათ საკითხი იმერეთის სამეფოს მიღების შესახებ რუსეთის იმპერიის მფარველობაში. ამ გადაწყვეტილების თანახმად სოლომონმა თავის ახლობელ მრჩევლებთან ერთად შეადგინა თხოვნა, რომელიც თავის მდივანბეგ სოლომონ ლიონიძეს გაატანა პეტერბურგში იმპერატორთან[20]. ამ თხოვნის საფუძველზე იმერეთის სამეფო უნდა შესულიყო რუსეთის იმპერიის მფარველობაში მთელ დასავლეთ საქართველოსთან—ე. ი. გურია, სამეგრელო, აფხაზეთთან ერთად, რომელნიც მიჩნეულ უნდა ყოფილიყვნენ, როგორც იმერეთის ხელქვეითნი.

თუ ადრე სოლომონის თხოვნაზე, რათა იმერეთის სამეფო მიეღოთ რუსეთის მფარველობის ქვეშ, მთავარმართველმა კნორინგმა არადამაკმაყოფილებელი პასუხი მისცა იმ მოტივით, რომ იმერეთი თურქეთის იმპერიისაგან დამოკიდებულად ითვლებაო[21], 1802 წლის შემდეგ რუსეთის მთავრობა ყველაფერს აკეთებდა, იმისთვის, რომ იმერეთი თავის საზღვრებში მოექცია.

პეტერბურგში სოლ. ლიონიძის ჩასვლისას აღმოსავლეთ საქართველოს მთავარმმართველმა რუსეთის მთავრობას აცნობა დაუზუსტებელი ცნობა, რომ ვითომც სოლომონ II-მ რუსეთის ერთგულ დადიანისაგან ციციანოვთან გაგზავნილი კაცი გზაში ვერაგულად მოაკვლევინა, გარდა ამისა თითქოს იმერეთის მეფეს სულთანისთვისაც კაცი გაეგზავნა თხოვნით, რომ რუსეთისაგან თავის დასაცველად მისთვის დახმარება გაეწია.

წაყენებული ბრალდებანი მეფის ადგილობრივ მოწინააღმდეგეთა მიერ შეთხზულ ცილისწამებას უფრო ჰგავდა. კერძოდ, დადიანის მიერ მთავარმართვე-

---

[18] იქვე.

[19] Пирцхалаишвили А., Имеретия и Гурия в период 1804—1840 г.. стр. 2, 37; ს. ქ ა ვ ა ბ ა ძ ე, იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები), „საისტორიო მოამბე", ტ. IX, გვ. 381.

[20] ბ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 85.

[21] Бутков, П. Г., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, СПб, 1869, ч. II, стр. 135, აქტები, ტ. I, გვ. 559, № 790.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღისადმი გაგზავნილ ცნობას კაცის მოკვლის შესახებ სოლომონ მეფე შემდეგნაირად უარყოფდა: დადიანის მიერ გამოგზავნილი კაცი, გვარად კვინიხიძე, ჩვენი ქვეშევრდომი იყო, რომელიც დიდი ხანია გაიქცა საქურდბაცაცოდ; მან ბევრჯერ ჩაიდინა დანაშაული, ბოლოს გზის მცველებმა მას ქურდობის დროს მიუსწრეს და მოკლესო.

პეტერბურგში სოლომონ II-ის ასეთი თავის მართლება არ დააჯერეს, რამაც იმპერატორის კარზე გამოიწვია იმერეთის მეფისათვის არასასურველი შეკვეთა—ლიონიძე უშედეგოდ გამოისტუმრეს[22]. მას ებრძანა „დაეტოვებინა პეტერბურგი“. საიმერეთოს საკითხის გადაჭრა კი, რისთვისაც იგი უმაღლეს მთავრობასთან იყო გაგზავნილი, მთავარმმართველ ციციანოვს მიანდეს[23]. საიმპერიო კიცე-კანცლერმა გრაფმა ვორონცოვმა 1803 წლის 23 დეკემბერს ციციანოვს აცნობა—„იმერეთის მფლობელის ვერაგობის მშვიდობიანი საშუალებებით გამოსწორება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ის აზიურად კარგად შეამჩნევდა მაშინ გახდება უვნებელი; ამ საქმეს თქვენ განდობთ, მის წარმოგზავნილს კი (სოლ. ლიონიძეს მ. გ.) განვუცხადებთ, რომ თქვენ უფლებამოსილი ხართ თქვენი შეხედულებისამებრ დაამთავროთ საქმე და თვითონ მასაც თქვენთან გამოვგზავნითო“[24].

პეტერბურგიდან ლიონიძის უშედეგოდ გამომგზავრებისთანავე იმპერატორმა მთავარმმართველს—ციციანოვს იმერეთის დაუყოვნებლივ ოკუპირება დაავალა[25], ამის შესრულებამდე კი ლიონიძე უნდა გაეჩერებინათ თბილისში[26]. ციციანოვი მაშინვე ვერ ახერხებდა იმერეთის დაპყრობას, ვინაიდან რუსეთის ჯარის თვალსაჩინო ნაწილი დაკავებული იყო სხვა ოპერაციებით.

როდესაც ლიონიძე პეტერბურგიდან თბილისში ჩავიდა, ციციანოვმა მასთან შეხვედრისას მოითხოვა რუსეთსა და იმერეთს შორის დასადები სამფარველო ტრაქტატის პროექტში ზოგიერთი მუხლის შეცვლა. მაგრამ ვინაიდან სოლ. ლიონიძეს არ შეეძლო ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილება მეფის გარეშე, ეს საქციელებელი გახდა მთავარმართველისა და სოლომონ II-ის შეხვედრა, რაც მოხდა სოფელ ვახანთან ელაზნაურის მინდორზე. ორივე მხარეს თან ახლდა ჯარები. ციციანოვმა, შესთავაზა სოლომონ II-ს რუსეთის მფარველობაში კი არა, არამედ პირდაპირ ქვეშევრდომობაში შესვლა. ეს იყო ადრე განზრახულთან შედარებით პირობის თვალსაჩინოდ გაუარესება. ამასთანავე დადებული იქნებოდა არა ტრაქტატი, არამედ სოლომონ II-ს უნდა დაეწერა თხოვნა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის სახელზე, ამ თხოვნაში ცალკე მუხლებად. ჩამოთვლილი იქნებოდა, თუ რა პირობით თხოულობდა ის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას, როგორც ქვეშევრდომს, მას, რასაკვირველია, უფლება არ ექნებოდა გარეშე სახელმწიფოებთან ურთიერთობა ჰქონებოდა და მას უარი უნდა ეთქვა სისხლის სამართლის საქმეების წარმოებაზედაც. მდგომარეობის თვალსაჩინოდ

---

[22] გ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 85; აქტები, ტ. II, გვ. 362, №726.

[23] იქვე.

[24] იქვე.

[25] აქტები, ტ. II, № 728, გვ. 363; შ. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატ. კულტურის მოამბე, ტ. VIII, თბ., 1940, გვ. 45.

[26] აქტები, ტ. II, № 728, გვ. 363.

[27] იქვე, № 729.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუარესებას წარმოადგენდა ის, რომ მეფე თხოულობდა ლეჩხუმის დამტკიცებას იმერეთზე, ციციანოვი კი ამაზე არ ეთანხმებოდა, ვინაიდან ლეჩხუმს ის უკვე დადიანს დაჰპირდა. რადგანაც მოლაპარაკება ჭიანურდებოდა იმპერატორის საიდუმლო მითითებით ციციანოვმა ბრძანება გასცა მეფის ჯარის შესვლის შესახებ იმერეთში[27]. დაიწყეს კიდეც ახლომახლო სოფლების დაფიცება რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. ეს ნიშნავდა სოლომონ II-ის უფლებების სავსებით უარყოფას. ამიტომ სოლომონ II იძულებული გახდა, 1804 წლის 25 აპრილს ხელი მოეწერა მუხლებზე, რომლითაც ის თხოულობდა რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღებას. სამაგიეროდ, ციციანოვმა სპეციალური მუხლით გურია აღიარა იმერეთის მეფის ხელქვეითად[28]. ხოლო ლეჩხუმის საკითხს გადაწყვეტდა რუსეთის იმპერატორი, როდესაც იმერეთის მეფე გაგზავნდა რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების შესახებ მადლობის გამოსაცხადებლად დეპუტაციას. ამ დეპუტაციით მას უნდა წარედგინა პეტერბურგში სათანადო წერილობითი საბუთები, რომ ლეჩხუმი, მართლაც, იმერეთს ეკუთვნოდა. ფაქტიურად ეს ნიშნავდა ლეჩხუმის დაკარგვას, რაც სოლომონ II-ეს და მის მრჩევლებს კარგად ესმოდათ.

ამგვარად, 1803 წელს იმერეთის მესვეურთა მიერ გადადგმული ნაბიჯი—შეკვროდნენ რუსეთს თავისთვის ხელსაყრელ პირობებში მფარველობის საფუძველზე შინაგანი მართებლობის შენარჩუნებით და ამასთანავე მთელი დასავლეთ საქართველოს სამთავროების იმერეთის მეფისთვის დამორჩილების პირობით, გათავდა სრული მარცხით. იმერეთი დაუკავშირდა რუსეთის იმპერიას, მაგრამ არა მფარველობის, არამედ სრული ქვეშევრდომობის საფუძველზე. შინაგანი მმართველობა მართალია რჩებოდა მეფეს, მაგრამ სისხლის სამართლის საქმეები უნდა გაერჩია რუსეთის ჯართან მყოფ რუსულ სასამართლოს, თუმცა პრაქტიკულად ეს 1810 წლამდე, იმერეთის რუსეთთან შეერთებამდე არ განხორციელებულა. რუსეთის წარმომადგენლად იმერეთში ლიტვინოვი დაინიშნა, რომელსაც განკარგულებაში ჰყავდა სამხედრო რაზმი[29].

ნდობითი ურთიერთობა, ერთი მხრივ, იმერეთის მეფესა და მის საბჭოს და, მეორე მხრივ, მთავარმმართველს შორის ამ ნაძალადევად დადებული ხელშეკრულების შემდეგ, რასაკვირველია, ვერ დამყარდა. კერძოდ, ლეჩხუმის საკითხში ციციანოვი იჩენდა ამკარა ორჭოფობას. ლეჩხუმის გადაცემას იგი სამგრელოს მთავარს შეჰპირდა, რადგანაც არ უნდოდა იმერეთის გაძლიერება. ციციანოვი ასე მსჯელობდა: „ლეჩხუმი შეუძლებელია მთლად ჩამოერთვას სამეგრელოს მთავარს, ამიტომ გაგყოთ ლეჩხუმი, რომ ამ დაყოფით ორივე მხარე დაეძლურდესო"[30].

ამ გარემოებამ და სხვა პირობების დარღვევამ, ამასთანავე აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ და ლიტვინოვის მითითებით იმერეთში შესული. მეფის რაზმის მიერ ლეჩხუმის ციხე-სიმაგრეების დაკავებამ, სოლომონი და მისი საბჭო სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და რუსეთისადმი გაარღვულა[31].

ხელშეკრულების თანახმად, მეფეს, როგორც ქვეშევრდომს, პეტერბურგში

[28] აქტები, ტ. II, № 1061, გვ. 543.

[29] იქვე, № 754, გვ. 379.

[30] იქვე, № 759, გვ. 381.

[31] Пирцхалашвили А. Г., Имеретия и Гурия в период 1804—1840 г., материалы по истории Грузии и Кавказа, 1942, вып. I, стр. 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპერატორთან დებატობა უნდა გაეგზავნა მადლობის გამოსაცხადებლად ქვეშევრდომობაში იმერეთის მიღების გამო. მაგრამ წლების მანძილზე ის ამისავან თავს იკავებდა.

1806 წელს ციციანოვი მოკლეს ბაქოში[32]. ამის შემდეგ, კავკასიის მთავარმართებლად დანიშნულ იქნა გენ. გუდოვიჩი[33], ხოლო ოდიშსა და იმერეთში გაძლიერებს მეფის ჯარი, რომლის სათავეში ახლა გენერალი რიკჰოფი იდგა[34]. განსაკუთრებით ქუთაისის მახლობლად ჯარების მატებამ დაარწმუნა სოლომონი, რომ მის მიერ თბილისიდან საიდუმლოდ მიღებული ცნობები რუსების მიერ მისი შეპყრობის განზრახვის შესახებ სიმართლეს მოკლებული არ იყო. ამიტომ ამ პირველივე ხანებში მას მთლიანად დაეკარგა რუსეთის ადგილობრივ წარმომადგენლობისადმი ნდობა.

იმერეთის სამეფო ჩამორჩენილი ფეოდალური მმართველობის მქონე იყო. წამყვანი როლი ადგილობრივ საქმიანობასა და პოლიტიკაში ჰქონდათ თავადებს, რომელთა რაოდენობაც 150 კომლს არ აღემატებოდა. მათ შორის პირველი ადგილი ეკავათ წერეთლებსა და წულუკიძეებს. საწერეთლო საგვარეულო სამფლობელო შეიცავდა სათავადო გლეხებს და სათავადო აზნაურებს მათი გლეხებითურთ ათასამდე კომლს, ხოლო საწულუკიძო რვასაზე მეტ კომლს. ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობა მეფის კარზე თავადებს ეკავათ. მეფესთან არსებულ რჩევაში, სამიოდე სამეფო აზნაურის გარდა ყველა 30-ოდე თავადი და თავადიშვილები იყვნენ. მეფის ძალაუფლება პასუხობდა თავადების. უკეთ პირველხარისხოვანი თავადების ინტერესებს. თავადები კი უაღრესად დაინტერესებული იყვნენ არსებული წდგომარეობის შენარჩუნებით, რადგანაც მეფობის გაუქმება და რუსული მმართველობის დამყარება მათ ძალაუფლებას და შემოსავლიან ადგილებს დაუკარგვინებდა. ასევე აზროვნებდნენ თავად-აზნაურნიც, რომელთაგან რიგრიგობით ასი კაცის რაოდენობით გამოდიოდა მეფის კარზე მყოფი მუდმივი მცველი რაზმი. მეფის კარზე ყოფნისას ისინი სახელმწიფო კმაყოფაზე იყვნენ. ამ მიზეზებით თავადები და აზნაურნი იცავდნენ იმერეთის ავტონომიას და რუსული მართებლობის დამყარების წინააღმდეგ იყვნენ გაწყობილნი.

თაობათა მანძილზე თავადებს მოპოვებული ჰქონდათ დიდი გავლენა ხალხის ფართო მასაზე. მუდმივმა გარეშე და შინაურმა თავდასხმებმა, გამუდმებულმა შიშიანობამ და საფრთხემ მიაჩვია გლეხი იმ აზრს, რომ ისევ მებატონის მფარველობით და მისი დახმარებით თუ შეძლებს თავის და თავისი ოჯახის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას. ასეთ პირობებში თავადებს ადვილად შეეძლოთ თავისი ინტერესების სასარგებლოდ აემოქმედებინათ არა მარტო აზნაურები, არამედ გლეხების უმეტესობაც, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე შემთხვევებში გლეხები აშკარად გამოდიოდნენ თავიანთი მებატონეების წინააღმდეგ, ხოლო გარბოდნენ კიდეც ჰათგან (ასე, მაგ., სარდალს თავ. აგიაშვილს 1807 წელს გაექცნენ გლეხები და გადავიდნენ ქართლ-კახეთში).

ხსენებული ხანის გამტარებელ თავადთაგან გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ თითო-ოროლა, მათ შორის რუსული ენის მცოდნე პირველი თავა-

---

[32] დ. ბატონიშვილი, ახალი ისტ., თბ., 1941, გვ. 32; ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოცემა, თბ., 1962, გვ. 197.

[33] იქვე.

[34] იქვე, გვ. 194.

დე, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, რომელიც რუსეთის ორიენტაციის იყო[36], როგორც რუსეთში ნამყოფი პირი, ის რუსული წესების დიდი მომხრე იყო. საჩხერეში თავისი სასახლე მას ევროპულად (რუსულად) ჰქონდა მოწყობილი. ძლიერ მოსწონდა რუსული ბატონყმობის წესები, რომელთა მიხედვით მებატონეებს თავიანთ გლეხებზე ბევრად მეტი უფლება ჰქონდათ, ვიდრე ეს იმერეთში იყო. ამით აიხსნება, რომ როდესაც უკვე სოლომონ II ჩამოგდებული იქნა, ზურაბ წერეთელი არასწორად არწმუნებდა რუსული ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ იმერეთში მებატონეების გლეხებზე განუსაზღვრელი უფლებანი აქვთო. ამგვარად, ზურაბ წერეთლის რუსული ორიენტაციისათვის სოციალურ საკითხსაც ჰქონდა მნიშვნელობა. 1808 წლიდან ის რუსეთის ხელისუფლების მიერ პოლკოვნიკის ჩინით იყო დაჯილდოებული[36]. გარდა ამისა, ზოგი რუსი სამხედრო პირი ზურაბ წერეთელს იმედებდა კიდეც, რომ სოლომონ II-ის გადაგდების შემთხვევაში მას იმერეთის მმართველად დანიშნავდნენ[37]. 1807 წლის 26 ივნისს ზურაბ წერეთელს ასეთ დაპირებას თავის საიდუმლო წერილში აძლევდა რუსის ჯარის უფროსი დას. საქართველოში გენ. ფონ-რიკჰოფი. ამით ზურაბ წერეთელს მართალია ჯარის უფროსის სახელით, მაგრამ მაინც შეფის ადგილის დაკავების იმედი ჩაესახა. ეს იმედი იყო ფუჭი, რადგანაც რუსული მმართველობის სისტემის მიხედვით ამის გარანტირება ზურაბ წერეთლისათვის გენ. რიკჰოფს თავისი მდგომარეობით არ შეეძლო, მაგრამ თავისთავად ასეთმა დაპირებამ მაინც იქონია თავისი შედეგი—ზურაბ წერეთელი ამის შემდეგ გადაიქცა მთავარმართველის ერთგულ მსახურად და საიდუმლოდ ცდილობდა მეფის დაღუპვას.

სახლთუხუცესის გადაბირებას რუსული ადმინისტრაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა[38]. როგორც უდიდესი მემამულე, თავად წერეთლების გვარის მეთაური და სამეფოს პირველი ხელისუფალი, ის დიდი გავლენით სარგებლობდა და მის გადახრას რუსეთისაკენ ბუნებრივად მოყვა ზოგი სხვა გავლენიანი პირის გადაბირებაც. ამათ შორის იყვნენ ოტია და სეხნია წულუკიძეები და გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე. ამგვარად, ერთიანობა სამეფოს დაცვის საქმეში შიგნით თანდათან ირღვეოდა.

მაშინ, როდესაც თავადებს შორის იმერეთში რუსებმა უკვე შექმნეს თავის მომხრეთა ჯგუფი, ხალხის განწყობილება სულ სხვა იყო. ჯარის მომატებასთან ერთად ხალხმა იმერეთში განიცადა ყველაფერი ის, რაც სასოწარკვეთილებაში აგდებდა ქართლ-კახეთის გლეხობას: ოფიცერ-სალდათების მიერ სურსათ-სანოვაგის, ღვინის, შინაური ფრინველის წართმევა და სხვა ძალადობა, საბეგრო ურმების და ცხენების და მათ გამყოლთა გამოყვანა მოსახლეობიდან ისევე ფასგადაუხდელად, როგორც ეს ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენდა ქართლ-კახეთში[39]. მართალია, იმერეთში ჯარი შედარებით ცოტა იყო და ამდენად ნაკლებ საშიშროს უნდა ყოფილიყო მათი თარეში, მაგრამ მოსახლეობა ამის მიხედვითაც ცხადად რწმუნდებოდა, თუ რა მოელოდა მას. უკეთუ ადგილობრივი მმართველობის მაგივრად დამყარდებოდა რუსი ჩინოვნიკების ბატო-

---

[35] ო. სოსელია, წერეთლიანთ სათავადოს ისტორიიდან, ანალები, I, თბ., 1947, გვ. 259.
[36] აქტები, ტ. III, № 290, გვ. 156.
[37] იქვე, გვ. 156 და შმდ.
[38] ო. სოსელია, წერეთლიანთ სათავადოს ისტორიიდან, ანალები, I, თბ., 1947, გვ. 263.
[39] დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თბ., 1941, გვ. 40—41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობა. ასეთ შემთხვევებში სოლომონი ცდილობდა დაჩაგრულთა დაცვას, მაგრამ ამაოდ. მაგ. სოლომონ II 1808 წ. 29 აპრილს სწერდა მთავარმართველს გრაფ გუდოვიჩს: „აწცა მუნ (ქუთაისს) მოსრულთა მხედრობათა—დაუთმენელად შეაწუხეს მსახლობელნი სოფელნი ცემითა, მძლავრებითა და წართმევითა. მრავალგზის მოგახსენეთ და აწცა ესე არს მწუხარება ჩემი, რომ ესოდენთა წელიწადთა შინა ითმენენ დიდთა განმწარებათა და აწ ესოდენსა ზომასა შინა შესრულ არს განმწარება საზოგადოებისა, რომელ უკეთუმცა დაითხია სისხლი ერთი, (ე. ი. თუ ვინმე კიდევ დაჭრეს ან მოკლეს რუსთ სამხედროებმა), ვინვიდის სრულად ერს არ გასწყვეტთ მთლად იმერეთისას, შფოთი ძნელად დასცხრება. ამას ერთგულად და გულწრფელობით მოგახსენებთ და ნება თქვენია“[40].

იმდროინდელ ვითარებას პროფესორი მამია დუმბაძე შემდეგნაირად ახასიათებს: „იმერეთის მოსახლეობის უკმაყოფილება თანდათან მატულობდა. აქაც ისინა თავი რუსი სამხედრო მოხელეების ძალადობამ—იმერეთშიაც ისინი იძულების წესით მოითხოვდნენ გლეხთაგან ჯარებისათვის საჭირო სურსათს, ურმებს, ცხენებს, სამსახურს. გლეხობის ძველ ბატონყმურ უღელს ახლა კოლონიური ჩაგვრაც ემატებოდა. ბეგარაგადნენ მეფის ნოშხრე თავად-აზნაურებიც, რომლებმაც ძველი პრივილეგიები დაკარგეს. ამრიგად, იმერეთში საყოველთაო უკმაყოფილება შეიქმნა. გაბატონებული და დამონებული კლასები, მიუხედავად მათ შორის არსებული კლასობრივი შუღლისა, დროებით, მაგრამ, მაინც ერთად გამოდიოდნენ უცხოური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში“[41].

იმერეთის მესვეურნი კარგად გრძნობდნენ, რომ იმერეთი დამოუკიდებელ არსებობას ვერ შესძლებდა[42]. ამიტომ ისინი პრინციპულად არ იყვნენ რუსეთთან დაკავშირების წინააღმდეგნი. მაგრამ მათ სურდათ, რომ 1804 წლის ეგრეთწოდებული „თხოვნითი სუფლები“ შეცვლილი ყოფილიყო ახალი ხელშეკრულებით, რომელიც იმერეთის მეფის ქვეშევრდომობით მდგომარეობას შეცვლიდა რუსეთის მფარველობით. არსებითად ისინი მოისწრაფოდნენ რუსეთთან დაახლოებით ისეთი ურთიერთობის დამყარებისაკენ, რომელიც განსაზღვრული იყო ქართლ-კახეთის მიმართ 1783 წლის ტრაქტატით. შემდეგ იმერეთის მეფემ და მისმა საბჭომ ოფიციალურად დააყენეს საკითხი ხსენებული თხოვნითი მუხლების ახალი ხელშეკრულებით შეცვლის შესახებ. მაგრამ ეს შუამდგომლობა შეიჩერეს და პეტერბურგში არც გაუგზავნიათ.

საქართველოში მთავარმართველები გუდოვიჩი და შემდეგ ტორმასოვი აცილებდნენ სოლომონ მეფეს და დას. საქართველოში ჯარს ამრავლებდნენ. ამიტომ სოლომონმა ორჯერ შეკრიბა 5 ათასამდე იმერელი, რომელთაგან საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს ახნაურები შეადგენდნენ. ამ შეყრილობამ თავადების ზეგავლენით ერთხმად დაიფიცა სოლომონ II-ის ერთგულებაზე[43]. გარეგნულად იმერეთში თითქოს იყო რუსეთის საწინააღმდეგო ერთსულოვნება. მაგრამ მეფის მთავრობამ თბილისიდან ნაცად ხერხს — ქრთამს და ჯილდოების დაპირებას მიმართა.

---

[40] ცსია, ფ. 2(1) 154, ფურც. 206.

[41] მ. დუმბაძე. იმერეთის სამეფოს გაუქმება და გურია-აფხაზეთის შეერთება რუსეთთან, საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 407.

[42] იხ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინსტ.-ის ბიბ-ში დაცული ბელნაწერი გამოუქვეყნებელი ნაშრომი: Князь Николай Константинович Имеретинский—Багратиды в России, СПб., 1885 г., стр. 3.

[43] Чудинов В., Имеретинская неурядица в 1809 — 1810 годах, Кавказский Сборник, т. XV, Тиф., 1894, стр. 281.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, როგორც ზემოთ იყო ლაპარაკი, განწყენებული იყო სოლომონ II-ზე და მის მომხრეებზე იმითაც, რომ მთავარი საკითხები ახლა თითქმის მთლიანად მდივანბეგ სოლომონ ლიონიძის[44] და სარდალ ქაიხოსრო წერეთლის ხელში იყო. ზოგი წულუკიძეთაგანიც ფულით მოსყიდული იყო რუსეთის მთავრობის მიერ და ამზადებდნენ ნიადაგს იმერეთის გადასაცემად რუსეთისათვის.

სოლომონმა და მისმა საბჭომ 1808 წელს უკანასკნელ გამოსავალს მიმართა: შექმნილი მდგომარეობის შესახებ მისწერა იმპერატორს, თუ როგორ თვითნებობდნენ რუსეთის ადგილობრივი წარმომადგენლები, რომ ისინი ყოველ ნაბიჯზე თელავდნენ სოლომონ II-ს უფლებებს. ამიტომ ის თხოულობდა ხელშეკრულებაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანას. მაგრამ ამ წერილს იმპერატორ ალექსანდრე I-მდე არ მიუღწევია.

რა თქმა უნდა, ხსენებული წერილი კიდეც რომ მიეღო იმპერატორს, იმერეთის სამეფოს არას უშველიდა, ვინაიდან რუსეთის თვით ცენტრალური მთავრობის უშუალო მითითებით და დასტურით ხდებოდა ყველაფერი ეს.

ამგვარად უკანასკნელი იმედიც გაუცრუვდა მეფეს, როშელიც ხედავდა, თუ როგორ კარგავდა ძალაუფლებას, მაგრამ მაინც ყოველნაირად იგერიებდა ადგილობრივი და თბილისელი რუსი სამხედრო მოხელეების ერიშებს, მისი სამეფოს გაუქმებისაკენ მიმართულს.

1809 წლის 28 აპრილს ტორმასოვმა მეფე სოლომონს წერილით აცნობა, რომ ხელმწიფე იმპერატორი გაკვირვებული იყო ჯერ კიდევ ცნობანოვთან დადებული შეთანხმების შეუსრულებლობით, რომლის მიხედვით სოლომონ მეფეს პეტერბურგში დეპუტატები უნდა გაეგზავნა[45]. ამავე წერილში ტორმასოვი მეფისაგან მოითხოვდა მძევლების გაგზავნას თბილისში, რომელთა შორის მეფის ძე კონსტანტინეც უნდა ყოფილიყო. მეფის უკმაყოფილების შესახებ ტორმასოვი წერდა: ლეჩხუმის საკითხს გადასწყვეტდა თვით იმპერატორი, რომელსაც საჭირო საბუთებს გადასცემდნენ მეფის მიერ წარგზავნილი დეპუტატები პეტერბურგში[46]. ჯარების მიერ დაკავებული მეფის სასახლე ქუთაისში უკვე განთავისუფლებულია და ჯარი იქიდან გაყვანილია, ხოლო თუ სასახლეში რაიმეა დაზიანებული, ეს არ უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ მეფეს ფიცი გაეტეხა[47].

თუ მეფე ზემოაღნიშნულ მითითებებს შეასრულებდა, იგი ჰპირდებოდა ქუთაისიდან ჯარების გაყვანას, გარდა მცირე ნაწილისა, რომელიც, მისი აზრით მეფეს სარგებლობის მეტს არას მოუტანდა. თბილისში მყოფ მაღალ რუს მოხელეთა შორის თავისი მტრობით იმერეთისადმი გამოირჩეოდა ლიტვინოვი, რომელიც 1804—1806 წლებში რუსეთის წარმომადგენლად იყო იმერეთში, ხოლო ახლა სამოქალაქო საქმეების მმართველად—გუბერნატორად იყო ქართლ-

---

[44] ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ერეკლე II-ს დროს, 1801 წელს აღმ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გადავიდა იმერეთში სოლომონ II-ის სამსახურში. 1810 წელს გაიქცა იმერეთიდან, გარდაიცვალა 1811 წელს ახალციხეში.

[45] Чудинов В., Имеретинская неурядица в 1809—1810 годах. Кавказский Сборник, т. XV, Тиф., 1894, стр. 272, 281; იქტები, т. IV, გვ. 219, № 309.

[46] იქტები, ტ. IV, № 306, გვ. 223.

[47] იქვე, გვ. 193.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახეთში. ლიტვინოვს აუცილებლად მიაჩნდა ქუთაისში მეფის ჯარების ყოფნა, რათა სოლომონი და მისი საბჭო ყოველთვის შიშის ქვეშ ჰყოლოდათ.

„სანამ იმერეთში მეფეა, იქ არ შეიძლება იყოს სიმშვიდეო“[48], წერდა ის. ე. ი. ამტკიცებდა იმერეთში რუსეთის ჯარების აუცილებლობას და მეფის სამუდამოდ მოცილების საჭიროებას. ლიტვინოვს შეუძლებლად მიაჩნდა იმერეთიდან კეთილი ნებით გამოეწვიათ მეფე რუსეთში გადასასხლებლად, რადგან ის ამაზე არ დასთანხმდებოდა. ლიტვინოვი აცხადებდა, რომ მან ორი წლის მანძილზე იმერეთში ყოფნის დროს მხოლოდ ხუთჯერ შესძლო მისი ნახვა.

ტორმასოვიც ლიტვინოვის აზრის იყო[49]. რიკჰოფი ოდიშში გარდაიცვალა და ღას. საქართველოში განლაგებულ ჯარების უფროსად ქართველი გენ. ორბელიანი დაწინაურებულ[50]. სოლომონ მეფე ამ დროს საცხოვრებლად ქუთაისიდან დიდი ხანია ვარციხეში იყო გადასული, სადაც მას ყოველთვის შეეძლო გაუვალსა და დაბურულ ტყეებში დაეფარა თავი. მას თან ჰყავდა შეიარაღებული რაზმიც. ამიტომ ტორმასოვი არ მალავდა იმერეთის საკითხის მოგვარებასთან უკავშირებულ სიძნელეებს. კანცლერ გრაფ რუმიანცევისადმი პეტერბურგში მიწერილ ოფიციალურ წერილში ის აშკარად გამოთქვამდა თავის და წინამორბედთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ისინი უძლურნი იყვნენ მშვიდობიანი გზით სოლომონი ჩამოეცილებინათ იმერეთისათვის.

ასეთ პირობებში ტორმასოვმა გადაწყვიტა წერილობით მიემართა იმერეთის სასულიერო წოდებისა და თავად-აზნაურობისათვის, რათა მათ თავიანთი მეფე დაერწმუნებინათ იმპერატორისადმი ერთგულების აუცილებლობაში. მართლაც, 1809 წლის 2 მარტს ტორმასოვმა გააგზავნა იმერეთში ღია მიმართვა ზემოთ ხსენებულ წოდებათა წარმომადგენლებისადმი, რათა მათ თავიანთი ღა აგრეთვე სამშობლოს საკეთილდღეოდ შეეცადათ სოლომონის რუსეთისადმი მტრული დამოკიდებულება, რომ იმერეთის მეფეს გაეგზავნა დეპუტატები პეტერბურგში, ხოლო თბილისში კი მძევლები, თვითონაც დარჩენილიყო რუსეთის იმპერიის ერთგული და ნდობით მოპყრობოდა რუსეთის ხელისუფლებას.

ტორმასოვმა იცოდა, რომ იმერეთის მეფის მიერ ფიცის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მიზეზი იყო ლეჩხუმის საკითხის მოუგვარებლობა. ამას იმერეთის სახლუხუცესი თავადი ზურაბ წერეთელიც იტყობინებოდა, მაგრამ ამ საკითხის საბოლოო დამთავრება, მისი სიტყვით, გვიანდებოდა დეპუტატების გაუგზავნელობით, რომლებსაც უნდა გადაეცათ იმპერატორისთვის სათანადო საბუთები ლეჩხუმის შესახებ.

ოთხი დღის შემდეგ, 1809 წლის მარტში, ტორმასოვმა გენერალ-მაიორ ორბელიანს მისწერა წერილი, რომლითაც ავალებდა—მიეღო ყოველგვარი ზომები მეფე სოლომონის რუსეთის მხარეზე გადმოსაბირებლად. ამ მიზნის მისაღწევად ნებას აძლევდა მას წასულიყო ზოგიერთ დათმობაზეც, თუ კი ამით რუსეთის ინტერესებს ზიანი არ მიეცემოდა.

დათმობები ტორმასოვის მხრივ გამოიხატებოდა შემდეგში: მეფე ქუთაისში საცხოვრებლად უნდა გადასულიყო თავისი ნებით, ქუთაისიდან კი სამაგიეროდ გაიყვანდნენ ჯარს (გარდა ერთი ასეულისა), მაგრამ არა შორს მან-

[48] აქტები, ტ. IV, გვ. 4.

[49] იქვე, № 284, გვ. 201.

[50] ნ. დადიანი, ქართველი ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოცემა, თბ., 1962, გვ. 199.

ძილზე, არამედ ქალაქთან ახლოს, სადაც ჯარის მთელი ნაწილი ერთად იქნებოდა და არა პატარა-პატარა დანაყოფებად.

ამის შემდეგ გენერალ-მაიორმა ორბელიანმა გამოაქვეყნა ტორმასოვის წერილი იმერეთის სასულიერო წოდებისა და თავადაზნაურობისადმი იმ იმედით, რომ აღნიშნული წოდების პირთა დახმარებით და ხუთრაბ წერილის მონდომებით მიღწეული იქნებოდა სასურველი შედეგი—მეფე იძულებული შეიქნებოდა გაეგზავნა დეპუტატები პეტერბურგში[51].

ტორმასოვის მიმართვის გამოქვეყნებამ უარყოფითი შედეგი გამოიღო. კერძოდ, მეფის საბჭოს წევრნი, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ მეფის პოლიტიკაზე, არწმუნებდნენ სოლომონ II-ს, რომ რუსეთის მთავრობა ამ მოწოდებით ფაქტიურად უკვე აღარ სცნობს მას კანონიერ მეფედ, ართმევს მას თავის უფლებებს და ამიტომაც მიმართავს პირდაპირ სასულიერო წოდებასა და თავადაზნაურობას იმავე მოთხოვნებით, რასაც ადრე მეფისაგან მოითხოვდა. ასეთ ვითარებაში მეფემ შეკრიბა თავადაზნაურობა და 5000-მდე იმერელი, რომელნიც გამოცხადნენ იარაღით და თავიანთ ნუზლით. შეკრებილებს დაუყენეს საკითხი: „ჰსურთ თუ არა რომ მათ ჰყავდეთ მეფედ სოლომონი“[52]. ყველამ ღადო ფიცი სოლომონის ერთგულებაზე. რის შემდეგაც სოლომონმა უარი განაცხადა მთავარმართველის მიმართ დათმობაზე წასულიყო.

ამის შემდეგ, ტორმასოვმა გენერალ მაიორ ორბელიანს წინადადება მისცა, თავი დაენებებინა თავაზიანი მოლაპარაკებისათვის ისეთ სუსტ ვასალთან, როგორსაც სოლომონ II წარმოადგენდა და კატეგორიულად მოეთხოვა მეფისაგან დეპუტატების საჩქაროდ გაგზავნა პეტერბურგში. ხოლო თუ მეფე კვლავ შეეცდებოდა სხვადასხვა მიზეზებით დროის გაჭიანურებას, ასეთ შემთხვევაში შეეწყვიტა მასთან ყოველგვარი ურთიერთობა, რის შემდეგ იგი მიიღებდა გარკვეულ ჩომებს ურჩი ვასალის წინააღმდეგ. აღნიშნულ მითითებას ტორმასოვმა მეორე დღესვე, 18 ივნისს, დამატებით საიდუმლო მიმართვა მიაყოლა, რომლითაც წინადადებას აძლევდა ორბელიანს, რათა ენახა მეფე და მიეცა მისთვის სამი ღღის ვადა დეპუტატების გასაგზავნად. ხოლო თუ მიცემულ ვადაში მეფე არ შეასრულებდა მითითებას, მაშინ მისი ასეთი მოქმედება ჩაითვლებოდა როგორც გადაწყვეტილი უარი დეპუტატების გაგზავნაზე[53].

ტორმასოვი ამასთანავე არიგებდა ორბელიანს, რომ გადმოებირებინა თავის მხარეზე ის პირნი, რომლებსაც გავლენა ჰქონდათ მოსახლეობაზე, აგრეთვე თავადაზნაურთა ის ნაწილი, რომლებიც მეფის უკმაყოფილონი იყვნენ. ტორმასოვი, როგორც ჩანს, რჩევა-დარიგებასა და მითითებებს არ აკლებდა გენერალ-მაიორ ორბელიანს, მაგრამ, დარწმუნდა რა უკანასკნელის მიერ მეფის დაყოლიების შეუძლებლობაში, 1809 წლის 10 ივლისს აცნობა კანცლერს გრაფ რუმიანცევს პეტერბურგში, ორბელიანის წინაშე დასახული მისიის უშედეგობა, რომ ორბელიანს აღნიშნულ საქმეში ჯერ კიდევ არავითარი მიღწევა არ ჰქონდა, რომ მან ვერ შეძლო ქუთაისში მეფის საცხოვრებლად გადაყვანაც კი[54].

საქმე იქამდე მივიდა, რომ მეფესთან პირველი შეხვედრის შემდეგ გენერალ-მაიორ ორბელიანს მეორედ შეხვედრაც კი გაუძნელდა. როდესაც ორბე-

---

[51] აქტები, ტ. IV, № 283, გვ. 200—201.

[52] იქვე, № 284, გვ. 201.

[53] იქვე, № 300, გვ. 218.

[54] იქვე, № 288, გვ. 206—207.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანი შეეცადა შეხვედროდა მეფეს, რომელიც 1000 კაცით იყო გარშემორტყმული. მას სოლომონთან მიახლების ნებაც კი არ მისცეს, ვინაიდან, როგორც შემდეგში გამოირკვა, მეფე დარწმუნებული იყო, რომ ორბელიანს ტყეში რაზმი ჰყავდა მის შესაპყრობად მომზადებული. ამიტომ ორბელიანი იძულებული იყო მოლაპარაკება ეწარმოებინა სხვების მეშვეობით. ამის საბაბით თითქოს მისი ჯანმრთელობისათვის მაღალ ადგილებში გადასვლა იყო საჭირო, სოლომონი გადავიდა მთებში და ორბელიანს შემოუთვალა, რომ პასუხს პეტერბურგში დეპუტატების გაგზავნის შესახებ 10 დღის შემდეგ გაცნობებთო[55].

ამგვარად, ყოველგვარი ცდა მეფის მხრივ რუსეთში დეპუტატების გაგზავნის მიმართულებით უშედეგო აღმოჩნდა. ამის შემდეგ შედგენილ იქნა ახალი გეგმა იმერეთის სამეფოს სალიკვიდაციოდ. მეფის წინააღმდეგ უნდა აემხედრებინათ გურიის მთავარი და რაჭის ერისთავის გვარისანი, რომლებიც მზად უნდა ყოფილიყვნენ იმავე დროს შეიარაღებული მოქმედების დასაწყებადაც[56]. გურიის მთავრის, ზურაბ წერეთლის, წულუკიძეების, რაჭის ერისთავის ჩამოშორების შემდეგ მეფეს ბევრი აღარ მიემხრობოდა. ის ერთგულთა მცირერიცხოვანი რაზმით განმარტოებული დარჩებოდა, რის შემდეგ მისი ძალით დამორჩილება ადვილი იქნებოდა[57]. ასე ვარაუდობდა ტორმასოვი.

თვით სამხედრო ოპერაციების გეგმა ასეთი იყო: ზურაბ წერეთლის სამფლობელოში უნდა დაებანაკებინათ 2 — 3 ასეული რაზმი, რომლის დახმარებით ზურაბ წერეთელი აშკარად იმოქმედებდა მეფის წინააღმდეგ და შეეცდებოდა თავის მხარეზე გადმოებირებინა ზოგიერთი უკმაყოფილო თავადი[58]. რაჭის ერისთავს მხარს დაუჭერდა ლეჩხუმში დაბანაკებული ჯარი. ხოლო თვით გენერალ-მაიორი ორბელიანი აფხაზების, მეგრელების, რედუტკალეს (ყულევის) ჯარების ნაწილით დაბანაკდებოდა მეფის სამყოფელთან ახლოს.

ტორმასოვის აზრით, სოლომონ II-ის ძალით ჩამოცილების შემდეგ იმერეთში უნდა შექმნილიყო დროებითი მართებლობა რუსეთის სამხედრო მოხელის მეთაურობით. ამის სისრულეში მოსაყვანად საჭირო გახდებოდა საქართველოს სხვა ადგილებიდან, ვითომცდა რედუტ-კალეს (ყულევის) გასამაგრებლად იმერეთში დამატებით შეეყვანათ სამხედრო ნაწილები; ჯარი სამხედრო მოქმედებას დაიწყებდა იმ შემთხვევაში, თუ კი იმერეთის მოსახლეობა გაბედავდა იარაღით ხელში გამოსვლას მეფის დასაცავად. ამის განსახორციელებლად ტორმასოვს 1809 წლის გაზაფხულზე უკვე ჰქონდა შემუშავებული გეგმა. ამ დროს სპარსეთსა და თურქეთთან დაძაბული საომარი მდგომარეობა იყო. ამიტომ ის მაინც ამჯობინებდა გენერალ-მაიორ ორბელიანისა და ზურაბ წერეთლის ღახმარებით იმერეთის სამეფოს სასულიერო წოდება და თავადაზნაურობა გადმოებირებინა რუსეთის მხარეზე, რის შემდეგ შეიძლებოდა მცირედი ძალდატანებით იმერეთის სამეფოს გაუქმებაც. მიმართულებით დასახული მიზნის მიღწევა[59]. ორბელიანმა ვერ შეძლო დაკისრებული ვალდებულების მინიმალურად

[55] იქვე. № 284, გვ. 201.

[56] იქვე, № 282, გვ. 200.

[57] იქვე.

[58] იქვე. № 286, გვ. 205.

[59] იქვე. № 289, გვ. 207.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესრულებაც კი, რის შემდეგ, ტორმასოვის აზრით, ორბელიანის გაჩერება ქუთაისში უკვე სარგებლობას მოკლებული იყო, მით უმეტეს, რომ მისი განზრახვა ძეფის ძალით ხელში ჩაგდების შესახებ გაიგო არა მარტო მეფემ, არამედ მოსახლეობამაც[60]. ამიტომ ტორმასოვმა უბრძანა ორბელიანს დაეტოვებინა ქუთაისი და წასულიყო რედუტ-კალში (ყულევში), ვითომდაც „თურქეთთან დაკავშირებული საქმის გამო". მეფის პოლიტიკაზე გავლენის მქონე პირებს კი შეუთვალა, განეგრძოთ მათდამი მიცემული დავალების შესრულება. ამ მითითების შესრულებამდე ტორმასოვის რჩევით ორბელიანს ყველაფერი საიდუმლოდ უნდა მოემზადებინა. ზურაბ წერეთლის დახმარებით მისი ახლო ნათესავის გურიელის, რაჭის ზოგი ძლიერი თავადის და იმერეთის გავლენიანი პირების გადმობირება დამთავრებული უნდა ყოფილიყო, რათა შემდეგ საჭირო შემთხვევაში მათ წინასწარ შეშფოთებული გეგმით ერთდროულად ემოქმედათ სოლომონ II-ის წინააღმდეგ. ტორმასოვი ამაოებდა გაეგზავნა იმერეთში დაბატებთ ერთი ბატალიონი არა უადრეს სექტემბრისა. ხსენებული ბატალიონის შესახებ კი უნდა გაეერცელებინათ ხმები, რომ ეს სამხედრო ნაწილი მადიოდა რედუტ-კალეში (ყულევში) დაბანაკებული ჯარების შესავსებად და ამავე დროს სამეგრელოს ღასაცავად ფოთის მხრიდან თურქების მტრული განზრახვისაგან (იმ დროს გავრცელებული იყო ხმები თურქების მზადების შესახებ რედუტ-კალესა და სამეგრელოზე თავდასასხმელად). რედუტ-კალეში წასვლისას ორბელიანს ქუთაისში უნდა დაეტოვებინა 2 ასეული და 50 ჯარისკაცი 2 ქვემეხით. რედუტ-კალეში კი უნდა გადაეყვანა 2 ასეული[61].

იმერეთის სამეფოში რუსეთის ხსენებული პოლიტიკის ნაკლები ზარალითა და ჩქარი ტემპით გატარებისათვის აღნიშნულ წლებში გარკვეულ როლს ასრულებდა თავადი ზურაბ წერეთელი, რომელმაც ტორმასოვის წინაშე მაინცდამაინც ვერ დაიმსახურა დიდი ნდობა. ამის მიზეზი იყო ხსენებული პირის ნაკლებად შედეგიანი საქმიანობა სოლომონ II-ის მიერ პეტერბურგში დაპატიჟების ჩაშავების საკითხში. ამიტომ ზურაბ წერეთელმა ტორმასოვის ნდობის მოსაპოვებლად 1809 წლის 30 იელისს გაუგზავნა მას წერილი, რომელშიც გამოხატავდა ხელმწიფე იმპერატორისადმი ერთგულებას; ამ წერილში ის სხვათა შორის წერდა: „...ვრჩები ერთგული ხელმწიფის, რომლისათვის ყოველ საათს მზად ვარ სიხარულით დავაქცინ სისხლი ჩემი და ჩემი შვილებისა"[62].

ზურაბ წერეთელი არწმუნებდა ტორმასოვს, რომ ამ უკანასკნელის წინამორბედები ცდიანობენ და გუდღვიჩი აფასებდნენ მის ერთგულებას და სცნობდნენ მას, როგორც იმერეთში რუსეთის პოლიტიკისათვის აუცილებლად საჭირო და უერთგულეს პირს. ის გამოსთქვამდა რწმენას, რომ ასევე დაიმსახურებდა ტორმასოვთანაც[63]. თავისი ერთგულების დასამტკიცებლად ზ. წერეთელი წერდა, რომ მას იმერეთის სამეფოში ნაწილობრივ წაართვეს, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ მომავალში სულ წაართმევდნენ თანამდებობას და ქონებასაც, როგორც რუსეთის ინტერესებისათვის ერთგულად მებრძოლ პირს[64].

---

[60] აქტები, ტ. IV, გვ. 4; შ. ჩხეტია. რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, ენის, ისტორიის და მატ. კულტურის მოამბე, ტ. VIII, თბ., 1940, გვ. 45.

[61] აქტები, ტ. IV, № 286, გვ. 205.

[62] იქვე, № 287, გვ. 206.

[63] იქვე.

[64] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთის მეფის წინააღმდეგ შემუშავებული გეგმის შესრულებისათვის ზურაბ წერეთელი სთხოვდა ტორმასოვს ერთ ბატალიონ ჯარს სიმონოვიჩის ან სხვა სამხედრო მოხელის ხელმძღვანელობით, რომელიც მისი მითითებით იმოქმედებდა. ამასთანავე ის თხოულობდა ფულსაც. რის შემდეგაც შეიძლებოდა მთავარმართებელს, მისი სიტყვით, „საქმე უკვე დამთავრებულად ჩაეთვალა“[65].

ორბელიანის მოხსენების საფუძველზე 1809 წლის 10 სექტემბერს ტორმასოვმა საჭიროდ ჩათვალა ეცნობებინა პეტერბურგში რუსეთის კანცლერ გრაფ რუმიანცევისათვის სოლომონ II-ის უკანასკნელი საქმიანობა, რომ მეფე იმერეთ-ახალციხის საზღვარზე შეხვდა ერეკლე II-ის სპარსეთში გადახვეწილ შვილს ალექსანდრეს, რომელიც ამას წინათ სპარსეთიდან ახალციხეში ჩასულიყო ფულით[66], რათა ემოქმედებინა ახალციხის ფაშა, იმერეთი და ოსეთი რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. მოლაპარაკების შედეგი ტორმასოვმა ვერ შეიტყო.

რამდენიმე დღის შემდეგ სოლომონ მეფემ ახალციხის ფაშას გაუგზავნა თავისი სიძე მალხაზ ანდრონიკაშვილი და თავადი რ. ნიჟარაძე, რომლებიც ტორმასოვამდე მისული ცხობებით, ემზადებოდნენ ირანში (ბაბახანთან) წასასვლელად. ძართალია, არ იყო ცნობილი, რა დავალება ჰქონდათ მათ მიცემული. მაგრამ იყო ხმები, ვითომც სოლომონი ახალციხის ფაშას დახმარებით თავდასხმას აპირებდა სურამში დაბანაკებულ რუსთა სამხედრო ნაწილებზე, იმერეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის გზის გადასაჭრელად[67].

ამგვარად, სოლომონ მეფე ცდილობდა გარეშე ძალების დახმარებით თავი დაეღწია მოახლოებული საშიშროებისაგან და ყოველგვარ ხერხს მიმართავდა თავისი ტახტის შესანარჩუნებლად.

11 ოქტომბერს ტორმასოვმა ორი ბატალიონით სურამში გამგზავრებულ პოლკოვნიკ სიმონოვიჩს აცნობა, რომ მის განკარგულებაში მყოფი ბატალიონებით გაემაგრებინა ორბელიანის ხელქვეით მყოფი ის სამხედრო ნაწილები, რომლებიც უკვე ერთ თვეზე მეტი იყო, რაც გარს შემორტყმოდნენ ფოთის ციხე-სიმაგრეს. აღნიშნული ოპერაციის შემდეგ კი, სიმონოვიჩი თავისი სამხედრო ნაწილებით უნდა დაბრუნებულიყო იმერეთში მთავარი საკითხის მოსაგვარებლად ე. ი. იმერეთის მეფის ხელში ჩასაგდებად[68]. ტორმასოვმა რჩევა-დარიგებისათვის პოლკოვნიკ სიმონოვიჩთან გაგზავნა ზურაბ წერეთლის სიძე—თავადი დავით თარხნიშვილი (თარხანოვი), რუსეთის ერთგული მოხელე და გამოცდილი პირი[69]. ტორმასოვი მიუთითებდა პოლკოვნიკ სიმონოვიჩს, რომ ყოველ მხრივ შეთანხმებულად, ერთდროულად ემოქმედა ზურაბ წერეთელთან, რომელსაც ძოქმედების გეგმა უკვე მიცემული ჰქონდა. ფოთისაკენ მიმავალ პოლკოვნიკ სიმონოვიჩის განკარგულებაში მყოფ ბატალიონებს იმერეთის ტერიტორიაზე უნდა გაევლოთ, რისთვისაც ხაენებული ჯარების გასატარებლად 1809 წლის 11 ოქტომბერს მთავარმართველმა წერილი მისწერა სოლომონ II-ს, რათა უკანასკნელს ხელი შეეწყო იმერეთის ტერიტორიაზე აღნიშნული ჯარების უვ-

[65] აქტები, ტ. IV, № 287, გვ. 206.

[66] იქვე, № 288, გვ. 207.

[67] იქვე.

[68] აქტები, ტ. IV, № 290, გვ. 207

[69] იქვე.

ნებლად გავლისათვის და იმავე დროს მათთვის სურსათითა და ტრანსპორტით აღმოეჩინათ დახმარება შეთანხმებული ფასების საფუძველზე[70].

ტორმასოვი ამასთანავე ცალკე წერილში ზუბაშ წერეთლს ჰპირდებოდა— იმერეთის საქმის მალე და კეთილად დამთავრებისთანავე ერთგული მოღვაწეობისათვის მომავალში იმერეთის გათვალისწინებულ დროებით მმართველობაში პირველი წევრობის ადგილი გექნებათო[71]. ტორმასოვს უნდოდა, რათა სოლომონი მოტყუებით გადაეყვანა ქუთაისში, თუ კი ეს შეაძლებელი გახდებოდა. ამის შემდეგ კი, წერდა ის, შეიპყრონ იგი (სოლომონი) და გააგზავნონ თბილისში[72].

ზემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს ტორმასოვის, როგორც რუსეთის იმპერატორის წარმომადგენელის, ორმხრივი პოლიტიკა, იგი უმტკიცებდა მეფეს, რომ ფიცის პირობათა შესრულების შემდეგ მას უფლებებსა და მის სამეფოს, იმპერატორის კეთილი ნების თანახმად, ვერავინ ვერ წაართმევდა[73].

მაგრამ აღნიშნულ წერილში მისი ყოველი მოქმედება მეფის მოტყუებისაკენ იყო მიმართული, რომ ამ უკანასკნელს დაეკმაყოფილებინა მთავარმართებლის მოთხოვნა, გადასულიყო ქუთაისში, რის შემდეგაც ხელსაყრელი მომენტისთანავე მას შეიპყრობდნენ და გააგზავნიდნენ თბილისში, საიდანაც გადაასახლებდნენ რუსეთში[74].

სოლომონ მეფე დათანხმდა გაეტარებინა რუსთა სამხედრო ნაწილები იმერეთის ტერიტორიაზე და უზრუნველეყო ისინი სურსათითა და საჭირო ტრანსპორტით[75], რისთვისაც 12 დეკემბერს ტორმასოვმა მადლობა შეუთვალა მას და კვლავ შეჰპირდა ყველაფერს, თუ კი პეტერბურგში დეპუტატებსა და თბილისში მძევლებს გააგზავნიდა.

აღნიშნული მადლობაც და დაპირებაც ტორმასოვის მხრივ სოლომონ მეფის მორიგი მოტყუების ახალ ცდას წარმოადგენდა. პოლკოვნიკი სიმონოვიჩი ტორმასოვისადმი 12 დეკემბერს მიწერილ წერილში იწონებდა ასეთ ცდას, როგორც დასახული მიზნის მიღწევის ერთადერთ გზას სისხლის დაუღვრელად. ხოლო თუ ეს არ მოხდებოდა, პოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა წარადგინა საბრძოლო მოქმედების გეგმა იმავე მიზნის ძალით მისაღწევად[76].

მალე გენერალ-მაიორი ორბელიანი თბილისში გაიწვიეს, მის მაგივრად კი დას. საქართველოში განლაგებული მეფის რუსეთის ჯარების უფროსად დანიშნეს პოლკ. სიმონოვიჩი[77]. გენერალ-მაიორ ორბელიანის თბილისში გამოძახებისთანავე ტორმასოვმა 16 დეკემბერს აცნობა სიმონოვიჩს, რომ რადაც არ უნდა დაჯდომოდა, დაეჩქარებინა მისთვის მიცემული ამოცანის შესრულება:

1. გადაეყვანა სოლომონ მეფე ქუთაისში საცხოვრებლად.
2. მეფეს უნდა გაეგზავნა დეპუტატები პეტერბურგში.

---

70 აქტები, ტ. IV, № 295, გვ. 211; № 290, გვ. 209.

71 იქვე, № 293, გვ. 210.

72 იქვე, № 290, გვ. 207; № 293, გვ. 210.

73 იქვე, № 290, გვ. 207.

74 იქვე.

75 აქტები, ტ. IV, № 295, გვ. 211.

76 იქვე, № 296, გვ. 212.

77 ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 201; აქტები, ტ. IV, № 297, გვ. 213.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. თბილისში მასვე უნდა გაეგზავნა მძევლები, რომელთა შორის იქნებოდა მეფის ძე კონსტანტინეც.

4. სოლომონ II-ეს პირობა უნდა დაედო, რომ ის არასოდეს არ გადაუხვევდა დადებული ხელშეკრულების თანახმად რუსეთის იმპერიის საუკუნო ერთგულების გზას[78].

დასასრულ, ტორმასოვი სიმონოვიჩს დასახული ამოცანის შესრულებას მარცვ მშვიდობიანი გზით ურჩევდა.

ზურაბ წერეთელს, რომლის დახმარებაზე ტორმასოვი იმედებს ამყარებდა, იმერეთის მოსახლეობამ მტრული თვალით დაუწყო ყურება. ამიტომ იგი 30 დეკემბერს ატყობინებდა ტორმასოვს: „...ჯერჯერობით არ შემიძლია აშკარად ვიმოქმედო, რადგან არ ვიცი თქვენდამი ერთგულებისათვის როდის მომკლავენო"[79]. იქვე თხოულობდა დამატებით სამხედრო ნაწილის გაგზავნას, რის შემდეგაც... „თქვენდა სასიხარულოდ ამ ზამთარსვე დამთავრდება იმერეთის საქმე"-ო[80]. ზურაბ წერეთელმა აცნობა ტორმასოვს, რომ თავად ორბელიანისაგან ძალებულ 340 ოქროს დაუმატა თავისი საკუთარიც, რომელიც დასარჯა მეფის ზოგიერთი მრჩევლის მოსასყიდად და თხოვდა დამატებით მიეცათ მისთვის იმავე საქმისათვის საჭირო რაოდენობის ოქრო[81]. რასაკვირველია, ზ. წერეთლის შინა გამცემლური საქმიანობით მეფე სოლომონის მდგომარეობა უფრო გაუარესდა.

1809 წლის 12 დეკემბერს მეფისადმი მიწერილ წერილში ტორმასოვი მადლობას უხდიდა სოლომონს ფოთში წასული ჯარის უზრუნველყოფისათვის პურსათითა და ტრანსპორტით[82]. თავის პასუხში სოლომონ მეფე 1810 წლის 5 იანვარს გამოხატავდა იმ სიხარულს, რომელიც განიცადა ტორმასოვისაგან ძალებული მადლობის წერილით. მეფემ თავის წერილში აღუთქვა ერთგულება, თუ კი იგი რუსეთის მთავრობისაგან გარანტირებული იქნებოდა სამეფოს შენარჩუნებაში. შეეხო რა ტორმასოვის მიერ გაფრთხილებას, რომელიც ფიცის შესრულებაზე მიუთითებდა, მეფე წერდა, რომ ფიცით გათვალისწინებული მუხლები პირველად მათ (ტორმასოვმა და მისმა წინამორბედებმა, ე. გ.) დაარღვიეს, რამაც შექანიკურად გამოიწვია ფიცის შეუსრულებლობა მეორე მხარის მიერ[83].

ტორმასოვთან გენათელის მაგივრად, რომელსაც იგი ელოდებოდა, გამოცხადდა მთავარეპისკოპოსი სოფრომი. სოფრომმა ჩაიტანა მასთან მეფე სოლომონის წერილი, სადაც ჩამოყალიბებული იყო ახალი მუხლები, რომლის საფუძველზედაც მეფე კისრულობდა ხელმწიფე იმპერატორისადმი ერთგულებას[84]. მთავარეპისკოპოსმა სოფრომმა ტორმასოვს გადასცა იმერეთის თავადაზნაურთა თხოვნაც, მეფედ დაეტოვებინათ სოლომონი.

ტრაქტატის ახალი მუხლები და თავადების თხოვნაც ტორმასოვმა მიიჩნია, როგორც დროის მოგებისაკენ გამიზნული მეფის მორიგი თვალთმაქცობა. ტორმასოვმა უარი განაცხადა, როგორც 1810 წლის 5 იანვრის, ისე მთავარეპი-

---

78 აქტები, ტ. IV, № 297, გვ. 213.

79 იქვე, № 298.

80 იქვე.

81 აქტები, ტ. IV, № 298, გვ. 214.

82 იქვე, № 295, გვ. 211.

83 იქვე, № 299, გვ. 214—216.

84 იქვე, გვ. 217.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოპოსის საფრომის ხელით გადაცემულ სოლომონ მეფის მიერ ახლად ჩამოყალიბებული მუხლების მიღებაზე[85] იმ მოტივით, რომ ახლად წაყენებული მუხლების მიღების უფლება მას არ ჰქონდა, პეტერბურგში იმპერატორისათვის კი მათი გაგზავნა მიზანშეუწონლად მიაჩნდა, რადგანაც მისი სიტყვებით, ეს იქნებოდა ხელმწიფე იმპერატორის შეურაცხყოფა[86]. აღნიშნული უარის გასამართლებლად ტორმასოვი მიუთითებდა, რომ ძველსა და ახლად წარმოდგენილ მუხლებს შორის, მისი აზრით, არავითარი განსხვავება არ იყო, გარდა სამი მუხლისა: 1) ლეჩხუმის დაბრუნების, 2) სამეფო ნიშნების ბოძებისა და 3) სამეფო კარზე რუსეთის მინისტრის დანიშვნის შესახებ. ყველაფერს ამას მეფე იმპერატორისაგან ტრაქტატის შეუცვლელადაც მიიღებდა, თუ კი მეფე მძევლებს გაგზავნიდა თბილისში, გადავიდოდა საცხოვრებლად ქუთაისში და სჩქარად გაგზავნიდა დეპუტატებს იმპერატორთან, რომელსაც გადასცემდნენ საბუთებს, იმის დასამტკიცებლად, რომ ლეჩხუმი იმერეთის სამფლობელოში დარჩენილიყო[87]. 1810 წლის 15 იანვარს რუსეთის ჯარმა გენერალ-მაიორ ორბელიანის მეთაურობითა და გურიის მთავრის დახმარებით ფოთის ციხე აიღო, რამაც დააჩქარა იმერეთის სამეფოს ბედის გადაწყვეტა. ფოთის ციხის აღების შემდეგ იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობის მოსპობისათვის გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად შესაფერისი მომენტი უკვე დადგა. ტორმასოვი 1810 წლის 14 იანვარს სიმონოვიჩს თავაზობდა თავის მოსაზრებას სოლომონ მეფის წინააღმდეგ: შეერჩია ისეთი გზები უკეთესი წარმატების მოსაპოვებლად, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა მეფის ძალების დასუსტება. ფრიად სასარგებლო ნაბიჯად სთვლიდა; თუ კი დაარწმუნებდა მამია გურიელს, რომ ის გადასდგომოდა სოლომონს და ეკისრა ვალდებულება რუსეთის ურყევ ერთგულად დარჩენის შესახებ, რისთვისაც იმპერატორი მას მიანიჭებდა იმერეთისაგან ისეთივე დამოუკიდებლობას, როგორითაც სამეგრელოს მმართველი დადიანი სარგებლობდა. სიმონოვიჩს ამასთანავე მეფისათვის უნდა ჩამოეცილებინა რაჭის ერისთავები, რითაც საგრძნობლად დასუსტდებოდა იმერეთის მეფის ერთგულთა დასი[88].

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ტორმასოვმა საჭიროდ ჩათვალა, რათა სიმონოვიჩს ერთხელ კიდევ ეცნობებინა თავად ზურაბ წერეთლისათვის, რომ თუკი ის გადაიბირებდა რაჭის ერისთავებს, მომავალში არა თუ არაფერს დაჰკარგავდა თავის მამულებიდან, არამედ რაჭის მთელ ოლქს მას ჩააბარებდნენ[89]. ყველა ეს მითითებანი დაუყოვნებლივ უნდა მოეყვანა სისრულეში სიმონოვიჩს ისე, როგორც უკანასკნელი უკეთ მიიჩნევდა, შედეგი კი უნდა ეცნობებინა—საჩქაროდ. ტორმასოვმა ისიც აცნობა სიმონოვიჩს, რომ მას იმპერატორისადმი ერთგულ სამსახურად ჩაეთვლებოდა ისეთი მოქმედება, რომელიც განაპირობებდა გურიის გამოყოფას სოლომონ II-ის მმართველობისაგან. იმერეთის სამეფოში შემავალი გურიის ჩამოცილება დაასუსტებდა სოლომონ II-ს, რითაც სიმონოვიჩს საშუალება მიეცემოდა დამატებითი ჯარის დაუხმარებლად, მხოლოდ მის განკარგულებაში მყოფი სამხედრო დანაყოფებით საომარი მოქმედება

[85] აქტები, ტ. IV, № 295, გვ. 211.

[86] იქვე.

[87] აქტები, ტ. IV, № 306, გვ. 223.

[88] იქვე, № 300, გვ. 217, 218, 219.

[89] იქვე, გვ. 219.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეწყო მეფის წინააღმდეგ. ტორმასოვი იმავე დროს წერდა სიმონოვიჩს, რომ თუ კი მისი მოსაზრებით დასახული მიზნის მიღწევა სხვა გზებით არ მოხდებოდა, თუ არა აშკარა ძალის გამოყენებით და ამისათვის დამატებით ძალის მოშველიება შეიქმნებოდა საჭირო (ასეთი ძალა, ტორმასოვის სიტყვით, უკვე მზად იყო), ასეთ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა შთაგონებისა და დაჯერების მეთოდის გამოყენებაზე უარი ეთქვა[90].

ამრიგად, თუ ადგილობრივი გარემოების გათვალისწინებით სასარგებლო არ იქნებოდა იმპერიის ინტერესების თვალსაზრისით ზემოთ ნაჩვენები შთაგონების გამოყენება, მაშინ ტორმასოვი ავალებდა სიმონოვიჩს, ახალციხის ექსპედიციის საბაბით, შეერთებინა თავისი ორი პოლკი ბელევსკის პოლკის ორ ბატალიონთან, ამავე პოლკის მესამე ბატალიონი კი დაეტოვებინა ფოთსა და ყულევში (რედუტ-კალეში), შეერთებული ძალით მოულოდნელად გაერს შემორტყმოდა სოლომონის ადგილსამყოფელს და შეეკრა ის ადგილებიც, სადაც მოსალოდნელი იყო მეფის გაქცევა[91]. ალყაშემორტყმული მეფისათვის უნდა გადაეცათ რამდენჯერმე უკვე წაყენებული მოთხოვნები, რომლის საბოლოო დაკმაყოფილებისათვის უნდა მიეცათ სამი დღის ვადა, რის შემდეგაც იმერეთში უნდა გადმოქვეყნებინათ განცხადება სოლომონ II-ის გადაყენების შესახებ და დაეწყოთ სამხედრო მოქმედება[92].

გენერალ ტორმასოვის ამ მიმართვაში მოხსენიებული იყო ზურაბ წერეთელიც, რომელსაც იმედი უნდა ჰქონოდა, რომ სამეფოს გაუქმების შემდეგ ის რაჭის მმართველი გახდებოდა[93]. ამგვარად, თუ წინათ მთავარმართველი ზურაბ წერეთელს ჰპირდებოდა იმერეთის მართველობაში პირველ ადგილს (უფრო ადრე, სახელდობრ 1807 წელს, მეფის ჯარის უფროსი დას. საქართველოში გენერალი რიკჰოფი, როგორც მოხსენიებული იყო, იმავე პირს სოლომონ II-ის გადაყენების შემდეგ იმერეთის მმართველობასაც კი პირდებოდა), ახლა მასვე სთავაზობდნენ რაჭის გამგებლობას. ზურაბ წერეთელი მანამდისაც იყო რაჭის მოურავი და მრავალი წლის განმავლობაში რაჭის სამოურავო შემოსავლითაც სარგებლობდა. ამ დროს მას ეს მოურავობა ჩამორთმეული ჰქონდა ორპირობისათვის, მაგრამ მაინც ზურაბ წერეთლისათვის ხსენებული დაპირება არაფერს წარმოადგენდა. ეს ნიშნავდა, რომ იმერეთის სახლთუხუცესი, იმერეთის მმართველობის პირველი პირი, რომელსაც თავისი მდგომარეობით გავლენა ჰქონდა ოდიშისა და გურიის საქმეებზე, ამავე დროს იყო რაჭის მოურავიც, ახლა, სოლომონ II-ის ჩამოგდების შემთხვევაში, უნდა დასჯერებოდა რაჭის მაზრის კაპიტან—ისპრავნიკობას (კაპიტან—ისპრავნიკები იყვნენ ამ დროს ქართლ-კახეთში და საერთოდ რუსეთში, მაზრის უფროსები). ზურაბ წერეთლის მდგომარეობა გაუარესდა. ამიტომ მან ამჯობინა თავისი ხაზის შეცვლა უკვე სოლომონ II-ის სასარგებლოდ, მაგრამ უკვე გვიან იყო. რუსეთის სასარგებლო ჯაშუშობაში და საერთოდ, შინაგამცემლობის საქმეში ზურაბ წერეთელმა იმდენად ღრმად შეტოპა, რომ უკან დახევა მისთვის ძნელი აღმოჩნდა. ამიტომ ის კვლავ საიდუმლო ურთიერთობაშია რუსეთის სამხედრო ხელისუფლებასთან, მაგრამ

---

[90] აქტები, ტ. № 300, გვ. 218.

[91] იქვე.

[92] იქვე.

[93] იქვე.

იმავე დროს ცდილობს, როგორმე მოახერხოს კვლავ სოლომონ II-ის დატოვება მეფედ[94].

ამ დროს ტორმასოვს უკვე შემუშავებული ჰქონდა იმერეთის დაპყრობის გეგმა, რომლის პრაქტიკულად განხორციელებისათვის გადაწყვეტა გადასულიყო კვერ გორში. შემდეგ კი, ახალი გადაწყვეტილებით, სურამში, რათა ახლოს ყოფილიყო საქმის მსვლელობასთან[95]. 1810 წლის 20 იანვარს მან საბრძოლოდ მომზადებული ყველა სამხედრო ნაწილის განლაგებისა და მომავალი ოპერაციების გეგმაც კი გაუგზავნა პოლკოვნიკ სიმონოვიჩს, სადაც კითხულობთ:— „საომრად გამზადებული შტაბის ოფიცერთან მდგარი ეგერთა ბატალიონი ორი ქვემეხით დაიძვრის გორიდან. გაივლის სოფელ ალზე და კორტოხტისაკენ მიმავალი ჩავა ზურაბ წერეთლის მამულში: ორი ასეული ერთი ზარბაზნით გაეძგზავრება საჩხერისაკენ და ორი ასეულიც ზარბაზნით ჩავა სვირში. შტაბის ოფიცერთან მდგარი ეგერთა მეორე ბატალიონი ორი ქვემეხით გამოვა სურამიდან. იმავე ღღეს, შემომავალისაკენ მიმავალი გაივლის სოფ. ხეფნისხევზე. ამ ბატალიონის ორი ასეული თავისი ზარბაზნით იქ გაჩერდება, დანარჩენი ორი ასეული კი მეორე ზარბაზნით წავა ვახანისაკენ და ზედუბანის გავლით ჩავა ლომსიათხევში.

ამ ბატალიონებთან გაიგზავნონ ქართველების რაზმით გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (მარშალი) თავადი ამილახვარი, პოდპოლკოვნიკი თავადი ლუარსაბ ორბელიანი, მაიორი თავადი აბესალომ ბებუთოვი და კაპიტანი თავადი აბა-მელიქოვი.

პოლკოვნიკ სიმონოვიჩთან მყოფ ბატალიონთან ერთად წავლენ თავადი ელიზბარ ერისთავი, თავადი კაპიტანი თარხნიშვილი და თავადი ამირეჯიბი“[96].

1810 წლის 21 იანვარს ტორმასოვმა პოლკოვნიკ სიმონოვიჩის ხელით სოლომონ მეფეს ერთხელ კიდევ გაუგზავნა წერილი, რომელშიაც აღუთქვამდა, რომ იმპერატორი მას ყველაფერს აპატიებდა, თუკი შეასრულებდა შემდეგ მითითებებს:

1) წარმოედგინა სიმონოვიჩისათვის არა უგვიანეს სამი დღისა მძევლები და დეპუტატები, მითითებული პირების შემადგენლობით; რომელთაგან პირველნი გაეგზავნებოდნენ თბილისში, მეორენი კი ს. პეტერბურგში.

2) იმპერატორის ჯარისათვის სრული ნდობა გამოეცხადებინა და საცხოვრებლად ქუთაისში გადასულიყო.

3) ერთგულების ფიცის ქაღალდისა და რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მიღებისათვის მადლობასთან ერთად, წარმომადგენლებისათვის გაეტანებინა თხოვნა თავის ადრინდელ საქციელთა პატიების შესახებ და ხელწერილი, რომ არავითარ შემთხვევაში და არასდროს იმპერატორისადმი მიცემული ერთგულების პირობა არ იქნებოდა დარღვეული[97].

აღნიშნულ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, ტორმასოვი არ უმალავდა მეფეს, რომ იმპერატორის მითითების თანახმად ის გადაყენებული იქნებოდა ტახტიდან[98].

---

[94] აქტები, ტ. IV, № 293, გვ. 210; ო. სოსელია, წერეთლიანთ სათავადოს ისტორიიდან. ანალები. I, თბ., 1947, გვ. 265.

[95] აქტები, ტ. IV, № 301, გვ. 221; № 303, გვ. 322.

[96] იქვე, № 301, გვ. 221.

[97] იქვე, № 302, გვ. 221.

[98] იქვე, № 300, გვ. 219; № 302, გვ. 221

მეფისადმი აღნიშნული წერილის პარალელურად იმავე დღეს 1810 წლის 21 იანვარს ტორმასოვმა მიმართვა გაუგზავნა იმერეთის სასულიერო წოდებას, თავადაზნაურობას და მთელ მოსახლეობას, სადაც კვლავ იმეორებდა სოლომონის „მიუღებელ“ საქციელს, რომ მან ჯერ კიდევ ადრე რამდენჯერმე მიმართა რუსეთის მთავრობას თხოვნით, რათა მას იმერეთის სამეფო მიეღო მფარველობის ქვეშ, რაც უზრუნველყოფდა იმერეთის სამეფოს სიმშვიდეს. აღკვეთდა გარეშე მტრების თავდასხმებსა და ყოველგვარ ძალადობას აღნიშნული სამეფოს მიმართ; მეფის მრავალგზისი თხოვნა ამ საკითხზე მთავარმართებელი ციციანოვის დროს დაკმაყოფილებულ იქნა იმერეთის მიღებით რუსეთის ქვეშევრდომობაში, მაგრამ მეფემ წლების მანძილზე არ შეასრულა ფიცით დადებული თავისი პირობებიო[99].

ამ პრობლემაციაში იგრძნობოდა ავტორის უკმაყოფილო ტონი იმის გამო, რომ ვერც მისმა წინამორბედებმა და ვერც თვითონ ვერ შესძლეს დაეთანხმებინათ, ანდა იძულებული გაეხადათ მეფე, რათა მისადმი წაყენებული მოთხოვნები შეესრულებინა.

ტორმასოვს თავის პრობლემაციაში ჩამოთვლილი ჰქონდა მეფის მიერ სამეფოსა და ტახტის შენარჩუნებისათვის გადადგმული ყველა ნაბიჯი, რომლებსაც იგი იმპერატორისადმი ერთგულების საწინააღმდეგო ფაქტებად თვლიდა[100].

აქედან გამომდინარე ტორმასოვი წერდა, რომ იმერეთის ხალხის დასამშვიდებლად და საკეთილდღეოდ მას დავალებული ჰქონდა მეფე სოლომონის მოცილება იმერეთის სამეფოს მმართველობისაგან, როგორც „მისი საიმპერატორო უდიდებულესობის წმინდა ნების აშკარა მოწინააღმდეგისა“, რომ სოლომონმა დაარღვია ხალხის სიმშვიდე და მის მიერ დადებული ტრაქტატი, რომლის საფუძველზეც იმპერატორისადმი მუდმივი ერთგულების დასამტკიცებლად პეტერბურგში დეპუტატები უნდა გაეგზავნა[101].

„...ვასრულებ რა ჩვენი ყოვლად უაგზუსტესი თვითმპყრობელის ნებას, მისი მართლმსაჯულების კანონით, მე მოგმართავთ თქვენ—იმერეთის უკეთილშობილეს სასულიერო წოდებას, თავადაზნაურებს და ყველა ხალხს. ყოველად მოწყალისა და ჩვენი დიდი ხელმწიფე იმპერატორის სახელით მოგიწოდებთ თქვენ, უყოყმანოდ მიიღოთ მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ქვეშევრდომობის სამარადისო ერთგულების ფიცი, უსათუოდ იცნოთ და დაიმორჩილოთ ერთიან და აუცილებელ უმაღლესი ხელისუფლების ნებისშემძლე და უძლიერეს რუსეთის ხელმწიფე იმპერატორს და ამიერიდან სამუდამოდ უარყოთ ყოველნაირი დამოკიდებულება თქვენს ყოფილ მეფე სოლომონთან, რომელიც მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მართლსაჯულებით მოცილებული იქნა თქვენი მმართველობისაგან; უნდა სამუდამოდ შესწყვიტოთ მასთან ყოველგვარი აშკარა და საიდუმლო კავშირი, ურთიერთობა, მოლაპარაკებაც კი, რის გამოც გაფრთხილებაც გარდაუვალ უბედურებას გამოიწვევს თქვენთვის“[102].

მეფის მოცილებისთანავე ტორმასოვი ჰპირდებოდა იმერეთის „საკეთილდღეოდ“ შეექმნა იმერეთის დროებითი მმართველობა, რომელიც არჩეული იქნებოდა იმერეთის საპატიო თავადთა წრიდან და იმერეთის საქმეებს წარმარ-

[99] იქვე, № 300, გვ. 219.

[100] იქვე, გვ. 219.

[101] იქვე, გვ. 219; შ. ჩხეტია, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, „ენიმკის“ მოამბე, VIII, გვ. 45.

[102] აქტები, ტ. IV, № 300, გვ. 219.

თავდა რუსი სამხედრო მოხელის თავმჯდომარეობით, როშელიც დაიწყებდა დიდი ხელმწიფე იმპერატორის „ჰზრუნველობით" იმერეთის კეთილმოწყობას[103].

ტორმასოვი მოუწოდებდა ზემოთ ჩამოთვლილი წოდების ხალხს, დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლკარში საცხოვრებლად (მოსახლეობის ნაწილმა მიატოვა საცხოვრებელი და მთაში გაიხიზნა), გამხდარიყვნენ რუსეთის იმპერიის ერთგულნი, რაც მისი დაპირების თანახმად, კარგ შედეგს გამოიღებდა იმერეთისათვის[104].

დასასრულს, მიმართვის ავტორი არ მალავდა და აშკარად მიუთითებდა, რომ თუ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მოწოდებას არ შეასრულებდნენ ნებით, მას უკვე საბრძოლო მდგომარეობაში მზად ჰყავდა საჭირო სამხედრო ძალები, რომელთა საშუალებითაც რუსეთის მეფის მთავრობის მიზანი იმერეთში ძალით იქნებოდა მიღწეული[105]. ასეთ ვითარებაში მეფე სოლომონთან მისივე თხოვნით 1810 წლის 28 იანვარს დამატებით მოსალაპარაკებლად გაგზავნილი იქნა მთავარმართველის კანცელარიის უფროსი მოგილევსკი. რომელმაც წაყენებულ მოთხოვნებზე მიღებული უარის შემდეგ განუცხადა მეფეს, რომ იმერეთის საკითხი დღეიდან უკვე გადაწყვეტილი იყო მისი მოცილება მმართველობიდან, რომ ჯარი უკვე საბრძოლო მდგომარეობისათვის მომზადებულია და მხოლოდ ბრძანებას ელოდა, რათა იმერეთის საზღვართან დაბანაკებულ სამხედრო ნაწილებს გადაელახათ საზღვარი და გადასულიყვნენ იმერეთის ტერიტორიაზე[106]. ამ ჯარს მითითებისთანავე მხარს დაუჭერდნენ გურიისა და სამეგრელოს ჯარებიც. მიუხედავად ასეთი მუქარისა მეფემ საჩქაროდ შეკრიბა საბჭო, რომლის გადაწყვეტილებითაც უარი განაცხადა ქუთაისში გადასვლაზე, რადგან იქ ჯარი იდგა, ხოლო დეპუტატების გაგზავნაზე დათანხმდა.

პოლკოვნიკ სიმონოვიჩს, პოლკოვნიკ სტალს და გურია-სამეგრელოს ჯარების უფროსებს გაეგზავნათ განკარგულება, რათა გამზადებულიყვნენ იმერეთის ტერიტორიაზე საბრძოლველად. სოლომონს გადაყენების დღედ ნავარაუდევი იყო 1810 წლის 20 თებერვალი. ამ დღეს სპეციალური პროკლამაციით სოლომონ II გადაყენებული იქნა მმართველობიდან და ქუთაისის ეკლესიებში ხალხიც დაიფიცეს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. სოლომონის გადაყენებულად გამოცხადებიდან მეორე დღეს, 21 თებერვალს პოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა აცნობა ტორმასოვს, რომ ყველა გზა შეკრულია და ქართლიდან იმერეთის საზღვრებთან წამოსწიეს ჯარები[107], ე. ი. მოახსენა ადრე შემუშავებული სამხედრო გეგმის პირველი ეტაპის შესრულება. იმ დღეს მოგილევსკიმაც გამოუგზავნა წერილი მთავარმართველს, ორივე წერილში აღნიშნული იყო მათი უშედეგოდ დამთავრებული ცდა, დაეყოლიებინათ მეფე, რათა უკანასკნელს შეესრულებინა წაყენებული მოთხოვნები.

მოლაპარაკების მსვლელობის ბოლო დღეებში პოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა იმერეთის საზღვრებთან ჯარების მიახლება დაიწყო[108]. აქ ელოდა ქართ-

---

103 იქვე.
104 აქტები, ტ. IV, № 300, გვ. 219.
105 იქვე, გვ. 220.
106 იქვე, № 299, გვ. 217; № 305, გვ. 222—223; № 309, გვ. 229.
107 იქვე, № 309, გვ. 229—230.
108 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდან წამოსული ათასეულის მოსვლას და ამასთანავე ლეჩხუმის, სამეგრელოსა და გურიის ჯარების მიახლოებას, რომლებიც გზაში იმყოფებოდნენ[109].

მაიორ უშაკოვის სამხედრო ნაწილიც სამეგრელოდან ჯარს ელოდა, რომელსაც უნდა გადაელახა ადიდებული რიონი, ყვირილა და დაერტყა ვარციხესათვის, სადაც გამაგრებული იყო მეფე თავის ჯარით[110].

ასეთ რთულ მომენტში თავადმა ზურაბ წერეთელმა ტორმასოვს მოულოდნელად აცნობა, რომ იგი შეუძლებლად თვლიდა იმერეთის საკითხის გადაჭრას უკვე დაწყებული გაზაფხულის პირობებში, ვინაიდან მეფის შეპყრობა ძნელი ხდებოდა ბუნებრივი პირობების (გაზაფხულზე ადიდებული მდინარეები, ახლად შეფოთლილი ტყე, წვიმების შედეგად გაუვალი გზები და სხვა) გამო, რისთვისაც სთავაზობდა პრაქტიკულად უკვე დაწყებული საქმის გადადებას ზამთრამდე. აღნიშნულთან ერთად ის აცნობებდა ტორმასოვს, რომ მეფე გააგზავნის მძევლებს თბილისში და დეპუტატებს პეტერბურგში. ქუთაისში კი მისი გადასვლა დროებით გადადებულიყო. თუ აღნიშნულ რჩევას მიიღებდა მთავარმართველი, იგი სთხოვდა ჯარების მსვლელობის შეჩერებას[111].

სამხედრო ნაწილების თავმოყრამ იმერეთის საზღვრებთან დიდი ზეგავლენა მოახდინა მეფეზედაც, რომელმაც 23 თებერვალს გელათის მონასტრის არქიმანდრიტის დავითის ხელით სიმონოვიჩს აცნობა, რომ იგი თანახმაა წაყენებული პირობების შესრულებაზე[112].

პოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა სოლომონს შეუთვალა, რომ თანხმობა უკვე დაგვიანებულია, ვინაიდან იმპერატორის სახელით უკვე გამოქვეყნდა მისი გადაყენება. სიმონოვიჩმა ურჩია მეფეს წასულიყო ტორმასოვთან თბილისში თხოვნით, რათა მას „ჩადენილი საქმისათვის“ პატიების შესახებ ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე[113].

პოლკოვნიკ სიმონოვიჩის რჩევა მიმართული იყო მეფის ხელში ჩაგდებისაკენ, ვინაიდან ჩავიდოდა თუ არა მეფე თბილისში ტორმასოვთან, მას მაშინვე დაატყვევებდნენ და რუსეთს გაისტუმრებდნენ. გადაყენებულმა მეფემ მღვდელმთავარი გენათელი და თავადი სეხნია წულუკიძე გაუგზავნა სიმონოვიჩს, რათა უკანასკნელს მიეცა მათთვის საშუალება გამოცხადებულიყვნენ ტორმასოვთან წერილის გადასაცემად, რომლითაც მეფე ითხოვდა მთავარმართველთან შეხვედრას ვახანში[114], შეხვედრამდე კი შეეჩერებინათ ჯარების მოძრაობა და მოსახლეობის დაფიცება იმპერატორის ერთგულებაზე[115].

სიმონოვიჩმა მეფის წარგზავნილებს ჯარების შეჩერებაზე უარი განუცხადა, სხვა სათხოვართა შესასრულებლად კი დაპირდა მიეცა 2 კაზაკი და საშვი რუსეთის ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე უვნებლად გასავლელად[116].

მღვდელმთავარი გენათელი და თავადი ს. წულუკიძე პირადად ვერ შეხვდნენ ტორმასოვს, წერილმა კი მიაღწია დანიშნულ ადგილს. წერილს ტორმასოვი კარგად შეხვდა. ის ამჟამადაც თანახმა იყო სოლომონი დადებული პირობების

---

109 იქვე, გვ. 331, № 310.

110 იქვე.

111 იქვე, № 311.

112 აქტები, ტ. IV, № 300, გვ. 231.

113 იქვე, № 313, გვ. 232—233.

114 იქვე.

115 აქტები, ტ. IV, № 313, გვ. 233.

116 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულების შემდეგ კვლავ იმერეთის მეფედ დაეტოვებინა[117], გენ. ტორმასოვი თავის წერილში ზუბაშ წერეთლისადმი 7 მარტს 1810 წელს წერდა შემდეგს:

„...Во уважение представительства вашего и почтеннейших посланных от царя, преосвященного Генатели и князя Сехнии Цулукидзе, о которых вы свидетельствуете, что они усердны к г. и-ру, я соглашаюсь и на то, чтобы заверить его высочество торжественным моим обещанием в безопасном его пребывании в Кутаисе и в том, что е. и. в. не отнимет у него царства Имеретинскаго и удостоит его своих высочайших милостей, если только царь сохранит непоколебимую верность к государю и прекратит все сношения с врагами христианства. Сие обещание теперь же посылаю полковнику Симоновичу с тем, чтобы он отдал оное царю в размен того обязательства, котораго я от него требую в непременном исполнении всей силы заключенного с ним высочайше утвержденного трактата и во всегдашнем сохранении данной им на святом евангелии присяги.“[118]

ამასთანავე ტორმასოვმა თანხმობა განაცხადა შეხვედროდა მეფეს იქ, სადაც მოისურვებდა, ანდა თვითონ ტორმასოვი ჩავიდოდა შესახვედრად ქუთაისში, მხოლოდ იმ პირობით თუ სოლომონი ჯერ იმპერატორის მოთხოვნებს შეასრულებდა[119].

1810 წლის 8 მარტისათვის რუსეთის ჯარებს მეფის ადგილსამყოფელი ვარციხეც და ბაღდადიც დაკავებული ჰქონდათ. მეფის ერთგულთა რიცხვი მცირდებოდა, ისინი შიშით გადადიოდნენ ძლიერი მოწინააღმდეგის მხარეზე. აღნიშნული დროისათვის მეფის მხარეზე მხოლოდ 5 თავადი და 40-მდე აზნაური დარჩა, მეფეს თავისი ქანცგამოლეული ერთგული რაზმით, მოგილევსკის სიტყვით, რუსეთის ჯარი ხანისწყლის ხეობისაკენ მიერეკებოდა[120]. ეს იყო 9 მარტი, ე. ი. მაშინ, როდესაც 7 მარტს თბილისიდან გენ. ტორმასოვი თანახმა იყო სოლომონი გარკვეული პირობით კვლავ დარჩენილიყო იმერეთის მეფედ, ხოლო 9 მარტს თვით სოლომონი ჯერდებოდა იმერეთის მმართველობაზე სრულებით ხელის აღებას[121]. ამის მიზეზი იყო ის, რომ სოლომონ II-ის ხელისუფლება სავსებით უძლური აღმოჩნდა, რაიმე წინააღმდეგობა გაეწია რუსეთის ჯარისათვის. ეს მოულოდნელი იყო თვით გენ. ტორმასოვისათვის. ასე რომ, როდესაც 7 მარტს ის სოლომონ II-ის მიმართ ასე დიდ დათმობაზე მიდიოდა და ტოვებდა მას იმერეთის მეფედ, მან არ იცოდა, რომ ფაქტიურად ამ დროს თითქმის მთელი იმერეთი უკვე რუს სამხედრო პირთა ხელში იყო და სოლომონ II-ს უკვე არავითარი ძალა არ ჰქონდა, იგი უკვე გარშემორტყმული იყო, გაუაქცევი გზებიც შეკრული ჰქონდა. ამიტომ მან გადაწყვიტა მორჩილებით დაეწყო მოლაპარაკება გამარჯვებულ მოწინააღმდეგესთან. სოლომონ II დაუარა იარაღი და 9 მარტს პოლკოვნიკ სიმონოვიჩს თავისი წარმომადგენლების საშუალებით

---

117 აქტები, ტ. IV, № 313, გვ. 233.

118 იქვე, ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, ტ. IX, თბ., 1956, გვ. 471—472.

119 იქვე, № 316, გვ. 235.

120 იქვე, № 317, გვ. 235.

121 იქვე, № 316, გვ. 235.

აცნობა შემდეგი: „მეფე სოლომონი გადადგება სამეფოს მართებლობიდგან, თუ მას წერილობითი გარანტია ექნება იმერეთში ცხოვრებისა, არსად არ გადაასახლებენ და იმერეთში მისცემენ საცხოვრებლად მის მიერ დასახელებულ მამულს.“[122].

პოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა მეფეს ურჩია ნდობა გამოეცხადებინა ტორმასოვისათვის, თბილისში წასულიყო და იქ მოეცადა იმპერატორის გადაწყვეტილებისათვის. მეფეს უკვე მეტი გზა აღარ დარჩენოდა, ძალაუნებურად უნდა მიეღო ეს წინადადება და მოისურვა პირადად ნახვა სიმონოვიჩისა და მოგალვანისა[123], რომელმაც მეფეს ჯვარსა და სახარებაზე შეფიცეს, რომ გზაში არ დატყვევებდნენ და არც არავითარ უსიამოვნებას მიაყენებდნენ. სურვილს მასლობლად მეფეს აცნობეს, რომ ტორმასოვი მას გორში ელოდებოდა შესახვედრად. საპატიო „ტყვემ“, როდესაც სოფელ დირბს მიუახლოვდნენ, მოითხოვა, რომ ტორმასოვს პატივი ეცა და იქ ენახა მეფე. გამარჯვებული მთავარმართველი დათმობაზე წავიდა და თანხმობა განაცხადა შეხვედროდა მეფეს სოფელ ვარიანში. სოლომონს უკვე შეპყრობის ეშვი ჰქონდა და დირბიდან ოსეთისაკენ გაპარვა განიზრახა, მაგრამ მას აქ ყოველი მხრიდან თვალს ადევნებდნენ და განზრახვის შესრულება ძნელი აღმოჩნდა. გაპარვის სურვილი მოგალევსკიმ შეიტყო და მეფეს გამოუცხადა, რომ ჯარისაგან თავს ვერ დააღწევდა და შეთანხმებისამებრ უნდა წასულიყო სოფელ ვარიანში[124].

1810 წლის 28 მარტს ფაქტიურად უკვე დატყვევებული მეფე სოფ. ვარიანში შეხვდა ტორმასოვს, რომელმაც გამოუცხადა, რომ ის იმპერატორის გადაწყვეტილებას თბილისში უნდა დალოდებოდა. ცხადი იყო, რომ ტორმასოვს უკვე შეცვლილი ჰქონდა თავისი 7 მარტის გადაწყვეტილება სოლომონის კვლავ იმერეთის მმართველად დატოვების შესახებ. თბილისში ჩასული[125] სოლომონი აღლაბრის ხიდის მახლობლად მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სუმბათაშვილის სახლში მოათავსეს. ამ დროს მდ. თერგი ადიდებული იყო, ხიდებიც აღებული, რის გამო სოლომონის გაგზავნა რუსეთში ძალაუნებურად გადაიდო. სოლომონის თანმხლები იმერელი თავადები უკვე ფიქრობდნენ მის გაპარვაზე თბილისიდან. სახლი, რომელშიაც სოლომონი იყო, მოთავსებული, განმარტოებით იდგა და გარშემორტყმული იყო მაღალი გალავნით, გაპარვა ადვილ საქმეს არ წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ „საპატიო ტყვეს“ გაძლიერებული ყარაული დაუყენეს.

გამარჯვებულმა ტორმასოვმა გრაფ რუმიანცევს პეტერბურგში მიმართვა გაუგზავნა. სადაც ატყობინებდა, რომ ხელმწიფე იმპერატორისათვის ეოესხენებინა იმერეთის ოკუპირება... „იმერეთი ყველა თავისი ციხე სიმაგრით დაპყრობილია მისი უდიდებულესობის იარაღით ერთი თვის მანძილზე. მოსახლეობას მიაღებინეს იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი, თვით მეფე კი თბილისშია და ელოდება მისი უდიდებულესობის გადაწყვეტილებას“[126].

---

122 იქვე, № 317.

123 ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება. შ. ბურჯანაძის გამოცემა, თბ., 1962, გვ. 210.

124 ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, 1941, გვ. 105.

125 მ. დუმბაძე, იმერეთის სამეფოს გაუქმება და გურია-აფხაზეთის სამთავროთა შეერთება რუსეთთან, საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 407. შ. ჩხეტია, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, „ენიმკის“ მოამბე, ტ. VIII, თბ., 1940, გვ. 45; აქტები, ტ. IV, № 300, გვ. 219.

126 აქტები, ტ. IV, № 350, გვ. 273.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად მიღებული ზომებისა მეფემ თავის კოთგულთა დახმარებით თბილისიდან გაქცევა მოახერხა[127].

სუმბათაშვილის სახლში მეფესთან ერთად იმყოფებოდა მისი მსახური დალაქი ნ. სალარიძე, რომელიც ხშირად თუნგით წყალს ეზიდებოდა მტკვრიდან, სადაც მას საშუალება ჰქონდა შეხვედროდა მეფის ერთგულ თანმხლებ თავადებს, რომლებიც ქალაქში ცხოვრობდნენ და მეფის გაქცევის გეგმებს აწყობდნენ.

1810 წლის 10 მაისს მეფე წინასწარ შემუშავებული გეგმით, მსახურის ტანსაცმელში გადაცმული, თუნგით ხელში გამოვიდა სახლიდან და გაიპარა. მეფის ერთგული გულშემატკივრები: ქ. წერეთელი, ს. წერეთელი, გრ. და დ. ერისთავები და სხვები სოლომონს დათქმულ ადგილას დახვდნენ ცხენებით. სწრაფად ჯავახეთის მიმართულებით ახალციხეს მიაშურეს და ახალციხის ფაშას შეაფარეს თავი[128].

სოლომონის გაქცევა იმდენად სერიოზულ მოვლენად იქნა მიჩნეული, რომ ტორპასოვის დროებითი შემცვლელი გენერალ-ლეიტენანტი როზენი სამსახურიდან დათხოვნის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა[129].

რაც შეეხება იმ პირთა ოჯახის წევრებს, რომლებიც სოლომონთან ერთად გაქცნენ, ისინი ფოთის ციხე-სიმაგრეში მოათავსეს, მათი ქონება კი სახელმწიფო ხაზინას გადაეცა. ფოთის ციხე-სიმაგრეში მიიყვანეს იმერეთის დედოფალიც მარიამ კაცია დადიანის ასული — გრიგოლ დადიანის და, რათა გაქცეულებთან წერილობითი კავშირი არ ჰქონოდა[130].

„ხოლო წელსა ამას 1811 მოიყვანეს პყრობილად რუსთა იმერთა დედოფალი მეფის სოლომონის ცოლი დადიანის კაციას ასული მარიამ და დაი მეფე სოლომონისა მარიამ, მეუღლე თავადის ანდრონიკაშვილის მელქისადეკისა, და დასადგურეს ვორონეჟისა ქალაქსა პყრობილად“[131].

ვორონეჟიდან დედოფალი ს. პეტ. გადაიყვანეს საცხოვრებლად, სადაც გარდაიცვალა 1841 წ.[132].

დაშახასიათებელია ამ დროს ზურაბ წერეთლის შვილის სვიმონის[133] მიერ ახალციხიდან მამისადმი მიწერილი წერილი (ეს სვიმონი სოლომონ II-ის ერთგული იყო): „...აპა რაღათ მინდა სიცოცხლე, ყოველი კაცი, ქართველი თუ კახელი, თათარი თუ სომეხი, ბერი თუ ერი, ყმაწვილი თუ მოხუცებული ვინც ვნახე ყველა ასე მეუბნება, რომ რა ქნა ეს მამაშენმაო, ნეფე რომ გასცაო და ეს ხმა რა საძაგელია, ხომ იცით და მოგიხსენებია ნეტამც ოცის წლითაც ადრე ამოვწყვეტილიყავით სულყველა ქალებიან-კაცებიანთ და ეს ხმა ჩვენში არ შემოსულიყო. სჯობდა ჰეშმარიტად, რას შეჩერებიხართ, რას უყურებთ, შენც

---

127 იხ. ზემოთ მითითებული გამოუქვეყნებელი ხელნაწერი: Н. К. Имеретинский-„Багратиды в России“, СПб., 1885, часть II, Имеретия, стр. 53; მ. დუმბაძე, იმერეთის სამეფოს გაუქმება და გურია აფხაზეთის სამთავროთა შეერთება რუსეთთან, საქ. ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 407.

128 ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 105.

129 მ. გოხიაშვილი, შენიშვნები იმერეთის სამეფოს გაუქმების შესახებ, მას. საქ. და კავ. ისტ., ნაკ. 34, 1962, გვ. 133.

130 იქვე.

131 ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 112.

132 დასახელებული ხელნაწერი: Н. К. Имеретинский, Багратиды в России, стр 54.

133 ს. წერეთელი სოლომონ II-ს ერთგული დარჩა ბოლომდე.

აქ ჩამოდი და ამასთან (იგულისხმება მეფე სოლომონი) დაიკარგე. თორემ ამ ღმას ჩვენ ვეღარ მოვიხდითო"[134].

რუსეთის წარმომადგენლები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ იმერეთში აჯანყება არ მოხდარიყო, მაგრამ აჯანყება მაინც დაიწყო.

20 ივნისს სოლომონი ახალციხიდან ექვსასიოდე ან ცოტა მეტი ლტკის თანხლებით ჩავიდა ბაღდადის მხარეს, სადაც მის გარშემო იწყეს შეკრება იმერლების. აქედან ის მივიდა ტყათაიჩის (ქუთაისთან) აგიაშვილის სასახლეში. ჯერ კიდევ სოლომონის ჩასვლამდის იმერეთში დაწყებული იყო საყოველთაო მობილიზაცია. ეს მობილიზაცია განსაკუთრებული წარმატებით მიდიოდა ზემო-იმერეთში, სადაც აჯანყების მეთაური იყო საქარელი აბაშიძე ქაქუჩელა[135]. თავის მხრივ, მთავარმართველმაც გააგზავნა იმერეთს დამატებით რეგულარული ჯარი და ამას გარდა გამოიწვია სამგრელოს და გურიის ჯარიც. დაიწყო სამხედრო ოპერაციები.

1810 წლის ივლისში ძალთა განლაგება იმერეთში შემდეგი იყო: იმერლების მთავარი ჯარი იდგა ქუთაისის ახლოს, თვით ქალაქ ქუთაისში ჩაკეტილი და ალყაშემორტყმული იყო რუსეთის რეგულარული ჯარის მთელი გარნიზონი, რომელსაც ახლო მიდამოებში გარს ერტყა 5 ათასამდე იმერელი, სარდალ აგიაშვილის წინამძღოლობით. სოფ. მაღლაკთან (ქუთაისის დასავლეთით) დაბანაკებული იყო ორი ათასამდე იმერელი, რათა გურია-სამეგრელოს ჯარი არ გაეწვათ ქუთაისისაკენ. ქართლიდან ჯარის შესვლის დასაბრკოლებლად, 3 ათასი ზემო იმერელი იდგა ხარაგოულის ციხის მიდამოებში.

გარდა აღნიშნულისა, ქართლის მიმართულებითვე კორტოხტის გზაზე დაყენებული იყო 1500-მდე კაცი მალხაზ ანდრონიკაშვილისა და როსტომ წერეთლის მეთაურობით, რომლებიც იცავდნენ გზებს, რათა ტორმასოვის მიერ გაგზავნილი მაშველი ჯარები არ შეეშვათ იმერეთში. ათასამდე იმერელი იდგა ვარციხე-ბაღდადის მხარეშიც.

ამგვარად, სოლომონ II-ის ხელქვეით ამ ბრძოლებში 12,5 ათასამდე კაცი იყო. მართალია, იმერეთს მაშინდელი ანგარიშით შეეძლო 15 ათასი მეომრის გამოყვანა, მაგრამ რაჭის ბევრ ნაწილში იქაური ერისთავებისა და წულუკიძის გამო ჯარის გამოყვანა არ მოხერხდა ან ეს ჯარი წაყვანილ იქნა რუსეთის ჯარის გასაძლიერებლად. ასევე საწერეთლოდანაც (სადაც ათასამდე კომლი ირიცხებოდა) ჯარი არ გამოსულა, რადგანაც ზურაბ წერეთელი და მისი შვილები გრიგოლი და დავით მიტროპოლიტი რუსეთის მიერ იყვნენ მოსყიდულნი. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ რაჭა-საწერეთლოს გარდა ჯარის მობილიზაცია იმერეთში კარგად ჩატარდა და სოლომონმა რუსეთის ჯარს დაუპირისპირა ჰაქსიმუმი იმისა, რაც მას მაშინდელ პირობებში შეეძლო.

სამეგრელოში სოლომონის მხარეზე იყვნენ მანუჩარი და ტარიელ დადიანის ძეები. ტარიელი თავისი რაზმით გამოცხადდა სოლომონთან და ამის შემდეგ მასთან იმყოფებოდა. ლეჩხუმში თავ. ბერი გელოვანი მოქმედებდა სოლომონის სასარგებლოდ. რუსეთის ძალას იმერეთში ამ დროს შეადგენდნენ: რვა არასრული პოლკის 4 ბატალიონი, 12 როტა და სხვა რაზმები, რომელთა რიცხვი-

---

[124] აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის საბუთი Hd 3159; ო. სოსელია, წერეთლიანთ სათავადოს ისტორიიდან, ანალები, I, თბ., 1947, გვ. 266.

[135] დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თბ., 1941, გვ. 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში 3740 მებრძოლი იყო[136] და 6 ათასი კაცი მეგრელ-გურიელების ჯარი, იმერლების მცირეოდენი რაზმითურთ. დადიანი, გურიელი, ოტია და სეხნია წუღუკიძეები რუსების მხარეზე იყვნენ და ხშირად რუსების ბანაკში იმყოფებოდნენ. ამგვარად, რიცხვითი უპირატესობა ამ დროს აჯანყებულთა მხარეზე იყო. თუმცა მხედველობაში მისაღებია ის, რომ რუსეთის რეგულარული ქვეითი ჯარი საუკეთესოდ გაწვრთნილი იყო და მის მწყობრს და ხიშტს ადგილობრივი არარეგულარული ჯარი ვერ უძლებდა, სათანადო შეიარაღებისა და დისციპლინის უქონლობის გამო. ამასთანავე მათ მომხრე თავადების მეოხებით ძლიერ კარგად ჰქონდათ დაყენებული დაზვერვა, ჰყავდათ სპეციალური ჯაშუშებიც აზნაურ ორჯონიკიძეთაგან, კიკნაძეთაგან და სხვათაგან. იყვნენ ჯაშუშები თავადიშვილთა შორისაც (ჩხეიძე, ლორთქიფანიძე და სხვ.).

ინიციატივა სამხედრო ოპერაციების დაწყების პირველ ხანში იმერლების ხელში იყო. ქართლიდან მომავალი რუსეთის ჯარი დიდის ზარალით უკუქცეულ იქნა[137]. იმერლებმა ალყა შემოარტყეს ქუთაისში მყოფ ჯარსაც. მოუსპეს მას სურსათის მიღების შესაძლებლობა და ლამობდნენ მათ ტყვედ შეპყრობას[138]. ამდროინდელ მდგომარეობას ასახავს ერთი წერილი, გაგზავნილი რუსეთის მომხრე გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლის სახელზე მისი აგენტის მიერ: მამა თქვენო, ზურაბ წერეთელი და დადიანი მშვიდობით ოდიშს გასულან. გენათელი გაურიგებია (შემოურიგებია) ნეფეს. ქუთათელი, გენათელი, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე (ეს რუსთა ჯაშუში იყო) და ხახული აბაშიძე გაუგზავნია მამა თქვენთან მოციქულათ ნეფეს გარიგებისთვის. ყოველი კაცი ამას ლაპარაკობს—კარგათ გარიგდებიან ნეფე და სახლთუხუცესი. ნეფის ამბავს იკითხავ—კარგათ ბაკისუბანს (ქუთაისთან ახლოს) ბრძანდება ბუჯუა მდივნის სასახლეშიდ. ქუთაისის ანბავს იკითხავ—კოზში (კუზში) დგას იმერელი ჯარი. წყალწითელასთან—გაღმართის ჯარი, გაღმა დგას რიონ გაღმართის ჯარი. ოთხასი რუსი თავის ჯაბახანით (არტილერიით) მამა თქვენს ახლავს (ოდიშში).. ეს წიგნი დაბიე, არვინ ნახოს".

იმერლების ბანაკიდან მოწოდებული ეს ცნობა ამტკიცებს იმას, თუ მეფე და მისი მრჩეველნი რამდენად ვერ ერკვეოდნენ გარემო პირობებში. სახლთუხუცესი უკვე უძლური იყო გავლენა მოეხდინა მეფის რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკაზე იმერეთის მიმართ. ის უკვე ამ ხელისუფლების ბრმა იარაღად იყო გადაქცეული.

ქართლიდან იმერეთის ზემო მხარის დასამშვიდებლად გაგზავნილი ორი როტით მაიორი კალატოზიშვილი იმერლებმა დაამარცხეს, თითონ კალატოზიშვილიც მოკლეს, ხოლო მისი რაზმი გაწყვიტეს[139]. ამის შემდეგ გაგზავნეს მე-

---

136 იმერეთის ოპერაციებში რუსეთის სხვადასხვა რაოდენობის შემდეგი ნაწილების დანაყოფები და ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ:—კაკასიის გრენადერთა პოლკის 2 ბატალიონი — 1044 რიგითი მებრძოლი, ყაბარდოელ მუშკეტერთა პოლკის 2 ბატალიონი—1013 რ. შ., ბელევსკის მუშკეტერთა პოლკის 6 როტა — 793 რ. შ., ეგერთა მე-9-ე პოლკის 2 როტა—171, რ. შ., ეგერთა მე-15 პოლკის 3 როტა—3265 რ. შ., მე-20 საარტილერიო ბრიგადის 3 როტა —143 რ. შ., ეკოვ—1-ის დონის კაზაკთა პოლკიდან—107 რ. შ., დონის კაზაკთა დანილოვის პოლკიდან—43 რ. შ., და მესაზღვრე რაზმი, კაზაკთა პოლკიდან—100 მებრძოლი. (Чудинов, В., Имеретинская неурядица в 1809—1810 годах, Кавказский Сборник, Т. XVI, Тиф., 1895, стр. 274—275).

137 ბ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 107.

138 აქტები, ტ. IV, № 439, გვ. 326.

139 დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, თბ., 1941, გვ. 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორე რაზმი, რომელმაც დაამარცხა იმერლების ჯარი აბაშიძეების მეთაურობით. თვით ჯარის წინამძღოლი ქაიხოსრო აბაშიძე და მისი სამი შვილი როსტომ, გიორგი და სიმონ ამ ბრძოლაში დაიღუპნენ. მრავალრიცხოვანი ჯარით თბილისიდან გაგზავნეს გენერალ დიმ. ორბელიანი, სოლო ამავე დროს ლევან დადიანი ოდიშსა და აფხაზთა ჯარით მივიდა ჯიხაიშში, სადაც მას შეუერთდა 500 რუსის ჯარისკაცი. მეფე დაესხა დადიანს და დაამარცხა ის, მაგრამ მან მაინც მოახერხა ცოტა ხნის შემდეგ ქუთაისში მისვლა და სიმონოვიჩთან შეერთება. ამასობაში გენერალმა დიმ. ორბელიანმა თბილისიდან წამოყვანილი თავისი ჯარი გაყო ორ ნაწილად და შეესია იმერეთს. „ხოლო ნახევარი ესე მოვიდნენ რა კორტოხტსა. დახვდა მუნ ანდრონიკაშვილი მელიქსადეკ, სიძე მეფისა, და წერეთელი როსტომ, ძეი პაპუნასი, იმერთა მხედრებითა. იქმნა მუნ ბრძოლაი ძლერი. იძლივღეს რუსნი და მოსწყუნდენ უმეტესი ხუთასისა რუსნი და დანაშთნი დამაგრდენ სიმაგრესა შინა, და მოადგნენ გარს იმერნი[140]. ერთი ნაწილი ამ ჯარისა სოფელ კორტოხტთან დაამარცხეს იმერლებმა. ამის გამო ორბელიანს ჩამოართვეს მხედართმთავრობა. ის დაუმორჩილეს გენ. ლეიტ. ბარონ როზენს, რომელიც ახალი ჯარით დაიძრა იმერეთისაკენ. ქუთაისთან ახლოს სიმონეთის ტყესთან მან დაამარცხა 7 ათასი კაცისაგან შემდგარი იმერლების ჯარი და მიადგა ქუთაისს[141]. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც დადიანიც შემოდიოდა ქუთაისში.

დადიანი ოდიშს იყო წასული დავალებისამებრ ჯარის შესაკრებად. მართლაც, სამი კვირის შემდეგ ქუთაისის გარემოცვის დაწყებისას დადიანი თავისი ჯარით, ზურაბ წერეთლით და რუსის სამას თუ ოთხას კაციანი რაზმის თანხლებით მოადგა სოფ. მაღლაკს. აქ მოხდა ბრძოლა, რომელშიაც მეგრელებმა დაჰკარგეს სამასამდე კაცი. მაშინ ლევან დადიანმა და ზურაბ წერეთელმა რუსეთის სახელით მოლაპარაკება გამართეს მაღლაკთან დაბანაკებულ სარდალ გიორგი წულუკიძესთან. ამ მოლაპარაკების შედეგად წულუკიძემ დაიხია მაღლაკიდან (რუსეთის მთავრობამ ამისათვის შემდეგ ეს პირი დააჯილდოვა პოლკოვნიკის ჩინით და ამ ჩინის ჯამაგირით) და დადიანის ჯარს გზა გაუხსნა ქუთაისისაკენ. ამის შემდეგ ინიციატივა გადავიდა უკვე რუსეთის ჯარის ხელში.

ქუთაისიდან რუსეთის ჯარი, დადიანისა და გურიელის მხედრებთან შეერთებული, გაემართა მეფის წინააღმდეგ[142]. ამ დროს მათ შეუერთდნენ თავისი რაზმებით სანლთუხუცესი ზურაბ წერეთელი. წულუკიძეები და ავრეთვე ზოგი სხვა აზნაური. მეფე კარგა ხანს იყო გამაგრებული ხანისწყალთან ხეობაში. ლეჩხუმში ამ დროს მეფის სასარგებლოდ ენერგიულად მოქმედებდა ბერი გელოვანი, რომლის წყალობით ლეჩხუმის მეტი ნაწილი გადაუდგა დადიანს, მეფის ურჩთ არბევდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ბერი გელოვანი, როდესაც მან დაინახა რომ მეფის საქმე წაგებისაკენ მიდიოდა, კვლავ დადიანის მხარეზე გადავიდა.

სამხედრო ოპერაციები საშინლად აოხრებდა იმერეთს, რომელსაც არავინ ზოგავდა. ნება ჰქონდა მიცემული, გაეძარცვათ იმერეთის სოფლები და წაეღოთ იქიდან სურსათი, ღვინო და რასაც კი მოახერხებდნენ. მთელი იმერეთი აოხრდა

---

[140] დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თბ., 1941, გვ. 35.

[141] Чудинов В., Имеретинская неурядица в 1809 — 1810 годах, Кавказский Сборник, т. XVI, Тиф., 1895, стр. 262—263.

[142] დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თბ., 1941, გვ. 36—37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერძოდ, „ოდიშართა მოსწვეს სრულიად ვაკეი და მოსტყუენნეს და სახლიცა აგიშვილისა, ყოველთა იმერთა შორის წარჩინებული, დასწუს“[143].

აგვისტოს ბოლოსათვის სოლომონის მდგომარეობა უკვე გაუარესდა. ის ჩაკეტილი იყო ხანისწყლის ხეობაში, სადაც ჰყავდა ხუთასიოდე იმერელის გარდა ახალციხის და ლივანის ქართველ მაჰმადიანებისგან შემდგარი ჯარი (1500). სოლომონი უცდიდა, თუ რა შედეგს მოიტანდა ერევნის ხანის ჰუსეინ-ყულის ლაშქრობა ქართლის მიმართულებით. ჰუსეინ ყული-ხანი 2 ათასი კაცით შემოსულიყო ჯავახეთში და დაბანაკებულიყო ახალქალაქის ციხესთან. ის უცდიდა ოსმალეთის ჯართან შეერთებას. ახალციხის შერიფ-ფაშას კი მზად ჰყავდა ორი ათასი ცხენოსანი და გარდა ამისა მასთან იყრიებოდა ლეკების რაზმი რამდენიმე ათასი კაცით, დაქირავებული დღეში თითო ყურუშად. მაგრამ სანამ ოსმალთა ჯარი სპარსელებს შეუერთდებოდა გენერალი მარკიზ პაულუჩი თავის ჯარით ჯავახეთში ღამით 5—6 სექტემბერს სავსებით მოულოდნელად თავს დაესხა მოწინააღმდეგის მძინარე ბანაკს. სპარსელებმა დაკარგეს 700 კაცი. ათასამდე ცხენი და ჯორი, ამდენივე კარავი და მთელი თავისი ბანაკი თოფ-იარაღითა და მთელი ქონებით. სპარსელების მეტი ნაწილი თითქმის ცარიელი გაიქცა. ხანის მდიდრული დიდი კარავიც კი მათ დარჩათ.

ამ დამარცხებით ჩაიშალა ქართლის მიმართულებით სპარსელებისა და ოსმალთა კომბინირებული ლაშქრობის გეგმა. სოლომონს უკვე ამის იმედიც დაეკარგა; ასე რომ ხანისწყლის ხეობიდან იმერეთისაკენ დაძვრას ის უკვე ვეღარ ახერხებდა. ამიტომ რუსეთის ჯარმა გენერალ სიმონოვიჩის სათანადო მომზადებით 1810 წლის 24 სექტემბერს იერიში მიიტანა სოლომონის უკანასკნელ, სავსებით მიუვალ პოზიციებზე; მოიერიშეებმა გაიმარჯვეს [144]. 25 სექტემბერს (ძვ. სტ.) დ. ლადარიან სოლომონი 200-მდე იმერლის თანხლებით გადავიდა ახალციხის საფაშოში (მათ შორის იყო 17 თავადი, 8 აზნაური ოჯახები, 150 კლეხი და ორიოდე მღვდელი)[145]. ოქტომბრის თვეში სოლომონი კვლავ იმერეთის საზღვართან ახლოს ოცხეში იდგა და უცდიდა მდგომარეობის გაუჯობესებას. 1 ნოემბერს ის იძულებული გახდა საბოლოოდ აყრილიყო და 150 იმერლის თანხლებით გადასულიყო ახალციხეს, ხოლო იქიდან კი ართვინს.

აჯანყება ოთხ თვეს, ე. ი. ოქტომბრამდე არ შეწყვეტილა[146]. თუმცა მისი ჩახშობა რუსეთის მთავრობისთვის ადვილი გამოდგა. აჯანყება ძვირად დაუჯდა იმერლებს, რადგანაც იმერეთი სასტიკად აოხრეს. აჯანყების შემდეგ მალე დაიწყო საშინელი შიმშილი, რასაც მოჰყვა შავი ჭირი (ჟამი), რომელიც მოედო მთელ დას. საქართველოს. შიმშილმა და ჟამმა მთელი დას. საქართველოს მოსხლეობის ნახევარი და ზოგან მეტიც იმსხვერპლა[147]. სოლომონი აჯანყების მარცხის შემდეგ სიკვდილამდე (იგი გარდაიცვალა 1815 წელს ტრაპიზონში)[148], არ დამშვიდებულა, მაგრამ მისი ყოველი ცდა სამეფოს აღსადგენად ამაო აღმოჩნდა.

---

143 ნ. დადიანი, ქართველი ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოცემა, თბ., 1962, გვ. 202.

144 Чудинов В., Имеретинская неурядица в 1809—1810 годах, Кавказский Сборник, т. XVI, Тиф., 1895, стр. 272.

145 Там же, стр. 273.

146 Иваненко В. Н., Гражданское управление Закавказьем, Тиф., 1901, стр. 71.

147 ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, თ. ლომთათრის გამოცემა, გვ. 114, 127.

148 იქვე.

ამგვარად, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, რუსეთის მეფის მთავრობა მთელი თავისი მონდომებით და დიპლომატიური ხერხებითა და მძლავრი იარაღზე დაყრდნობით, მიისწრაფოდა დასავლეთ საქართველოს შესაერთებლად, რასაც 1810 წელს იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობის მოსპობით მიაღწია კიდეც. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთის რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცევა შედარებით ძნელი აღმოჩნდა[149].

როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთ საქართველო რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოექცა და რუსული მმართველობა დამკვიდრდა. ამით, ერთი მხრიდან, სოციალურად ჩაგრულ ქართველ ხალხს ეროვნული ჩაგვრაც დაემატა. ხოლო, მეორე მხრივ საუკუნეების მანძილზე ჩამორჩენილი ირან-ოსმალეთის პოლიტიკური ბატონობა შეცვალა შედარებით განვითარებულმა და მოწინავე რუსეთმა, რამაც საშუალება მისცა ქართველ ერს, ცარიზმის ბატონობის პირობებშიც კი, შემდგომი განვითარებისათვის გზა გაეკვლია[150]. საქართველო გათავისუფლდა ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი მეზობელი სახელმწიფოების გავლენისაგან და დაჩქარებული ფეოდალური საქართველო თანდათან და ძირითადად გაერთიანდა რუსეთის იმპერიის მფარველობაში. ამასთანავე აღიკვეთა გარედან ხშირი თავდასხმები. ჩვენი ქვეყანა მშვიდობიან პირობებში თანდათანობით ემზადებოდა უკეთესი მომავლის შესაქმნელად.

---

149 Иваненко В. Н., Гражданское управление Закавказьем, Тиф., 1901, стр. 65.

150 დ. დუმბაძე, საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის შემოერთება 1828—1830 წლებში, საქართველოს ისტორია, I, დამხ. სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 417.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-19 საუკუნის რეფორმამდელი ხანის თბილისის სამრეწველო განვითარების ისტორიიდან

მ. სამსონაძე

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა)

მე-19 საუკუნის რეფორმამდელი ხანის თბილისის სამრეწველო განვითარების შესახებ დღემდე სპეციალური მონოგრაფია არ დაწერილა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ქართველი ისტორიკოსები და ეკონომისტები უყურადღებოდ ტოვებდნენ ამ მნიშვნელოვან საკითხს. ჩვენი ისტორიკოსების და ეკონომისტების: პ. გუგუშვილის, ა. კიკვიძის, ა. ფირცხალაიშვილის, შ. მესხიას, შ. ჩხეტიას, გ. ბაქრაძის, ედ. ხოშტარიას, დ. გოგოლაძის და სხვათა გამოკვლევებში, აღნიშნული პერიოდის თბილისის სამრეწველო განვითარების ისტორიამ თავისი ღირსეული ადგილი დაიკავა. მაგრამ მასალების სიმცირისა და მათი ძიების სირთულის გამო, საკითხის შესწავლა ჯერ კიდევ შორსაა დასრულებისაგან.

განსული საუკუნის I ნახევარი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ხანაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში: ახალი კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობები, რომლის ჩანასახები ჩვენში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდან თვალნათლივ მოჩანან, ახლა უკვე ფართოდ იკვლევენ გზას და მეტნაკლებად თბილისის მრეწველობის თითქმის ყველა დარგს ეუფლებიან. ამასთან, საქართველოს რუსეთთან შეერთებამ მნიშვნელოვანი დაღი დაამჩნია ქვეყნის ეკონომიკას და ახალი მიმართულებით წარმართა მისი განვითარება.

ერთ, მოცულობით მეტად განსაზღვრულ, წერილში შეუძლებელია საკითხის რამდენადმე სრულად გაშუქებაც კი, ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ ორიოდე ძირითადი საკითხის წინ წამოწევით დავკმაყოფილდეთ. კერძოდ, ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ის ძირითადი ცვლილებები, რაც ახალი ცხოვრების შემოსვლამ გამოიწვია თბილისის მრეწველობაში, ვაჩვენოთ, თუ როგორ იჭრებოდა სასაქონლო წარმოება და მასთან კაპიტალისტური ურთიერთობა თბილისის ხელოსნობაში და ახალი ხელოსნობის გაჩენის როლი და მნიშვნელობა ამ საქმეში. ძირითადად ორი დარგის, ტყავის და არაყის დამამუშავებელი მრეწველობის მაგალითზე ვაჩვენოთ თბილისის მსხვილი კაპიტალისტური წარმოწყებების განვითარების ტენდენციები.

* * *

აღა-მაჰმად-ხანის გამანადგურებელი შემოსევის შემდეგ, თბილისმა სწრაფად იწყო აღდგენა და საქართველოს რუსეთთან შეერთების დროისათვის იგი, თუმცა ჯერ კიდევ შორს იყო თავის პირვანდელ დონესთან, მაგრამ მაინც საკმაოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლსავსე ქალაქი იყო, რომელშიც მაღალ დონეზე იდგა ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი, რომელიც მაშინდელ აღმოსავლეთში იყო ცნობილი.

იოანე ბატონიშვილის „სჯულდებიდან“ ვტყობილობთ, თუ ხელოსნობის მრავალნაირი დარგი რამდენად იყო განვითარებული მაშინდელ საქართველოში. აქ მრავლად მუშაობდნენ: ყასბები, ხარაზები, მექუდეები, მექურქეები, მკერავები, ნალბანდები, ბიჩახჩები და მჭედლები. მეიარაღეები, მექვაბეები (ამზადებდნენ სპილენძის სახმარ ჭურჭელს და არაყის ქვაბებს); ოქრომჭედლები. მესანთლეები, მესაპნეები, კალატოზები, ქვისმთლელები, მეკირეები, მეაგურეები, მეგობეები; მეტიკეები, ხუროები, დურგლები, ხარატები, თიხის ჭურჭლის მკეთებლები—მექვევრეები და სხვა; მხატვრები, მუსიკალურ საკრავთა მკეთებლები, ყაზაზები—ძაფის, ბაფთის, ზონრისა და ფოჩთა მკეთებლები; საბელების მგრეხელები, დაბაღები, მღებავები, ჩითების მკეთებლები, ფეიქრები—მელაინეები—თავთავთა და დარაიას მქსოველები[1] და სხვ. მართალია, ი. ბატონიშვილის პროექტი მთელ საქართველოზე იყო შედგენილი, მაგრამ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ და ამას სხვა ცნობებიც ადასტურებენ, რომ ყველა ჩამოთვლილი დარგი თბილისშიაც სრულად იყო განვითარებული. უფრო მეტიც, ამ ისედაც ვრცელ სიას უნდა დაემატოს ხელოსნობის მთელი რიგი დარგები, რომელთაც ბატონიშვილი რატომღაც არ ახსენებს: მესაათეები, მჭალავები, მეთოფსწამლეები, მაშების მკეთებლები, „კანკანები“—მეწყალსადინეები, მესკივრეები, მეტივეები, მხერხავები, მეურმეები, ინსტრუმენტის მკეთებლები, მეწუღეები, მებუნიკეები (Башмашники), სარაჯები (шорники), მეწისქვილეები, მეპურეები, მზარეულები, მეშარბათეები, მექისები, მებურნუთეები და სხვა მრავალი[2].

ყველა ხელობა ერთნაირად განვითარებული არ ყოფილა. ზოგი სრულად აკმაყოფილებდა ადგილობრივ ბაზარს და ქვეყნის გარეთაც კი გადიოდა. ზოგი როგორც რაოდენობით, ისე ხარისხით, შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვდა. ერთ-ერთი დაწინაურებული დარგი იყო ხმალ-სატევრის მკეთებლობა. მე-19 საუკუნის 20-იან წლებში ქართული ფოლადის (ბულატი) იარაღმა რუსეთის ხელისუფალთა ყურადღებაც კი მიიქცია და მათ მთელი რიგი ღონისძიებები ჩაატარეს, რათა ფოლადის დამზადების ქართული წესი რუსეთშიაც დაენერგათ[3].

ამ დროს თბილისში არსებობდა რიგი ისეთი დარგებისა, რომლებიც ახალ პირობებში ჩქარა ქრებიან: მაზმანები, ფალანდუზები და სხვ.[4].

ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარებამ, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან განაპირობეს ხელოსნობის სწრაფი ზრდა თბილისში. გასული საუკუნის I მეოთხედის თბილისის ხელოსანთა რაოდენობის შესახებ ჩვენ ზუსტი ცნობები არ გვაქვს. ამიტომ, იძულებული ვართ, დასკვნები ფარდულების რაოდენობის მიხედვით გავაკეთოთ: თუ 1783 წელს თბილისში 500 სავაჭრო და სახელოსნო ფარდული იყო (რაც აღამაჰმადხანის შემოსევის შემდეგ კიდევ უფრო შემცირდებოდა), 1803 წელს მათმა რიცხვმა 575-ს მიაღწია, 1807 წ.—704-ს, 1817 წელს—

[1] ი. ბატონიშვილი, სჯულდება, თბ., 1957, გვ. 16.

[2] Ш. Месхия, Города и городской строй феодальной грузии, Тб., 1959, გვ. 125.

[3] იხ. დაწვრილებით: П. Гугушвили, Развитие капитализма в грузии и закавказье в XIX—XX вв., Тб., 1957, გვ. 46—51; ა. ქოჭლავაშვილი, საქართველოს სამთამადნო მეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში, გვ. 62—92, თბ., 1962; კ. ჩოლოყაშვილი, „ბულატის“ თბილისელი ოსტატები, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“ 1953 № 6.

[4] იხ. საქ. მეც. აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი

1000, 1822 წ.—1130, 1826 წ.—1144, 1830 წ.—1249, 1835 წ.—1265, ხოლო 1840 წელს—2270-ს. 1825 წელს 1803 წელთან შედარებით ფარდულების რაოდენობა გაიზარდა 99,5%-ით, ხოლო მოსახლეობა ამავე ხანებში—მხოლოდ 42,6%-ით. შესაბამისად 1840 წელს, 1803 წელთან შედარებით, ფარდულების რაოდენობა თბილისში თითქმის 3-ჯერ გაიზარდა, ხოლო მოსახლეობა 1845 წელს, 1803 წელთან შედარებით, გაიზარდა მხოლოდ 2,2-ჯერ. ჩანს, თბილისის მოსახლეობის სულ უფრო და უფრო დიდი ნაწილი ებმებოდა ვაჭრობასა და ხელოსნობაში. მაშასადამე, თბილისის ვაჭრულ-ხელოსნური ზრდა მარტო მოსახლეობის მატებით არ ყოფილა განპირობებული, იგი განპირობებული იყო, ჯერ ერთი, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების ზრდით ხელოსნურ ნაწარმზე, მეორეც, თბილისის ხელოსნური ნაწარმის გასაღების არის გაფართოებით.

1825 წლისათვის თბილისის ხელოსანთა რაოდენობის შესახებ ჩვენ შედარებით სანდო ცნობა მოგვეპოვება, ეს არის 1826 წელს პოლკოვნიკ კოცებუს მიერ შედგენილი საქართველოს აღწერა. მისი ცნობით, ამ დროს თბილისში 29 დარგის 1294 ხელოსანი ითვლებოდა[5]. მაგრამ აღნიშნულ ცნობაში მხოლოდ ოსტატების რიცხვია მოცემული, მას ასევე ჰქვია: „Мастеровых в городе". თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროისათვის საშუალოდ ერთ ოსტატზე ერთი შეგირდი ან შავი მუშა მაინც უნდა ვიგულისხმოთ, აგრეთვე იმას, რომ მოცემულ ცნობაში დარგები სრულად არ არის წარმოდგენილი (მასში არ შესულა ისეთი დარგებიც კი, როგორიცაა მეტყვეები, მეაგურეები, მქსოველები და ა. შ.) მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ დროისათვის თბილისის ხელოსნობაში დაახლოებით 2500 კაცზე მეტი იყო დასაქმებული. მკვლევარ გ. ჯამბურიას გამოანგარიშებით, თბილისში ამ დროს 20857 სული მოსახლეა[6]; მაშასადამე, ხელოსნები თბილისის მოსახლეობის დაახლოებით 11—12% შეადგენენ. ეს საყურადღებო პროცენტია და ხელოსნობის მაღალ განვითარებაზე მიუთითებს.

ხელოსნობის მაღალ განვითარებაზე მიუთითებს ისიც, რომ მისი პროდუქციის გარკვეული რაოდენობა საგარეო ბაზარზეც გადიოდა. სახელდობრ: რუსეთში გაჰქონდათ დიდი რაოდენობით ბამბის ქსოვილები და ბამბის ნართი; თურქეთში—თბილისის „ქარხნებში" დამზადებული კამეჩის ტყავები; სპარსეთში—ოქროქსოვილები, სხვადასხვა ხელსაქმე[7], საუკეთესო თბილისური ხანჯლები[8]; თბილისური ხელოსნური ნაწარმი მნიშვნელოვანი რაოდენობით გაჰქონდათ კავკასიის მთის რაიონებში და განსაკუთრებით საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. მაგ.: იმერეთში გაჰქონდათ: სხვადასხვა ქსოვილი, ტყავეული, საპონი, ფეხსაცმელი, ცხენების აკაზმულობა და სხვ.[9].

რუსეთთან შეერთებამ ბევრი რამ შეცვალა თბილისის ცხოვრებაში. ქალაქი რუსის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებით და ჯარის ნაწილებით ივსებოდა. აქეთ მოედინება მრავალი მოგზაური, ვაჭარი და ყოველგვარი ჯურის ავანტურისტი. მათ კავკასიის ცენტრში ახალი გემოვნება, ახალი ჩვევები, ახალი მოთხოვნილებები შემოჰქონდათ. ახლა უკვე არც მოსულს და არც ადგილობრივ მო-

---

[5] ЦГВИА ВУА. საქ. 1848, ფურც. 50.

[6] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, თბილისის მოსახლეობა მე-19 ს. რეფორმამდელ ხანაში, ისტ. ინსტიტუტის შრომები, III, გვ. 132.

[7] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Рос. 110.

[8] სცსია, ფ. 16, საქმე 4669.

[9] სცსია ფ. 16, საქმე 8093, ფურც. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლეობას აღარ აკმაყოფილებდა ადგილობრივი ხელოსნობის ნაწარმი: «Изменяющийся в год от году образ жизни туземцев, от сближения с русскими и принятия европейского общежития, порождая новые привычки, не удовлетворяются уже местными грубыми изделиями, требуя более совершенных»[10]-ეკითხულობთ მთავარმართებლის 1843 წლის ანგარიშში.

ასეთ ვითარებაში ადგილობრივი ხელისუფლება სვამს საკითხს ადგილზე სახელოსნო სასწავლებლების დაარსების და რუსეთის სასწავლებლებში ადგილობრივი ყმაწვილების გაგზავნის შესახებ. ხოლო რაც მთავარია, იგი ცდილობს, ყოველგვარი საშუალებებით, მოიზიდოს თბილისში რუსი და უცხოელი ხელოსნები, ჰპირდება რა მათ ათასგვარ შეღავათს. მანამდე კი სამხედრო მოხელეები წაახალისებდნენ ხოლმე ჯარისკაცებს, შეესწავლათ სხვადასხვა ხელობები[11].

გასული საუკუნის 10-იანი წლებიდან რუსი, ებრაელი და უცხოელი ხელოსნების მოსვლა თბილისში თანდათან სისტემატურ ხასიათს იღებს. ოციან წლებში თბილისში 55 უცხოელი ცხოვრობდა, მათ შორის 31 ხელოსანი (მათ რიცხვში რუსები არ შედიან). ევროპული ხელოსნობის განვითარების მნიშვნელოვანი კერა იყო გერმანელთა კოლონია თბილისში.

ევროპელი ხელოსნებისა და, კერძოდ, რუსი, ებრაელი და უცხოელი ხელოსნების საქმიანობას თბილისში პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი მეტად უარყოფით ზემოქმედებას ახდენდნენ თბილისის ხელოსანთა ფეოდალურ ამქრულ ორგანიზაციაზე, რომელიც მალე მწვავე წინააღმდეგობაში აღმოჩნდა მათთან და მათ შორის ჩქარა მწვავე ბრძოლა გაიმართა, რაც წითელ ხაზად გასდევს რეფორმამდელი ხანის თბილისის ხელოსანთა ისტორიას; ამ ბრძოლამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამქრის საბოლოო ბედის გადაწყვეტის საქმეში.

თბილისის ამქარს დიდი ხნის ისტორია აქვს. თუმცა იგი ძირითადად ჰგავდა მსგავს ევროპულ თუ აღმოსავლურ ხელოსნურ ორგანიზაციებს, მაგრამ ბევრი ორიგინალური, განსხვავებული თვისებაც გააჩნდა. ყველაზე ძირითადი, რაც განასხვავებდა, ყოველ შემთხვევაში მე-19 საუკუნის I ნახევრის თბილისის ამქარს ევროპის მსგავსი ორგანიზაციებისაგან, იყო მეტი თავისუფლება და შეზღუდვების ნაკლებობა. საქართველოს ისტორიის მთელმა პროცესმა განსაზღვრა ეს თავისებურება; გამუდმებული ომები და მწარმოებელი მოსახლეობის შემცირება, აქედან გამომდინარე ხელოსანთა რაოდენობრივი სიმცირე, შევსების გაძნელება, წინააღმდეგ ევროპული ამქრული ორგანიზაციების წესდებებისა, თბილისის ამქარში გზას უხსნიდა ყმური ელემენტების შესვლას. ამქარში იღებდნენ ყმებს და არამცთუ იღებდნენ, უსტაბაშებადაც კი ირჩევდნენ[12]. მაგრამ საქმეს არც ეს შველოდა და ქვეყნის მეთაურები სპეციალურ ღონისძიებებს ატარებდნენ, რათა სხვა ქალაქებიდან და ქვეყნებიდანაც კი მოეყვანათ ხელოსნები თბილისში. ამრიგად, ევროპული ამქრული წესების საპირისპიროდ, თბილისის ამქარში გზა ეხსნებოდა უცხო ქალაქელ, უცხო ქვეყნისა და უცხო რელიგიის ელემენტებს[13].

---

[10] АСКОК, т. IX, გვ. 604, № 520.

[11] Гаксгаузен, Закавказский край, СПб. 1857, გვ. 81.

[12] ვ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. V, თბ., 1963, გვ. 213.

[13] შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 330.

მსგავსი მდგომარეობა იქმნებოდა სხვა შეზღუდვების მიმართაც, რომელიც ამჭარში შესვლასთან იყო დაკავშირებული: დაბადების კანონიერება, მაღალი ქონებრივი ცენზი, ბიუროკრატია და ა. შ.

ცხადია, ნათქვამიდან იმ დასკვნის გაკეთება არ შეიძლება, თითქოს თბილისის ამჭარი საერთოდ თავისუფალი იყო შეზღუდვისა თუ რეგლამენტაციისაგან, მაშინ იგი აზარს დაკარგავდა, როგორც ხელოსანთა ფეოდალური ორგანიზაცია. მაგრამ ეს რეგლამენტაცია ამჭრის შიგნით ძირითადად მიმართული იყო ოსტატების ურთიერთ დამოკიდებულებისა და მათი შეგირდებთან თუ მუშებთან დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად, ამჭრის გარეთ კი თავისუფალი კონკურენციის წინააღმდეგ იყო მიმართული.

რუსეთთან შეერთების პირველ წლებში ამჭარი დიდ მორჩილებას, პატივისცემას და ერთგვარ მაამებლობასაც კი იჩენდა ახალი ხელისუფლებისადმი. ეს გამოხატულება უნდა ყოფილიყო ძველი, გვიანფეოდალური ტრადიციისა, როდესაც ამჭარი და საერთოდ ქალაქის მოსახლეობა, სამეფო ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდა და თვით ვაჭარ-ხელოსნებიც ცენტრალური ხელისუფლებისაგან ელოდნენ დაცვას აღვირახსნილი ფეოდალური ჩაგვრისაგან.

თავის მხრივ, ახალი ხელისუფლება თავდაპირველად არ ერეოდა ხელოსნობის, კერძოდ, ამჭრის საქმეებში: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამჭარში იგი საგადამხდელო ერთეულს და საერთოდ მისთვის საჭირო ორგანიზაციას ხედავდა, მეორეც, კავკასიის სამხედრო-პოლიტიკური დაპყრობისა და მისი შემომტკიცებისათვის ზრუნვით გართულს, მას არ შეეძლო ჯეროვანი ყურადღება დაეთმო ვაჭრობა-ხელოსნობის საქმის მოგვარებისათვის თბილისში.

შემდეგ რიგმა ობიექტურმა მიზეზებმა განსაზღვრეს ის მდგომარეობა, რომ ამჭრის პოლიტიკა ადგილობრივი ხელისუფლების ინტერესებს დაუპირისპირდა.

ერთ-ერთი ასეთი მიზეზი იყო შეღავათიანი ტრანზიტი (1821—1831 წწ.) და მისი შედეგები და საერთოდ რუსული და უცხოური საქონლით ვაჭრობის ფართო გაქანება საქართველოში, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავდა თბილისის ამჭრულ ხელოსნობას, ხელიდან აცლიდა მას საშინაო ბაზარს.

შეღავათიანი ტრანზიტის პირველ ნახევარში (1822—26 წწ.) საქართველოში 14 708 084 მანეთის პროდუქცია შემოვიდა; ე. ი. წლიურად საშუალოდ 2.941,617 მანეთის პროდუქცია შემოდიოდა. ტრანზიტის II ნახევარში (1826—31 წწ.) შემოტანილი საქონლის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მიაღწია 27.852.042 მ. ვერცხლით, წლიურმა პროდუქციამ კი 5.570.408 მანეთი შეადგინა. პროფ. ს. გუგუშვილის გამოანგარიშებით აღნიშნული საქონლის 25% ადგილზევე რჩებოდა[14]. მაშასადამე შეღავათიანი ტრანზიტის II ნახევარში საქართველოში წლიურად იყიდებოდა 1.392.802 მან. ვერცხლით უცხოური ნაწარმი, ეს ძირითადად პირველი მოხმარების საგნები იყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ საქონლის დიდი ნაწილი თბილისში საღდებოდა, მაშინ გასაგები იქნება, რა მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებდა იგი ადგილობრივ ხელოსნებს.

შეღავათიანი ტრანზიტის პერიოდი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია მე-19 საუკუნის საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში. მისი შედეგები მეტად მრავალმნიშვნელოვანია, რადგან იგი, ერთი მხრივ, აფერხებდა ახალი ეკონომიური წყობის შემოჭრას ჩვენში, მეორე მხრივ, ფართოდ უხსნიდა მას გზას. მან სა-

[14] ს. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, შეღავათიანი ტრანზიტი და ვაჭრობა საქართველოსა და ა/კავკასიაში, თსუ შრომები, 1936, III, V.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოში ვაჭართა კლასი ჩამოაცილა ქვეყნის სამრეწველო განვითარებას, იქისათვის რათა შემდეგ ისევ დაებრუნებინა, მაგრამ სულ სხვა სახით. მან ახალი სული შთაბერა თბილისის საქალაქო მეურნეობას. გააძლიერა უკვე „გაღვიძებული ცხოვრების ევროპული ყაიდა“ და მრავალრიცხოვან ეკონომიურ, პოლიტიკურ, სოციალურ და ისტორიულ მოვლენათა კომპლექსში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თბილისის სამრეწველო განვითარების ახალი გზით წარმართვაში.

აღნიშნულმა ტრანზიტმა მეტად მძიმე დარტყმა მიაყენა თბილისის ხელოსნობას. მან მნიშვნელოვნად შეამცირა აბრეშუმის, ბამბის ქსოვილების წარმოება ჩვენში. 1817 წელს თბილისში აბრეშუმის 6 ფარდული ყოფილა[15]. 1826 წელს 3[16], 1833 წელს კი არც ერთი არაა აღნიშნული[17]. ბამბის წარმოებაში 1826 წელს 207 ხელოსანი ჩანს[18], 1835 წელს კი მხოლოდ 40[19].

საყურადღებოა ისიც, რომ ტრანზიტი ადგილობრივ ხელოსნობას ავიწროებდა როგორც პირდაპირი, ისე ირიბი დარტყმებით. ავითარებდა რა მოსახლეობის გემოვნებას, იგი გზას უღობავდა ადგილობრივი ხელოსნობის ისეთი დარგების განვითარებასაც კი, რომელიც ტრანზიტის შემოტანის საგანი არც კი იყო, სამაგიეროდ ადგილობრივი მოსახლეობა მას ივსებდა რუსეთიდან შემოტანილი საქონლით, თუ საქართველოში მომუშავე ევროპელი ხელოსნების ნაწარმით.

ჩვენს ხელთ არსებული მეტად არასრული ცნობებიც კი ნათელყოფს ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საფუძვლიანობას: მთელ რიგ დარგებში დასაქმებულ ხელოსანთა რაოდენობა კლებულობს, ხოლო, სადაც რაოდენობა იგივე რჩება, კლებულობს შეფარდება მოსახლეობის საერთო რიცხვთან. მაგალითად, 1835 წელს 1825 წელთან შედარებით (უფრო ადრეული ცნობები ჩვენ არ გვაქვს) მქსოველ ხელოსანთა რიცხვი 207-დან — 40-მდე შემცირებულა, მეაბრეშუმეებისა 64-დან 12-მდე, მექუდეების—79-დან 37-მდე და ა. შ.

რომ შედავათიანი ტრანზიტის პერიოდში ადგილობრივი ხელოსნობის შემოსავლიანობა კლებულობს, იქიდანაც ჩანს, რომ უღარიბესი ხელოსნებიც კი, ოურმე, თავს ანებებდნენ თავის ხელობას და სავაჭრო საქმიანობაში ებმებოდნენ[20].

რუსული და უცხოური საქონლის კონკურენციას მნიშვნელოვნად შეუფერხებია თბილისის ხელოსნობის ისეთი მაღალგანვითარებული დარგიც კი, როგორიც ოქრომჭედლობა იყო. 1835 წელს ოქრომჭედლები ჩიოდნენ, ჩვენი ხელობა პურის ფულსაც კი არ გვაძლევს და ლამის არის თავი დავანებოთო[21].

ამრიგად, ერთი მხრით უცხოელი, რუსი და ებრაელი მოსული ხელოსნების საქმიანობამ, ხოლო მეორე მხრით, შემოზიდულმა რუსულმა და უცხოურმა საქონელმა, მნიშვნელოვნად შეარყია ადგილობრივი, ამჟრული ხელოსნობის მდგომარეობა. ამას არ შეეძლო საპასუხო მოქმედება არ გამოიწვია. და მართლაც, გასული საუკუნის 20-იანი და განსაკუთრებით 30-იანი წლებიდან თბილისის

[15] სცსია, ფ. 16, საქმე 9778, ფურც. 107.
[16] იქვე, საქმე 3614, ფურც. 156.
[17] იქვე, საქმე 5042, ფურც. 57
[18] ЦГВИА, ВУА, საქ. 1848,1 ფურც. 50.
[19] სცსია, ფ. 16, საქმე 5255.
[20] სცსია, ფ. 19, აღ. 183 — 36 წწ. საქმე 103, ფურც. 21.
[21] სცსია, ფ. 2, აღ. 1, საქმე 3864, ფურც. 12—13.

ამჟრები აქტიურ ბრძოლას იწყებენ მოსულ ხელოსნებთან. ბრძოლის პირველი მახვილი მათ ებრაელი ხელოსნების წინააღმდეგ მიმართეს, რადგან ებრაელები იმ დროს ყველაზე საშიშ ძალას წარმოადგენდნენ და, რაც მთავარია, თბილისელ ხელოსნებს ამ ბრძოლაში დასაყრდენად რუსეთის იმპერიის კანონმდებლობა ჰქონდათ, რომელიც კრძალავდა ა/კავკასიაში ებრაელთა მოღვაწეობას. ერთხანს გარკვეულ წარმატებასაც კი მიაღწიეს: 1827 წელს გამოიცა ბრძანება ებრაელების თბილისიდან გასახლების შესახებ[23]. მაგრამ თბილისელ ხელოსანთა ეს გამარჯვება დროებითი იყო, რადგან ებრაელთა საქმიანობა თბილისში ადგილობრივი ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით სარგებლობდა[23]. 30-იანი წლებიდან ებრაელები კვლავ მრავალდებიან თბილისში; ადგილობრივი ხელოსნები ბრძოლას აგრძელებენ, მაგრამ უშედეგოდ[24]; როცა ჩივილითა და კანონების მოშველებით ვერას გახდნენ, ამჟარს ძალისათვის მიუმართავს, რისთვისაც ორი უსტაბაში დაუპატიმრეს[26]. ამრიგად, თბილისის ამჟრულმა ხელოსნობამ პირველი მნიშვნელოვანი მარცხი განიცადა.

თბილისელი ხელოსნები ბრძოლას თბილისის კოლონიის გერმანელი ხელოსნების წინააღმდეგაც აჩაღებენ[26]. აქაც საქმეში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ჩარევამ განსაზღვრა კოლონისტების ინტერესების შეულახველობა.

30-იანი წლების ბოლოს და განსაკუთრებით 40-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში, და კერძოდ თბილისში, რუსი და უცხოელი ხელოსნების მოზიდვის პოლიტიკამ მკვეთრი და ჩამოყალიბებული სახე მიიღო. რათა მათთვის კავკასიაში ჩამოსვლის ხალისი გაეძლიერებინა, საიმპერიო ხელისუფლება მთელ რიგ მნიშვნელოვან შეღავათებსაც არ იშურებდა. 1843 წელს თბილისში ჩამოსახლებული რუსი და უცხოელი ხელოსნებისათვის[27]. 1844 წელს საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლება შეკვეთას აგზავნის ორივე დედაქალაქში 20-მდე სხვადასხვა დარგის ხელოსნების გამოგზავნაზე[28]. იმავე წელს დამტკიცებულ იქნა მთელი რიგი შეღავათები და პრივილეგიები, რომელიც მოსულ ხელოსნებს ეძლეოდა საქართველოში[29]. ხოლო, მათთვის რომ სამოქმედო ასპარეზი გაეწმინდა, მეფისნაცვალმა აკრძალა სალდათი ხელოსნების საქმიანობა თბილისში და 700-მდე დაბალი ჩინის ხელოსანი პოლკებში დააბრუნა[30].

ყოველივე ამან თავისი შედეგები გამოიღო და უკვე 1846 წლისათვის თბილისში ევროპულ ხელოსანთა საკმაოდ დიდი კონტიგენტი ყოფილა, რომელთა მოქმედების არე თურმე შორს სცილდებოდა თბილისის მაზრისა და გუბერნიის ფარგლებს[31].

ასეთი ვითარება ადგილობრივი, ამჟრული ხელოსნობის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს აყენებდა, რადგან ვითარდებოდა მოსახლეობის გემოვნება და

[22] სცსია, ფ. 2, აღ. 1, საქმე 2051, ფურც. 27.
[23] იქვე, ფ. 26.
[24] სცსია, ფ. 26, აღ. 1, საქმე 5682.
[25] იქვე, ფურც. 47.
[26] სცსია, ფ. 16, საქმე 4883.
[27] Акты, ტ. IX, გვ. 59, № 514
[28] სცსია, ფ. 1268, 1844 — 46, აღ. 1, საქმე 605, ფურც. 5—6.
[29] Акты, т. IX, стр. 625, № 528.
[30] Акты, т. IX, стр. 833.
[31] სცსია, ფ. 4, აღ. 8, საქმე 129, ფ. 147.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამქრული ხელოსნობის ნაწარმი არამც თუ მოსულ, არამედ ადგილობრივ ფეოდალურ მენტსაც კი ვეღარ აკმაყოფილებდა. ეს კი მისი მოსპობის დასაწყისი იყო. 1846 წლის ერთ-ერთ ცნობაში აღნიშნულია, რომ „С образование жителей, заметно их стремление подражать русским и потому ремесла собственно Грузии приходят в упадок»[32].

რაკი თავისუფალ კონკურენციაში მარცხს განიცდიდნენ, ადგილობრივი ხელოსნები კვლავ ძალას მიმართავდნენ. საარქივო მასალამ შემოგვინახა მოსული ხელოსნების შრავალი საჩივარი, სადაც ისინი ადგილობრივი ხელოსნების მიერ შევიწროებაზე ლაპარაკობენ[33].

ჩვენ ზევით შევნიშნეთ, რომ თბილისელი ხელოსნებისათვის უცხო იყო ნაციონალური და რელიგიური შეზღუდვები. თბილისში სხვა ქალაქებიდან და სხვა ქვეყნებიდან (ძირითადად აღმოსავლეთიდან) მოსული ხელოსანი ადრეც ბევრი იყო. ცხადია, როცა თბილისელი ამქრული ხელოსნები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აჩაღებენ ებრაელი, უცხოელი და რუსი მოსული ხელოსნების წინააღმდეგ, ამის მიზეზი მათში რელიგიური ან ნაციონალური განსხვავება კი არ ყოფილა, არამედ ის, რომ მოსული ხელოსნები ტრადიციულად ახალ დარგებს ნერგავდნენ საქართველოში, რომელთა მიმართ, როგორც ზევით აღინიშნა, ცხოვრების ყაიდის ცვლის შესაბამისად, იზრდებოდა მოთხოვნილება აგილობრივ ბაზარზე. რაც მთავარია, ამქრული შეზღუდულობისაგან თავისუფლება, ბაზრის დიდი მოთხოვნილება მათ ნაწარმზე მთავრობის მფარველობითი პოლიტიკა, დაქირავებული შრომის გამოყენების ტრადიციები, და მუშა ხელის საკმაოდ დამაკმაყოფილებელი ბაზარი, საშუალებას აძლევდა მოსულ ხელოსნებს სწრაფად გაეზარდათ თავიანთი წარმოება. მათში კაპიტალისტური ურთიერთობა უფრო სწრაფად იკაფავდა გზას; მათი ერთი ნაწილი თანდათან ხელოსანი ოსტატიდან (კუსტარიდან) მსხვილი კაპიტალისტური სახელოსნოების მეპატრონეებად გადაიქცნენ. მაგალითად: ჯერ კიდევ 20-იან 30-იან წლების მიჯნაზე მკერავ ოსტატ ებრაელ სალმანს თბილისში საკმაოდ მსხვილი წარმოება აქვს, რომელშიც 30 მარტო ქრისტიანი მუშა მუშაობს, მეორე ებრაელ ოსტატს მოისეი კრინკის სახელოსნოში კი ქრისტიანი 15 მუშა მუშაობდა[34]. ჩვენ არ ვიცით თუ სხვა ეროვნების რამდენი მუშა მუშაობდა ამ წარმოებებში. მაგრამ მათი დიდი მასშტაბი ისედაც ნათელია. ხოლო თანდათან უცხოელთა ასეთი სახელოსნოების რაოდენობა თბილისში სულ უფროდაუფრო მატულობს და 1866 წლისათვის 221 მოსული ოსტატი ექსპლოატაციას უწევდა 382 ქარგალს, 450 შეგირდს და 91 მუშას[35]. ამ დროისათვის თბილისში 20-მდე ევროპული სახელოსნოა, რომელშიც 10—20 და ზოგჯერ მეტიც, დაქირავებული მწარმოებელია (ქვეოსტატი, შეგირდი, მუშა) ჩაბმული[36]. ცხადია, ყველა ეს კაპიტალისტური საწარმოა. სავარაუდოა, რომ მათში ადგილი უნდა ჰქონოდა შრომის დანაწილების შემოღების ცდებს და მაშასადამე მომავალში ისინი კაპიტალისტურ მანუფაქტურებად განვითარდებოდნენ.

მაშასადამე, ეს იყო ბრძოლა თვისობრივად ძველსა და ახალ ხელოსნობას, ძველსა და ახალ წარმოებით ურთიერთობას შორის და ამ ბრძოლაში ადრე თუ

[32] ცსიად, ფონდი 2168, აღწ. 1, საქმე 194.

[33] სცსია, ფ. 16, საქმე 5612; ფ. 2, აღწ. 1, საქმე 4842, ფ. 26, აღ. 4, საქ. 839 და სხვ.

[34] სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 4458, ფურც. 17.

[35] სცსია, ფონდი 7, აღწ. 1, საქმე 2229.

[36] იქვე.

გვიან გამარჯვება მოსული ხელოსნების მხარეს უნდა დარჩენილიყო და ასეც მოხდა.

40-იანი წლებიდან თბილისის ხელოსნობა სწრაფად იზრდება როგორც რაოდენობრივად, ისე დარგობრივად. თუ 1825 წლისათვის თბილისში 29 დარგის 1294 ხელოსანი იყო აღნიშნული (ჩვენ ვიღებთ ცნობებს ძირითადად ოსტატებისა და ქვეოსტატების შესახებ), ხოლო 1835 წელს 28 დარგის 1259 ხელოსანი (შემცირება ძირითადად შეღავათიანი ტრანზიტის შედეგებს უნდა მიეწეროს), 1848 წლისათვის უკვე თბილისში 50 დარგის 2158 ხელოსანია, ე. ი. შესაბამისად ხელოსანთა ოდენობა გაიზარდა 1,66-ჯერ და 1,71-ჯერ, ხოლო ხელოსანთა დარგობრივი რაოდენობა კი კიდევ უფრო მეტად. 1865 წლისათვის ზრდის ტემპები კიდევ უფრო ჩქარია; ახლა თბილისში 68 დარგის ხელოსნობებში მომუშავე ოსტატთა და ქვეოსტატთა რიცხვმა 2900 კაცს გადააჭარბა, ე. ი. 1825 წელთან შედარებით თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა. მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში, იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი წყობის შემოჭრის პარალელურად, იზრდებოდა რა ხელოსნებში დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის ხარისხი, თბილისის ხელოსნობაში ოსტატთა და ქვეოსტატთა რაოდენობის ზრდაზე უფრო სწრაფად იზრდებოდა მასში საერთოდ დასაქმებულ პირთა რაოდენობა (ძირითადად, შეგირდებისა და შავი მუშების ხარჯზე).

ხელოსნობის დარგობრივი და რაოდენობრივი ზრდა თბილისში, ადგილობრივი ხელოსნობის შემცირების ხარჯზე, ახალი ევროპული ტიპის ხელოსნობის განვითარების გზით მიდიოდა. საქმეს აქ მოსული ხელოსნების რაოდენობა არ განსაზღვრავდა, რადგან მათი რაოდენობა თბილისის ხელოსნობის საერთო რაოდენობასთან შედარებით იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო. საქმეს, როგორც ითქვა, განსაზღვრავდა ახალი ტიპის ნაწარმზე მოთხოვნილების ზრდა, რაც საშუალებას აძლევდა მოსულ ხელოსნებს, შეგირდების დიდი რაოდენობით აყვანის საფუძველზე. თბილისში ფართოდ გავრცელებინათ ხელოსნობის ახალი დარგები. ამასთან, როგორც აგრეთვე აღვნიშნეთ, მათ სახელოსნოებში დიდი რაოდენობით იყვნენ დასაქმებულნი ადგილობრივი მწარმოებლები. 1848—64 წლებში მცირდება ძველ ხელოსნურ დარგებში დასაქმებულ ხელოსანთა რიცხვი. მაგალითად, ამ პერიოდში მეტიკეების რიცხვი შემცირდა 14-დან 5-მდე, მეიარაღეებისა 82—38; მცირდება რიცხვი მჭედლებისა, თოქმაჩების, ხარატებისა, მექუდრეებისა და სხვა... სამაგიეროდ მეკასრეების რიცხვი გაიზარდა 1-დან 19-მდე, მეფხუნთუშეებისა 1-დან 14-მდე, მეკონდიტრეებისა 1-დან 26-მდე, მესაათებისა 4-დან 66-მდე, ასევე მეპოლეტეებისა, მებუზმენტეებისა და ასე შემდეგ[37].

ეს ზრდა მარტო მოსული ხელოსნების ხარჯზე რომ არ ხდებოდა, შემდეგი ცნობებიდან ჩანს: 1865 წელს თბილისში უცხოელი 5 მეკონდიტრე ოსტატი მუშაობს, ადგილობრივი 8; მეძეხვე—უცხოელი—2, ადგილობრივი—4, ამკინძავი—უცხოელი და რუსი 5, ადგილობრივი—9, მებუზმენტე და ოქრომქსოველი რუსი და უცხოელი 4, ადგილობრივი—22[38] და ა. შ. ხელოსნობის ახალი დარგების გაჩენასთან ერთად, იცვლება არსებული დარგების ხასიათი და მასში გაბატონებულ მდგომარეობას თანდათან ევროპული ხასიათის წარმოება იჭერს. მაგალითად, 1866 წელს რუსული და ევროპული ფეხსაცმელების წარმოებაში 179 კაცი იყო ჩაბმული, მაშინ, როდესაც ქართველი მეწაღეები—54 კაცს

[37] იხ. ЦГВИА ВУА, საქმე 18481, ფურც. 49—51, შედარ. სცსია, ფ 16, საქმე 5255.
[38] სცსია, ფონდი 7, აღწ. 1, საქმე 2229.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აერთიანებდნენ, აზიური მეჩექმეები—116, თურქული ფეხსაცმლის მკერავები—64. ტანსაცმლის სამკერვალო წარმოებაში ჩაბმული 432 კაციდან ევროპულ ხელობას 293 კაცი მისდევდა, ხოლო აზიურს მხოლოდ 139[39].

ეს იყო რთული პროცესი თბილისის ხელოსნობის გარდაქმნისა, მასში ახალი დარგების გაჩენისა; ცხადია, ამ პროცესს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითები, თუ რა მძაფრ ბრძოლას აწარმოებდნენ ადგილობრივი ხელოსნები, ეს ბრძოლა გრძელდება მთელი რეფორმამდელი პერიოდის მანძილზე.

ცხადია, ასეთ ვითარებაში უცვლელად არ შეიძლებოდა დარჩენილიყო ადგილობრივი ხელოსნების ფეოდალური ორგანიზაცია—ამქარი. ამქრის რღვევის ნიშნები ჯერ კიდევ 20—30-იან წლებში შეინიშნება, მაგრამ 40-იანი წლებიდან მოყოლებული, ეს რღვევა თანდათან ინტენსიური ხდება; ამის გამოხატულება იყო ამქრულ ხელოსნებში ქონებრივი დიფერენციაციის გაძლიერება. ამქრულ ხელოსნობაში დაქირავებული შრომის გამოყენების ზრდა, საუკუნოვანი ადათ-წესების თანდათანობით მოსპობა, ამქარში დემოკრატიზმის პრინციპის რღვევა და, რაც მთავარია, ამქრულ ხელოსნობაზე ვაჭრების გავლენის ზრდა. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ერთ-ერთი ანონიმური საბუთი მოგვითხრობს, თუ რა მწვავე ბრძოლა გაჩაღებულა გასული საუკუნის 20 — 30-იან წლებში ადგილობრივ ხელოსნებსა და ვაჭრებს შორის, და რომ ამ ბრძოლაში ვაჭრებმა გაიმარჯვეს, მათ დაიმორჩილეს ხელოსნები[40]. აღნიშნულ ცნობაში ვაჭარ-შემსყიდველთა გავლენის ზრდა უნდა ვიგარაუდოთ. რაც ახალი კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვის მომასწავებელი იყო. ხოლო ვაჭარ-შემსყიდველების არსებობის შესახებ, ყოველ შემთხვევაში 50-იან წლებში, ჩვენ უტყუარი საბუთები გვაქვს. მათზე ჩვენ ცოტა ქვევით შევჩერდებით. აქ კი ყურადღებას მივაქცევთ ერთ საინტერესო გარემოებას: 1867 წელს გამოცემულ თბილისის ამქრის წესდებაში ოსტატი შემდეგნაირად არის განსაზღვრული: „ოსტატად იწოდება ის, რომელიც ან თითონ მოქმედობს როგორიმე ხელობით ცალკე დუქანში, ან უჭირავს საოსტატო სახლი, რომელშიც ჰყვანან მოჯამაგირე ქარგლები და შეგირდები". ცხადია, აღნიშნული ზზრი პროექტის ავტორის ფანტაზიის შედეგი არ შეიძლება იყოს; მას როგორც ჩანს თბილისის სინამდვილეში ნამდვილი, მტკიცე საფუძველი ჰქონდა; ე. ი. თბილისის ამქრულ ხელოსნობაში ჩნდებიან მსხვილი სახელოსნოს მეპატრონეები, რომლებიც თვითონ არც კი მუშაობენ, არამედ „უჭირავთ საოსტატო სახლი" და დაქირავებული შრომის ექსპლოატაციით ცხოვრობენ. ეს უკვე სასაქონლო მეურნეობის მნიშვნელოვანი განვითარების მაჩვენებელია. ამქრული შეზღუდულობის სიმცირე, რომელზედაც ზევით გვქონდა საუბარი, მსხვილი სახელოსნოების გაჩენის სამუალებას იძლეოდა[41].

---

[39] იქვე.

[40] საქ. ჰეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ros 268, ფურც. 1.

[41] როცა ადგილობრივ ხელოსნობაში ახალი ურთიერთობის შეჭრაზე და მასში სასაქონლო ურთიერთობის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ეს პროცესი ჯერ კიდევ მე-18—19 საუკუნის მიჯნაზე იქნა შემჩნეული ჩვენს მიერ თბილისის და საქართველოს საქსოვ წარმოებაში, სადაც იგი გაფანტული მანუფაქტურის ფორმით გვევლინება.

ასე ირყეოდა ამქრის სიმტკიცე. ამას კი თან სდევდა ამქრის ეკონომიური დასუსტება. 1865 წლისათვის თბილისის 100-ზე მეტი ამქრიდან ორიოდეს თუ ჰქონდა სალაროში რაღაც თანხა, დანარჩენებს მოლარეებიც არ ჰყავდათ[42].

არის კიდევ ერთი საინტერესო გარემოება: ამქრის ინტენსიური რღვევის პარალელურად, თბილისში მიმდინარეობდა ამქრების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს გასაგებია: გარედან შეტევებით თუ თავის შიგნით მიმდინარე პროცესებით გამოწვეული კრიზისისაგან თავის დაღწევას ამქრული ხელოსნობა შეკავშირებით ცდილობდა. რეფორმამდელი პერიოდის მიწურულისათვის ამქრები ჩნდებიან არა მარტო ხელოსნობაში, არამედ საქალაქო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. ამქარში ერთიანდებიან ვაჭრები, მებაღეები, თოლუხჩები და, მათხოვრებიც კი[43].

როგორც ითქვა, ამქრული ხელოსნების შეტევა ძირითადად მოსული ხელოსნების წინააღმდეგ იყო მიმართული. უკანასკნელთ მთავრობის მხარდაჭერითაც კი უჭირდათ გამკლავებოდნენ ასეთ ძლიერ ძალას და იმისათვის, რომ ორგანიზებული შეტევისათვის ორგანიზებულივე თავდაცვა დაეპირისპირებინათ, უცხოელები დამოუკიდებელი, საკუთარი ამქრის შექმნას იწყებენ. თანაც, რაც საინტერესოა, ამქარს ჰქმნიან ადგილობრივი, ქართული ამქრის მიბაძვით. ჯერ კიდევ 1846 წელს შექმნეს ასეთი ამქარი ევროპელმა მეჩექმეებმა[44]. მსგავსი ორგანიზაციები თბილისში თანდათან მრავლდება. არ არის გამორიცხული, რომ მათში ადგილობრივი ელემენტიც იღებდა მონაწილეობას.

თბილისელი ხელოსნები ხედავდნენ, თუ როგორ მეთოდურად აძლიერებდა მთავრობა მათ საწინააღმდეგო პოლიტიკას. ამიტომ ირღვევა მათი ურთიერთ კეთილგანწყობილება. ჯერ კიდევ 20-იანი წლების ბოლოდან იწყება ამქრული ხელოსნობის კანტიკუნტი მღელვარებები[45]. თანდათანობით, ამქარი სულ უფრო და უფრო მეტ ურჩობას იჩენს. ყოველივე ამან კანონზომიერად მიიყვანა იგი აჯანყებამდე 1865 წელს.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ყალიბდებოდა მთავრობის დამოკიდებულება ამქრისადმი. ითვალისწინებდა რა ყველა დადებითსა და უარყოფითს, რაც ამქარს გააჩნდა, მთავრობა აყენებდა საკითხს მისი შელამაზების შესახებ. მას სურდა, ჩამოეცილებინა მისთვის მონოპოლიისადმი მისწრაფების ძალა და დაეტოვებინა ამქარი, როგორც მხოლოდ საქველმოქმედო ორგანიზაცია და საგადამხდელო ერთეული. ამ მიზანს ისახავდა ვორონცოვის პროექტი თბილისში „სახელოსნო მმართველობის" დაარსების შესახებ, რომელიც 1852 წ. იქნა დამტკიცებული[46]. აღნიშნული პროექტი ცხოვრებაში მეტად კუდშეკვეცილად გატარდა. 1854 წელს მთავრობა კვლავ დაუბრუნდა ამქრის საკითხის გადაწყვეტას, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. 1859 წელს რიგი შესწორებები შეიტანეს 1852 წლის პროექტში, მაგრამ „სახელოსნო მმართველობის" სრული ფორმით მოწყობა მაინც შეუძლებელი შეიქმნა.

60-იანი წლების დასაწყისში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მთავრობის წრეების აზრი ამქარზე, რომელსაც ისინი თვლიდნენ თბილისში ხელოსნობის წარუმა-

---

[42] სცსია, ფ. 414, აღწ. 1, საქმე 13, ფურც. 103—131.

[43] ЦГВИА, ф. 169 д. 4.

[44] სცსია, ფ. 16, საქმე 9015.

[45] საქ. მეც. აკად. ხელნაწ. ინსტიტ., ROS 268, გვ. 1.

[46] Акты, ტ. X, № 49, გვ. 49; იქვე, № 52, გვ. 53.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებლობის, სიძვირის და მრავალი სხვა უბედურების მიზეზად[47]. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამჟრის ბედის საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო. თბილისის ამჟრის 1865 წლის გამოსვლა მხოლოდ საბაბი იყო მთავრობისათვის, რათა ახალი კანონმდებლობით საბოლოოდ შეერყია ამჟრული ორგანიზაციის საფუძველი.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ როგორ იცვლებოდა დამოკიდებულება მთავრობის წრეებსა და ამჟრულ ხელოსნებს შორის. ამ ორი ძალის განსხვავებულმა პოლიტიკამ ისინი ურთიერთს დაუპირისპირა ისე, რომ საბოლოოდ საქმე იარაღამდეც კი მივიდა. ამ დამოკიდებულების ფონზე, თითქოსდა პარადოქსალურად მოჩანს თბილისის ამჟრული ხელოსნების მოქმედება ყირიმის ომის წლებში; როცა თბილისის დაცვის საჭიროება შეიქმნა, მთავრობამ ხელოსნებს მოუწოდა, დაეცვა საქართველოს დედაქალაქი. თბილისელმა ხელოსნებმა მთავრობის მოწოდებაზე მტკიცე, ერთსულოვანი მხარდაჭერით უპასუხეს და განსაზღვრულზე ორჯერ მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ლაშქარი გამოიყვანეს[48]. ამჟარი, რომელსაც რუსეთის მთავრობა გაუმჟმებით ემუქრებოდა თავისი ნება-სურვილით ჩადგა მისი ძლევამოსილების სამსახურში. ჩადგა გატაცებით, აღტკინებით და ეს ყარაჩოხელის რომანტიკული აღტკინება კი არ იყო, არამედ მშრომელი კაცის მტკიცე გადაწყვეტილება, დაეცვა არსებული მდგომარეობა. მშრომელ ხელოსანს, რომელიც თავის ზურგზე იტანდა დროების ჭირვარამს, მარტივად და მტკიცედ ესმოდა ის, რაც დღემდე გაუგებარია ზოგი ბურჟუაზიული ისტორიკოსისათვის. მას მტკიცედ ესმოდა, რომ როდესაც იგი მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ იბრძოდა, ეს იყო ბრძოლა უკეთესი არსებობისათვის; ამავე დროს, მას ჯერ კიდევ ნათლად აჩნდა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის ნაჭრილობევები და გრძნობდა, რომ რუსეთის გარეშე კითხვის ქვეშ დგებოდა საერთოდ არსებობის საკითხი.

ასეთია თბილისის ხელოსნობის განვითარების ძირითადი მომენტები მე-19 საუკუნის რეფორმამდელ ხანაში.

მაგრამ აღნიშნული პერიოდის თბილისის სამრეწველო განვითარებისათვის დამახასიათებელია მეორე მიმართულებაც. კერძოდ, ამ დროისათვის თბილისში ჩნდება შედარებით მსხვილი საწარმოები, რომლებიც ნაწილობრივ ადგილობრივ ხელოსნობაში ისახებიან, ნაწილობრივ მოსული ხელოსნებიდან წარმოიქმნებიან, ხოლო უფრო ხშირად კი ადგილობრივი ვაჭრების წარმოებაში ჩარევისა, თუ სხვადასხვა საქმოსნების სამრეწველო ცდებისა და წამოწყებების სახით გვევლინებიან.

რამდენადაც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ამჟამად საშუალება არ გვაქვს, დავხატოთ მთლიანი სურათი მრეწველობის დარგების განვითარებისა, ამდენად, რათა ნაწილობრივ მაინც ავიცილოთ თავიდან მოსალოდნელი სქემატურობა, ჩვენ ვფიქრობთ, უმჯობესია განვითარების ტენდენცია ძირითადად ორი დარგის მიმართ იქნეს ნაჩვენები. ასეთ დარგებად ვიღებთ ტყავისა და არყის დამმუშავებელ მრეწველობებს.

* * *

თბილისის ამჟრობაში მეტყავეები პირველობას არვის უთმობდნენ; ამაში უეჭველი გავლენა უნდა ჰქონოდა იმას, რომ მეტყავეების დამზადებული საქონელი აუცილებელი და შეუცვლელი ნედლეული იყო მრავალი ხელოსნური

[47] სცსია, ფონდი 416, აღწ. 3, საქ. 651, ფ. 8.

[48] გაზ. „Кавказ" 1855 წ., № 34, № 36.

ღარგისათვის, ფეხსაცმლის მკერავები იქნებოდნენ ესენი, მეუნაგირეები, თუ მრავალი სხვა.

თბილი წყლის დიდი რაოდენობით გამოყენების აუცილებლობა და სათბობის სიძვირე თბილისში, განსაზღვრავდა იმას, რომ ტყავის საწარმოებები თბილი მინერალური წყლების ბაზაზე ეწყობოდნენ; ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ამ დარგის ხელოსნები ერთად მუშაობდნენ. მეტყავე ხელოსნები საქართველოს რუსეთთან შეერთების დროისათვის თითქმის ქალაქის ცენტრში, სოფლის მახლობლად იყვნენ განლაგებულნი იმ ადგილას, სადაც შემდეგ არწრუნის ქარვასლა იქნა მოწყობილი. ციციანოვის მთავარმართებლობის დროს, მათი ამ ადგილზე დატოვება ქალაქისათვის საზიანოდ მიიჩნიეს და ხელოსნები აიძულეს ქალაქგარეთ გადასულიყვნენ[49]. მეტყავეთა ერთი ნაწილი სეკლესიო და ბებუთოვის აბანოებს შორის (ქალაქის II ნაწილის II კვარტალში), აბანოს ხიდის ახლოს, ბებუთოვის მიერ მოწყობილ შენობაში გადავიდა; ხოლო მეორე ნაწილმა სუმბათაშვილებთან დადო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ხელოსნებს უფლება ეძლეოდათ სუმბათაშვილების მიწაზე, საკუთარი სახსრებით, აეშენებინათ ტყავის „ქარხანა“, ხოლო მიწის პატრონებისა და მათი შთამომავლებისათვის ყოველწლიურად უნდა ეხადათ მიწის საიჯარო ფასი[50].

1845 წლის აღწერით „ქარხანა“ რამდენიმე ნაგებობისაგან შედგებოდა. ცალკე შენობა იყო გამოყოფილი მასალის დასაწყობად, ცალკე შენობაში წარმოებოდა ტყავის გამოყვანა, დათრიმვლა, ცალკე წარმოებდა ტყავის მოქნა, შეღებვა და სხვა ოპერაციები. ქარხანაში სპეციალური ოთახები იყო დაჭრილებული მუშების საცხოვრებლად. „ქარხანას“ სამზარეულოც ჰქონია[51]. დაახლოებით ასე უნდა ყოფილიყო მოწყობილი ბებუთოვის „ქარხანაც“.

30-იანი წლების დასასრულისათვის ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით ორივე „ქარხანაში“ დროებით შეწყვეტილ იქნა მუშაობა. სუმბათაშვილის „ქარხანაში“ ხელოსნებს შემდეგ ნება დართეს გაეგრძელებინათ მუშაობა, ხოლო ბებუთოვისამ კი, როგორც ჩანს, ამ დროიდან საერთოდ შეწყვიტა არსებობა[52].

1834 წლის ცნობით, სულ ორივე ქარხანაში 61 დამოუკიდებელი ოსტატი მუშაობდა[53]. მომუშავეთა საერთო რაოდენობა კი გაცილებით მეტი იყო. მაგალითად მარტო სუმბათაშვილის ქარხანაში 100-ზე მეტი კაცი მუშაობდა[54] აქედან 27 ოსტატი, დანარჩენი შეგირდები და მავი მუშები[55]. მაშასადამე ბებუთოვის ქარხანაში 34 ოსტატი იქნებოდა შეგირდებისა და მუშების შესაბამისი რაოდენობით.

ერთ შენობაში ასეთი დიდი რაოდენობის მწარმოებლების თავმოყრა, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ეს მსხვილი კაპიტალისტური საწარმო იყო, რადგან წარმოებას ერთი კაპიტალისტი არ ედგა სათავეში. აღნიშნულ „ქარხნებში“ წარმოების ხელოსნური ამქრული წესი ბატონობდა. მასში მომუშავე ოსტატები კი ამქრული ხელოსანი ოსტატები არიან,—დამოუკიდებელი მწარმოებელნი,

---

[49] სცსია, ფ. 16, საქმე 8399, ფურც. 19.
[50] სცსია, ფ. 2, საქმე 3486, აღწ. 1, ფურც. 9.
[51] სცსია, ფ. 16, საქმე 8399, ფურც. 15—17.
[52] სცსია, ფ. 2, აღწ. 1. საქმე 3486, ფარც. 36, 50, 54.
[53] სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 3496, ფურც. 35.
[54] იქვე, ფურც. 86.
[55] სცსია, ფ. 209, აღწ. 1, საქმე 506, ფურც. 51

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც საკუთარი კაპიტალით აწარმოებენ. როგორც ვხედავთ ორივე ქარხანაში 61 დამოუკიდებელი კაპიტალი მოქმედებდა.

მაგრამ თბილისის ამჟრულ ხელოსნობაში რღვევის სიმპტომები. რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისისათვის შეინიშნება, მეტყავე ხელოსნებშიაც ინტენსიურად იჩენდნენ თავს. რაც ვაჭარი ოსტატების გაჩენაში, მათ მიერ მათივე ამხანაგი ოსტატების დამორჩილებაში. და საერთოდ დაქირავებულ შრომის ექსპლოატაციის ზრდაში გამოიხატებოდა. მაგალითად, 1834-დან 1836 წლამდე სუმბათაშვილის ქარხანაში ოსტატების რაოდენობა 27-დან 25-მდე შემცირებულა. შესაბამისად გაზრდილა დაქირავებული მუშების რაოდენობა 75 კაცამდე. ამრიგად, ერთი მწარმოებელი ოსტატი ექსპლოატაციას უწევს 3 დაქირავებულ მუშას. დაახლოებით 10 წლის შემდეგ იმავე ქარხანაში ოსტატების იმავე რაოდენობას 100 დაქირავებული მუშა და 200-მდე შეგირდი ჰყავს[56]. მაშასადამე თითო ოსტატზე საშუალოდ 4 დაქირავებული მუშა და 8 შეგირდი მოდის. როგორც ვხედავთ განვითარების პროცესი საკმაოდ ჩქარია. ამჟრის წიაღშივე, ხელოსანი საქონლის მწარმოებელ კუსტარად და მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციის მეთაურადაც კი იქცევა.

1834 წლისათვის თვითონ მეტყავე ხელოსნები სუმბათაშვილის „ქარხნის“ წლიურ შემოსავალს 100.000 მანეთამდე ანგარიშობდნენ[57]. ეს შეიძლება ცოტა გადაჭარბებული ჩანს. მაგრამ ქარხნის ფაქტიური შემოსავალი გაცილებით მეტი იქნებოდა. ვიდრე ამას ოფიციალური ცნობები გვიჩვენებენ. ოფიციალური მონაცემებით. მაგალითად, 1843 წლისათვის თბილისში არსებული ორი ქარხნის შემოსავალი 4500-დან 5 200 მანეთამდე მერყეობს[58].

1847 წლისათვის უკვე თბილისში 3 ტყავის ქარხანაა აღნიშნული 14 948 მანეთის წლიური პროდუქციით[59]. მაგრამ იგივე ცნობა იძლევა წლიურად გამოშუშავებული პროდუქციის რაოდენობას და ფასებს. კერძოდ 1847 წელს სამივე ქარხანას გამოუშუშავებია 24 330 ტყავი[60]. ხოლო თითო ტყავის ფასი 1 მან. 20 კაპიკიდან 3 მანეთამდე ყოფილა[61]. თუ საშუალო ფასით ვიანგარიშებთ, რაც 2 მან. 10 კაპიკს შეადგენს, მაშინ აღნიშნული „ქარხნების“ წლიური შემოსავალი 51 093 მანეთი გამოვა. როგორც ვხედავთ. ოფიციალური ცნობები ტყავის ქარხნის შემოსავლის შესახებ მეტად შემცირებულია. სახელდობრ, ჩვენ ხელთ გვაქვს სუმბათაშვილის „ქარხნის“ შედარებითი სანდო აღწერა 1841 წლისა[62]. მასში აღნიშნულია, რომ „ქარხანაში“ მზადდება თხის საპირე და ხარისა და კამეჩის საძირე ტყავები. ამასთან პირველის ფასია (ერთი ცალისა) 2 მან. 50 კაპ. და მეორის 4 მან. 50 კაპ. ვერცხლით. 1841 წელს წარმოებას გამოუშვია 8 000 ცალი საპირე ტყავი 20 000 მან. ღირებულებისა ვერცხლით და 10 000 საძირე ტყავი 45 000 მანეთის ღირებულებისა. ე. ი. მთლიანად წარმოებას 65 000 მანეთის პროდუქცია გამოუშვია. მაგრამ ეს მარტო ერთი „ქარხანაა“, სულ კი იმ დროს თბილისში 3 ქარხანა ითვლებოდა და. რამდენად მცირეც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ტყავის წარმოების მთლიანი პროდუქცია გაცილებით მეტი უნდა წარმოვიდგინოთ.

---

[56] სცსია. ფ. 8399. ფურც. 19—20.

[57] იქვე. ფურც. 20—21.

[58] სცსია. ფ. 16. საქმე 8093; სცია ფ. 1268. აღწ. 1. საქმე 625. ფურც. 73; იქვე. საქმე 774.

[59] სცსია. ფ. 26. აღწ. 2. საქმე 617. ფურც. 45.

[60] იქვე.

[61] იქვე. ფ. 56.

[62] სცსია. ფ. 16. საქმე 6351. ფ. 27.

ასეთი მკვეთრი განსხვავება სხვადასხვა მონაცემებს შორის და ოფიციალური ცნობების მონაცემების სიმცირე იმის ბრალი უნდა იყოს, რომ მთავრობა საწარმოო დაწესებულებებზე გადასახადს მოგების მიხედვით აწესებდა, ამიტომ ცნობებსაც ძირითადად ამ მიმართულებით კრებდა; მოხელეების დაუკვირვებლობისა და უცოდინარობის გამო, მოგების ცნობები მექანიკურად გადმოვიდა ადგილობრივი მთავრობის ანგარიშებში. რამდენადაც მოხელეებს ზუსტი შემოწმების საშუალება არ ექნებოდათ, ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული მოგების მონაცემებიც შემცირების ტენდენციას ატარებენ.

ასე იყო თუ ისე, ერთი ცხადია, რომ სუმბათაშვილის „ქარხნის“ წლიური პროდუქცია საშუალოდ 50—60 ათასი მანეთი უნდა ვივარაუდოთ, ხოლო, რამდენადაც ბებუთოვის „ქარხანაც“ დაახლოებით ამ ზომისა იყო, შეიძლება დავასკვნათ, რომ ორივე „ქარხანა“ წელიწადში 100—120 ათასი მანეთის პროდუქციას უშვებდა.

როგორც ჩანს უკვე მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის თბილისში თავისუფალი მეტყავე ხელოსნების გარკვეული კონტიგენტი არსებობდა, რომლებიც ამჭრელი შეზღუდულობისაგან თავისუფალ სახელოსნოებში მუშაობდნენ. თავისუფალ სახელოსნოებს აარსებენ როგორც მოსული (რუსი და უცხოელი) მეტყავე ხელოსნები (ასეთი იყო მაგალითად ბერნარდ კრაუსის სახელოსნო)[63], ისე თბილისის კოლონისტები (ფრიდრიხ რიხერის წარმოება)[64]. და ადგილობრივი ხელოსნებიც, რომლებიც სხვადასხვა სამუშაოებით 40—50 წლებში ახერხებენ ამჭრის გავლენისაგან თავის დაღწევას (ასეთი უნდა ყოფილიყო ხაჩიკოვის მიერ სოლოლაკის ხევში აშენებული სახელოსნო)[65].

ამჭრულ ხელოსნობაში სასაჭილო ურთიერთობის ღრმა შეუპრა უბიძგებდა ცალკეულ ხელოსანს, ყოველი ღონისძიებით ეცადა, თავი დაეღწია ამჭრის გავლენისაგან. კაპიტალისტური ურთიერთობის ჩანასახები, რომელიც ამჭრულ ხელოსნობაშიც კი იჩრებოდა, თავისუფალ ხელოსნობაში თავისუფლად იკაფავდა გზას და ეს ხშირად „ნამდვილი რევოლუციის მომხდენი გზა“ იყო, რადგან ყოშუალო მწარმოებელი იქცეოდა ვაჭრად და კაპიტალისტად[66]. ერთ-ერთ ასეთ შეტყავე ვაჭარ-კაპიტალისტად გვევლინება თბილისს მცხოვრები გედო ყაზაროვი. იგი ადრე ამჭარში გაერთიანებული მეტყავე ოსტატი ყოფილა[67]. შემდეგ, როგორც ჩანს, დაქირავებული შრომის ექსპლოატაციით იმდენად გამდიდრებულა, რომ თვითონ მუშაობისათვის თავი დაუნებებია. გაუხსნია ფარდული, რომელშიც მისი დაქირავებული მუშების მიერ გამომუშავებულ ტყავის ნაწარმს ასაღებდა[68]. ჩვენ არ გვაქვს ცნობა, თუ რამდენი დაქირავებული ხელოსანი ჰყავდა გედო ყაზაროვს. მაგრამ მისი წარმოების კაპიტალისტური მასშტაბის გარკვევაში ლენინის ცნობილი დებულება გვეხმარება. „კაპიტალის სიდიდე—ამბობს ვ. ი. ლენინი—განსაზღვრავს საწარმოში მეპატრონის პირადი მონაწილეობის ფორმას. არის თუ არა ის თვითონაც მუშა, როცა მისი კაპიტალი ჯერ კიდევ მცირეა, თუ უარს ამბობს პირად მუშობაზე და სპეციალდება კომერციულ სამეწარმო ფუნქციებში“...[69] და შემ-

---

[63] სცსია, ფ. 4, აღწ. 2, საქმე 2417, ფ. 1.
[64] ცსიად, ფ. 398, აღწ. 14, საქმე 4522, ფ. 22—23.
[65] სცსია, ფ. 4, აღწ. 2, საქმე 1200.
[66] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, 1932, გვ. 291.
[67] სცსია, ფონდი 2, აღწ. 4, საქმე 1212, ფურც. 15.
[68] იქვე, ფურც. 11.
[69] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 3, 1948, გვ. 415.

დეგ „როგორც კი დაქირავებული მუშების რიცხვი აღწევს 10-ს, ან გადაამეტებს ამ ციფრს, მეპატრონე, არა თუ სწყვეტს ხელით მუშაობას, არამედ თითქმის თავსაც კი ანებებს მუშებზე პირად ზედამხედველობას“...[70]. მაშასადამე წარმოებაში, სავარაუდოა, რომ 10 კაცზე მეტი მუშაობდა. და რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ე. ი. რომ აღნიშნული კაპიტალის მეთაურობით მუშათა (ხელოსანთა) მოზრდილი რაოდენობა მუშაობდა, ეს იმითაც საბუთდება, რომ ყაზაროვს თურმე აღარ აკმაყოფილებდა ნედლეულის თბილისური ბაზარი და მას ა/კავკასიის სხვადასხვა ადგილებში ყიდულობდა[71]. ჩვენ არ გვაქს ცნობები აღნიშნულ წარმოებაში შრომის დანაწილების არსებობის (ხარისხის) შესახებ. მაგრამ ერთი კაპიტალის ხელქვეით მწარმოებელთა დიდი რიცხვის არსებობა შრომის დანაწილების შემოღების ტენდენციის არსებობაზე მიგვითითებს, ამიტომ ვფიქრობთ, რომ მრეწველობის ფორმათა მეცნიერული კლასიფიკაციის მიხედვით ყაზაროვის ტყავის წარმოება მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციიდან მანუფაქტურაზე გარდამავალი საწარმო უნდა ყოფილიყო.

ცხადია ასეთი წარმოების არსებობა თავის დღს დაასვამდა ტყავის ნაწარმის ადგილობრივ ბაზარს და 1854—62 წლებში ყაზაროვს ამჭრული ხელოსნების მრავალი შეტევის მოგერიება უხდება. ამჭარს საქმე იქამდე მიუყვანია, რომ ბრძოლაში ჩაურევია ამჭრების უსტაბაშები, რომლებიც ტყავის ნაწარმს იყენებდნენ და მათი დახმარებით ყველა ხელოსანს აეკრძალა ყაზაროვისაგან მასალის შესყიდვა. ყაზაროვი ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობდა და დამნაშავენი დასჯილ იქნენ. საინტერესოა, რომ მეტყავეთა უსტაბაში თვითონ არ უარყოფდა, რომ კანონის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა[72].

ამჭრის რღვევას, მასში სასაქონლო ურთიერთობის შეჭრას, ამჭარ-გარეშე თავისუფალი ხელოსნების გაჩენას, საერთოდ ხელოსნური პროდუქციის და მასზე მოთხოვნილების კიდევ უფრო ზრდას, თუმცა მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული მნიშვნელობის, ტყავით გატანით ვაჭრობას არა მარტო კავკასიაში, არამედ ირანსა და თურქეთშიც კი, არ შეიძლებოდა თვისობრივად ახალი ნაბიჯი არ გამოეწვია ტყავის დამუშავებელ წარმოებაში და ასეც მოხდა.

სამხედრო ნაწილების ფეხსაცმლით უზრუნველყოფის მიზნით ჯერ კიდევ საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ წლებშივე დაისვა საკითხი თბილისში სახაზინო ტყავის ქარხნის აშენების შესახებ[73]. მაგრამ ციციანოვის მეცადინეობა, ამ მხრივ, მაშინ უშედეგოდ დამთავრდა. თუმცა საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, რადგან ადგილობრივი ტყავის ნაწარმი სამხედრო უწყების მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა ვერც რაოდენობრივად და ვერც ხარისხით. რუსეთიდან მათი შემოზიდვა კი ძვირი ჯდებოდა. ამიტომ, უფრო გვიან, მთავარსარდალ ერმოლოვსაც უცდია ასეთი ქარხნის დაარსება თბილისში[74]. მაგრამ არც ეს ცდა დასრულდა წარმატებით. რაკი სახაზინო წარმოების მოწყობა ვერ მოახერხა, მთავარსარდალი ერმოლოვი დაეხმარა ვაჭარ-მოჯარადრეს მიხეილ სარაჯიშვილს სამხედრო უწყების მომარაგებისათვის ხაზინის მხარდაჭერით თბილისში ტყავის წარმოება მოეწყო[75].

მ. სარაჯიშვილს ტყავის „ქარხნის“ მოწყობა ჯერ კიდევ 1814 წელს დაუწყია; ამ დროს მას, ამ მიზნით, ქალაქგარეთ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე,

[70] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, 1948 გვ. 415—416.

[71] სცსია, ფ. 26, აღწ. 4, საქმე 1212, ფურც. 11.

[72] იქვე, ფურც. 1.

[73] Н. Дубровин, Закавказье от 1803—1806 года Спб. 1866 г., стр. 123.

[74] ცსიაღ, ფ. 17, აღწ. 1, საქმე 93, ფურც. 8.

[75] სცსია, ფ. 2, საქმე 6893, ფ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დაახლოებით იმ მიდამოებში, სადაც შემდეგ სამხედრო ლაზარეთი იქნა აშენებული) სახაზინო მიწის ნაკვეთი გამოეყო[76], მაგრამ საქმე სხვადასხვა მიზეზების გამო გაჭიანურდა, სანამ მასში მთავარსარდალი ერმოლოვი არ ჩაერია. საბოლოოდ ქარხანა 1820—24 წლებში იქნა მოწყობილი[77]. ჩვენ ხელთ გვაქვს აღნიშნული ქარხნის მოგვიანებითი უკვე 1835 წლის მეტად ზერელე აღწერა, შეიძლება ამ ხნის განმავლობაში მას ზოგი რამ დაკლებოდა, მაგრამ ამ აღწერითაც ჩანს, რომ იგი მოწყობილი ყოფილა საკმაოდ მოზრდილ, 2 სართულიან, 70 საჟენი სიგრძის და 35 საჟენი სიგანის ნაგებობაში. ზემო ნაწილში მოთავსებული იყო საცხოვრებელი ოთახები სამზარეულოთი, აგრეთვე ქერჩის საშრობი სიგრძით 11 და სიგანით 3 საჟენი. ქვევით—4 ოთახი და ტყავის გამოსაყვანი, სადაც როფები იდგა. ქარხანას ოროთახიანი სარდაფიც ჰქონია[78]. როგორც ვხედავთ, შენობა საკმაოდ დიდია, ამას თუ დავუმატებთ მოწყობილობის, იარაღების, ნედლეულის და სხვა ხარჯებს, გასაგები გახდება, რომ მისი მოწყობა საკმაოდ ძვირი დაჯდებოდა და, მართლაც, სარაჯიშვილმა მასში დაახარჯა არა მარტო მთვრობის სესხი 60 000 მან. ასიგნ., არამედ თითქმის მთელი თავისი ქონებაც[79].

სხვადასხვა ცნობებით დგინდება, რომ ქარხანაში დაქირავებული მუშები იყვნენ დასაქმებულნი. ისინი ნაწილობრივ თბილისელი ხელოსნები უნდა ყოფილიყვნენ, ნაწილობრივ კი რუსეთიდან ჩამოყვანილი, ალბათ ოსტატები[80].

რუსეთიდან ჩამოყვანილი ხელოსნების არსებობა, შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ მეპატრონეები წარმოებაში ტყავის დამუშავების ევროპულ ტექნოლოგიას ნერგავდნენ. ქარხანა ხელით შრომაზე იყო დამყარებული. ამაზე მიგვითითებს ქარხნის შესახებ არსებული მრავალი მიმოწერა, რომლიდანაც არსად არ ჩანს, რომ იქ მანქანის ელემენტარულ გამოყენებასაც კი ჰქონოდა ადგილი. იმ დროისათვის კი მანქანის გამოყენება იმდენად უჩვეულო მოვლენა იყო, რომ მას უეჭველად აღნიშნავდნენ როგორც მისი მომწყობები, ისე აღმწერები.

ჩვენ სამუალება არა გვაქვს დავადგინოთ ქარხანაში დასაქმებული მუშახელის დ გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობა. მაგრამ არაპირდაპირი ცნობებით იგი საკმაოდ ფართო მასშტაბის წარმოებად მოჩანს. ამას შემდეგი გარემოებაც ადასტურებს: 30-იან წლებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ფიქრობდნენ, აღნიშნული ქარხნის შენობაში გადაეტანათ ჩვენ მიერ აღწერილი, სუმბათაშვილის ტყავის „ქარხანა“[81]. ეს „ქარხანა“ კი საკმაოდ დიდი წარმოება იყო. ჩვენ მოვიტანეთ ცნობები, რომ იქ სხვადასხვა დროს 100—300 კაცი მუშაობდა, ხოლო სარაჯიშვილის ქარხანაში კი მოსალოდნელია, რომ მუშების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდებოდა, რადგან ქარხანას არ ჰქონდა მინერალური თბილი წყალი და იგი მტკვრის სპეციალურად გამთბარი წყლით უნდა შეეცვალათ, რაც მეტად შრომატევადი სამუშაო იყო და დიდი რაოდენობით დამატებით მუშა ხელს მოითხოვდა[82]. მაშასადამე ქარხნის საწარმოო ბაზა

---

76 იქვე, ფ. 16, საქმე 1618.

77 სცსია, ფ. 209, აღწ. 1, საქმე 506, ფურც. 32.

78 სცსია, ფ. 209, აღწ. 1, საქმე 506, ფურც. 32.

79 იქვე, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 3486, ფურც. 1.

80 იქვე, საქმე 6893, ფურც. 4—5.

81 სცსია, ფ. 201, აღწ. 1, საქმე 506, ფ. 20, 32—34, 36.

82 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 3486, ფურც. 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმარისი იყო ასეთი დიდი რაოდენობის მწარმოებელთა უზრუნველყოფისათვის. აღნიშნული ქარხნის სიდიდის შესახებ უფრო გვიან ინჟინერ-ტექნოლოგი ბიხოლდი და აგრონომი შანშიევი გადმოგვცემდნენ, რომ „Здешние граждане устроили кожевенный завод в большом размере . . . завод окончил свое уществование оставив по себе крае разорённых хозяев и громадные постройки на Куре“[83].

ხოლო, თუ რა დიდი რაოდენობის პროდუქცია მზადდებოდა ქარხანაში იქიდან ჩანს, რომ იგი თურმე ტყავის ნაწარმით ძირითადად აკმაყოფილებდა კავკასიის ჯარის ნაწილებს: უფრო გვიან ქარხნის მომწყობი მიუთითებდა, რომ მისი ქარხნის აშენებამდე ხაზინას რუსეთიდან შემოჰქონდა ტყავის ნაწარმიო, —მაშასადამე ქარხნის აშენების შემდეგ აღნიშნული მდგომარეობა შეცვლილა და თუ მთლიანად არა, ძირითადად რუსეთიდან, ამ მიზნით, ტყავის ნაწარმის შემოტანა შეწყვეტილა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ დიდ წარმოებაში შრომის დანაწილებაც იქნებოდა შემოღებული. რადგან მასში ხელით შრომა ბატონობდა, იგი კაპიტალისტური მანუფაქტურის ფორმით უნდა წარმოვიდგინოთ.

მაგრამ აღნიშნულმა წარმოებამ ვერ მოასწრო განვითარება, აყვავება ისე, რომ მეპატრონისათვის რაიმე მნიშვნელოვანი მოგება მიეცა. ურომლისოდაც წარმოება აზრს კარგავს. პირიქით, იგი ძალიან ჩქარა დაიხურა და მისი მომწყობი თითქმის გაკოტრდა. 1830 წელს ქარხანამ მუშაობა შეწყვიტა[84].

კაპიტალის სიმცირემ, გამოცდილი ოსტატების არყოლამ[85], ქარხანაში მინერალური თბილი წყლის არქონებამ, ამჟრის კონკურენციამ და ბრძოლამ, შეღავათიანი ტრანზიტის პირობებში საქართველოში შემოზიდული უცხოური ნაწარმის კონკურენციამ და, რაც მთავარია, ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ ვერსაზღვრა ქარხნის წარუმატებლობა. თუმცა ამაზე პირდაპირი მითითება არ გვაქვს, მაგრამ აღნიშნული ქარხნის გახსნა უკმაყოფილებას გამოიწვევდა რუსეთის იმ მრეწველებში, რომლებიც კავკასიის ნაწილებს ტყავის ნაწარმით ამარაგებდნენ, გასაგებია, რომ მათი ინტერესების დასაცავად მთავრობა სარაჯიშვილს შეკვეთებს შეუხლუდავდა. მითუმეტეს, რომ ერმოლოვი, რომელიც წარმოებას მფარველობდა, ამ დროისათვის საქართველოს მთავარმართებლად პასკევიჩმა შეცვალა. ყოველივე ამის გამო ქარხანა განწირული იყო დასაღუპად.

სარაჯიშვილის ქარხნის ტრაგიკულმა დასასრულმა, როგორც ჩანს, ერთხანს ხასიათი გაუფუჭა ჩვენს ვაჭარ-მოჯარადრეებს, აღნიშნულ წარმოებაში დაებანდებინათ კაპიტალი. მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა და 30-იანი წლების დასასრულისა და 40-იანი წლების დასაწყისისათვის თბილისში კიდევ ერთი ტყავის მსხვილი კაპიტალისტური საწარმო ჩნდება, რომელიც დავით თამამშევს ეკუთვნოდა. აღნიშნულ წარმოებაზე ჩვენ ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება, ვიცით მხოლოდ, რომ 1841—44 წლებში აღნიშნული ქარხანა თბილისში არსებობდა. ამ დროისათვის თამამშევს მინერალური აბანო ჰქონდა ქალაქის ბოლოს, თითქმის ტამოჟნის პირდაპირ[86] და საფიქრებელია, რომ ქარხანაც აღნიშნული აბანოს მიდამოებში ექნებოდა აშენებული. ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ერთი ფრაგმენტი ამ ქარხნის ისტორიიდან, რაც

[83] სცსია, ფ. 548, აღწ. 2, საქმე 490, ფ. 7.

[84] იქვე.

[85] სცსია, ფ. 2, საქმე 6893, ფ. 4.

[86] სცსია, ფ. 16, საქმე 8399, ფურც. 19—20.

საშუალებას ყვაძლევს ზოგიერთი დასკვნა გავაკეთოთ: 1840—1841 წლებში დ. თამამშევს უთხოვია ზემდგომი ორგანოებისათვის, სამხედრო სამსახურიდან გაეთავისუფლებინათ მე-4 კლასის ცეიხდინერი, ეროვნებით პოლონელი. ალექსანდრე სტრაშინსკი, რომელიც მას თავისი ტყავის ქარხნის მმართველად სურდა დაენიშნა. იმპერატორს აღნიშნული ცეიხდინერის განთავისუფლების ნება მიუცია, ოღონდ თამამშევს რეკურტის ქვითარი უნდა წარედგინა[87]. თამამშევი შეთანხმებია ვინმე პოლკოვნიკ ვარლამოვს და ამ უკანასკნელს მის განკარგულებაში გადაუცია ყმა-გლეხი ტატოვი. თამამშევს მის სახელზე წარუდგენია რეკურტის ქვითარი[88]. სტრაშინსკი გაუთავისუფლებიათ, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა გართულებულა იმით, რომ ტატოვი თამამშევის ყმა არ იყო, უფრო კი იმით, რომ თამამშევს საერთოდ არ ჰქონდა ყმის ყოლის უფლება. ამასობაში სტრაშინსკი უკვე თამამშევთან მუშაობს. საქმაო გაჭიანურების შემდეგ, საქმე იმით დამთავრდა, რომ თამამშევს რეკურტის ქვითრის მაგივრად 1000 მან. ასიგნ. (300 მ. ვერცხ.)[89] გამოსაღები გადაახდევინეს.

თავისთავად საწარმოში მმართველის დანიშვნა მის სიდიდეზე მიუთითებს. როგორც დავინახეთ თამამშევს არამც თუ ყმები არ ჰყავდა, მათი ყოლის უფლებაც კი არ ჰქონდა, მაშასადამე აღნიშნული წარმოება მხოლოდ დაქირავებული მუშახელის ექსპლოატაციაზე შეიძლებოდა ყოფილიყო დამყარებული. მაგრამ უფრო საინტერესო სხვა გარემოებაა: სახელდობრ ის, რომ თამამშევი თითქმის ოთხი წლის განმავლობაში (1841—44 წწ.) ცდილობდა ალექსი სტრაშინსკის თავის წარმოებაში წაყვანას, რაც მას მეტად დიდ დროს, ენერგიას და სახსრებს ართმევდა. რაში სჭირდებოდა მას სწორედ სტრაშინსკი?.. თბილისში ბევრი იყო ადგილობრივი, რუსი და უცხოელი მეტყავე ხელოსანი, რომელსაც იგი გაცილებით ადვილად დაიქირავებდა... უნდა ვიფიქროთ, რომ თამამშევის ქარხანაში იყო ცდები მანქანის გამოყენებისა, მანქანის მცოდნე სპეციალისტის შოვნა მაშინ თბილისში არც ისე ადვილი იქნებოდა, ალბათ სტრაშინსკი სწორედ მანქანის საქმის მცოდნე ოსტატი იყო და მეპატრონეს ამიტომ სურდა მისი ქარხნის მმართველად დაყენება.

როგორც ჩანს ვერც ამ წარმოებამ იხეირა და იგი ჩქარა დაიხურა.

1847 წლისათვის კი თბილისის მახლობლად სოფელ დრეში ვხედავთ ტყავის შედარებით დიდ წარმოებას, რომელიც წინ გადადგმული ნაბიჯია როგორც პროდუქციის მასშტაბით, ისე მისი ტექნიკური აღჭურვილობით. ქარხანა ანდრიევსკის ეკუთვნოდა[90].

შეიძლება ამ დროისათვის თამამშევის ქარხანა უკვე დახურულია. რადგან ალექსანდრე სტრაშინსკი, რომლის თავის ქარხანაში გადაყვანა ასე ძვირი დაუჯდა დ. თამამშევს, 1847 წელს უკვე ანდრიევსკის ქარხანაში მუშაობს ოსტატად (თავისთავად ეს ფაქტი შეიძლება ამართლებდეს ჩვენს აზრს თამამშევის წარმოებაში მანქანის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ), როგორც ჩანს, იგი წარმოების ხელმძღვანელია, წარმოებაში მის გარდა 16 მუშა მუშაობდა[91]—ყველა

[87] იქვე, საქმე 6249, ფ. 1.

[88] იქვე, ფ. 15.

[89] იქვე, ფ. 40—42.

[90] ამ წარმოებაზე იხილე: დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში, თბილისი, 1959; ე. ხოშტარია, დამამუშავებელი მრეწველობის განვითარება საქართველოში მე-19 ს. 30-იან წლებში, საქ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, III, 1958.

[91] სცსია, ფ. 2, აღწ. 2, საქმე 617, ფურც. 36—37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებით დაქირავებული. სხვა ცნობით, ქარხანაში მუშაობდა 2 გერმანელი, 3 რუსი და 1 სომეხი ოსტატი და 6 შავი მუშა[92].

წარმოება ამზადებდა 8 დასახელების სხვადასხვა ფერის, ხარისხისა და ღირებულების ტყავს. წარმოების სიმძლავრეზე საბუთები სხვადასხვა ცნობებს იძლევიან. ერთი საბუთის მითითებით 1848 წელს ქარხანამ გამოუშვა დაახლოებით 10 000 მანეთის პროდუქცია[93]. მეორე ცნობა 1847 წლისათვის 16 500 მანეთის გამოშვებულ პროდუქციას ასახელებს[94].

ამ ქარხანაში მანქანის გამოყენება უკვე თვალსათლივ ჩანს. მასში 1 სანაყველი და 2 სათელი მანქანა იდგა, რომლებიც საჭაპანო ძალით მოდიოდნენ მოძრაობაში[95]. აღნიშნული წარმოება შრომის ფართო და სისტემატურ დანაწილებაზე ყოფილა დამყარებული[96].

მართალია, 1848 წელს 1847 წელთან შედარებით გამოშვებული პროდუქციის ღირებულება შემცირებულად მოჩანს, მაგრამ საერთოდ წარმოებას ზრდის ტენდენცია ჰქონია. ამაზე მიუთითებს როფების რიცხვის ზრდა; მათი რაოდენობა თავდაპირველად 18 ყოფილა, შემდეგ კი 28-მდე გაუზრდიათ[97].

60-იანი წლებიდან ტყავის წარმოება თბილისში მკვეთრად იზრდება როგორც საწარმოთა რაოდენობით, ისე პროდუქციის მიხედვითაც. 1863 წელს 10 ქარხანა იყო 68 ათასი მანეთის პროდუქციით, 1865 წელს—18 ქარხანა 71 ათასი მანეთის პროდუქციით. ცხადია, ყველა ესენი ერთნაირი არ იქნებოდნენ არც ხასიათით და არც სიდიდით. მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა ჯერჯერობით შეუძლებელია; მაგრამ ერთი უდავოა, თანდათან ტყავის წარმოებაში წამყვან ადგილს კაპიტალისტური ტიპის საწარმოები იკავებენ; ხოლო მათში მანქანის ელემენტის სულ უფრო მეტად გამოყენების ტენდენცია შეიმჩნევა.

ამ ათწლის დასადასტურებლად ჩვენ შევჩერდებით 60-იანი წლების ერთერთ წარმოებაზე, რომელიც არ გამოირჩევა თავისი სიდიდით. იგი თბილისის პირობებში, საშუალო ტიპის საწარმოო უნდა ყოფილიყო და ამდენად, ყველაზე უკეთ გამოხატავს განვითარების საერთო ტენდენციას. ეს წარმოება 1862 წელს[98] მოუწყვიათ თბილისში უცხოელებს ბრანდტს და კოზერნს (თუ კაზინო)[99]. წარმოება ძირითადად ამუშავებდა ხარის, ძროხის და ხბოს ტყავებს და ამზადებდა საძირე ტყავს, იუფტს, აგრეთვე ტყავს მანქანის ღვედებისათვის (თავისთავად ეს ფაქტი თბილისში და საქართველოში მანქანების გავრცელებაზე უნდა მიუთითებდეს). ტყავის დასათრიმლავად მუხის ქერქს იყენებდნენ, რომელსაც თბილისში იძენდნენ. აქვე იძენდნენ წარმოებისათვის საჭირო სხვა ნედლეულსაც. წარმოება მეტად რაციონალურად იყო მოწყობილი და მნიშვნელოვან მოგებას იძლეოდა[100]. იგი დღითიდღე უმჯობესდებოდა: 1862 წელს მსხვილი ტყავი დაამზადეს 150 ცალი, 1863 წელს 300 ცალი, ხოლო 1864 წელს 500 ცალი.

საწარმო მოთავსებული იყო ვორონცოვის ქუჩაზე, მტკვრის ნაპირას, ნაქირავებ შენობაში, რომელშიც მეპატრონეები 500 მანეთს იხდიდნენ წელიწად-

---

92 იქვე, ფ. 67.

93 იქვე.

94 იქვე, ფ. 36—37.

95 სცსა, ფ. 4, აღწ. 5, საქმე 125, ფ. 26—29; ფ. 2, აღწ. 2, საქ. 617, ფურც. 67.

96 დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 170.

97 იქვე, გვ. 169.

98 სცსა, ფ. 548, აღწ. 2, საქმე 490, ფურც. 3.

99 სცსა, ფ. 548, აღწ. 2, საქმე 490, ფ. 3.

100 იქვე, ფ. 6.

ში. წარმოებაში 1 ფრანგი ოსტატი და 5 ადგილობრივი მუშა მუშაობდა. ამ რიცხვში არ უნდა შედიოდნენ მეპატრონეები ბრანდტი და კოზერნი, რომლებიც თვითონაც მონაწილეობდნენ წარმოებაში; მაშასადამე, მასში სულ 8 კაცი იქნებოდა დასაქმებული[101]. წარმოება არ იყო დიდი მასშტაბის, მაგრამ მოწინავე ტექნოლოგიას იყენებდა. მასში თავიდანვე იყო გამოყენებული მანქანის ელემენტები, კერძოდ, 1862 წელს მასში მოქმედებდა საფრანგეთიდან გამოწერილი მანქანა, რომელიც ქერქების მექანიკური დაქუცმაცებისათვის იყო გამიზნული[102]. როგორც ჩანს, წარმოება თანდათანობით იზრდებოდა და მასში მანქანის გამოყენება უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებდა. ეს იქიდან ჩანს, რომ 1864 წელს, როცა წარმოება ხელმეორედ იქნა აღწერილი, უკვე მექანიკური აჩქარებული საშუალებებით წარმოებდა ქერქის დაფქვა და ტყავის დათრიმვლა[103]. ამ ოპერაციების შესასრულებლად საწარმოში ყოფილა: 1) წისქვილი მუხის ქერქის დასაქუცმაცებლად, რომელიც ერთი ცხენის ძალით მოძრაობდა. იგი საათში ერთ ფუთ ქერქს აქუცმაცებდა. 2) მოწყობილობა ტყავის მექანიკური თრიმლვისათვის, რომელიც მოძრაობაში ორთქლის ძრავის საშუალებით მოდიოდა[105]. ალბათ, მასვე მოჰყავდა მოძრაობაში შეშის სახერხი დაზგა მრგვალი ხერხით[105]. როგორც ვხედავთ, ყველაზე მძიმე და შრომატევადი სამუშაოები წარმოებაში მექანიკური საშუალებით წარმოებდა და ახლო მომავალში მეპატრონეებს განზრახული ჰქონდათ დანარჩენ ოპერაციებშიაც ხელით შრომა მანქანით შეეცვალათ[106].

საწარმოს სიმძლავრე საკმარისი იყო 3000-მდე ცალი სხვადასხვა ხარისხის ტყავის დასამუშავებლად, მაგრამ მეპატრონეებს საბრუნავი კაპიტალი არ ყოფნიდათ და სახელმწიფოსაგან 5000 მანეთი სესხი უთხოვიათ[107]. რა შედეგი გამოიღო ამ თხოვნამ, ცნობილი არ არის.

როგორც ვხედავთ, ბრანდტის წარმოება ტყავის მექანიკური კაპიტალისტური სახელოსნო იყო, რომელშიც მანქანებს იყენებდნენ და მათი როლი წარმოებაში თანდათან იზრდებოდა.

ჩვენ მოკლედ მოვხაზეთ ტყავის წარმოების განვითარება თბილისში მე-19 საუკუნის I ნახევარში. შევეცადეთ გვეჩვენებინა ამ განვითარების ეტაპები ხელოსნურ ამქრული წარმოებიდან ორთქლის მანქანით მოწყობილ მექანიკურ სახელოსნომდე. ამ პერიოდში კაპიტალისტური წარმოების წესი მრეწველობის ამ დარგში სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა, რაც მყარი საფუძველი იყო იმ მნიშვნელოვანი აყვავებისა, რომელიც მან რეფორმის შემდგომ პერიოდში განიცადა, როცა მოგვეცა ისეთი დიდი მასშტაბის წარმოებები, როგორიც ადელხანოვისა და სხვა იყო.

* * *

ჯარის ნაწილების მომრავლებამ საქართველოში, მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნილება ალკოჰოლიან სასმელებსა და განსაკუთრებით არაყზე. ამიტომ

---

101 იქვე, ფ. 33.
102 იქვე, ფ. 3, 31.
103 იქვე, ფ. 31.
104 იქვე, ფ. 40.
105 იქვე.
106 იქვე, ფ. 35.
107 იქვე, ფ. 44.

არაყის წარმოების მოწყობის ცდებს თბილისში ჯერ კიდევ 20-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა ადგილი. მაგრამ ამ ცდებს შედეგი არ მოჰყოლია[108].

1826 წელს არაყის ქარხნის მოწყობას ხელი მოკიდა მეტად ენერგიულმა, ქართველმა აზნაურმა ქალმა, ბარბალე იმერლიშვილმა. მან შეაგროვა საკმაოდ მოზრდილი თანხა (25 000 მანეთამდე) და ორ კომპანიონთან ერთად, რომელთა წვლილი წარმოებაში გაცილებით ნაკლები იყო, აღნიშნულ წელს საქმეს შეუდგა[109]. მან წარმოების მოწყობა გადაწყვიტა მტკვრის ნაპირას, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც მდინარე ვერა მტკვარს უერთდებოდა, ბებუთოვების მიწის ნაკვეთზე. მიწის მეპატრონეებთან კი დადო 12 წლიანი კონტრაქტი. რომლის ძალითაც იმერლიშვილს მათთვის ყოველწლიურად უნდა ეხადა მიწის საიჯარო ფასი, წელიწადში 40 მანეთის ოდენობით[110].

თავიდანვე განსაზღვრული იყო, რომ წარმოება მექანიკური ხასიათისა იქნებოდა, სადაც გამოყენებული უნდა ყოფილიყო ორთქლის მანქანა. რაკი თბილისში შესაფერისი სპეციალისტების შოვნა შეუძლებელი შეიქმნა, ბარბალე იმერლიშვილმა ისინი რუსეთიდან გამოიწერა. ესენი იყვნენ წარმოშობით ებრაელი ოსტატები ელკინი და ედელსონი. 1827 წელს იმერლიშვილი მათთან კონტრაქტს დებს, რომლის ძალითაც ედელსონს ევალებოდა თვალყური ედევნებინა ქარხნის მოწყობისათვის ადგილზე, ხოლო ელკინი კი რუსეთში უნდა გამგზავრებულიყო ქარხნის მოწყობილობის და მათ შორის ორთქლის მანქანის შესაძენად და ჩამოსატანად[111]. ქარხნის მთელი მოწყობილობა ხარკოვში იყიდეს და იქიდან, სამხედრო გზით, თბილისში ჩამოიტანეს[112]. ეს ალბათ 1828 წელს მოხდა, ხოლო 1829 წლისათვის ქარხნის მოწყობა ძირითადად დამთავრებულია[113]. ახლა უკვე ქარხნის პატრონი კონტრაქტს დებს ოსტატ ედელსონთან, რომელსაც, როგორც ჩანს, ქარხნის მთავარი ოსტატის ფუნქციას აკისრებდა[114]. მთლიანად ქარხნის მოწყობა 30 000 მანეთზე მეტი დაჯდა[115].

თავიდან განზრახული იყო, რომ ქარხანაში უნდა დამზადებულიყო „ჩვეულებრივი ღვინო“, არაყი, ლიქიორი, აგრეთვე უნდა ეწარმოებინათ ლუდის ხარშვაც[116]. უფრო მოგვიანებით ჩვენ გვაქვს ცნობა ქარხანაში დამზადებული პროდუქციის შესახებ. ქარხანაში მზადდებოდა: 7—8 გრადუსიანი არაყი, არყის ნაყენი, კონიაკი, I და II ხარისხის ტკბილი არაყი, ლიქიორი, სხვადასხვა ნაყენები, აგრეთვე ლუდი და ძმარი. როგორც ვხედავთ თავდაპირველად განზრახულთან შედარებით პროდუქციის ასორტიმენტი საკმაოდ გაზრდილი ჩანს.

წარმოებაში ნედლეულის სახით იყენებდნენ: ხორბალს, ალაოს, ქერს, ჭაჭას, თუთის ნაყოფს, სხვადასხვა ხილეულის წვენებს[117], შაქრის ფხვნილს, ლიმონისა და ნარინჯის ქერქებს და ა. შ.[118].

---

[108] კერძოდ, 1823 წელს არაშოვს უცდია ასეთი ქარხნის მოწყობა, მაგრამ შეშის და წყლის სიძვირემ შეაშინა და გადაწყვიტა კარავლისში აეშენებინა ასეთი ქარხანა.

[109] სცსია, ფ. 26, აღწ. 1, საქმე 4162, ფურც. 9.

[110] სცსია, ფ. 209, აღწ. 1, საქმე 58, ფურც. 1—3.

[111] სცსია, ფ. 26, აღწ. 1, საქმე 4162, ფურც. 9—10.

[112] იქვე, ფურც. 63.

[113] საინტერესოა, რომ ქარხნის საქმეებში მონაწილეობდა მაიორი თავ. აღ. ორბელიანიც.

[114] იქვე.

[115] სცსია, ფ. 2, საქ. 4925, ფურც. 40—41.

[116] სცსია, ფ. 209, აღწ. 58, ფურც. 1.

[117] იქვე, ფურც. 5.

[118] სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 4925, ფურც. 63.

ქარხანაში გამოშვებული პროდუქციის სიდიდის შესახებ ჩვენ ცნობები არ გვაქვს. მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქარხანაში გათვალისწინებული იყო დიდი რაოდენობით წედლეულის გამოყენება, კერძოდ: სხვადასხვა მარცვლეული 1150 ჩეტვერამდე და სხვადასხვა წვენები 2 000 ლიტრამდე[119]. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ქარხანას სწორი ორგანიზაციის პირობებში თურმე შეეძლო საკმაოდ დიდი მოგება მოეცა. არაპირდაპირი ცნობების საშუალებით დგინდება, რომ ქარხნის წლიური მოგება 5 000 მანეთამდე შეიძლება ყოფილიყო ვერცხლით[120]. დ. ბოლოს, გამოშვებული პროდუქციის საგულისხმო რაოდენობაზე, და საერთოდ წარმოების მასშტაბზე, მიგვითითებს გასაღების საკმაოდ კარგად ორგანიზებული სისტემა, რომელიც ქარხნის მეპატრონეებს ნაწარმის რეალიზაციისათვის მოუწყვიათ. სპეციალურად ამ ქარხანაში გამოშვებული სასმელებისათვის მეპატრონეებს 3 დუქანი ჰქონდათ თბილისში გახსნილი, სადაც მათი დაქირავებული ნოქრები ვაჭრობდნენ[121]. ქარხნის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისს გარეთაც გაჰქონდათ. კერძოდ, იგი დიდი რაოდენობით იყიდებოდა დუშეთში[122].

პირდაპირი მითითება ჩვენ არც იმაზე გვაქვს, თუ რამდენი კაცი იყო დასაქმებული წარმოებაში. თავდაპირველად ნავარაუდები იყო, რომ ქარხანას 10 მაინც მუშა დასჭირდებოდა[123]. მაგრამ ამაში არ შედის ოსტატების რაოდენობა, რომელიც 3 კაცი მაინც უნდა ყოფილიყო. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქარხნის ამუშავების შემდეგ მუშების რაოდენობა ფაქტიურად გაიზარდა. ქარხანას ჰყავდა ზედამხედველები, კანტორის მოსამსახურე[124], დარაჯი და სხვ. ამრიგად, უმუშალოდ ქარხანაში 15—20 კაცი იქნებოდა დასაქმებული. მუშები ძირითადად თავისუფლად დაქირავებულნი იყვნენ[125], თუმცა ქარხანაში იმერლიშვილის ერთი ყმა გლეხიც მუშაობდა[126].

ამრიგად, იმერლიშვილის არყის ქარხანა იმ დროისათვის საკმაოდ კარგად მოწყობილი მექანიკური წარმოებაა. ამაზე მიუთითებს მასში ორთქლის მანქანის გამოყენების ფაქტი. ამაზე მიუთითებს ის მეტად საინტერესო გარემოებაც, რომ ქარხანაში თურმე ყოფილა ცდები სპირტის ქიმიური საშუალებებით გამოხდისა, ეს კი მხოლოდ უაღრესად მოწინავე ტექნოლოგიის პირობებში იქნებოდა **შესაძლებელი.**

ჩვენამდე არ მოაღწია ქარხნის წარმოების პროცესის აღწერამ; ამდენად უცნობია თუ რა ფუნქციას ასრულებდა აღნიშნული ორთქლის მანქანა, ანდა იყო თუ არა იქ სხვა მანქანები. მოსალოდნელია, რომ მანქანის გამოყენება აქ მხოლოდ პირველ საფეხურზე იქნებოდა და იგი ვერ მოიცავდა წარმოების მთლიან პროცესს. მიუხედავად ამისა, ეს ხელს არ გვიშლის, აღნიშნული ქარხანა განვიხილოთ, როგორც კაპიტალისტური წარმოება, რომელშიაც დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული მანუფაქტურიდან მანქანური წარმოებისაკენ.

აღნიშნულ წარმოებაში ჩვენ გვაქვს პირველი ცნობა თბილისსა და საქართველოში ორთქლის მანქანის გამოყენების შესახებ; ამრიგად, პირველი

---

119 იქვე.

120 სცსია, ფონდი 26, აღწ. 1, საქმე 4162, ფურც. 11.

121 იქვე.

122 იქვე, ფურც. 17.

123 სცსია, ფონდი 209, აღწ. 1, საქმე 58, ფურც. 5.

124 სცსია, ფონდი 36, აღწ. 1, საქმე 4162, ფურც. 7.

125 იქვე, ფურც. 30. სცსა ფონდი 26, აღწ. 1, საქმე 4162, ფურც. 7

126 სცსია, ფ. 26, აღწ. 3, საქმე 368, ფურც. 15—16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორთქლის მანქანა საქართველოს მრეწველობაში 1828 წლიდან შეიძლება ვიგულისხმოთ (აქამდე ჩვენ მხოლოდ 1843 წლიდან გვქონდა ასეთი ცნობა), თუმცა სავარაუდოა, რომ ორთქლის მანქანის გამოყენებას საქართველოსა და თბილისის მრეწველობაში მანამდეც ჰქონდა ადგილი, რაზეც ჩვენ ჯერჯერობით ცნობები არ გვაქვს. ამ ვარაუდის საფუძველს ჩვენ ის გარემოება გვაძლევს, რომ ქარხნის მომწყობები არსად არ აღნიშნავენ თავიანთ პრიორიტეტს ამ მხრივ. ჩვეულებრივ კი, როგორც მაშინ მიღებული იყო, სხვადასხვა თხოვნებსა თუ მიმართვებში, ამგვარ გარემოებას ყოველთვის ხაზს უსვამდნენ ხოლმე.

იმერლიშვილის წარმოებამ დაახლოებით 7—8 წელი იარსება. ქარხნის ამუშავების პირველი ხანებიდანვე კომპანიონებს შორის დავა ატყდა[127]. იმერლიშვილმა წარმოებაში ძირითადად სხვადასხვა კერძო პირებისაგან ნასესხები კაპიტალი დააბანდა; რაკი ვალი დროზე ვერ გადაიხადა, მევალეებმა მას ქარხნის ნაწილი ჩამოართვეს. ამრიგად, ქარხნის მეპატრონეების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა და კომპანიონებს შორის შუღლი ჩამოვარდა. 1830 წლისათვის, როგორც ჩანს, წარმოება დატოვეს ქარხნის მთავარმა ოსტატებმა ელკინმა და ედელსონმა, რასაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა წარმოების ნაყოფიერებაზე. ყოველივე ამან განსაზღვრა ქარხნის დახურვა. უკანასკნელი ცნობა აღნიშნულ ქარხანაზე ჩვენ 1836—37 წლისა გვაქვს, რომელშიც აღნიშნულია, რომ წარმოება ცუდ მდგომარეობაშია[128]. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ხანებში მან არსებობა შეწყვიტა. მით უმეტეს, რომ 1837—1838 წლებში იმერლიშვილს უთავდებოდა მიწის მეპატრონეებთან დადებული კონტრაქტის ვადა.

ცხადია, იმერლიშვილის წარმოების დახურვის შემდეგ, თბილისში მოთხოვნილება არაყის ნაწარმზე არ შემცირებულა. 1835—36 წლებში თბილისელი ცნობილი კაპიტალისტი ი. ზუბალაშვილი, უცხოელ ვატმანთან ერთად, დიდუბეში, გერმანელთა კოლონიასთან არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც თბილისის გიმნაზიის მასწავლებლის ემერიხის საკუთრებას შეადგენდა, აწყობს ასეთ წარმოებას[129]. მასში ზუბალაშვილს საკმაოდ დიდი კაპიტალი დაუბანდებია[130]. ქარხანა თავდაპირველად განზრახული იყო არყის გამოსახდელად ძირითადად სხვადასხვა მარცვლეულისაგან[131]. ხოლო მას შემდეგ, რაც ზუბალაშვილის შაქრის ქარხანა ამუშავდა, ნედლეულის სახით დიდი რაოდენობით იყენებდნენ შაქრის ნარჩენებსაც[132].

1836—40 წლებში ქარხანა წარმატებით მუშაობდა და ნავარაუდევ მოგებასაც იძლეოდა[133]. 1840—42 წლებში გაუთავებელი დავაა ი. ზუბალაშვილს, ვატმანსა და ემერიხს შორის. ემერიხი მათ მიწის საიჯარო ფასის გადაუხდელობას უჩიოდა და წარმოების ჩამორთმევით ემუქრებოდა. ზუბალაშვილი კი ყველაფერს ვატმანს აბრალებდა, მან საქმის კურსში არ ჩამაყენაო. საბოლოოდ 1842 წელს ვატმანმა ზუბალაშვილთან შეუთანხმებლად წარმოება ემერიხს დაუტოვა[134]. თუმცა ზუბალაშვილი 1845 წლამდე დაობდა სასამართლოებში, მაგრამ ფაქტია, რომ წარმოებამ 1842 წელს შეწყვიტა არსებობა.

---

127 სცსია, ფონდი 26, აღწ. 1, საქმე 4162.
128 სცსია, ფ. 16, საქმე 5679, ფურც. 125.
129 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 9575.
130 იქვე.
131 იქვე, გვ. 17.
132 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 8520, ფურც. 39.
133 სცსია, ფ. 26, აღწ. 3, საქმე 5751, ფურც. 6.
134 იქვე, ფურც. 15.

ჩვენ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება სხვა ცნობები, რომელიც წარმოების უფრო დაწვრილებით აღწერის საშუალებას მოგვცემდა. მრავალრიცხოვან სასამართლო საქმეებიდან მხოლოდ ორიოდე ფაქტის დადგენა შეიძლება, რომელიც ქარხნის ტექნიკურ აღჭურვილობას შეეხება. მაგალითად, ერთ ადგილას აღნიშნულია, რომ ქარხანაში იდგა „Водопроводная машина", ხოლო ზუბალაშვილის ერთ-ერთი განცხადებიდან ირკვევა, რომ ეს იყო საგანგებო მექანიკური წარმოება; კერძოდ, იგი წერს: „Если-бы я в ненарушимости контрактного условия Эмериха с Ватманом и мною . . . не был уверен, то я никогдабы не решился употребить таких огромных издержек на чужой земле ибо означенное устроиство произведено посредством нарочитои механики».[153]

მას შემდეგ, რაც ვატმანთან საქმე სადავოდ გაუხდა, იმისთვის რომ შაქრის ქარხნის ნარჩენები გამოუყენებელი არ დარჩენოდა, ზუბალაშვილი უკვე თბილისელ მცხოვრებ პეპინოვთან დებს ხელშეკრულებას და შაქრის ქარხანასთან აარსებს რომი-არაყის წარმოებას. ეს უფრო ჩამოყალიბებული მექანიკური წარმოებაა, სადაც ორთქლის მანქანაც ყოფილა გამოყენებული[136]. ქარხნის ნაწარმი საუკეთესო ხარისხის ყოფილა, აქ დამზადებული რომი თურმე „არაფრით არ ჩამოუვარდებოდა იამაიკას"[137]. მის პროდუქციას კარგი გასაღება ჰქონდა ადგილზე და იყო ცდები ნაწარმის რუსეთში გატანისაც კი. როგორც ირკვევა, რუსეთში საერთოდ მსგავსი წარმოებები განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მდგარან, ამიტომ ქარხნის მთავარი ოსტატი პეპინოვი, თხოვდა რა მთავრობას, ნება მიეცა მისთვის, რუსეთში უბაჟოდ შეეტანა ქარხანაში გამომუშავებული რომი 2 000 ფუთის ოდენობით, სამაგიეროდ პირობას იძლეოდა, რომ თუ რუსეთის შაქრის ქარხნებისათვის საჭირო იქნება რომის გამოხდის ტექნოლოგიის ახსნა, მე ამას სიამოვნებით გავაკეთებო[138].

აღნიშნულ წარმოებაზე სხვა მნიშვნელოვანი ცნობები ჩვენ არ მოგვეპოვება. უნდა ვიფიქროთ, რომ ზუბალაშვილის შაქრის ქარხნის დახურვის შემდეგ მანაც შეწყვიტა არსებობა.

40-იან წლებში სოფელ დრეში არაყის საწარმო ანდრიევსკისაც ჰქონია მოწყობილი. ნედლეულად ხილეულს იყენებდნენ. მის დასასრესად გამოყენებული იყო მექანიკური სასრესი, რომელიც ცხენის საშუალებით მოდიოდა მოძრაობაში და საათში 20 ფუთამდე ნაყოფს ჭყლეტდა. მისი წარმადობა დღეღამეში 500 ფუთამდე ყოფილა. თვითონ ქარხანა დიდი ზომისა და შესანიშნავად მოწყობილი იყო[139].

50-იანი წლების დასაწყისში თბილისში საფუძველი ჩაეყარა სოღომონოვის კონიაკის წარმოებას[140]. მასზე, ჩვენს განსახილველი პერიოდისათვის, ჯერჯერობით სხვა ცნობები არ გაგვაჩნია, ხოლო მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ ხანაში სოღომონოვი, დ. სარაჯიშვილის შემდეგ, ა/კავკასიაში უმსხვილესი კონიაკის ქარხნის მფლობელია.

1854 წელს უცხოელი კალაინი თბილისში ლიქიორის და სხვა დასპირტული სასმელების წარმოებას ხსნის. მისი ნაწარმი თურმე არაფრით არ ჩამოუვარდე-

---

135 იქვე, ფურც. 5.

136 დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრ.

137 სცსია, ფონდი 2, აღწ. 1, საქმე 8526, ფურც. 7.

138 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 10219.

140 სცსია, ფონდი 317, აღწ. 1, საქმე 298, ფურც. 127.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა საზღვარგარეთულს და მეტად იაფად იყიდებოდა[141]. 1857 წელს იგი თავისი წარმოების გაფართოებას იწყებს, მთავრობას ლიქიორის დამზადების პრივილეგიას თხოვს და ჰპირდება, რომ მას შეუძლია, სრულად დააკმაყოფილოს მხარის მოთხოვნილებები აღნიშნული ნაწარმით. ამ ჩანებში მას თბილისში სახელი მოუხვეჭია როგორც გამოცდილ და თავის საქმის შესანიშნავად მცოდნე ოსტატს[142].

1862 წელს კალაინი ფაბრიკანტ ზინჩენკოს შეამხანაგებია. მათ ერთად უმოგზაურიათ ევროპაში, რათა შეესწავლათ საქმის დაყენების მდგომარეობა იქაურ ფაბრიკებში, შეესყიდათ სხვადასხვა მასალები და შეეკვეთათ წარმოებისათვის საჭირო მანქანები[143]. ამავე წელს მათ სახაზინო მიწაზე აუშენებიათ ლიქიორის საწარმო, ნაწარმის გასასაღებლად კი ერევნის მოედანზე დებო მოუწყვიათ. 1863 წელს ისინი მთავრობას სესხს სთხოვენ. ამასთან დაკავშირებით „ქარხანა“ დაათვალიერა ინჟინერ ტექნოლოგმა ბიხოლდმა და მოკლედ აღწერა. წარმოებაში ამზადებდნენ: არაყს, ლიქიორებს, სხვადასხვა ნაყენებს. იგი თუმცა პატარა ზომის იყო, მაგრამ კარგად მოწყობილი. ნედლეულად გამოყენებული იყო შაქარი, თაფლი, სპირტი, სხვადასხვა ბალახეული, მცენარეთა ქერქები, სურნელოვანი ზეთები და ა. შ. „ქარხანა“ მთლიანად 4 000 მანეთად იქნა შეფასებული[144].

თუმცა მასალების სიმცირე გვიძნელებს გადაჭრით რაიმეს თქმას აღნიშნული წარმოების რაობის შესახებ, მაგრამ ცხადია, რომ იგი კაპიტალისტური საწარმოა, რომელშიაც ადგილი ჰქონდა მანქანის გამოყენების ცდებს.

როგორც დავინახეთ მე-19 საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, თბილისის არაყის წარმოებაში, რამდენიმე საგულისხმო სამრეწველო წარმოწყება ჩნდება. მათი დიდი უმრავლესობა დღეგრძელი არ აღმოჩნდა და მეტად ჩქარა შეწყვიტა არსებობა. მხოლოდ 50-იანი წლებიდან დგება ეს წარმოება უფრო მტკიცე ნიადაგზე. 1853 წელს შექმნილმა სოლომონოვის ქარხანამ გაუძლო ყოველგვარ განსაცდელს და რეფორმის შემდგომ ხანაში იგი გვევლინება როგორც მსხვილი მანქანური წარმოება—ქარხანა[145].

არყის წარმოებას თბილისში ხელოსნური ტრადიციები არ ჰქონდა. ყველა ჩვენს მიერ აღწერილი წარმოება გულისხმობდა, მეტწილად, მანქანის გამოყენებას. მართალია, მანქანის გამოყენება იმ სიმაღლეზე შეიძლება არ ავიდა, რომ გაბედულად შეგვეძლოს ლაპარაკი, რომ ისინი მნიშვნელოვანი მანქანური წარმოებებია, მაგრამ ცხადია, რომ ისინი, განვითარების თვალსაზრისით, წინ არიან წასული მანუფაქტურასთან შედარებით. მანქანა, მართალია, ვერ მოიცავს მთელ წარმოებას და, საერთოდ, მანქანური წარმოება მხოლოდ ჩანასახოვანი ფორმით გვევლინება, მაგრამ აქ მთავარია არა განვითარების მასშტაბი, არამედ ტენდენცია, ხოლო განვითარების ტენდენცია კი წარმოებაში მანქანის სულ უფრო მეტად დანერგვას გულისხმობდა.

---

[141] სცსია, ფონდი 4, აღწ. 4, საქმე 349, ფურც. 2.

[142] გაზ. „Кавказ“ 1860 г. № 8.

[143] სცსია, ფონდი 4, აღწ. 4, საქმე 349, ფურც. 2.

[144] Документы по истории Грузии (1862—1917 гг.), т. I, ч. II, под. ред. М. Чхетиия, Тб., 1960, стр. 435.

[145] სცსია, ფ. 317, აღწ. 1, საქ. 298.

* * *

ზემოთ განხილული მასალა საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ ზოგიერთი ძირითადი დასკვნა, რომლებიც შესაძლებელია, გარკვეული აზრით, მე-19 საუკუნის რეფორმამდელი ხანის თბილისის მთელი სამრეწველო განვითარების მიმართ იქნეს განზოგადებული:

განსახილველ პერიოდში თბილისის სამრეწველო განვითარებაში უპირატესი ადგილი ხელოსნობას ეკავა. ადგილობრივი ხელოსნები ამქარში იყვნენ გაერთიანებული. ერთი მხრივ, თავის შიგნით ბოძდინარე სოციალ-ეკონომიურმა პროცესებმა და, მეორე მხრივ, შემოზიდული უცხოური საქონლისა და მოსული ხელოსნების ნაწარმის კონკურენციამ, მნიშვნელოვნად შეარყია თბილისის ხელოსნების ფეოდალური ორგანიზაცია—ამქარი. მასში ჩნდება ახალი სოციალური ურთიერთობის ჩანასახები. ამქრული ხელოსნობა სულ უფრო მეტად იყენებს დაქირავებულ შრომას. ამქრული რეგლამენტაციების სირბილე თავის ფარგლებში, გარკვეულ ზღვრამდე, ხელს ვერ უშლიდა სასაქონლო ურთიერთობის განვითარებას. ამქარში გაერთიანებული ხელოსნების ერთი ნაწილის წარმომადგენლები თითოეული 4—8 მუშას უწევდა ექსპლოატაციას. ეს მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციის ჩანასახებია ამქრის შიგნით. ამქარში თანდათანობით ჩნდებიან მსხვილი ვაჭარ-მწარმოებლები, რომელთაც აღარ სურთ (აღარ შეუძლიათ) დაემორჩილონ ამქრის შეზღუდულობას, ისინი ცდილობენ გასთავისუფლდნენ ამქრის გავლენისაგან; უამისოდ შეუძლებელია მათი წარმოების შემდგომი განვითარება; ამქრული გავლენისაგან თავისუფალი მწარმოებელი მნიშვნელოვან კონკურენციას გაუწევდა ამქრის ნაწარმს, ამ. და კიდევ სხვა, მიზეზების გამო იგი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა თავისუფალი ხელოსნობის გაჩენას.

მიუხედავად ამისა, თბილისში სულ უფრო მრავლდებიან თავისუფალი ხელოსნები, როგორც მოსული,—რუსი და უცხოელები, ისე ადგილობრივნი. ახალი წარმოებითი ურთიერთობა მათში ადვილად იკაფავდა გზას და მათ ბაზაზე თბილისში ჩნდებოდნენ, მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციის ტიპის საკმაოდ მსხვილი სახელოსნოები, რომლებშიც 10—12 და მეტი დაქირავებული მუშა მუშაობდა. სავარაუდებელია, რომ შრომის დანაწილების შემოღებამ, ზოგიერთი მათგანი კაპიტალისტურ მანუფაქტურად აქცია.

განვითარების ტენდენცია მოსულ ხელოსნობაში უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ადგილობრივში, რადგან მოთხოვნილების შემცირება ხელოსნობის მთელი რიგი ადგილობრივი დარგების ნაწარმზე ზღუდავდა მათში ახალი წარმოებითი ურთიერთობის ღრმად შეჭრას. ამიტომ, თუმცა ადგილობრივი ხელოსნების დაშლისა და მათში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვის პროცესი ზოგ დარგებში მთელ განსახილველ პერიოდში გრძელდებოდა, მათგან მხოლოდ მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციები აღმოცენდნენ, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთმა მიაღწია კაპიტალისტური მანუფაქტურის მიჯნას. ხოლო უფრო მსხვილი კაპიტალისტური წარმოებები ზევიდან ეწყობოდა ვაჭრებისა თუ სხვა საქმოსნების მიერ. ამიტომ ჩვენს მიერ განხილულ მასალაში (ტყავის მრეწველობა), თუმცა შემჩნეულ იქნა კაპიტალისტური ურთიერთობის თითქმის ყველა ფორმა, ვერსად ვერ მოვახერხეთ დაგვედგინა განვითარების უწყვეტი ჯაჭვი მარტივიდან რთულისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო სამრეწველო დარგების კაპიტალისტურ განვითარებაში საგრძნობლად ჩამორჩა რუსეთს, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთის ეკონომიკის ორბიტში მოექცა, მას საშუალება ეძლეოდა დასწეოდა მას. ეს მხოლოდ ნახტომის საშუალებით უნდა მომხდარიყო. ამის შესაძლებლობას ჩვენ მრეწველობას ის უქმნიდა, რომ შედარებით გვიან დაიდგა რა განვითარების გზას, მას თვალწინ ჰქონდა ევროპისა და რუსეთის მაგალითები და შეეძლო ყველაზე რაციონალური გზა აერჩია. რაკი თბილისის სამრეწველო წამოწყებები ადგილობრივი ხელოსნობიდან, როგორც წესი, არ წარმოშობილა, ჩვენში მონაცვლეობით ერთნაირად არ განვითარებულა კაპიტალისტური ურთიერთობის ყველა ფორმა.

თბილისის მსხვილი სამრეწველო წამოწყებები უმეტესად სახაზინო დანიშნულებისა თუ მოსული ელემენტის მოთხოვნილებებისათვის იყო განსაზღვრული, მათ კი ახალი სახის ნაწარმი სჭირდებოდათ, ამდენად ტრადიციული ქართული ამქრული ხელოსნობა მათთვის კვალიფიციური მუშახელის ბაზას ვერ ჰქმნიდა, ამიტომ მსხვილ სამრეწველო წამოწყებებში რუსეთიდან, და ზოგჯერ ევროპიდან, მოჰყავდათ სპეციალისტი ოსტატები, მოჰქონდათ წარმოების მოწყობილობები.

თბილისელი მრეწველები არამც თუ ოსტატებსა და მანქანა-იარაღებს იწერდნენ რუსეთიდან და ევროპიდან, არამედ თვითონ მიემგზავრებოდნენ იქ, რათა ადგილზე გასცნობოდნენ საქმის დაყენებას ანალოგიურ წარმოებებში. ამრიგად, თბილისის მსხვილი წარმოებები ძირითადად ევროპისა და რუსეთის მსგავსი წარმოებების მაგალითზე, მათი მიბაძვით ეწყობოდა. ხოლო რუსეთში უმეტეს დარგებში ამ დროს სამრეწველო გადატრიალება კარგა ხნის დაწყებული იყო, ევროპაში კი თითქმის დამთავრებულიც. ყოველივე ამან განაპირობა ის მდგომარეობა, რომ თბილისის მრეწველობაში სხვადასხვა ცდები თუ წამოწყებები უმეტესად თავიდანვე მანქანური წარმოებით ისახებოდა, თუმცა მანქანა ვერ მოიცავდა წარმოების მთელ პროცესს და, წინა კაპიტალისტური ფორმების განუვითარებლობის გამო, მათში მნიშვნელოვანი ადგილი ხელით შრომასაც ეჭირა. ფაქტია, რომ თბილისის მსხვილ წარმოებებში მანქანის გამოყენების ტენდენცია არსებობდა, ამ ტენდენციაში გარკვეული როლი მუშა ხელის სიძვირესაც უნდა ეთამაშა, რაც თბილისისათვის მეტად დამახასიათებელი იყო.

მსხვილ კაპიტალისტურ წამოწყებებში თბილისის მაშინდელი საზოგადოების თითქმის ყველა კლასის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მაგრამ წამყვანი ადგილი ამ საქმეში ადგილობრივ და მოსულ ვაჭრებს ეჭირათ, წარმოებებს აწყობდნენ აგრეთვე ხელისუფლების საქმოსანი მოხელეები და რუსი და უცხოელი სპეციალისტები.

ფულადი კაპიტალის სიმცირის გამო, ვაჭარ-კაპიტალისტები თუ სხვები მთავრობის მნიშვნელოვანი სესხებისა და პრივილეგიების გარეშე ვერ ახერხებდნენ წარმოების მოწყობას.

თბილისის ბაზარს ადგილობრივი და მოსული ხელოსნების ნაწარმი და უცხოეთიდან და რუსეთიდან უხვად შემოზიდული საქონელი ავსებდა. ეს აშინებდა ახლად გაჩენილ მრეწველ კაპიტალისტებს, რომლებიც დიდი გაბედულებით არ გამოირჩეოდნენ. ამიტომ მსხვილი წარმოებების უმრავლესობა ადგილობრივი ბაზრისათვის არ ყოფილა განსაზღვრული; ისინი ან სახაზინო და ჯარის ნაწილების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ისახავდნენ მიზნად, ან ადგილობრივი რესურსების საფუძველზე ნახევარფაბრიკატის დამზადებას, რუსე-

ოში გატანის მიზნით. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი მთავრობის კოლონიურ პოლიტიკას ეჭირა, რადგან იგი მხოლოდ იმ წარმოებებს ეხმარებოდა, რომლებიც ან მხარის ეკონომიურ ათვისებას უწყობდა ხელს ან სახაზინო მომარაგებისათვის იყვნენ საჭირო. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი მთავრობა მხოლოდ იმდენად აძლევდა სესხებსა და პრივილეგიებს ახალ წამოწყებებს, რამდენადაც ისინი კონკურენციას არ გაუწევდნენ რუსულ ნაწარმს და რადგან სახაზინო პოდრიადები რუსეთში უმეტესად მემამულე მწარმოებლების ხელში იყო. რომელთა აზრს მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდა, იგი, მათი ინტერესების დასაცავად, ხშირად ხღუდავდა არამც თუ მთავრობის მხარდაჭერით, თვით სახაზინო კაპიტალით მოწყობილ წარმოებებსაც კი.

ყოველივე ზემოთქმულის გამო სამრეწველო წამოწყებები თბილისში არ იყვნენ მტკიცენი. რადგან ისინი უმეტესად არ გულისხმობდნენ ბაზრის დაპყრობას, მათზე გადამწყვეტ გავლენას ახდენდა მთავრობის პოლიტიკა და მაშინვე იღუპებოდნენ, როგორც კი ზევიდან მფარველობა მოაკლდებოდათ.

კაპიტალის სიმცირის და აგრეთვე იმის გამო, რომ ვაჭარი კაპიტალისტები არ იცნობდნენ წარმოებას, მსხვილი წარმოებების მოწყობას ხელს ჰკიდებდნენ მრავალრიცხოვანი კომპანიები, რომლებშიც ხშირად 3—4 და მეტი კაცი იყრიდა თავს (ასე იყო მაგალითად იმერლისშვილის ქარხანაში). ასეთ ვითარებაში მათ შორის ადვილად იჩენდა თავს უკამყოფილება, შუღლი და მტრობაც კი, რაც მეტად უარყოფითად მოქმედებდა წარმოების საბოლოო ბედზე (გავიხსენოთ ისტორია იმერლისშვილის და ზუბალაშვილის არყის ქარხნებისა, მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ზუბალაშვილის შაქრის ქარხანაშიც).

ყოველივე ამის გამო მე-19 საუკუნის რეფორმამდელი ხანის მსხვილი სამრეწველო წამოწყებების უმეტესობა დღეგრძელი ვერ აღმოჩნდა. ისინი ვერ უძლებდნენ ცხოვრებისეულ გამოცდას და „საპნის ბუშტებივით ქრებოდნენ“ ქარის პირველსავე დაბერვაზე. აღნიშნული პერიოდის მხოლოდ ერთეულმა წარმოებებმა გადაიტანეს ყოველგვარი განსაცდელი და მიაღწიეს რეფორმის შემდგომ ხანას, როცა ისინი საკმაოდ მსხვილ კაპიტალისტურ ფაბრიკებად და ქარხნებად ჩამოყალიბდებოდნენ. ზემოთ განხილული მასალიდან ასეთი იყო სოღომონოვის კონიაკის წარმოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიანი ბრინჯაოს ხანის ლეჩხუმის საამიწათმოქმედო იარაღების შესწავლისათვის

ლ. სახაროვა

(წარმოადგინა აკად. ნ. ბერძენიშვილმა)

ცხენისწყლის ზემოწელის ხეობა, კერძოდ ლეჩხუმი, დიდი ხანია არქეოლოგთა ყურადღებას იქცევს, როგორც მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთი უძველესი და საკმაოდ მძლავრი კერა. მაგრამ იგი მხოლოდ ამ თვალსაზრისით არაა საინტერესო, რადგანაც ამავე დროს იძლევა მეტად საყურადღებო მასალებს უძველესი მიწათმოქმედების წარმოსადგენად.

ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველო რომ მიწათმოქმედების განვითარების ერთ-ერთი უძველესი კერაა, ეს კარგად ჩანს მთელი რიგი არქეობოტანიკური, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ქართული ენობრივი მასალებით. ყველა მათგანის განხილვა ჩვენ შორს წაგვიყვანდა და არც არის ჩვენი მიზანი. მოვიშველიებთ ზოგიერთს საჭიროების მიხედვით. მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღები—ქვის ხელსაფქვავები, რქისა და ქვისაგან გაკეთებული წერაქვინა და თოხისნაირი იარაღები, კაჟის პრიმიტიული ნამგლის პირები — ცნობილია საქართველოში უკვე ნეოლითურ სადგომ ნასახლარებიდან[1]. არქეოლოგიურ მასალას ემატება არქეობოტანიკური, კერძოდ კ. მარცვლოვან მცენარეთა ნამთების აღმოჩენა დიხა-გუძუას ნეოლითურ ფენაში, ცხინვალის ნაცარგორაზე, ურბნისის ენეოლითურ ფენაში და სხვა[2].

მიწათმოქმედების ასე ადრე ჩასახვას, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის ბუნებრივმა ხელსაყრელმა პირობებმა და, კერძოდ კი, მდიდარმა მცენარეულმა ჯიშებმა. პ. მ. ჟუკოვსკი კავკასიას ხორბლის ჯიშთა უძველეს სამშობლოდ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ საქართველო განხილულ უნდა იქნეს, როგორც კულტურულ მცენარეთა ევოლუციის მეტად მსხვილი, დამოუკიდებელი ხასიათის მქონე კერა[3]. ვ. მენაბდემ, რომელმაც შეისწავლა დიხა-გუძუას

---

[1] ს. ჯ ა ნ დ ა ე ძ ე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენიმკის მოამბე, ტ. VI, თბ., 1939, გვ. 369. П. Лукин, **Неолитическое селище близ Гудаути, СА, XII, М., 1950, стр. 247.** ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, **Многослойный археологический памятник «Сагварджиле»**; საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIV, № 9, თბ., 1953, გვ. 565; მისივე, პირველყოფილი მიწათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრომები, ტ. II, 1956, გვ. 257.

[2] Н. В. Хоштария, **Диха-Гудзуба, древнее население Колхидской низменности,** Вестник АН ГССР, т. V, № 2, 1941, стр. 208—210; გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ცხინვალის ნაცარგორა, მიმომხილველი, ტ. II, 1951, გვ. 255; მისივე, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, ტაბ. XXXI; ა ლ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი და ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, ურბნისი, ნაკვ. 1, თბ., 1962, გვ. 45.

მარცვლოვანი ნამთები, დაადგინა შემდეგი სახეობანი—ქერი, ასლი, ფეტვი და ბახა[4]. მახა ველური ხორბლის თვისებებით ხასიათდება და მას კულტურული ტიპის ხორბალზე გარდამავალ სახეობად სთვლიან. მახა მხოლოდ ლეჩხუმშია დღეს შემორჩენილი, ხოლო მისი მეორე სახეობა, ჩელტა-მახა კი—ზემო იმერეთში. მარტო ლეჩხუმსა და რაჭაშია შემორჩენილი აგრეთვე უძველესი ენდემური სახეობა ხორბლისა ე. წ. ზანდური. ფეტვის მარცვლების აღმოჩენამ დიახგუძუბასთან პრაქტიკულად დაამტკიცა ივ. ჯავახიშვილის ძველი ქართული წყაროებით შეჯერებული მოსაზრება, რომ ფეტვი ქართველ ტომთა უძველესი კულტურაა[5].

ბოტანიკოს-სპეციალისტთა მიერ დადგენილ ხორბლის კულტურულ სახეობიდან საქართველოში 11 სახეობა ჩანს და უმეტესობა ენდემურია[6]. ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა ტომებმა კარგად გამოიყენეს თავიანთი ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი მონაცემები და, მისთვის თავისი დაკვირვების შეტოლების გზით, შექმნეს მარცვლეულთა რამდენიმე კულტურული სახეობა. როგორც არქეოლოგიური მასალები გვიჩვენებს, ენეოლით-ბრინჯაოს ხანაში და, განსაკუთრებით, გვიან ბრინჯაოს ხანაში მიწათმოქმედება განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე ადის. ფიქრობენ, რომ უკვე ენეოლითში იგი მეურნეობის ძირითად დარგად იქცევა[7]. განვითარებულ მიწათმოქმედებას მიწის დასამუშავებელი იარაღებიც შესაფერი ექნებოდა. ბუნების მრავალმხრივობამ მიწის მეურნეობის ნაირსახეობა გამოიწვია, ამ უკანასკნელმა კი—მეურნეობის შესაფერის იარაღთა მრავალფორმიანობა. მძლავრად განვითარებულმა მეტალურგიულმა წარმოებამ კი, რომელიც მყარ საფუძვლად დაედო მიწის მეურნეობას, განაპირობა, სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებთან ერთად, უმთავრესად სამიწათმოქმედო მეურნეობასთან დაკავშირებული ლითონის ნივთთა განძების არსებობა. ამ განძების საშუალებით კი ჩვენამდე მოაღწია დასავლურქართულმა სამეურნეო იარაღებმა: თოხებმა, ნამგლებმა, სეგმენტურმა იარაღებმა, წალდებმა, სამუშაო ცულებმა, კომბინირებულმა იარაღებმა და სხვა.

ლეჩხუმის გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა თითქმის ყველა ზემოთ აღნიშნულ იარაღს შეიცავს.

ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველო ხასიათდება ნესტიანი სუბტროპიკული ჰავით. დიდმა ტენიანობამ ხშირი ტყეების არსებობა გამოიწვია. აქაურ ადამიანს ოდითგანვე ტყის პირობებში უხდებოდა ცხოვრება და მეურნეობის გაშლა, რის გამოც ეს უკანასკნელი ტყის ტიპის მეურნეობად ყალიბდებოდა[8]. აღნიშნულის გამო ტყის გაკაფვის სისტემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას

---

[3] П. М. Жуковский, Происхождение культурных растений, М., 1956, стр. 25—26; მისივე, Культурные растения и их сородичи, 1950, стр. 23.

[4] В. Менабде, Пшеницы Грузии, Тб., 1948, стр. 15—16.

[5] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, თბ., 1930, გვ. 12, 322, 364.

[6] ლ. დეკაპრელევიჩი, შთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის უმთავრესი კულტურები, შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., II, 1938, გვ. 5.

[7] საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 83.

[8] გ. ჩიტაია, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის შრ., ტ. IV, ნაკ. 2, თბ., 1959, გვ. 150. А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, М.—Л., 1935, გვ. 131.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღებდა. როგორც გ. ჩიტაია შენიშნავს, ადამიანი ტყისაგან იცავდა ყანას, საბინავ-სათიბებს, საძოვრებს, ფუტკარს, ვაზს და, ბოლოს, კაფავდა ტყეს მეტალურგიული წარმოებისათვის საჭირო საწვავი მასალისათვის[9]. ტყისაგან ნიადაგის გაწმენდის ერთ-ერთი საშუალება იყო ხეების გახვწა, ე. ი. ქერქის აცლა ადაძიახის სიმაღლეზე. უძველეს საჭვწ იარაღად გ. ჩიტაიამ მიიჩნია სეგმენტური იარაღები, მაგრამ საერთოდ ყველა სეგმენტები და არა რომელიმე გარკვეული სახეობა, რაც არ უნდა იყოს მართებული. ხვეწებად ჩვენ მიგვაჩნია ის სეგმენტური იარაღები, რომელთა ტანი ბრტყელ ცულის პირს მოგვაგონებს (ტაბ. II. სურ. 3). ასეთი სეგმენტები ლეჩხუმურ მასალაში რამდენიმე ცალია. ხვეწებად შეიძლებოდა ხმარებულიყო აგრეთვე კოტებიანი ბრტყელი ცულები, რომელიც აღნიშნულ მასალაში ორი ცალია (ტაბ. I. სურ. 4.) გარდა ამ იარაღებისა, ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი მეტად ორიგინალური და ჯერჯერობით ერთადერთი იარაღი მთელ საქართველოში, რომელიც აგრეთვე შეიძლებოდა ხვეწად ყოფილიყო გამოყენებული (ტაბ. I. სურ. 1). აღნიშნული იარაღი წარმოადგენს მშვილდისებურად მოხრილ, თანაბარი სიგანის ბრინჯაოს ფირფიტას, რომლის ბოლოები პირგახსნილი სატარე მილებით თავდება. მილები თითქმის მშვილდის პერპენდიკულარულადაა მიმართული. ხვეწის შეღუნული მხარე მახვილია და ხმარებისაგან გაცვეთილი (სიგრძე 43 სმ-ია). დაახლოებით ასეთი ხვეწი „საორხელო დანის“ სახელით დადასტურებულია ბორჯომის ხეობის ეთნოგრაფიულ ყოფაში გ. გასტატიშვილის მიერ[10]. განსხვავება იმაშია, რომ საორხელო დანა სწორია და სახელურები ალესილი პირისკენაა მიქცეული. ამავე რაიონსა და სამეგრელოში დადასტურებულია ამის მსგავსი, მხოლოდ უფრო პატარა, მოხრილ-მოკაული საორხელო დანები. საორხელო დანის ფუნქციას ხის ქერქის გაცლა-ჩამოთლა და დიდი სოლების გათლა შეადგენს. უთუოდ, ასეთი დანიშნულება ჰქონდა ლეჩხუმურ საორხელო დანასაც[11]. აღნიშნული ფუნქციისათვის იგი ძალზე მოხერხებულ და საკმაოდ განვითარებულ იარაღს წარმოადგენს.

ტყის გაკაფვის სისტემასთან დაკავშირებული, აგრეთვე, ის უამრავი კოლხური სამუშაო ცულები (ო. ჯაფარიძისეული II ტიპი), რომლებიც ასე მრავლადაა წარმოდგენილი ლეჩხუმურ მასალაში (ტაბ. I, სურ. 3). ამავე ჯგუფს უნდა მივაკუთნოთ ერთი მეტად საინტერესო კომბინირებული იარაღი, რომელიც არქეოლოგიურ ლიტერატურაში ცულ-ნამგალას სახელით არის ცნობილი (ტაბ. I. სურ. 11). ოვალური სატარე ხვრელის ერთ მხარეს ცულია, ხოლო მეორე მხარეს „ნამგალი“. ცულის სამუშაო ფუნქციები ცნობილია, მხოლოდ მეორე მხარის ნამგლად აღიარება ცოტა საეჭვოდ გამოიყურება. ჩვენ მხედველობაში გვყავს ბ. კუფტინი, რომელმაც ცულ-ნამგალას სახელწოდებით გამოაქვეყნა აღნიშნული იარაღი[12]. ავტორმა რატომღაც არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ასეთი იარაღი საკმაოდ მძიმე იქნებოდა ნამგლის ფუნქციის შესასრულებლად და, მეორეც ის, რომ კომბინირებული იარაღი გულისხმობს მისი ორივე მხარის გამოყენებას ერთ სამუშაო პროცესში, ე. ი. ცულის მოპირდაპირე მხარეს უნდა შეესრულებინა ცულის დამხმარე ან მონათესავე სამუშაო. ამდენად აღნიშნული

[9] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

[10] გ. გასტატიშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962, გვ. 47, 48.

[11] А. А. Иессен. Клад из селения Лухвано в Грузии. СГЭ, Л., 1962, XXII, стр. 45.

[12] Б. А. Куфтин. Урартский «колумбарии» у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIII, 1944, 28, ტაბ. XIII 5.

იარაღის ერთი მხარის ნამგლად წარმოდგენა ჩვენ არარეალურად გვეჩვენება. ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისას, სასხლავებთან დაკავშირებით ა. აფაქიძე იხსენიებს ლეჩხუმურ ცულ-ნამგალასაც და ფიქრობს, რომ იგი შეიძლება სასხლავად ყოფილიყო გამოყენებული[13]. მაგრამ წალდის, სასხლავის და სავაზეს, როგორც იარაღის გამოთვრის პრინციპი სრულიად სხვა არის, ე. ი. მათი ტარი და პირი ერთმანეთის მიმართ ჰორიზონტულია, რასაც გარკვეულად თხოულობს მათი სამუშაო ფუნქცია. ჩვენ ცულ-ნამგალას კი ტარი პერპენდიკულარულად ეგება, რაც განასხვავებს კიდეცაც მის სამუშაო ფუნქციას წალდი—სავაზე—სასხლავისაგან. ა. აფაქიძე სასხლავთან ერთად ხმარობს ტერმინს—საკაფავს, რაც ყველაზე მართებულად უნდა გამოხატავდეს ცულ-ნამგალას სადაო ნაწილის სამუშაო ფუნქციას. იგი უსათუოდ კაფავდა დაბალ ეკალბარდებს, ასუფთავებდა ბუჩქნარისაგან ხის ძირებს; ამ დროს იგი იხმარებოდა მარჯვნიდან მარცხნივ (როგორც ნამგალი ან ცელი) ე. ი. დამოუკიდებელ სამუშაოსაც ასრულებდა და ამავე დროს ეხმარებოდა ცულსაც. ადამიანის გამართულ მდგომარეობაში მუშაობისას იგი იხმარებოდა, ალბათ, მხოლოდ მაღალი ბარდების თუ ტოტების მოსაქაჩად, რადგან ამ შემთხვევაში მისი საკაფავად ხმარება მეტად უხერხული იქნებოდა მის მიმართ ტარის დაგების წესის გამო. ყოველივე აღნიშნულის გამო ჩვენ გვგონია, რომ ცულ-ნამგალას უნდა შეეცვალოს სახელწოდება, რადგან იგი სწორად არ გამოხატავს მის სამუშაო დანიშნულებას. უფრო მართებული იქნება, ვთქვათ—ცულ-საკაფი. ლეჩხუმური ცულ-საკაფი, ერთი მხრივ, წალდისა და კოლხური ცულის ფორმისა და, მეორე მხრივ, მათი სამუშაო ფუნქციის საფუძველზე შექმნილ იარაღად მიგვაჩნია. იგი ძალზედ სპეციფიკურია და როგორც ჩანს გარკვეული ბუნებრივი გარემოთია ნაკარნახევი. ლეჩხუმური ცულ-საკაფის ერთადერთ პარალელს წარმოადგენს ცხინვალის განძთან ერთად აღმოჩენილი ნაკლული ცულ-საკაფი[14].

ახოს აღების საქმეში ტყის გაკაფვისა და გახვეწილი ხეების დაწვის შემდგომი საფეხური იყო მიწის გაწმენდა კუნძებისა და ფესვებისაგან. ასეთი რიგის სამუშაო სრულდებოდა წერაქვებით, ჭარჩებით, თოხებით, წალდებით, ცულებით და სხვა. ლეჩხუმურ მასალაში, ჩვენ მიერ ზემოთ დახასიათებულ იარაღთა გარდა, რომელიც ახოს აღებაში იხმარებოდა, გვაქვს აგრეთვე თოხები.

თოხი—ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია დასავლურ-ქართული ცნობილი განძებისა; რაოდენობის თვალსაზრისით კი უთუოდ ერთ-ერთი წამყვანი იარაღთაგანია დასავლურ-ქართულ სამეურნეო იარაღებში. თოხების სიმრავლის საფუძველზე ა. ა. იესენმა გამოთქვა მოსაზრება, რომ თოხი შეიძლება ზოდის როლსაც ასრულებდა. ამ მოსაზრების მცდარობა შენიშნა ო. ჯაფარიძემ[15], რომელმაც აღნიშნა, რომ თითქოს ყველა თოხს ეტყობა ხმარების კვალი, რაც საეჭვოსა ხდის მის გამოყენებას ზოდად. ჩვენ კი დაგვებადა კითხვა—რა საჭირო იქნებოდა ზოდისათვის ფორმის მიცემა და ისიც მაინცდამაინც თოხისა, თუ ის კვლავ ჩამოსხმისათვის იყო გათვალისწინებული?

---

[13] ა. აფაქიძე, ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები, საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი), თბილისი, 1941.

[14] ო. ჯაფარიძე, ცხინვალის განძი, ალად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI—B, თბ., 1950, გვ. 102.

[15] ო. ჯაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 49, თბ., 1953, გვ. 193.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოხები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზომით, მოყვანილობით და „შემკულობით". დღემდე აღმოჩენილი თოხების უმრავლესობა სადაა, ნაწილს კი შიდა მხარეს სამი რელიეფური ზოლი დაუყვება, რაც იწყება სატარე ხვრელთან და იკარგება თოხის პირთან. არის რამდენიმე ცალი, რომელთაც შიდა მხარეს შემორჩენილი აქვთ ირიბი ხაზები და ფხური ორნამენტი[16]. რაც შეეხება სატარე ხვრელს, იგი თითქმის ერთნაირი აქვს ყველას—მრგვალი, შიგნით ოდნავ მოლისებურად წაზიდული და, როგორც წესი, ხვრელის უკანა დიამეტრი რამდენიმე მილიმეტრით უფრო ნაკლები წინაზე. ტანის მოყვანილობის მიხედვით კი თოხები მრავალგვარია—ვიწრო, შვეტილტანიანი, წელში მოხრილი (ვიწრო პირიანი); ფართო, ფრთებსავით განზე გაშვერილი მხრებით, ოდნავ მოხრილი ან ბრტყელი; არის რომბისებური და სამკუთხა თოხები (ასეთებს ზოგს სატარე ხვრელი კუთხეში აქვს, ზოგს კი ფერდთან). მაგრამ ეს უკანასკნელნი არ არიან ძირითადი და დამახასიათებელი დასავლურ-ქართული გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურისათვის. ასეთი ცალები ვიწრო-ლოკალურ ხასიათს ატარებს, მხედველობაშია გურია-აჭარის თოხები.

დასავლურ-ქართულ კულტურაში, ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ძირითადად თოხების ორი ფორმა ჩანს გაბატონებული (ტაბ. III, სურ. 1). ესაა—ვიწრო, შვეტილტანიანი (ე. წ. ეჩო-ქარჩისებური) თოხები და ფართო, ფრთებსავით გვერდზე გაშვერილი მხრებიანი თოხები. დანარჩენები კი ან ამ ორი ტიპის თოხების ვარიანტებია ან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვიწრო—ლოკალური ხასიათის მატარებელი თოხები. თოხების ასეთი ნაირსახეობა ნაკარნახევი იყო დასავლეთ საქართველოს ნიადაგის თავისებურებით და, რაც მთავარია, თვით ნიადაგის დამუშავების პროცესით. ტყისაგან გაწმენდილი ნიადაგის პირველადი დამუშავებისათვის, როგორც კონოგრაფიული მასალებიდან ჩანს, უმთავრესად ე. წ. ეჩო-ქარჩისებური თოხები იხმარებოდა, ხოლო შემდეგ თოხნისა და სხვა სამუშაოებისათვის უკვე წარმატებით გამოიყენებოდა ფართო, ფრთებსავით გვერდზე გაშვერილი მხრებიანი თოხები (უფრო მოკლედ, ფართოპირიანი თოხები). თავისი სამუშაო ფუნქციის გამო ვიწროპირიანი თოხები უფრო ღონიერი უნდა ყოფილიყო. ეს, როგორც ჩანს, გათვალისწინებული ჰქონდა იმ დროის ხელოსანს, რადგან თოხის ტანის გასამაგრებლად ვიწროპირიან თოხებს შიდა მხარეს უმატებდა სამ გრძივ, რელიეფურ ზოლს, რომელიც იწყებოდა სატარე ხვრელთან და იკარგებოდა თოხის პირთან. გარკვეული ყურადღება ექცეოდა ქიმიურ შედგენილობასაც. ჩვეულებრივ დასავლურ-ქართული თოხები სპილენძისაგან არის გაკეთებული (ზოგი მათგანის ქიმიური შედგენილობის სურათი კალასაც გვიჩვენებს, მაგრამ ისე ცოტა რაოდენობით, რომ იგი შეიძლება მინარევად ჩაითვალოს). მაგრამ ეჩო-ქარჩისებური თოხების ქიმიური ანალიზი გვაჩვენებს, რომ მის შემადგენლობაში გამაგრების მიზნით შეგნებულადაა შეტანილი კალა და თანაც ისეთი რაოდენობით, რომ მას არ გამოეწვია იარაღის მსხვრევადობა. ეს საინტერესო დაკვირვება ეკუთვნის ო. ღამბაშიძეს.

არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბრინჯაოს ვიწროტანიანი თოხები ეჩოებს უნდა წარმოადგენდნენ[17]. ჩვენი აზრით, ეს არ უნდა იყოს სწორი. ეჩოსა და მისი ვარიანტების (ხელეჩო,

[16] იქვე, გვ. 174.

[17] გ. ნიორაძე, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV—B, თბ., 1943, გვ. 13.

ვეხეჩო, ღარეჩო და სხვა) სამუშაო ფუნქცია ხის სათლელ-სადურგლო სამუშაოებით განისაზღვრება[18]. ასეთი სამუშაოების შესრულება კი ვიწროტანიანი თოხებით შეუძლებელი იქნებოდა მისი ქიმიური შედგენილობისა და რელიეფური ზოლების გამო, რომელიც მას პირზე დაუყვება. თავისი ეჩოსნაირი მოჭანდული პირისა და ყუის საშუალებით მას შეეძლო ნაწილობრივ, მცირე მასშტაბით შეესრულებინა ეჩოსნაირი სამუშაო. ამოეძრკვა, ამოეჩორკნა ფესვები, ე. ი. შეესრულებინა ის სამუშაო, რაც საჭირო იყო ნიადაგის პირველადი დამუშავებისათვის. მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ვიწროტანიანი თოხები მივიჩნიოთ ხით ხუროობის ისეთ იარაღად, როგორიცაა ეჩო. მეორე ხრივ, თითქოს გასაკვირია, ის ამბავი, რომ ხე-ტყეთ მდიდარ ქვეყანაში, რომლის ხით ხუროობასაც მეტად ღრმა ტრადიციები უჩანს, არ გვქონოდა ეჩოსნაირი იარაღი, მით უმეტეს, რომ ჩვენთვის საკვლევ პერიოდში უკვე არსებობს ხით ხუროობის ისეთი იარაღი, როგორიცაა სატეხი, ხოწი და სხვა. ამიტომ საჭიროა ამ ვიწროტანიანი თოხების უფრო საგულდაგულო შესწავლა, მით უმეტეს, რომ მისი ნაწილი—შედარებით მცირე ზომის, ტანშვეტი და ყუასქელი ცალები, მართლაც, შეიძლება ეჩოებად ჩავთვალოთ. ბრინჯაოს ეჩოსნაირი თოხები ნამდვილი ეჩოების წინამორბედი უნდა იყოს, რადგან მასში ამ უკანასკნელის ელემენტები ჩანს.

ლეჩხუმის გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალებში რვა თოხია; სამი ნაკლულია, ორს იმდენად აქვს პირი მოცვეთილი ხმარებისაგან, რომ დამოკლებულია. ხმარების კვალი მეტნაკლებად ყველას ეტყობა. ექვსი მათგანი ერთნაირია, განსხვავდება მხოლოდ ზომით. ექვსივეს ახასიათებს ვიწრო ტანი, წელში მოხრილობა; ჩაღუნული მხრიდან სამი რელიეფური ზოლი დაუყვება. ზოლები იწყება სატარე ხვრელთან და იკარგება თოხის პირთან. დანარჩენ ორ თოხს შედარებით განიერი პირი და ფრთებსავით განზე გაშვერილი მხრები აქვს; პირი სადა და შიდა მხარეს მოჭანდულია. ლეჩხუმი მთის ზოლს ეკუთვნის და ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ჩვენს თოხებში ეჩო-ქარჩისებური თოხები მეტია. როგორც ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა თოხი, და ისიც ეჩო-ქარჩისებური, უმეტესად მთის ზოლის მიწათმოქმედებაში იყო დანერგილი. თოხის ფართოდ გამოყენებას და ბაღის შეზღუდვას მთა ადგილებში, როგორც ეთნოგრაფი გ. ჯალაბაძე შენიშნავს, ამ იარაღების მუშაობის პრინციპი და ადგილის გარკვეული გეოგრაფიული მდებარეობა ახირობებდა[19]. ლეჩხუმურ თოხებს, როგორც მისი არწუ-რილობიდან დავინახეთ, არაფერი განსაკუთრებული არ ახასიათებს ფორმის მხრივ. იგი ეკუთვნის დასავლურ-ქართულ კულტურაში გავრცელებულ თოხებს ძირითად ორ სახეობას, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი, და სწორედ ამიტომაც მისი პარალელები თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება. „თითქმის“ იმიტომ ვამბობთ, რომ მიუხედავად თოხის ფართო გავრცელებისა, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი კუთხისათვის იგი თითქმის, სრულიად უცნობია: ჩაგალითად არქეოლოგიურად საკმაოდ კარგად შესწავლილი აფხაზეთისათვის და არქეოლოგიურად თითქმის სრულიად შეუსწავლელი სვანეთისათვის. თუ ამ უკანასკნელისათვის ერთგვარი გამართლებაა მისი შეუსწავლელობა და ბუნებ-

[18] ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 120—121.

[19] გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 18—19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგი პირობა, სამაგიეროდ აფხაზეთისათვის ეს გარემოება საინტერესო კითხვას წარმოადგენს.

სამეგრელოდან ცნობილია, როგორც ეჩოსებური, ასევე ფართო პირიანი თოხები. სულ ცნობილია 11 თოხი. აქედან 5 მათგანის აღმოჩენის ადგილი უცნობია. ერთი აღმოჩენილია სოფ. ხეთაში, ერთი წალენჯიხაში; ერთი მომდინარეობს სოფელ ჯვარში 1905 წელს აღმოჩენილი განძიდან, და ერთიც სოფელ მახარიაში აღმოჩენილ განძიდან. ეჩოსებური თოხები ოთხი ცალი ცნობილია ბერეთვე სოფელ კურზუდან (გეგეჭკორის რაიონი)[20]. ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ ორი თოხი სოფელ ჯვარიდან, რომელთაც სრულიად განსხვავებული, ორიგინალური ფორმა აქვთ. ეს თოხები ხასიათდება გრძელი, თავსა და ბოლოში გაწვრილებული ტანით და წელში ძლიერი მოხრილობით (ო. ჯაფარიძე რომბისებურს უწოდებს).

ორივე ტიპის თოხი ცნობილია აგრეთვე იმერეთიდან. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია სოფელ კლვათაში აღმოჩენილი განძი, რომელშიაც ექსი ცალი ბრინჯაოს თოხია; ყველა მათგანი ნაკლულია, მაგრამ უმეტესობა, როგორც ჩანს, ეჩოსებური უნდა იყოს. აქვეა დაცული სოფელ ხანში აღმოჩენილი სამი თოხი, აქედან ორი ეჩოსებურია, ერთი კი ფართოპირიანი, მხრებგაშლილი. საქართველოს მუზეუმშია, აგრეთვე, ერთი სოფელ კინჩხადან, ბევრი თოხია დაცული ქუთაისის მუზეუმში. სოფელ ღვედიდან ერთი ცალი, ერთიც ძევრიდან; საქარიდან ორი; თითო ცალი სოფელ ფარცხანაყანევიდან და სოფელ ქვემო ნოღადან; ხუთი თოხი ცნობილია სოფ. გორაში აღმოჩენილ განძიდან, ხოლო სოფელ ბორითიდან ორი თოხი[21]. სოფელ ოფშკვითში აღმოჩენილ განძში ერთი თოხის ყუის ნატეხია, ხოლო ზემო სიმონეთის განძიდან ორი თოხის ნატეხია ცნობილი. მუზეუმში დაცულია კიდევ რამდენიმე თოხი, მაგრამ მათი აღმოჩენის ადგილი უცნობია. 1961 წელს ტყიბულში აღმოჩენილ განძში 25 თოხია. აქედან ორი ეჩოსებურია, ხოლო დანარჩენი ფართოპირიანი, მხრებგაშლილი.

რაჭიდან თოხები ცნობილია რამდენიმე ადგილიდან. ქვიშარის განძში, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება, ოთხი ეჩოსნაირი თოხია. ასეთივე თოხი, მხოლოდ უფრო დიდი ზომის აღმოჩენილია სოფელ ბუგეულში და ინახება ქუთაისის მუზეუმში. სოფელ თხმორში 1953 წელს აღმოჩნდა განძი, რომელშიაც ოცი თოხია, აქედან უმრავლესობა ქარჩისებურია. უფრო ადრე სოფელ ტოლაში აღმოჩნდა განძი, რომელშიაც ხუთი თოხია აქედან ოთხი ფართოპირიანია.

ლეჩხუმურ თოხებს პარალელები მოეძებნება გურიაშიც. საქართველოს მუზეუმში ინახება ერთი დაბალი პირფართო თოხი სოფელ ხევიდან (ჩოხატაურის რაიონი). მახარაძის მუზეუმში დაცულია ოთხი ფართოპირიანი და ორი შვეტილტანიანი თოხი სოფელ გუთურიდან, ვაკიჯვარის განძში არის ორი ფართოპირიანი თოხი, ასეთივე თოხი ცნობილია სოფ. დიდი ვანიდან.

აღნიშნული ტიპის თოხები ცნობილია აჭარიდანაც. სოფელ ზენითიდან სამი ცალი, ბობოყვათიდან ორი ცალი, მახუნცეთიდან ერთი ცალი. 1905 წელს ცი-

---

[20] დ. ქორიძე, შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენა სოფ. კურზუში, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXII—B, თბ., 1961, გვ. 56—57.

[21] Н. М. Иващенко, Материалы к изучению культуры колхов, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II, თბ., 1941, გვ. 19.

ხისძირში აღმოჩენილ განძში ერთი ეჩოსნაირი თოხია, ერთიც ფართოპირიანი, მაგრამ ფრთებჩაღუნული.

გურია-აჭარაში, გარდა ამ ორი, სხვა კუთხეებშიაც ცნობილი ფორმებისა, არის კიდევ თოხების მეტად განსხვავებული, ორიგინალური ტიპებიც. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ციხისძირში, ჩაისუბანში, სოფელ ერგეში, ვაკეჯვარსა და შრომაში აღმოჩენილი სამკუთხა თოხები და, მეორე მხრივ, მახუნცეთისა და ზენითის თოხები. აღნიშნული თოხები ტოლფერდა სამკუთხედს მოგვაგონებს (ჩომრგვალებული კუთხეებით). განსხვავება ამ თოხებში ის არის, რომ სატარე ხვრელი ჩაისუბნის თოხებს წვეროსთან აქვთ, ხოლო ზენით-მახუნცეთის თოხებს კი ფუძესთან. ზენით-მახუნცეთის თოხები თავისი ფორმით ახლო დგანან ურეკის განძის თოხებთან, რომლებიც მისი თანმხლები ყუაშილაანი ცულების საშუალებით, შუა ბრინჯაოს ხანით თარიღდება[22]. ურეკის თოხები ყველაზე ძველია დღემდე აღმოჩენილ თოხებში. მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთ ფორმას რადაც გარკვეული შესაფერი სამეშაო თხოვნილება, რადგანაც იგი გვიან ბრინჯაოს ხანამდე შემორჩა ზენითისა და მახუნცეთის თოხების სახით, ე. ი. შემორჩა იმ დრომდე, როდესაც უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა თოხების ორი ძირითადი სახეობა. ეს გარემოებაც და აგრეთვე ის დაკვირვებაც, რომ შემდგომ ხანაშიც პირფართო და პირვიწრო თოხები ერთდროულად არსებობს და თანაც ბევრი ვარიაციებით, გვაფიქრებინებს, რომ ო. ჯაფარიძის მოსაზრება არ უნდა იყოს მართებული. იგი ფიქრობს, რომ პირვიწრო თოხები წინ უსწრებს პირფართო თოხებს, რომ თოხს პირი შემდეგში თანდათანობით გაუფართოვდა და ბოლოს გვ. ბრინჯაოს პერიოდში ვიწროპირიანი თოხი უკვე ხმარებიდან გამოვიდა და მისი ადგილი უფრო განვითარებულმა ტიპმა—პირფართო თოხმა დაიკავა[23].

პირვიწრო თოხები რომ წინ უნდა უსწრებდეს პირფართო თოხებს—ეს მართალია, ეს სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. ამის დამადასტურებელია წვეტიანი იარაღის (ქვის, ხის, რქის) როლი პირველყოფილ მიწათმოქმედების განვითარებაში, მაგრამ დროთა განმავლობაში, პრაქტიკულმა აუცილებლობამ მოიხვედრა ადამიანი, რომ საჭირო იყო არა მარტო პირვიწრო თოხი, არამედ პირფართოც. ამის დამადასტურებელია სწორედ თოხების შემდგომი განვითარება და მრავალფორმიანობა. პირვიწრო თოხების საბოლოო ფორმა გვიანი ბრინჯაოს ეჩო-ქარჩისებური თოხები უნდა იყოს, ხოლო პირფართოსი კი—მხრებგაშლილი თოხები. ამ ორ ძირითად ტიპს, როგორც ადრე გვქონდა აღნიშნული, აქვს კიდევ თავისი ვარიანტები. განსაკუთრებით კი ეჩო-ქარჩისებურს (მაგალითისათვის ავიღოთ თხმორის განძი), და ბოლოს აღნიშნულ ტიპებთან ერთად გვხვდება ისეთი ლოკალური ვარიანტები, როგორიცაა ზუგდიდის მუზეუმში დაცული, სოფ. ჯვარში აღმოჩენილი ორი რომბისებური მოყვანილობის თოხი და ჩაისუბან-ერგესა და მახუნცეთ-ზენითის თოხები. ამრიგად, სრულიად სამართლიანია როგორც ბ. კუფტინის, ასევე დ. ჭორიძისა და ო. ღამბაშიძის მოსაზრება, რომ გვიანი ბრინჯაოს პერიოდში ერთდროულად თოხების რამდენიმე ფორმა არსებობდა, რაც შეპირობებული იყო ნიადაგის ნაირგვარობით და იმ

---

[22] ო. ჯაფარიძე, დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XVI—B, 1950, გვ. 118.

[23] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაო ფუნქციის მრავალგვარობით, რაც თოხს ეკისრებოდა (ნიადაგის გაფხვნა, ამოყრა, ამოძირკვა, გათოხნა, მარგვლა, აქექვა, ჩათესვა და სხვა)[24].

ლეჩხუმურ თოხებს პარალელები მესხეთშიაც მოეძებნება. სოფელ ხიზაბავრიდან ორი თოხია ცნობილი, სოფელ თელოვნიდანაც—ორი. 1958 წელს სოფელ თელოვანში აღმოჩნდა ერთი მეტად საინტერესო განძი, რომელშიც ოთხი თოხია. სამი მათგანი პირფართო თოხების ჯგუფს ეკუთვნის, ხოლო ერთი ცალი—ტოლფერდა სამკუთხედის მსგავსი, წვეროსთან სატარე ხვრელით — მოგვაგონებს ჩაისუბან-ერგეს თოხებს[25].

აღმოსავლურ-ქართულ კულტურაში თოხი ნაკლებად გვხვდება. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც აღმოსავლეთ-საქართველოს ნიადაგი უფრო ღრმა დაძუშავებას მოითხოვდა, ვიდრე ეს თოხს შეეძლო. მისი გავრცელება აქ თით-ქმის ჭართლით ამოიწურება. ერთი თოხი სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა სოფ. ჩურისხევში (ზნაურის რაიონი). ეს თოხი ძალიან გავს ჩაისუბნის თოხებს. სოფელ თერეგანდან (ზნაურის რაიონი) ცნობილია ხუთი თოხი. აქედან სამი ცალი პირფართოა, მხრებგაშლილი, ორი კიდევ ეჩოსებური[26]. კოდისწყაროდან გვაქვს ორი ეჩოსებური თოხი. ერთი ეჩოსებური თოხი გვაქვს სოფელ შუახევიდან. მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცულია თოხი სოფელ ახუდნადან. ერთი ეჩოსებური თოხი სოფელ მოხისიდან დაცულია საქართველოს მუზეუმში[27]. ერთი თოხი აღმოაჩინა თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მარაღან-დერესის სამაროვანზე[28].

საქართველოს ჩრდილოეთით თოხი სრულიად უცნობია, ხოლო სამხრეთით ჯერჯერობით ორი ადგილიდანაა ცნობილი, ერთი მეხჩის-ციხის (ყარსი)[29] და მცირე ართვინის განძიდან[30].

ახოს აღების შემდეგ ნიადაგი მუშავდებოდა თოხითა და სახვნელით. ჩვენი აზრით, სწორედ ამ საკითხთან უნდა განვიხილოთ ე. წ. სეგმენტური იარაღები. ეს სახელწოდება მან თავისი ფორმის გამო მიიღო[31]. თითქოს ყველა ცნობილ განძში, სადაც კი თოხია, სეგმენტური იარაღიც გვხვდება. ასეა ლეჩხუმშიც. ცაგერის განძში, სადაც 5 თოხია ცნობილი, გვაქვს ოცდათხი სეგმენტური იარაღი, აქედან 20 მთელი და 4 ნატეხი. სეგმენტური იარაღები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზომით, მხრების გამართვით; ზოგს მხრები ჰორიზონტულად აქვს გაშლილი, ზოგს ნამგალა მთვარესავით, ზოგს კი ბრტყელი ცულის პირს მიუგავს ტანი. აქეთ სეგმენტები ჩვეულებრივ პატარა ზომისაა. ზოგ სეგმენტს ზედაპირი ირიბი ნაჭდევებით აქვს „შემკული", ძაგრამ პრინციპში ისინი ყველა

---

[24] Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII-B. 1944, გვ. 319; დ. ჭოროხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63; ო. ღამბაშიძე, თბმორის განძი (ხელნაწერი).

[25] ტ. ჩუბინაშვილი, მასალები მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიისათვის, სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, ახალციხე, 1962, გვ. 18.

[26] Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, стр. 31.

[27] იქვე, ტაბულა VIII.

[28] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 52.

[29] Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии ; საქართველოს მუზ. მოამბე, ტ. XII—B, გვ. 329

[30] კ. ბიტელი, ართვინში აღმოჩენილი ბრინჯაოსაგან გაკეთებული არქეოლოგიური ნაშთები, ენიმკის მოამბე, ტ. II₂, თბ., 1938.

[31] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 317.

ერთნაირია, ე. ი. ყველა სეგმენტურია. არქეოლოგიურ ლიტერატურაში სადღეისოდ არ არის გადაწყვეტილი, თუ რა ფუნქცია ჰქონდა ამ იარაღს. ნუშიზმატმა ე. ა. პახომოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სეგმენტები შეიძლება იხმარებოდა, როგორც საცვლელი ერთეული[32]. მაგრამ ეს არ უნდა იყოს სწორი, რადგან ყველა ცალს ეტყობა ძლიერი ხმარების კვალი და მეორეც ის, რომ საცვლელი ერთეული, ალბათ, არ შეგხვდებოდა სამეურნეო დანიშნულების ნივთებთან. ბ. ა. კუფტინი სეგმენტურ იარაღებს მიიჩნევდა ბარის ტიპის იარაღად, რომელიც იხმარებოდა ბაღსა და ბოსტანში. მას მოცემული აქვს სეგმენტების განვითარების სურათი. იგი იწყებს ართვინის განძის სეგმენტით და ამთავრებს თელოვნის მოზრდილი, სატარეზე კოტებიანი სეგმენტური იარაღით. ამ უკანასკნელს იგი თვლის მის სრულყოფილ ფორმად. დალაგება, როგორც ჩანს ნებისმიერია და არ ემყარება არც ქრონოლოგიურს და არც ტიპოლოგიურ პრინციპს. მასში არ არის შეტანილი სეგმენტების ის ფორმაც, რომლის პირი ყველაზე პატარაა ხოლმე და ბრტყელი ცულის პირს მოგვაგონებს[33].

კ. ბიტელი ართვინის განძის სეგმენტებს „წყვილცულას" ნაწილებადა თვლის; ეს რა თქმა უნდა არ არის სწორი და თავის დროზე შენიშნულიც იქნა[34]. გ. ნიორაძე ფიქრობდა, რომ თითოეული სეგმენტი ცალკე უნდა შესწავლილიყო. მას შესაძლებლად მიაჩნდა ზოგი მათგანის ნიჩბად ხმარება, ზოგისა სომარ ცულად, თოხად, ღარეჩოდ და ზოგისაც მედაბახის ტყავის დასამუშავებელ იარაღად[35]. ნაშრომში ცოტა გაურკვეველია, ყოველ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ავტორს ნიჩაბი და ბარი გაიგივებული აქვს. თუ ეს ასე არ არის და ავტორი სეგმენტს ნიჩბად მიიჩნევს, მაშინ მით უმეტეს არ არის ეს მოსაზრება მართებული. ნიჩაბი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ყოფაში არასოდეს არ ყოფილა დაკავშირებული მიწის სამუშაოებთან და ყოველთვის ხისა იყო. სეგმენტის ნაწილის წარმოდგენა სომარ ცულებად, მაშინ, როდესაც არსებობს შესანიშნავი კოლხური სომარი ცულები, ცოტა ძნელია.

ნ. ხოშტარია ფიქრობს, რომ სეგმენტი თოხის ერთ-ერთი სახეობა უნდა იყოს და მას „ბრტყელ თოხს" უწოდებს[36]. მაგრამ მილიანი თოხისა და მთელი მისი ვარიანტების არსებობის პირობებში ეს მოსაზრებაც არადამაჯერებლად გვეჩვენება. სეგმენტის თოხად ხმარების შემთხვევაში საჭირო იყო მისთვის 90° მოხრილობის ხის ტარის დაგება. ეს იყო საქმის გართულება. უკვე არსებული ცოდნის საფუძველზე ადამიანს შეეძლო გაეკეთებინა სატარე ხვრელიანი ტანბრტყელი თოხი (თუ კი ასეთი სჭირდებოდა), რომლისთვისაც არ იქნებოდა საჭირო 90° მოხრილობის ხის ტარის ძებნა.

ფიქრობენ, რომ სეგმენტი ტყავის საჭრელი დანა იყო. ამის საფუძველი იყო ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული მედაბახის ტყავის საჭრელი დანები.

---

[32] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 318.

[33] იქვე, გვ. 318—319.

[34] კ. ბიტელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 260.

[35] გ. ნიორაძე, არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIII—B, 1944, გვ. 190.

[36] Н. В. Хоштария, Об одном бронзовом орудии из колхиды, КСИИМК, вып., XXXVI, 1951.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან". მაგრამ ამ მოსაზრებას, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, საეჭვოსა წდის მისი დიდი რაოდენობით აღმოჩენა[38]. მართებულად მიგვაჩნია ო. ღამბაშიძის მოსაზრება: იგი სთვლის, რომ სეგმენტი თუ მედაბახის დანაა, მაშინ იგი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ხესაქონლე ტომებთან და მათ ყოფას უნდა ახასიათებდეს. ამდენად იგი უნდა შეგვხვედროდა უფრო მეტად მთიანი კოლხეთისა და ყობანის გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურაში[39].

ჩვენი აზრით, სეგმენტური იარაღის სამუშაო ფუნქციაზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი ძირითადი ფორმები. სეგმენტური იარაღების რამდენიმე ვარიანტის არსებობა აუცილებლად უნდა გულისხმობდეს მის დიფერენცირებულ გამოყენებას. ფორმის მხრივ დასავლურ-ქართულ კულტურაში გავრცელებულ სეგმენტურ იარაღებში ძირითადად სამი ტიპი გამოირჩევა (ტაბ. II):

1. სეგმენტები, რომელთაც ტანი ბრტყელი ცულის პირს მიუგავს (ტაბ. II, სურ. 3). 2. სეგმენტები, რომელთაც ტანი ნამგალა მთვარეს მიუგავს (ტაბ. II, სურ. 2) და ბოლოს 3. ჰორიზონტულ მხრებიანი სეგმენტები (ტაბ. II, სურ. 1), რომლის ზოგიერთ ცულს სატარე ღეროზე კოტები აქვს ხოლმე. ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ რომელია ადრეული და რომელი გვიანი. ისინი ხშირად ერთად არიან, ერთ კომპლექსში და გამოყენების იმავე პრინციპს ემორჩილებიან, რასაც თოხები. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მათი გამოყენება მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

სეგმენტების სამუშაო ფუნქციის შესახებ ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებებში ყველაზე რეალურად მიგვაჩნია სეგმენტური იარაღების დიდი ცალების (ჩვენი III ტიპი) გამოყენება ბარად მებაღეობა-მებოსტნეობასა და მევენახეობაში[40]. საკმაოდ რეალურად მიგვაჩნია (III ტიპის მიმართ) აგრეთვე ერთი მეტად საინტერესო მოსაზრება, რომელიც ეთნოგრაფმა გიორგი ჯალაბაძემ გაგვაზიარა კერძო საუბარში. იგი ფიქრობს, რომ სეგმენტური იარაღების ერთი ნაწილი, სახელდობრ, ისინი, რომელთაც მოზრდილი ოვალური სამუშაო პირი ახასიათებს და ხშირად ნაცვლია ცალი მხრიდან, გამოყენებული უნდა ყოფილიყო მარტივი სახვნელი იარაღის კბილზე სახნისის ნაცვლად, ისე, როგორც ამას ადგილი აქვს გვიანდელი ხანის ავღანურ სახვნელებში. აქ ფოთლის მაგვარი რკინის ფურცლებით იცავენ სახვნელის კბილას და ჩვენი სეგმენტური იარაღისებურად ყუნწით არიან დამაგრებული ზემოდან კბილზე. აღნიშნულის გასამაგრებლად ჩვენ შეგეძლია დავუმატოთ შემდეგი: განვითარებული მიწათმოქმედების დროს, რომელსაც საფუძვლად მძლავრი მეტალურგიული წარმოება უდევს, როდესაც გვაქვს სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა იარაღები და, როგორც ვარაუდობენ, ხის სახვნელიც—ჩვენ სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია—ადამიანი უკვე მომზადებული იყო, რომ სახვნელის კბილანა შეიძლებოდა ზემოთ აღნიშნული საშუალებით დაეცვა. ამ პრიმიტიული სახნისის (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ) საშუალებით მას გაცილებით უკეთ შეეძლო მოეპრა მიწის ბელტი.

---

[37] გ. ნიორაძე, ქვიშრის არქეოლოგიური ძეგლები, საქართ. სახ. მუზეუმის მოამბე XV—B, 1948, გვ. 14; Н. В. Трубникова, К вопросу о назначении кобанских „сечек." КСИИМК, вып. XVIII. М.-Л. 1947.

[38] დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

[39] ო. ღამბაშიძე, თხმორის განძი (ხელნაწერი), 1961.

[40] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 188; საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 149.

მართალია, სეგმენტი სპილენძისა იყო, მაგრამ რატომ არ შეიძლებოდა სპილენძის თოხებისა, ხელეჩოებისა და ცულების გვერდით ყოფილიყო სპილენძის პრიმიტიული სახნისიც. პირიქით, ეს ისევე მიზანშეწონილი იქნებოდა მისთვის, როგორც თოხისათვის. ასეთი პრიმიტიული სახვნელი ქვემოდან თითქმის ნალეს პირამდე გამაგრებული იქნებოდა სახვნელის კბილანათი, ზემოდან კი ღერო იქნებოდა გადაჭრილი. სახნისზე დაწოლის სიმძიმეს გაფანტავდა ის ირიბი ნაჭდევები, რომლებიც დამახასიათებელია ბევრი სეგმენტის ზედაპირისათვის. ეს იარაღების გამაგრების ისეთივე პრინციპი უნდა იყოს, როგორც ეჩოსნაირი თოხების რელიეფური ზოლები. ამ მოსაზრების შესაძლებლობაზე მიგვითითებს, აგრეთვე, თანამდროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებული რკინის ზოგიერთი სახნისების მსგავსება სეგმენტური იარაღების მოზრდილ ცალებთან, კერძოდ, კი ლეჩხუმურ სახნისთან. ციხისძირის განაში არის ერთი სეგმენტური იარაღი, რომლის ფრთები ჩაღუნულია შიგნით. ასეთ შემთხვევაში მისი სახნისად ხმარების დროს, ღეროს გარდა იგი დამაგრებული იქნებოდა სახვნელის კბილანზე სეგმენტის ფრთების მოხრილ ნაწილებითაც. მაგრამ ასეთი მოხრილ ფრთებიანი სეგმენტი ჯერჯერობით მხოლოდ ერთია აღმოჩენილი.

აღძრულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ბარისა და სახნისის ურთიერთობა. ეთნოგრაფ ნ. რეხვიაშვილს მითითებული აქვს ერთი ხალხური ლექსი, სადაც ბარი გაიგივებულია სახნისთან. ლექსში, რომელშიაც ჩამოთვლილია სახვნელის ნაწილთა სიჩივარი, ნათქვამია—„ბარმა თქვა: ქვეშ-ქვეშ ტარებით მე მზის შუქი მენატრება“. ნ. რეხვიაშვილი ფიქრობს, რომ აღნიშნული გარემოება სახნისისა და ბარის ფორმათა ნათესაობაზე უნდა მიუთითებდეს[41]. გარდა ამისა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოქვეყნებულია მოსაზრება, რომ სახვნელის პირველი სახეობა ბარის ან ბარის ტიპის იარაღიდან უნდა იყოს განვითარებული[42].

მეორე ტიპი ე. ი. სეგმენტები, რომელთა პირი ნამგალა მთვარეს მოგვაგონებს, შეიძლება, მართლაც, ტყავის დასამუშავებელი თუ საჭრელი იარაღი იყო, მხოლოდ არა ყველა სეგმენტი, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს.

რაც შეეხება პირველ ტიპს, იგი, ჩვენი აზრით, ხვეწი უნდა იყოს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტყის გაკაფვის სისტემასთან იყო დაკავშირებული.

„მოდგმილი ყანის მოსაწევად“, როგორც ჩანს, უძველესი დროიდან სხვადასხვა საშუალებები არსებობდა. მათ შორის უმარტივესი და, ჩანს, პირველადი იყო თავთავების ხელით გლეჯა[43]. შემდეგ თანდათან გაჩნდა ნამგლის მარტივი სახე, რომელიც წარმოადგენდა ხის მოღუნულ ბუდეში ან ცოველის ყბაში ჩაწყობილ კაჟის დაკბილულ ჩასართებს. ასეთი ჩასართები საქართველოში უკვე ნეოლითიდანაა ცნობილი და როგორც სამკაული იარაღი გვიან ბრინჯაოს ხანაშიც კი ინარჩუნებს თავის სახეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს უკვე შემოსულია ლითონის ნამგლები. მაგალითად, თრიალეთში ერთ-ერთ სამარხში კაჟის ნამგალთან ერთად აღმოჩნდა ლითონის ნამგალიც[44]. ან კიდევ: ნაცარგორას მეორე ფენაში, რომელიც ძვ. წ. II ათასეულის მიწურულითა და I ათასეულის პირველი ნახევრით თარიღდება, აღმოჩნდა კაჟის ნამგლის ჩასართები[45]. საქარ-

[41] ნ. რეხვიაშვილი, მუედლობა რაჭაში, 1953, გვ.

[42] გ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

[43] იქვე, გვ. 108.

[44] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, 1941, стр. 69.

[45] გ. გობეჯიშვილი, ცხენვალის ნაცარგორა. მიმომხილველი, ტ. II, 1951, გვ. 266.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოში ლითონის ნამგლის ასე გვიან შემოსვლის მიზეზად სთვლიან იმ გარემოებას, რომ ჩვენში არსებული ხორბლეულის ენდემური ჯიშები თავთავების მტვრევადობის გამო ლითონის ნამგლით არ მოიმკებოდა. ამისათვის ქართველ ტომებს ჰქონდათ ძალზედ მარტივი და ამავე დროს უაღრესად პრაქტიკული იარაღი „შნაკვი". ცნობილია,რომ ასეთივე იარაღი ჰქონიათ ასტურიაშიც აღმოსავლობრივი პურეულის „სპელტას" მოსამკელად[46].

ჩვენი ენდემური ჯიშები მახა და ზანდური, რომელიც თანამედროვე ყოფამდე შემორჩა რაჭა-ლეჩხუმში, ბოლო დრომდე იმკებოდა შნაკვით. ბ. ა. კუფტინი და ო. ჯაფარიძე ლითონის ნამგლის შემოსვლას ახალი ჯიშების გაჩენას უკავშირებენ, მხოლოდ შემდეგი განსხვავებით: ბ. ა. კუფტინი თვლის, რომ ახალი ჯიშები ლითონის ნამგალთან ერთად ხმელთაშუაზღვიდან უნდა მოსულიყო, ხოლო ო. ჯაფარიძის აზრით კი—აღმოსავლეთიდან[47]. ლითონის ნამგალი რომ ახალი ჯიშების გაჩენას დაუკავშიროთ, ეს რეალურია, მაგრამ რატომ არის აუცილებელი, რომ ეს ამბავი გარედან შემოტანილად მივიჩნიოთ, ეს გაუგებარია. განა ამირკავკასიაში არსებული ენდემური ჯიშებისა და გარკვეული ბუნებრივი გარემოს წყალობით, ბუნებრივი ან თუნდაც ხელოვნური შერჩევის გზით არ შეიძლებოდა, რომ ადგილობრივ წარმოშობილიყო ახალი ჯიშები? ამირკავკასიაში გავრცელებული ლითონის ნამგალი უკუნდწოა და ტანის ერთ მხარეს დატანებულ. აქვს ერთი ან ორი სამანჭველე, რომლითაც მას ხის ტარი უკავშირდებოდა. ზოგი ნამგლის რკალი შედარებით გაშლილია, ზოგისა კი—პირიქით.

ლეჩხუმურ გვიან ბრინჯაოს ხანის მასალებში, კერძოდ კი ცაგერის განძში ორი ნამგალია, რომელთაც თითო სამანჭველე აქვთ და ორივეს წვერი აქვს მოტეხილი. ერთი, შედარებით, ტანვიწროა და გაშლილი, ხოლო მეორე ტანფართოა და სატარე ნაწილი მოკუთხული აქვს (ტაბ. III. სურ. 2). პარალელი მხოლოდ ტანვიწრო და გაშლილ ნამგალს მოეპოვება ბაკურცხის ნამგლების სახით; საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნამგლები სხვა სამეურნეო იარაღთან შედარებით ყველაზე ნაკლებია აღმოჩენილი. დასავლურ ქართულ კულტურაში ცნობილი ნამგლები მომდინარეობს შემდეგი ადგილებიდან — ციხისძირიდან სამი ნამგლის ფრაგმენტი, ზენთიდან ორი ნატეხი, მახარიადან ერთი ცალი, სოფელ ოფშკვითიდან ოთხი ნამგლის ფრაგმენტია, ქვიშარიდან ერთი, და ერთი ნამგლის ნატეხიც სოფელ ღებიდან[48].

აღმოსავლურ-ქართულ კულტურაში ჩურის ხევიდან ცნობილია ერთი ნაკლული ნამგალი, სოფელ წოსიდან ორი ნამგალი; ბეშთაშენის სამაროვნიდანაც ორი ნამგალია ცნობილი. აღნიშნული ნამგლები არ იმეორებენ ერთმანეთს, მაგრამ გარკვეულ მსგავსებას იჩენენ ერთმანეთისადმი. ასევე გარკვეულ მსგავსებას იჩენენ აღნიშნული ნამგლები ნორ-ბაიაზეთის, ტაკიის, ანისა და ხაშტარაკის ნამგლებთან[49]. მაგრამ ამათთან შედარებით ჩვენი ნამგლები უფრო გაშლილია. აღსანიშნავია ისიც, რომ ცალმანჭველიანი ნამგლები მხოლოდ საქართველოშია


---

[46] ლ. ლ. დეკაპრელევიჩი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.


[47] Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе, საქ. მუზ. მოამბე, XII-B, стр. 325; ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 205.

[48] აღნიშნული ცნობა მოგვაწოდა დოც. გ. გობეჯიშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.


[49] Т. Хачатурян. Орудия труда эпохи поздней бронзы и раннего железа Армении. Труды ГИМ Армении, т. V, Ер., 1959, стр. 209—218.



1




2




3



4


2
3
1

ტაბ. III
ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 1



სურ. 2

ქ. ბათუმის სახ. სამხატვრო
სასწავლებლის
ბიბლიოთეკა

ჯერჯერობით აღმოჩენილი. ამრიგად, როგორც მასალებიდან ჩანს, ამიერკავკასიაში ძირითადად უყუნწო ნამგალი იყო გავრცელებული, მაშინ, როცა ჩრდილო-კავკასიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ყუნწიანი ნამგალი ჩანს გაბატონებული[50].

არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნამგლების ნაწილი შესაძლოა სასხლავადაც იყო გამოყენებული. მართლაც, ბაკურციხისა და ლეჩხუმის (ერთი) ნამგლები, რომლებიც შედარებით გაშლილი არიან, თავისი, როგორც იარაღის, გამართვით უახლოვდებიან სასხლავის ტიპს.

ასეთია დაახლოებით ის სამეურნეო სამწყთმოქმედო იარაღები და მათი ფუნქციები, რომლებიც შედიან ლეჩხუმის გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებში. აღნიშნული იარაღების ხასიათი და მათი დანახვა დასავლურ-ქართულ სამეურნეო იარაღების ფონზე, უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ აღნიშნულ ხანაში ლეჩხუმის მცხოვრებთათვის მიწათმოქმედება ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო. ამის საფუძველს ქმნიდა, უპირველეს ყოვლისა, შესანიშნავი ბუნებრივი პირობები,—„თუმცა არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი...“ და, მეორე მხრივ, მძლავრი მეტალურგიული წარმოება.

უდავოა, რომ ლეჩხუმმა თავისი შესანიშნავი ენდემური ჯიშებითა და სამეურნეო იარაღებით, რომლებიც რიგ შემთხვევაში საკმაოდ ორიგინალურ სახეს ატარებენ, გარკვეული წვლილი შეიტანა საქართველოს მიწათმოქმედების განვითარების საქმეში.

---

[50] А. А. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 137, სურ. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან

(ქართულ-ოსური წიგნი 1823 წლისა)

ა. შანიძე

ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის შესახებ საკმაოდ აქვს ნათქვამი ოსურის სპეციალისტს პროფ. გ. ახვლედიანს. ამ ურთიერთობის საფუძვლის ჩამყრელია ოსი იოანე იალღუზიძე. ბევრი იმოღვაწეა ამ სარბიელზე ქართველმა დანიელ ჭონქაძემ[1].

აქ გვინდა შევჩერდეთ ი. იალღუზიძის კულტურული საქმიანობის ერთ მომენტზე.

იოანე იალღუზიძე ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია, პირველ ყოვლისა, როგორც გადამწერი ქართული ხელნაწერებისა, როგორც ამას ანდერძები მისი გადაწერილი წიგნების ბოლოს. ამ ანდერძებიდან ვტყობილობთ, რომ მას გადაუწერია:

1) 1794 წ. „კატეგორიაჲ სიმეტნეჲ“, რომელიც დაცულია საქართველოს ცენტრარქივში (კოლექცია 1446, № 205);

2) 1796 წ. ბაუმეისტერის მეტაფიზიკა, დაცული ხელნაწერთა ინსტიტუტში (Q—97);

3) 1807 წ. ს.-ს. ორბელიანის ქართული ლექსიკონი, დაცული იქვე (H—202);

4) 1814 წ. დავით ბაგრატიონის „ნარკვევი“, დაცული იქვე (H—1130);

5) 1823 წ. თეიმურაზ II-ის „სარკე თქმელთა“, დაცული იქვე (H—2137);

6) 1827 წ. კრებული, რომელშიც მოიპოვება ბასილი კესარია-კაბადუკიელის „ექუსთა დღეთა“ და გრიგოლ ნოსელის „დაბადებისათჳს კაცისა“ (H—204);

7) 1828 წ. მეორე ცალი თეიმურაზ II-ის „სარკე თქმულთა“-სი (H—207)[2].

ამას გარდა, არის ცნობები, რომ მას გადაუწერია „ვეფხისტყაოსანი“ (დაცული პარიზის ნაც. ბიბლიოთეკაში), „დავრიშიანი“, „მირიანი“ და სხვა[3].

---

[1] გ. ახვლედიანი, К истории осетинского языка. II., Иван Ялгузидзе и его переводы с грузинского на осетинский III. (Г. Ахведиани. Сборник избранных работ по осетинскому языку). Тб., 1960, стр. 80). III. Место Даниила Чонкадзе в истории изучения осетинского языка (იქვე, 146).

[2] ცნობები ამათ შესახებ მოიპოვება დასახელებული კოლექციების აღწერილობის სათანადო ტომებში.

[3] Д. Гугкаев, Произведения Ивана Ялгузидзе (Известия Юго-осетинского научно-исследовательского института, т. VIII, 1957), სადაც იგი იმოწმებს გ. ახვლედიანის ნაშრომებს.

მაგრამ ეს ცოტაა. ი. იალღუზიძეს ეკუთვნის ორი ქართული ლექსი, რომლებიც დაბეჭდა ტ. რუხაძემ[4] და რუსულად თარგმნა ვ. დონდუამ[5].

უფრო საყურადღებოა მაინც ის გარემოება, რომ ი. იალღუზიძეს ქართულად დაუწერია პოემა „ალღუზიანი“, რომელიც რუსთველისებრი 16-მარცვლიანი მაირით არის გამართული და მოგვითხრობს ლეგენდარულ ამბებს ოსეთის წარსულიდან. რომ იგი ი. იალღუზიძეს ეკუთვნის, ეს დაამტკიცა კ. კეკელიძემ[6]. ეს პოემა, რომელიც ქართულად რამდენჯერმეა გამოცემული, მოსე ჯანაშვილმა 1897 წ. თარგმნა რუსულად, ხოლო ნ. ხანიკაევმა 1945 წ. ოსურად. ამ ხნიდან მოყოლებული ამ პოემის შესწავლა გათვალისწინებულია პროგრამით ოსურ საშუალო სკოლებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში[7].

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ი. იალღუზიძის მოღვაწეობა ოსური მწერლობის შექმნის საქმეში. მოიპოვება 1802 წლის დოკუმენტი. შედგენილი სამ ენაზე: რუსულად, ქართულად და ოსურად. იგი შეიცავს სასამართლოს დაწესების ამბავს ს. ვანათში არაგვისა და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრებ ოსთათვის. ეს დოკუმენტი პირველად გამოაქვეყნა (თბილ. უნივ. მოამბე, VI, 1926) გ. ახვლედიანმა, რომელმაც გამოიკვლია იგი, დაურთო მნიშვნელოვანი შენიშვნები და დაასაბუთა, რომ ოსური ტექსტი ამ დოკუმენტისა იოანე იალღუზიძეს ეკუთვნის[8]. ამ დოკუმენტში ოსური სიტყვები დაწერილია ქართული ასოებით. ქართულივე ასოები იხმარა იმავე ი. იალღუზიძემ მის მიერ ოსურად ნათარგმნ საეკლესიო წიგნებში, რომლებიც დაიბეჭდა 1820—24 წლებში; ესენია:

1. ლოცვანი (საისკრონი და სამწუხრონი, კატეხიზმოსი და მოკლე ქრისტიანებრი ზნეობითი სწავლა), დაბეჭდილი თბილისში 1820 წ. (ეს არის ქართულ-ოსური წიგნი, სადაც ქართულ-ოსური ტექსტი პარალელურად არის დაბეჭდილი: ქართული მარცხნივ და ოსური მარჯვნივ);

2. გამოკრებილი კურთხევანი, დაბეჭდილი მოსკოვს 1824 წ. (აქაც ქართული ტექსტი მარცხნივ არის წარმოდგენილი, ოსური მარჯვნივ). ამ მეორე წიგნში ოსურისთვის უფრო მსხვილი შრიფტია ნახმარი, ვიდრე ქართულისთვის (ალბათ იმის გამო, რომ ოსურისათვის საჭირო დამატებითი ნიშნები მხოლოდ მსხვილი შრიფტისთვის მოიპოვებოდა). ეს ქართულ-ოსური წიგნები მე თვითონ მინახავს. ლიტერატურაში აღნიშნულია კიდევ ორი სხვა დაბეჭდილი წიგნი, რომლებიც იალღუზიძეს შეუქმნია: ანბანი და ლიტურღია, ესენიც ქართულ-ოსური ყოფილა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართულ-ოსური საეკლესიო წიგნები ძველი ქართული ასოებით (ხუცურით) არის დაბეჭდილი (თბილისშიც და მოსკოვშიც), მაშინ, როდესაც სასამართლოს დაწესების დოკუმენტში 1802 წ. ოსურ ნაწილში ქართული მხედრული ასოებია გამოყენებული.

დაბეჭდილ ქართულ-ოსურ წიგნებს გარდა, ცნობილი იყო ხელნაწერად ი. იალღუზიძის მიერ ქართულიდან ოსურად ნათარგმნი ოთხთავი, რომლის ერთი ცალი, უძველესი, საქართველოს ცენტრარქივშია დაცული (ფონდი 1446, № 651), ხოლო მეორე—ყოფილ სააზიო მუზეუმში, რომელიც შემდეგ აღმოსა-

[3] ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში. 1939.

[5] რუსული თარგმანი გამოაქვეყნა დ. გუგკაევმა (ზემორე დასახელებულ წერილში).

[6] კ. კეკელიძე, ალღუზიანი („ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II, 1924, გვ. 197 — 205).

[7] Д. А. Гуткаев. Произведения Ивана Ялгузидзе, 249.

[8] ეს წერილი რუსულადაც გამოაქვეყნა ავტორმა თავის რჩეულში ოსური ენის შესახებ. (Осетинская рукопись А 1802 года).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლეთმცოდნეობის ინსტიტუტად გადაკეთდა, ამჟამად კი აზიის ერთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებად ითვლება. ორივე მხედრულად არის ნაწერი. ოღონდ სათაურებში და საკუთარ სახელთა დასაწყისში. აგრეთვე მუხლების დასაწყისში ხახმარია ძველი ქართული ასოები (მრგლოვანი), როგორც ეს მიღებული იყო წესად იმდროინდელ ქართულ წიგნებშიც.

ოთხთავი 1822 წელს არის ნათარგმნი, როგორც აღნიშნულია ცენტრარქივის ცალში. ამას გარდა, მოიპოვება ცნობები მის შესახებ ერთს მოსკოვს 1826 წ. ანონიმურად გამოცემულ წიგნში, რომლის სათაურია: История грузинской иерархии с присовокуплением обращения в христианство Осетии и других горских народов[9]. აქ, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ რუსეთის ბიბლიურმა საზოგადოებამ სიამოვნებით მიიღო იოანე იალღუზიძის წინადადება, ეთარგმნა მას ქართულიდან ოსურად ოთხთავი. ამის შესახებ რუსეთიდან მოსწერეს საქართველოს ექსარხოსს თეოფილაქტე მიტროპოლიტს. თეოფილაქტე რომ გარდაიცვალა, ამ საქმისათვის ხელი მოუკიდნია მის მომდევნო ექსარხოსს იონა არქიეპისკოპოსს, რომელსაც იალღუზიძის ნათარგმნი წიგნი მისი ავ-კარგიანობის შესამოწმებლად გადაუცია ოსეთის მემამულე შალვა ერისთავისთვის. შ. ერისთავს ეს უნდა გამოერკვია და გამოერკვევია კიდეც წიგნის ხალხში წაკითხვის საშუალებით. „Князь Шалва Еристов известил, что выражения перевода сего как ему, так и осетинам показались довольно внятными". იონა ექსარხოსს მაინც საჭიროდ მიუჩნევია, რომ კიდევ შეემოწმებინათ ახლად ნათარგმნი ოსური სახარება სლაურ-რუსული სახარების ტექსტისა, ლათინური ბიბლიისა და საეკლესიო ლექსიკონის მიხედვით. ამ საქმისათვის მიუწვევიათ რუსულისა და ქართულის კარგი მცოდნე ნიკო ჩუბინაშვილი. შემოწმების შემდეგ წიგნი გაუგზავნიათ რუსეთის ბიბლიური საზოგადოების პეტერბურგის კომიტეტში, რომელსაც სინოდისაგან გამოუთხოვია ნებართვა წიგნის დაბეჭდვის შესახებ და დაუდგენია, რომ იგი დაიბეჭდოს მოსკოვში 2.000 ცალად.[10]

რატომ მოსკოვში და არა პეტერბურგში? ალბათ, იმიტომ, რომ წიგნი უნდა დაბეჭდილიყო ძველი ქართული შრიფტით, ასეთი შრიფტი კი იმ ხანებში მხოლოდ მოსკოვში მოიპოვებოდა, სინოდის სტამბაში. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ დასაბეჭდი ცალი სინოდის სტამბის ბიბლიოთეკის ფონდში აღმოჩნდა.

1963 წ. სექტემბერში მოსკოვში ვიყავი, რომ მომეგვარებინა ახლად შექმნილი ქართული შრიფტის (უნივერსიტეტის გარნიტურის) ზოგიერთი ტექნიკური მხარე. (ასოების განაწილება საბეჭდი მანქანის კლავიატურაზე და სხვა). ვისარგებლე ამ შემთხვევით და ვიკითხე სინოდის სტამბის ბიბლიოთეკა, სადაც მეგულებოდა ძველად ნაბეჭდი ქართული წიგნები. საისტორიო მუზეუმში მითხრეს, რომ სინოდის სტამბის ბიბლიოთეკა კაი ხანია გადასცეს ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივსო. წავედი ამ არქივში და მოვითხოვე სინოდის სტამბის ბიბლიოთეკის კატალოგი. კატალოგის გადათვალიერებისას ჩემი ყურადღება მიიპყრო № 381 ფონდის 1292 ნორმით აღნიშნულმა ქართულ-ოსურმა წიგნმა.

---

[9] თუ სწორია ფანქრით მიწერილი შენიშვნა ერთი მკითხველისა (კ. კეკელიძისა?) თბ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კუთვნილ ამ წიგნის ერთ ცალზე (№ 2—31103, გვ. 35), მისი ავტორია ობოლისის სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ევგენი („родом из великороссиян, Калужской губернии").

[10] История, . . , გვ. 92.

მოვითხოვე ეს წიგნი და მომიტანეს ხელნაწერი ქართულ-ოსური სახარება, რომელიც უეჭველია იალღუზიძისეულია და რომლის სათაურიდან ჩანს, რომ განზრახული ყოფილა დაებეჭდათ იგი 1823 წელს, რუსეთის ბიბლიის საზოგადოების ხარჯით. სახარება უნდა დაბეჭდილიყო ორ სვეტად. პირველ სვეტში ქართულად, მეორეში ოსურად ქართული ასოებით, როგორც ეს იალღუზიძის სხვა ნაბეჭდ წიგნებში არის.

ოსური ტექსტი ქართული მხედრული ასოებით არის ნაწერი, მაგრამ სათაურები, საკუთარი სახელების დასაწყისი ასოები და მუხლების პირველი სიტყვის პირველი ასო მთავრულებით არის მოყვანილი, მთავრულებად კი ძველი ქართული წერის მრგლოვანი სახის ასოებია ნახმარი, როგორც ეს წესად იყო მიღებული იმდროინდელ ქართულ წიგნებშიც, როგორი ასოებითაც უნდა ყოფილიყო იგი დაწერილი თუ დაბეჭდილი: ახლით (მხედრულით), თუ ძველით (ხუცურით).

იმ დროინდელსავე ქართულ წიგნებში იხმარებოდა, გარკვეული შემთხვევისათვის, ასო ჲ, რომელიც ჩვეულებრივია ოსურში და გამოყენებულია სახარების ტექსტში. ამას გარდა, ოსურისათვის ხუთი დამატებითი ასოა ნახმარი: ერთია ლათინური ზ-ს მსგავსი ნიშანი (z), რომელიც გადმოგვცემს დავიწროებულ ა-ს, ე-საკენ გადახრილს; მეორეა ჲ-ს შესატყვისი, გერმანულიდან გადმოღებული ნიშანი j, ხოლო სამია უკანა ენისმიერ კ გ ჭ ბგერათა პალატალიზებული ვარიანტების გადმომცემი ნიშნები.

ვამბობთ ქართულ-ოსური წიგნიო, მაგრამ ქართულ ნაწილში (პირველ სვეტში) მარტო თავები და საკითხავთა დასაწყისებია აღნიშნული, სხვა კი ცარიელია. როგორც ჩანს, ქართული ტექსტის დაწერა არ მიუჩნევიათ საჭიროდ, რადგანაც ამ დროს მოიპოვებოდა დაბეჭდილი ქართული სახარებანი (როგორც მხედრული ასოებით, ისე ხუცურით) და ასაწყობად ნავარაუდევი ყოფილა ნაბეჭდი წიგნის მიცემა. მაშასადამე, ქართული ტექსტი აიწყობოდა ნაბეჭდი წიგნიდან, ოსური კი—ხელნაწერიდან. რომ ქართული და ოსური შესატყვისი ტექსტები ერთი მეორის გასწვრივ მოხვედრილიყო, მუხლების სათვალავი ქართულ ნაწილშიც დაუსვამთ თავიდან ბოლომდის. ოთხთავის ტექსტი ასეა წარმოდგენილი ხელნაწერში: მათე 1—161 გვ., მარკოზ 162—259 გვ., ლუკა 262—436, იოანე 437—562 გვ.

წიგნის სათაური ქართულადაც არის და ოსურადაც. ქართულად იკითხება: „სადიდებლად... დაიბეჭდა წიგნი ესე სამრთო სახარება ქართულსა და ოსურსა ენასა ზედა სამეუფოსა ქალაქსა სანკტ-პეტერბურღს პირველის სტანბის ბეჭდითა, ხოლო წარსაგებელითა რუსეთის ბიბლიის საზოგადოებისათა, წელთა დასაბამითგან სოფლისა 7331, ხოლო განხორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა 1823, ინდიკტიონსა 11“. მოყვანილი დასაბამითგანი წელთაღრიცხვაც იმავე 1823-ს გვაძლევს (7331—5508=1823).

სათაურიდან ჩანს, რომ წიგნი უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ასეთი ორ-ენოვანი წიგნი არ დაბეჭდილა. მისი არსებობა არც ქართული ბიბლიოგრაფიიდან არის ცნობილი, არც ოსურიდან.

ახლად მიგნებული ცალი ოსური სახარებისა, მართალია, მხედრულად არის ნაწერი, როგორც წინათ ცნობილი ორი ცალი, მაგრამ უეჭველია, იგი უნდა დაბეჭდილიყო, როგორც აღვნიშნეთ, ძველი ქართული ასოებით, როგორც ეს მიღებული იყო საეკლესიო წიგნებისათვის. ამას გარდა, ერთი რამ განასხვავებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ცალს სხვებისაგან: იგია ეკლესიაში წასაკითხად სახმარი სახარება („საღვთო სახარება"), რომელშიც აღნიშნულია საკითხავების დასაწყისები.

როგორც თავფურცლის ცნობა აჩენს, განზრახული ყოფილა, რომ წიგნი დაბეჭდილიყო 1823 წელს პეტერბურგში, სადაც ხუთი წლით ადრე, 1818 წ., პეტერბურგის ბიბლიის საზოგადოებამ დაბეჭდა მთელი ახალი აღთქმა მხედრული ასოებით; მაგრამ იგივე ქართული ახალი აღთქმა 1816 წ. მოსკოვს დაიბეჭდა ძველი ასოებით ხუცურად), ხოლო 1824 წ. მოსკოვს დაიბეჭდა ქართულ-ოსური გამოკრებილი კურთხევანი. რადგანაც, ალბათ, ხუცური შრიფტი პეტერბურგში არ მოიპოვებოდა, ამიტომ ორ-ენოვანი სახარება პეტერბურგიდან მოსკოვს გადმოუგზავნიათ სინოდის სტამბაში დასაბეჭდად. მოსკოვში იყო ტექნიკური საშუალება ქართულ-ოსური სახარების გამოსაცემად, მაგრამ წიგნი არ დაბეჭდილა. რამ შეუშალა ხელი? არ ვიცით. აღსანიშნავია მაინც ის გარემოება, რომ მოსკოვს, სინოდის სტამბაში, 1823 წ. დაიბეჭდა მარტო ქართული ტექსტი საღვთო სახარებისა. ამჟამად ძნელია იმის თქმა, თუ რა კავშირი აქვს ამ ფაქტს ქართულ-ოსური სახარების დაუბეჭდველობასთან. რატომ დაიბეჭდა ქართული ტექსტი ცალკე, ოსური კი არც ცალკე და არც ქართულთან ერთად? საყურადღებოა, რომ იალღუზიძის ოსურ თარგმანში წიგნის სახელად დატოვებულია ქართული სიტყვა „სახარება", რუსულიდან რომ თარგმნეს, იმაში კი „ევანგელიე" იგითხება.

საჭიროა დაწვრილებით შესწავლილ იქნეს იალღუზიძისეული სახარების ენა, რომელიც ასახავს ჯავის ხეობის ოსთა მეტყველებას, როგორიც ის იყო 140—170 წლის წინათ. მესამე ცალის ჩვენებათა მოხმობით უფრო ადვილი იქნება ზოგიერთი საკითხის გამორკვევა, რომელიც ამ ძეგლის შესწავლასთანაა დაკავშირებული.

აქვე თანდართული ფოტოსურათები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ხელნაწერის ვითარების შესახებ.

СТРАНИЦА ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-ОСЕТИНСКИХ КУЛЬТУРНЫХ ОТНОШЕНИЙ

(Грузинско-осетинская книга 1823 года)

А. ШАНИДЗЕ

Резюме

В статье прослеживается литературная и переводческая деятельность осетина Иоанна Ялгузидзе, подвизавшегося на литературном поприще в конце XVIII и в первой четверти XIX века.

И. Ялгузидзе известен, прежде всего, как переписчик ряда грузинских рукописей, но он еще более известен как автор исторической поэмы «Алгузиани», составленной на грузинском языке, а также как переводчик богослужебных книг с грузинского языка на осетинский. Перу И. Ялгузидзе принадлежит осетинский текст «Учреждения суда для осетинцев, расположенных в уезде Арагвы и у реки Малой Лиахвы» (1802 г.). Переведенные И. Ялгузидзе богослужебные книги напечатаны параллельно на грузинском и осетинском языках: Молитвенник и Катехизис (Т., 1820), Требник (Москва, 1824). Между прочим, И. Ялгузидзе

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. შანიძე, ქართულ-ოსური წიგნი 1823 წლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

перевел в 1822 г. с грузинского языка на осетинский Четвероевангелие. До сих пор известны были два списка этого перевода, из которых один находится в Тбилиси, в Центрархиве Грузии (фонд 1446, № 651), а другой — в Ленинграде, в бывшем Азиатном музее, ныне библиотеке Института Народов Азии. Автору этой статьи удалось обнаружить в Москве, в Центральном государственном архиве древних актов, в коллекции библиотеки Синодальной типографии (фонд 381, № 1292), третий экземпляр этого перевода, предназначенный для издания в 1823 году вместе с параллельным грузинским текстом. Издание двуязычной книги не было осуществлено по неизвестным нам причинам.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერგაჯივისა და ადგილობით IV ბრუნვის ურთიერთობისათვის ლეზგიურ ენაში

გ. თოფურია

(წარმოადგინა აკად. ა. ჩიქობავამ)

ლეზგიურ ენაში ადგილობით ბრუნვათა სისტემაში ყურადღებას იქცევს ერთ-ერთი ბრუნვა, სახელდობრ, ადგილობით IV, რომლის მნიშვნელობა ქართულად „ში“, „შიგნით“ თანდებულით გადმოიცემა.

პ. უსლართან ეს ბრუნვა IV ადგილზეა ადგილობით ბრუნვათა პირველ ჯგუფში (падежи «покоя или сближения»)[1], ასევე უ. ჰეილანოვა მას ადგილობით IV-ს უწოდებს[2], რ. ჰაიდაროვი—ადგილობით I-ს[3], ხოლო ლ. ჟირკოვი ეს ძირითად ბრუნვათა გვერდით აყენებს[4]. ასეთი ნაირგვარობა გამოწვეულია იმით, რომ სხვადასხვა ავტორი ლეზგიური ენის ადგილობით ბრუნვებს (ლოკატივებს) სხვადასხვაგვარად აჯგუფებს, სხვადასხვა სერიულ დაყოფას იძლევა[5].

ყველა ადგილობითი ბრუნვა (სულ 14) ემყარება უშუალოდ ერგატივის ფორმას. სტატიკური თვალსაზრისით გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ადგილობითი IV (რომელიც თავის მხრივ საყრდენია ადგილობით V-სათვის) და წარმოების მხრივ გარკვეულ თავისებურებებს ამჟღავნებს.

ადგილობით IV ბრუნვა ორგვარად იწარმოება: ერთ ჯგუფში ერთიანდება ის სახელები, რომელთაც ერგატივისა და ლოკატივის[6] ფორმები განსხვავებული აქვთ (I ტიპი), ხოლო მეორე ჯგუფში შედის ის სახელები, რომელნიც ერგატივისა და ლოკატივისათვის იყენებენ საერთო ფორმას შემდეგი სუფიქსებით: **-რა, -რე, -ა, -ე, -და**[7] (II ტიპი)[8].

ლ. ჟირკოვს მოცემული აქვს I ტიპის სახელებისათვის ერგატივისა და ლოკატივის დაბოლოებათა შედარებითი ცხრილი:

---

[1] П. Услар, Этнография Кавказа, Языкознание, VI, Кюринский язык, Тифлис, 1896, გვ. 37.

[2] У. А. Мейланова, Морфологическая и синтаксическая характеристика падежей лезгинского языка, Махачкала, 1960, გვ. 16.

[3] Р. Гайдаров, Ахтынский диалект лезгинского языка, Махачкала, 1961, გვ. 64.

[4] Л. Жирков, Грамматика лезгинского языка, Махачкала, 1941, გვ. 39, 43.

[5] ადგილობით ბრუნვათა კლასიფიკაციის საკითხებზე ამჟამად არ ვჩერდებით, ამაზე სხვაგან.

[6] ამ წერილში ლოკატივს პირობით ვხმარობთ ადგილობით IV-ის სინონიმად, ეწერის სიმარტივისათვის.

[7] -და სუფიქსი ახასიათებს ნაცვალსახელებს, ზედსართავებსა და რიცხვით სახელებს.

[8] ტიპობრივი დაყოფა ეკუთვნის ლ. ჟირკოვს, დასახ. შრ., გვ. 32.

ერგატ. (=Act.)	ადგილ. IV (=Loc.)
-ди	-да
[-эди]	[-эда]
[-ади][9]	[-ада]
-ини	-ина
-уни	-уна
-ӱни	-ӱна
-и	-э
-у	-а
-ӱ	-э
-цци	-ццэ
-ӷи	-ӷэ
-(д)зи	-(д)зэ
-ххи	-ххэ
-ҕи	-ҕэ
-(д)ӷи	-(д)ӷэ[10]

ე. ი. ბოლოკიდური ვიწრო ხმოვნები (**и, у, ӱ**), როგორც შენიშნავს ავტორი, იცვლება ღია (**а, э**) ხმოვნებით, ანუ იმავე ხმოვნებით, რასაც ვხედებით II ტიპის სახელებში[11].

მოვიტანთ რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითს:

I ტიპის სახელები:

სახ.	гада „ბიჭი“	ққуьл „ცოცხი“	ххар „ქალალდი“	кӷал „სახლი“	тӀар „ხე“
ერგ.	гада-ди	ққуьл-уни	ххар-ххи	кӷал-и	тӀар-цци
ადგ. IV	гада-да	ққуьл-уна	ххар-ххэ	кӷал-э	тӀар-ццэ

II ტიპის სახელები:

სახ.	сӀуь „დათვი“	аҕ „ხარი“	муь „ქერი“	ъуь „მე“	зи „ჩემი“
ერგ.	сӀуь-ре	аҕ-ра	муь-а	ъ-а	зи-да
ადგ. IV	сӀуь-ре	аҕ-ра	муь-а	ъ-а	зи-да

ასეთია ლოკატივის წარმოების საერთო სურათი. გასარკვევია რამდენიმე საკითხი:

1. რითაა გამოწვეული ერგატივისა და ლოკატივის ფორმათა თანხვედრა (პირველადია თუ მეორეული ეს ენობრივი ფაქტი) (II ტიპის სახელები).

2. რა პირობებს იმ თავისებურებებს, რომელიც ადგილობით IV-ის წარმოების დროს იჩენს თავს (სხვა ადგილობით ბრუნვებთან წარმოების პრინციპი ნათელია: ერგატივის ფორმა+ამა თუ იმ ადგილობით ბრუნვის ფორმანტი). ეს ეხება I ტიპის სახელებს.

---

[9] კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულია ცხრილში გამოტოვებული სუფიქსები, თუმცა ისინი ტექსტში ნაჩვენებია.

[10] Л. Жирков, დასახ. შრ., გვ. 33; ერგატივისა და ადგილ. IV-ის დაბოლოებათა შესახებ იხ. აგრეთვე: П. Услар, დასახ. შრ., გვ. 40, § 44; У. Мейланова, დასახ. შრ., გვ. 8—9, 11; Р. Гайдаров, დასახ. შრ., გვ. 60.

[11] Л. Жирков, დასახ. შრ., გვ. 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ორ კითხვაზე პასუხი გულისხმობს მესამე საკითხის გარკვევასაც: რა ურთიერთობაა ისტორიულად სავარაუდო I და II ტიპის სახელებს შორის.

ზემოაღნიშნული ფაქტები, სახელდობრ, ის, რომ სახელთა გარკვეულ ჯგუფთან ერგატივისა და ლოკატივის ფორმები სრულ იდენტურობას იჩენს, საშუალებას აძლევს ლ. ჟირკოვს წამოაყენოს ვარაუდი, რომ ერგატივი (მისი გაგებით — აქტივი) ისტორიულად მომდინარეობს ლოკატივისაგან. მისი აზრით, ლეზგიური ენა II ტიპის სახელებთან აღნიშნავს რომელიმე პროცესის მოქმედ პირს (აგენტს), გამოხატულს ლოკატივის ფორმით ზმნის მნიშვნელობაში (...обозначает действующее лицо как существо (агента) какого-либо процесса, выраженного в значении глагола формой Loc.), ან უშუალოდ ლოკატივისაგან ნაწარმოები ფორმით, სხვანაირად, ლეზგიურ წინადადებაში სახელისა და ზმნის ურთიერთობა (რუსულ და ინდოევროპულ ენათა ქვემდებარისა და შემასმენლის შესაბამისად) განისაზღვრება როგორც პროცესის დასწრებითობა (присутствие процесса), გამოხატული ზმნის მნიშვნელობით, მოქმედში (აგენტში), მის შიგნით; ხოლო სახელი, რომელიც შეესაბამება ზმნის დამატებას, რჩება შეპირისპირებული ამ პროცესთან სახელობითის ფორმაში. ამ ახსნის მიხედვით შემდეგნაირად უნდა გავიგოთ ფრაზა:

Сирер ханавурдин аялар тӀуна — Белгам шеҗама багьлин бавшвеби (Сидуяа-сидуяди: в лисе волка дети съедание).

პროცესი აქ გამოხატულია ზმნის ნამყო I-ის ფორმით **ტӀუნა** (< ტӀუნ). მასთანაა შეპირისპირებული სახელი აბალარ = ბავშვები (<абал) — როგორც მინიშნება იმ საგნისა, რომელსაც შეეხო შეჯმის პროცესი. მოქმედი (აგენტი), ამ პროცესისა ფრაზაში შეყვანილია Act.-Loc.-ის ფორმით: Сирер (II ტიპის სახელისაგან — **Сиф** „მელა")[12].

ამგვარად, ლ. ჟირკოვის დებულებით, ერგატივისათვის დამახასიათებელი იყო პირველადი — ლოკალური სემანტიკა (первичнолокальная семантика)[13].

ლ. ჟირკოვის ეს ვარაუდი სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არაა გაზიარებული. მ. ჰაჯიევის აზრით, ე. წ. აქტიურ-ადგილობითი ბრუნვა წარსულში იყო სწორედ აქტიური ბრუნვა (=ერგატივი, გ. თ.), ოღონდ სულიერ საგანთა კლასის სახელებთან, რომელიც ითავსებდა ბევრ მნიშვნელობებს, მათ შორის ლოკატივისასაც. მისი აზრით, ეს მნიშვნელობები განსხვავებული იყო არა მარტო ბრუნვის დაბოლოებათა ფორმალური ნიშნებით, არამედ სახელის სემანტიკითაც და სხვა გრამატიკული საშუალებებითაც (ზმნის სემანტიკით, სიტყვათა რიგით და ა. შ.). სულიერი საგნების სახელები ამ ბრუნვაში აღნიშნავდნენ აქტიურად მოქმედ სუბიექტებს, ხოლო დანარჩენ სახელებთან იგი ლოკალურობის გამომხატველი ბრუნვა იყო[14]. ამგვარად, ლ. ჟირკოვისაგან განსხვავებით, აქ გამორიცხულია ერგატივის ლოკატივისაგან მომდინარეობის საკითხი, მაგრამ დაშვებულია ერგატივის ადგილობითი ბრუნვის

---

12 ლ. ჟირკოვი, დასახ. შრ., გვ. 33—34.

13 იქვე, გვ. 34; უფრო ქვევით ავტორი ამავე ბრუნვას ისტორიულად უკავშირებს ნათესაობით ბრუნვას, გვ. 34—37, მაგრამ ამაზე აქ ვერ შევჩერდებით.

14 М. Гаджиев, Синтаксис лезгинского языка. Часть I. Простое предложение, Махачкала, 1954, გვ. 95—96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუნქციით გამოყენების შესაძლებლობა (მართალია, სახელთა გარკვეულ ჯგუფთან) ამოსავალშივე.

უ. მეილანოვა იზიარებს მ. ჰაჯიევის ამ ვარაუდს, ამასთან იგი მის დებულებას ავრცელებს უსულო საგნებზეც. მისი აზრით, ერგატიული ბრუნვა გენეზისურად წარმოადგენს პირველად ბრუნვას, რომლისაგან წარმოდგა ადგილობითი IV ბრუნვა არა მარტო სულიერი, არამედ უსულო საგნებისთვისაც[15]. ამასთანავე იგი დასძენს, რომ ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე ლეზგიური ერგატივი გამოხატავდა სათავესთან (и вместилище) და სხვა მნიშვნელობებსაც, ხოლო შემდეგ მოხდა მისი ფუნქციების დიფერენციაცია და იგი გაგებულ იქნა, როგორც ქვემდებარის ბრუნვა გარდამავალ ზმნასთან[16].

ლ. ჭირკოვისეული გადაწყვეტა საკითხისა **ემყარება** ერგატივისა და ლოკატივის ფორმათა ერთიანობას (II ტიპის სახელებს), მაგრამ ეს საკითხის ერთა მხარეა. აქ ანგარიში არ ეწევა I ტიპის სახელებს, სადაც ეს ერთიანობა დარღვეულია (თუმცა ამის გარეშე მარტო II ტიპის სახელების ჭირკოვისეული ანალიზიც საკმაოთა ჩანს).

არსებითად სწორია ის ვარაუდი, სადაც ერგატივის პირველადობაა წინ წამოწეული: იგულისხმება მ. ჰაჯიევის (შემდეგ უ. მეილანოვას) მოსაზრებანი, **ოღონდ საკმაოთაა მათი დებულების მეორე ნახევარი**, სადაც მორფოლოგიურ გაუდიფერენცირებლობასთან ერთად დაშვებულია მათი ფუნქციური გაუთიშველობაც ამოსავალშივე.

ერგატივ-ლოკატივი ისტორიულად მხოლოდ ერგატივი იყო და სხვა არაფერი. ლოკატივობა შემდეგ („იძულებით") შეძენილი ფუნქციაა მისი. ცნობილია, რომ II ტიპში ერთიანდება სახელთა სრულიად გარკვეული ჯგუფი: ცხოველები, ფრინველები, მწერები... ანუ ის სახელები, რომელთაც სივრცეში ლოკალიზაცია (მნიშვნელობით „ში", „შიგნით") ნაკლებად ან სრულიად არ უხერხდებათ და მათთვის არაბუნებრივია. **სახელთა ეს სპეციფიკური სემანტიკა სწორედ განმსაზღვრელი იმ ენობრივი ფაქტისა, რომ ამ სახელებთან ერგატივი და ლოკატივი მორფოლოგიურად დიფერენცირებული არ არის.** მაშ, რატომ არის, რომ ლაპარაკი გვიხდება ამ სახელებთან ლოკატივობის ფუნქციის შესახებ? მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს სახელთა დიდი ჯგუფი (I ტიპი), სადაც ამ მნიშვნელობის გადმოცემა დაუბრკოლებლად და ბუნებრივად ხერხდება (ვთქვათ, სახლ**ში**, ტყე**ში**...). ამ სახელებთან ამ ორი ბრუნვის მორფოლოგიური დიფერენციაციაც ასევე შედეგია მათი მნიშვნელობის თავისებურებებისა[17]. ამგვარად, მას შემდეგ, რაც ენაში საჭირო გახდა ლოკატივის მნიშვნელობის მორფოლოგიური გამოხატვა[18], იმ სახელებმა, რომელთათვის ეს ცნება სავსებით კანონ-

---

[15] უ. მეილანოვა, დასახ. შრ., გვ. 21.

[16] იქვე, გვ. 22.

[17] ამ მხრივ ნიშანდობლივია მ. ჰაჯიევის შენიშვნა: „Местный 1 (=ადგილობით IV-ს, გ. თ.) (на вопрос: в чем? или: в ком?) в применении к именам-названиям живых существ, именно к тем, которые способны активно проявлять свою волю, существует лишь теоретически, формально, а не в практической речи. В практической речи свое локальное значение этот падеж приобретает только в применении к неодушевленным предметам. დასახ. შრ., გვ. 95.

[18] იგარაუდება ორგანული წარმოება. არ შეიძლება იმის გამორიცხვა რომ ენაში ადრე არ არსებობდა სივრცეში ლოკალიზაციის გაგება, მაგრამ იგი გადმოიცემოდა ენაში სხვა საშუალებებით, აღწერითად (დამოუკიდებელი სიტყვები, თანდებულები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზომიერი იყო, მას მორფოლოგიური (ფორმალური) ექვივალენტიც დაუძებნეს, ხოლო მეორე რიგის სახელებმა სემანტიკის თავისებურების გამო მისი მორფოლოგიური გამოხატვა ვერ იკისრეს და ერგატივმა ეს მეორე ფუნქცია (ლოკატიურობა) „შეითავსა“, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ სავსებით იდენტური მნიშვნელობა გამოხატა.

რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითი:

I ტიპის სახელები:

Са шӀэрчӀа дешӀултелг Са бери даӀамиш кӀезчӀаъ — ერთ ქალაქში მდიდარი ბეგი ცხოვრობდა (ახტი).

Малла ненсредин чӀиӀин кӀалеъ ачӀаъ — მოლა ნასრედინი თავის სახლში იყო.

Адаъ аӀкӀунна ӀаӀ кӀурса фӀуд наӀ еӀгӀгӀнчӀаъ — მან დაინახა იმ ორმოში სამი ლერწამი ამოსული.

Абру ам шибилда тӀуна, кӀалиӀъ ӀкӀанна — მათ ის ქალთში ჩადეს რა, შინ მოიტანეს.

შად. II ტიპის სახელები:

Сикре гӀӀлелг аӀуна — მელას ტყვია მოხვდა.

Гададог чӀаӀа дилг ецаъна — бинӀа дас хелиг кӀчӀа (სიტყვასიტყვით: ბიჭმა დაში (и сестру) хелиг кӀчӀа)[19].

ანალოგიურ ფაქტებზე მიუთითებს უ. მეილანოვა[20].

ვფიქრობთ, ნათელია ის შინაარსობლივი სხვაობა, რაც ამ ორი რიგის სახელებს შორის არსებობს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი. ჯერ კიდევ პ. უსლარი მიუთითებდა, რომ ერგატივის ფორმა (-დი, -ნი სუფიქსებით) პარალელურად შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც ერგატივის, ისე ლოკატივის მნიშვნელობით: бабадиг „მამამ“, бабадаӀбабадиг „მამაში“; кӀӀанчӀгинг „მზემ“, кӀӀанчӀгинг ӀкӀанчӀгинг „მზეში“[21]. მ.ჰაჯიევი ამ ფაქტს ხსნის ტაბასარანული ენის გავლენით (მეზობელი ზონა), სადაც სახელთა ერთი ჯგუფი ერგატივს აწარმოებს -დი,

---

[19] მაგალითები ამოღებულია მ. ჰაჯიევის დასახ. შრომიდან, გვ. 94. აქვეა შენიშნული, რომ ცოცხალ საუბრებთან ერგატივ-ლოკატივის გამოყენება ძალზე იშვიათია და იხმარება მხოლოდ გარემოებითი სიტყვისა ან ირიბი დამატების მნიშვნელობით.

[20] «У живых существ местный IV падеж практически не употребляется. Из всей использованной литературы мы нашли только следующие два-три примера, которые в сущности являются окаменевшими выражениями.

Примеры:

Пагьливан Магьамада аждагь анда са кьуль эцяна (лезг. фолк).—Богатырь Магомед ударил дракона ногой (букв.: ткнул ногу в дракона). Дидеза темягь ама, ваха темягь ама, ваза темягь амаш — Мать желанна, сестра желанна, ты мне не желанна (букв.: в матери желание есть, в сестре желание есть, в тебе моего желания нет). Гадрай ланш кице акьуна (Из разг. речи) — Брошенная палка попала в собаку», დასახ. შრ., გვ. 135.

[21] П. Услар, დასახ. შრ., გვ. 40, § 44. ლ. ჟირკოვი არ ადასტურებს ერგატივის ლოკატივის მნიშვნელობით გამოყენების შესაძლებლობას, დასახ. შრ., გვ. 32.

-ნი ელემენტებით, ხოლო ადგილობით I-სათვის (=ადგილობით IV. გ. თ.) გამოყენებულია ჰამზა (ъ): ერგ. кlаб-ди, ადგილ. кlаб-ди-ъ[32].

საყურადღებოა ის ფაქტები, რომელიც მოაქვს რ. გაიდაროვს. იგი მიუთითებს, რომ ახტის დიალექტსა და სალიტერატურო ენაში ერთი და იგივე სახელი ბრუნების სხვადასხვა ტიპს განეკუთვნება. მაგალითად. სახელები ციф „ღრუბელი", ҡуш „ფრინველი", ӡал „სუნი" ახტის დიალექტში სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით იბრუნვის II ტიპის მიხედვით: ციф-რე (ერგ., ლოკატ.) ҡуш-რა (ერგ., ლოკატ.), ӡал-თა (ერგ., ლოკატ.) და პირიქით ლუқ „მონა", რომელიც სალიტერატურო ლეზგიურში II ტიპს მიყვება (ერგ., ლოკატ. луқ-а), ახტის დიალექტში იბრუნება I ტიპის მიხედვით: სახ. луқ, ერგ. луг-ун, ადგ. IV луг-ун)[23]. ასეთსავე დიალექტურ პარალელურ ფორმებზე მიუთითებს უ. მეილანოვა, თუმცა სათანადო მაგალითები არ მოაქვს[24]. ყოველივე ეს მანიშნებელია იმისა, რომ ენაში ბრუნების უნიფიკაციის ტენდენციაა დაწყებული და ადგილობით IV-ისათვის ის სახელებიც იჩენენ მორფოლოგიურ ელემენტებს, რაც მათ ისტორიულად არ ჰქონდათ.

რამდენიმე სიტყვით შევჩერდებით ლოკატივის წარმოების თავისებურებაზე I ტიპის სახელებში.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ერგატივი პოლოკიდური ვიზრო ხმოვნები (ი, უ, ӱ) ლოკატივში იცვლება ფართო ხმოვნებით (ა, ე), იმავე ხმოვნებით, რაც II ტიპის სახელებში დასტურდება. ამასთანავე, ლოკატივში ე ხმოვანი ენაცვლება ერგატივის იმ დაბოლოებების ი-ს, რომელნიც თავისი წარმომობით მეორეულნი ჩანან -ди ფორმანტთან შედარებით (სადაც ერგატივის ბოლოკიდურ ი-ს ენაცვლება ა, ისევე, როგორც ნ თანხმოვნიან ელემენტთან) და დ-ს აფრიკატიზაციის შედეგად არიან მიღებულნი (ди→цци, →ҫи, →ҷи და а. შ.)[25]. სხვა შემთხვევაში ლოკატივში ყველგან გვაქვს а[26]. ამდენად, სავარაუდოა, რომ ლოკატივის მაწარმოებლის ერთადერთ ხმოვნით დაბოლოებას ოდიდანვე წარმოადგენდა მხოლოდ а. საფიქრებელია, რომ სწორედ ეს а ელემენტია, რომელიც ერთვის ერგატივის ფორმას და იწვევს გარკვეულ ცვლილებებს. სახელდობრ, ერგატივის ბოლოკიდური ხმოვნის რედუქციას. ასეთი დასკვნის გაკეთება ბუნებრივი ჩანს იმის გამო, რომ ეს ხმოვანი სახელს საერთოდ ხშირად ეკვეცება ერგატივის ფორმაში (განსაკუთრებით მრავალმარცვლიან სიტყვებში ბახვილის გამო).

Sa арадлад ҷанавурд(и) хътанаа минетна — რამდენიმე ხნის შემდეგ მგელი დაბრუნდა რა, სთხოვა.

მაშასადამე, რომელიმე სიტყვის ადგილობით IV ბრუნვა იწარმოება შემდეგი საერთო ფორმულით: ერგატივი +-ა (ერგატივის ბოლოკიდური ხმოვნის ჩავარდნით)[27].

---

[23] М. Гаджиев, დასახ. შრ., გვ. 88—89.

[32] Р. Гайдаров, დასახ. შრ., გვ. 59.

[24] У. Мейланова, დასახ. შრ., გვ. 11.

[25] ერგატივის დაბოლოებათა ურთიერთობის შესახებ იხ. У. Мейланова, დასახ. შრომა, გვ. 9 (სქოლიო), სადაც მოტანილია აგრეთვე ლ. ჭირქოვისა და ბ. თალიბოვის მოსაზრებანი.

[26] დავძენთ, რომ მრავლობითშიც ლოკატივის მაწარმოებელია მხოლოდ -ა.

[27] აფიქსისეული ელემენტების კარგვა (გაცვეთა) აბსოლუტურ ბოლოში ლეზგიურისათვის საერთოდაა დამახასიათებელი, რაც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში. იხ. Т. Жирков, დასახ. შრ., გვ. 32. М. Гаджиев, დასახ. შრ., გვ. 89.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერგ. ბაბა-დი „მამამ“
რეგვ-ინი „მზემ“
თთარ-ცცი (←თთარ-დი) „ხემ“

ლოკატ. ბაბა-დი + ა → ბაბა-დ-ა
რეგვ-ინი + ა → რეგვ-ინ-ა
თთარ-ცცი + ა → თთარ-ცცა →
თთარ-ცცე.

ლოკატივის მოსალოდნელი ფორმები შესაბამისად **უნდა ყოფილიყო ბაბა-დი-ჲ-ა, რეგვ-ინი-ჲ-ა, გადა-დ-ჲ-ა,** რამდენადაც ლეზგიურში ორ ხმოვანს შორის, როგორც წესი, გამყარი ნახევარხმოვანი ჲ ჩნდება (შდრ. გად-ა „ბიჭი“, გად-ჲ-არ „ბიჭები“), მაგრამ რამდენადაც არსებობდა ტენდენცია ერგატივის ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვისა, აქ ფორმა პირდაპირ გამარტივდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტიც. ყველა ადგილობითი ბრუნვა იწარმოება საერთო პრინციპით: ერგატივი+თანხმოვანი (-ქ, -უ, -ჯ, -ლ), ლოკატივში მაწარმოებლად კი დასტურდება მხოლოდ ხმოვანი (ა). საკითხი დგება, ოდინდელია თუ არა ეს ვითარება.

ტაბასარანულ ენაში ამ შინაარსის გადმომცემ ბრუნვას მოუდის ელემენტი **-ჳ (ერგატივი+ჳ)**[28]. ამ და სხვა მონათესავე ენათა სათანადო ფაქტების ანალიზი აძლევს საშუალებას ბ. ხანმაგომედოვს ლეზგიურ ენაში (და საერთოდ ლეზგიურ ენებში) მართებულად აღადგინოს ლოკატივში ეს **ელემენტი (ლეზგიურ ენაში** იგი დაცულია ერკის დიალექტის ზოგ თქმაში)[29], თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ეს აზრი არაა გაზიარებული[30].

ამგვარად, ადგილობით IV ბრუნვაში აღმოგვაჩნდა ხმოვანიცა (ა) და თანხმოვანიც (ჳ). ხოლო სხვა ადგილობით ბრუნვებში მხოლოდ თანხმოვანია წარმოდგენილი. ლოკატივის ფორმის ანალიზი (თუ ეს ანალიზი სწორია) და მასთან ერთად ლეზგიური პრევერბების განხილვა (პრევერბები მატერიალურ იგივეობას იჩენენ ადგილობით ბრუნვის მაწარმოებელ ელემენტებთან და ჩვეულებრივ თანხმოვანთან ერთად ხმოვანსაც შეიცავენ[31]), შესაძლებლობას იძლევა დავაყენოთ საკითხი: ხომ არ შეიძლება სხვა ადგილობით ბრუნვებთანაც აღდგენილ იქნეს ხმოვანი. მაშინ ადგილობით ბრუნვათა სისტემა ლეზგიურ ენაში შემდეგ სახეს მიიღებდა:

სახ. ბაბა
ერგ. ბაბა-დი
ადგ. I ბაბა-დი + (ა) ქ
ადგ. II ბაბა-დი + (ა) უ
ადგ. III ბაბა-დი + (ა) ჯ
ადგ. IV ბაბა-დი + ა (ჳ)

მაშინ ეს სისტემა ორგვარად გამარტივებულად შეიძლებოდა მიგვეჩნია: ბრუნვათა ერთ ჯგუფში (ადგ. I, II, III), სადაც ადგილობითი ბრუნვის თანხმოვ-

---

28 А. Жирков, Табасаранский язык, М.-Л., 1948, стр. 71—72.

29 Б. Ханмагомедов, Система склонения табасаранского языка в сравнении с системой склонения лезгинского и агульского языков. Автореф. кандидатской диссертации. Махачкала, 1958, გვ. 20.

30 უ. შეილანოვა ჳ ელემენტის არსებობას ლეზგიურში თვლის გამოთქმის თავისებურებად. დასახ. შრ., გვ. 23—24.

31 ეს საკითხი ცალკე იქნება განხილული.

ნთი ნაწილი უფრო მყარი აღმოჩნდა, დაიკარგა მხოლოდ ხმოვანი, ერგატივის ხმოვანი კი დარჩა, რამდენადაც მას თანხმოვანი მოსდევდა, ხოლო მეორე ჯგუფში (ადგილ. IV) დაიკარგა ჯერ თანხმოვანი (როგორც სუსტი ელემენტი)[32], შემდეგ დარჩენილმა ხმოვანმა (ა) გამოიწვია ერგატივის ბოლოკიდური ხმოვნის რედუქცია.

К ВОПРОСУ О ВЗАИМООТНОШЕНИИ ЭРГАТИВНОГО И МЕСТНОГО IV ПАДЕЖЕЙ В ЛЕЗГИНСКОМ ЯЗЫКЕ

Г. В. ТОПУРИА

Р е з ю м е

В лезгинском языке все местные (локативные) падежи в качестве исходной основы используют форму эргатива. Исключение составляет местный IV падеж (ниже: условно — локатив), соответствующий в грузинском языке форме с послелогом „ši“, „šignit“ (=русск. «в», «внутри»). Образование этого падежа характеризуется некоторыми особенностями.

Местный IV падеж образуется двояко: в первой группе объединяются имена, у которых формы эргатива и локатива дифференцированы (I тип), а во вторую группу входят имена, имеющие общую форму и образующие эргатив и локатив с помощью суффиксов -ra, -re, -a, -e, -da (II тип) (Л. Жирков).

В данном сообщении дана попытка ответить на два вопроса: 1. Чем вызвано совпадение форм эргатива и локатива и является это совпадение первичным или вторичным и 2. Чем обусловлены те особенности, которые выявляются при образовании локатива (принцип образования других местных падежей ясен — форма эргатива + формант того или иного местного падежа).

В научной литературе совпадение форм эргатива и локатива трактуется по разному. В данной работе рассмотрены соображения по этому вопросу исследователей лезгинского языка Л. Жиркова, М. Гаджиева и У. Мейлановой.

На основе анализа материала автор полагает, что правы те авторы, которые считают эргатив генетически первичным падежом (М. Гаджиев, У. Мейланова), однако спорной является вторая часть их утверждения, согласно которой вместе с **морфологической недифференцированностью** эргатива и локатива допускается и **функциональная неразграниченность** в исходе же. В отличие от этого, в работе выдвигается положение, согласно которому считается, что т. н. активно-локативный падеж в исходе же был именно эргативным падежом, совместившим впоследствии функцию локативности.

Общеизвестно, что ко II типу относятся имена совершенно определенной группы: названия животных, птиц, насекомых... т. е. имена, для которых чисто локативная форма со значением «в», «внутри», не естественна или почти невозможна. **Такая специфика значения и является определяющим того языкового факта, что эргатив и локатив в этих именах**

[32] თანხმოვნის დაკარგვა შეიძლება აიხსნას ც-ს დაკარგვის საერთო ტენდენციით. ამასთანავე არაა გამორიცხული ისიც, რომ ისტორიულად იგი წარმოადგენს რომელიმე თანხმოვნის რეფლექსს, რაც აგრეთვე ხელს შეუწყობდა მის გაუჩინარებას.

морфологически недифференцирован. Однако, нам приходится говорить о локативной функции эргатива при именах II типа по той причине, что в языке существует большая группа имен (I тип) для которых понятие локализации в пространстве передается без затруднения (в доме, в лесу...), что со своей стороны сыграло решающую роль для морфологической дифференциации этих двух падежей, после того как стало необходимостью **формальное выражение** понятия локативности в языке.

Следует указать и на то, что передача чисто локативного значения при именах II типа и по сей день затруднена:

sa šeherda (I тип) dewltlu sa leg jašamiš žezwaj—*В одном городе богатый бег жил.*

Срав. gaɬadi waxa (II тип) γil ecja'na—*Мальчик толкнул руку сестру=(букв. в сестру).*

На аналогичные факты указывают М. Гаджиев и У. Мейланова.

При образовании локативного падежа имен I типа конечные узкие гласные эргатива (i, u, ü) переходит в широкие гласные (a, e), чем и достигается дифференциация этих двух падежей (Л. Жирков). Из двух показателей локатива -a, -e исходным считается гласный элемент -a, который наращиваясь на форму эргатива, вызывает редукцию конечного гласного показателя эргатива:

baba 'отец'	эрг. baba-di	Мест. IV	baba-di+a→baba-d-a
räγ 'солнце'	räqq-ini		räqq-ini+a→räqq-in-a
ttar 'дерево'	ttar-cci		ttar-cci+a→ttar-cc-a
			→ttar-cc-e

Редукции способствовала общеизвестная тенденция утери конечного гласного эргатива (в частности, i) в многосложных словах.

Обращает на себя внимание тот факт, что все другие местные падежи в качестве показателя используют согласный элемент(-k, -w, -q,-l), а в локативе — только гласный (-a). Анализ данных табасаранского и лезгинского (а также других лезгинских языков) дает возможность Б. Ханмагомедову восстановить в этом падеже исчезнувший элемент '(ъ). Таким образом, в локативе исторически наличествовал как гласный (a), так и согласный '(ъ).

Анализ формы локатива, а также системы превербов в лезгинском языке, дают возможность высказать предположение, что в качестве форманта во всех местных падежах наряду с согласным исторически наличествовал и гласный элемент. Это положение основывается на том факте, что выявляется материальная идентичность показателей местных падежей с превербами, состящих, как правило, из согласного и гласного компонентов. Следовательно, первичная система местных падежей (для имен I типа) имела следующий вид:

Им.	baba
Эрг.	baba-di
Местн. I	*baba-di-(v) k+ -k→baba-di-k
Местн. II	*baba-di-(v) w+ -w→baba-di-w
Местн. III	*baba-di-(v) q+ -q→baba-di-q
Местн. IV	*baba-di-a + -'→baba-d-a

По этой схеме предполагается упрощение системы в двух направлениях в одних падежах (местн. I, II, III) более устойчивым оказался

согласный элемент местного падежа (гласный же — утерян), гласный компонент эргатива сохранился поскольку за ним следовал согласный, в местном IV падеже отпал сперва согласный локатива (как слабый)[1], а оставшийся гласный элемент вызвал редукцию гласного показателя эргатива.

---

[1] Усечение согласного ъ можно объяснить общей тенденцией его исчезновения в ауслауте. Вместе с этим, не исключена возможность, что ъ является рефлексом какого-нибудь согласного, что также могло способствовать его утрате.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის სადნობი ძველი სახელოსნოები აღმოსავლეთ საქართველოში

ი. გძელიშვილი

(წარმოადგინა აკად. ნ. ბერძენიშვილმა)

რკინის სადნობი ძველი სახელოსნოების შესწავლის მიზნით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა რკინის მადნებით ცნობილ ბოლნისისა და თეთრიწყაროს რაიონებში 1957—60 წწ. დიდი მოცულობის გათხრითი სამუშაოები ჩაატარა. აღნიშნულ რაიონებში რკინის სადნობი სახელოსნოების ნაშთები გათხრილ იქნა შემდეგ პუნქტებში: 1. ქვემო ბოლნისი (წინაანტიკური პერიოდისა), 2. ნასოფლარი გონბათი (XI—XIII სს.), 3. რუსასწყაროო (XI—XIII სს.), 4. რკინისწყალი (XVII—XVIII სს.), 5. ფოლადაური (XVII—XVIII სს.), 6. ძველი ბოგვი (XVII—XVIII სს.).

ტიპიურად მიჩნეული რკინის სადნობი სახელოსნოების გათხრების ძირითადი შედეგების ნათელი წარმოდგენისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც აღვწეროთ რკინის გამოდნობის ძველი სახელოსნო და ქურაში რკინის „დნობის“ პროცესი.

სახელოსნო ფერდობში ხელოვნურად შეჭრილ პატარა ბაქანზე ეწყობოდა და უკეთეს შემთხვევაში, ხის მსუბუქი გადახურვის მქონე ღია ნაგებობას წარმოადგენდა. სახელოსნოში იდგა ქურა. მის მახლობლად ნახშირი და მადნის გროვა იყო. ქურის წინ საწიდე ორმოები ან თხრილები იყო გამართული და იქვე ქვის გრდემლი იდგა ლუგვის დასაქექად. წარმოების ნაშთებს—ქურის ნამწვარს და წიდას სახელოსნოს წინ ფერდობზე ყრიდნენ. სახელოსნოში, ცხადია, წარმოებისათვის საჭირო სხვადასხვა იარაღიც იყო: ჩაქუჩები, მაშები, საჩიჩქნები და სხვა.

რკინის გამოსადნობად სახელოსნოში, ძირითადად, ორი ოპერაცია სრულდებოდა: მადნის მომზადება და მადნის „დნობა“.

მადნის მომზადებისათვის საჭირო იყო რკინის საბადოდან სახელოსნოში მოტანილი ნატეხი მადნის სპეციალური გამოწვა კოცონზე, ქურქებში ან დამხმარე კამერებში. შემდეგ, ასეთი მადნის ჯერ პატარა ნატეხებად დამტვრევა და, ბოლოს, ფხვნილის მისაღებად ქვის როდინებში დანაყვა.

ფხვნილი მადნის გამოდნობის წინ საჭირო იყო ჯერ ხის ნახშირით ქურაში ცეცხლის დანთება, შემდეგ ამ ცეცხლის საბერველებით გაღვივება და თანდათან ნახშირისა და მადნის ქურაში ჩაყრა. ცეცხლის დიდ ალში რკინის მადნის ნაწილაკებიდან სუფთა რკინა დაგებოდა და ქურის ძირზე ღრუბლის მაგვარი მასის სახით თანდათან გროვდებოდა (ასეთ პროდუქტს გვიანსაშუალო საუკუნეებში ქართულად „ლუგვს“ უწოდებდნენ). ამავე დროს მადანთან შერე-

ული ფუჭი ქანები ცეცხლში მთლიანად დნებოდა და გავარვარებულ წიდას წარმოშობდა.

დნობის პროცესში ჭურიდან წიდის გათავისუფლება, ძირითადად ,ნაწილ-ნაწილ წარმოებდა. პროცესის დამთავრების შემდეგ კი ჭურაში დარჩენილ წიდას მთლიანად გადმოღვრიდნენ და მის ძირზე დაგროვილ რკინის გუხდას (ლუგვს) მაშებით ამოიღებდნენ.

ღრუბლისმაგვარი რკინის გუხდიდან სამჭედლო რკინის მისაღებად საჭირო იყო ქვის გრდემლზე მისი დაბეგვა ხის უროებით.

1. ქვემო ბოლნისის სახელოსნო

ქვემო ბოლნისის რკინის სადნობი სახელოსნოს ნაშთები მდებულო გორის უბანზე მდებარეობს, რომელიც ბოლნის-ხაჩინიდან ჩრდილოეთით 3 კმ-ის, ხოლო ბოლნის-კაპანქჩიდან 2,5 კმ-ის მანძილზეა დაშორებული. ამ უბანზე ტუფოგენური ხასიათის ქანებია გავრცელებული, რომელშიაც დაციტის მოზრდილი დაიკები გვხვდება. ტუფოგენურ ნალექებში სიღრმეზე სპილენძის მადნის დიდი სხეული მდებარეობს, რომლის ზედაპირული გამოსასვლელის ადგილას სპილენძის მადნის ძველი კარიერია.

ამ უბანზე წარმოებული გათხრების შედეგად სხვადასხვა დროის ნასახლარები, სამარხები და რკინის სადნობი უძველესი სახელოსნოს ნაშთები აღმოჩნდა.

სახელოსნო მადნეული გორის სამხრეთ კალთის ძირზე, აწინდელი ქვის კარიერისაკენ მიმართული გზის ნაპირას, აღმოჩნდა. ნატეხი ქვებით თიხაზე ნაგები პრიზმული მოყვანილობის ჭურა სახელოსნოს ერთ კუთხეში მდგარა, ხოლო ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილი საწური (სადნობი) ჭურის ოთხკუთხა ბრძმედი თიხით ყოფილა ამოლესილი. ჭურას წინ წიდის შესაკრები ორი ჰატარა ორმო ჰქონია. სახელოსნოში მადნის (ჰემატიტის) საკმაო მარაგი ყოფილა, ხოლო წიდა სახელოსნოს წინ ფერდობზე დაუყრიათ (ტაბ. I, 1, ტაბ. IV, 1). ამ სახელოსნოს ნაშთების გათხრების დროს ადგილ-ადგილ ხის ბოძების საყრდენი ბალიშები და შავპირიალა ზედაპირის მქონე უძველესი თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა.

ამ ძეგლის დასათარიღებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორ მონაპოვარს: ერთი მაღალძირიანი სასმისის ძირის ნატეხია, ხოლო მეორე—ცილინდრულფეხიანი სასმისის გვერდის ნატეხი, რომლის ზედაპირზე ამოკაწრული გეომეტრიული ორნამენტია გამოსახული. თიხის ასეთი ჭურჭლები საქართველოში კარგადაა ცნობილი (თრიალეთი, მცხეთა და თბილისი) და ძვ. წ. ა. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით თარიღდება.

მადნეული გორის ამავე ფერდობზე სახელოსნოს ზევით და გორის თავზედაც ნასახლარები აღმოჩნდა. ნაგებობები ნატეხი ქვითა და თიხის ხსნარით უშენებიათ; ზოგან კედლები მთლიანად თიხით ჩანს ამოყვანილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნასახლარები ცუდად არის დაცული, მაინც შეიძლება ითქვას, რომ გეგმაში მათ ოთხკუთხა ფორმა ჰქონდათ და სხვადასხვა სიდიდისა იყვნენ. ამ ნასახლარების გათხრების დროს კულტურულ ფენებში სხვა მასალების გვერდით უმთავრესად შავპირიალა თიხის ჭურჭლის ნატეხები იყო მოპოვებული. უმნიშვნელოვანესი და დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხების მიხედვით, ნასახლარები ძვ. წ. ა. XIII—IV სს. შეიძლება დათარიღდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად საყურადღებოა, რომ ფერდობზე მდებარე ადრეული ნასახლარების ადგილი მას შემდეგ, რაც აქ ცხოვრება შემწყდარა, გორის თავზე მცხოვრებ ახალ მოსახლეობას იგი სასაფლაოდ გამოუყენებია. ამ ტერიტორიაზე გათხრილ იქნა 21 ქვისა და ერთი გრუნტის სამარხი. მეტად დამახასიათებელი და კავკასიაში ცნობილი სამარხეული ინვენტარის მიხედვით აღნიშნული სამარხები ძვ. წ. ა. VI—IV სს. თარიღდება.

სხვადასხვა ტიპის სამარხები, ამ უბანზე (გზის გადაღმა) გორის ძირში საკმაოდ დიდ ფართობზე აღმოჩნდა. სამარხეული ინვენტარის მიხედვით ისინი ძვ. წ. ა. XIII—XII სს. მიეკუთვნებიან.

ამრიგად, ჩანს, რომ ცხოვრების ადრეულ საფეხურზე ამ ადგილას, ძირითადად, მიწათმოქმედი და მესაქონლე მოსახლეობა რკინის წურვას და შეიძლება ბადნის მოპოვებასაც მისდევდა.

2. გონბათის სახელოსნო

ნასოფლარი გონბათი, რომლის მახლობლად სახელოსნო მდებარეობს, მდ. წყრუღაშენის ხეობის დასაწყისშია და ამავე სახელწოდების ეკლესიიდან 4 კმ-თაა დაშორებული; სახელოსნოს უბანი დარკილისას სახელით ცნობილ რკინის ბუდობის მახლობლადაა განლაგებული. ტყით დაფარულ მცირე ხევის ძირდამოებში. ამ უბნის მკვეთრად დაქანებულ ფერდობზე გათხრილ იქნა საკმაოდ კარგად დაცული რკინის საწური ჭურისა და მასთან დაკავშირებული საკმაოდ მოზრდილი გამოსაწვავი კამერის ნაშთები (ტაბ. I, 2, ტაბ. V, 1). ეს რთული კონსტრუქციის ჭურა აშენებული იყო ბრტყელი ქვის ფილებით თიხის ხსნარზე (ტაბ. V, 2).

მსხლისებური მოყვანილობის გეგმის მქონე კამერის ფსკერიცა და კედლებიც თიხის სქელი ფენით იყო ამოლესილი, რომელიც დიდი ტემპერატურის შედეგად კარგად ჩანდა გამომწვარი. ჭურა დამრეცი ფერდობის თიხოვან გრუნტშია შედგმული, ხოლო მის წინ საწიდე არხები იყო განლაგებული. იქვე ფერდობზე და ხევის პირზე რკინის წიდა ეყარა.

ჭურის სამუშაო სივრცის გაწმენდის დროს მიწის და ქვის შევსებაში მხოლოდ რკინის ჭრაქისა და საჩეჩელის ჩხირები აღმოჩნდა. ამ მონაპოვართ შეუძლებელია ჭურის ნაშთების დათარიღება. ამიტომ საჭიროდ იქნა მიჩნეული ამ სახელოსნოს მახლობლად, დაახლოებით 0,5 კმ დაშორებით, მდებარე წყრუღაშენის ხევში ჩვენს მიერ აღმოჩენილ ნასოფლარში, ერთ-ერთი ნასახლარის გათხრა. ეს ნასოფლარი წყრუღაშენის ხეობაში ყველაზე უძველესია. ის რკინის ბუდობთან და სახელოსნოსთან ყველაზე ახლო მდებარეობს.

ნასოფლარი ხევის მარცხენა ნაპირზე ტყით დაფარულ დამრეც ფერდობზე მდებარეობს; ნასახლარი ადგილები ჰატარა, უსწორმასწორო მოხაზულობის ქვაბულებითაა წარმოდგენილი. ნასოფლარის აღმოსავლეთ ნაწილში, რამდენიმე ადგილას საფლავის ქვები ჩანს.

ხასოფლარის ცენტრალურ ნაწილში ერთ-ერთი ნასახლარი გაითხარა. გაირკვა, რომ იგი ორი ფენით იყო წარმოდგენილი. ზედა ფენაში ბუხრიანი საცხოვრებელი და სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობების ნაშთებია, ხოლო ქვედა ფენაში შუა კერის მქონე საცხოვრებელი დარბაზისა და სამეურნეო დანიშნულების სხვა ნაგებობათა ნაშთები აღმოჩნდა. ნაგებობათა კედლები ნატეხი ქვით ყოფილა ნაგები თიხაზე. ზოგიერთ ნაგებობას დარბაზული, ზოგსაც

ხის ბანური ბრტყელი გადახურვა ჰქონოდა. სახლკარის წინ, ეზოში, ორივე შემთხვევაში, გლეხს კალო ჰქონია.

გათხრების დროს აღმოჩენილი კერამიკული ჭურჭლის ნატეხების მიხედვით ქვედა ფენა VIII—X სს., ხოლო ზედა ფენა XI—XIII საუკუნეებით თარიღდება.

ამ ნასახლარების თხრის დროს, XI—XIII სს. ბუხრიან ოთახში და სხვა ამავე პერიოდის სათავსოებში ჰემატიტის მოზრდილი ნატეხები აღმოჩნდა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ მცხოვრებთათვის რკინის მადანი უცნობი არ ყოფილა. ძათ კარგად უნდა სცოდნოდათ ავრეთვე ისიც, თუ რა დიდი მუშაობა წარმოებდა ამ დროს რკინის მადანზე მახლობლად მდებარე ბუდობში. ასეთ ვითარებაში, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ ამ სოფლის გლეხი მიწის მუშაც იყო, მემთამადნე და მადნის გამოწვა-დაწურვასაც მისდევდა.

ბოლნისის რაიონში ასეთი ტიპის სახელოსნოები სხვა ადგილებშიც აღმოჩნდა (რუსასწყარო, ბერდიკი, სახუნდარა, პალდაში და მწვანე ეკლესია) უმთავრესად შუასაუკუნეების ნასოფლარების მახლობლად. რუსასწყაროს უბანზე გათხრილი, არცთუ ისე კარგად დაცული ქურის ნაშთები ძალიან ჰგავს იმ ქურის ნაშთებს, რომლებიც გონბათის უბანზე აღმოჩნდა.

3. რკინისწყლის სახელოსნო

რკინისწყლის უბანი სოფ. ბოლნის-ხაჩინის სანახებშია. ამ უბანზე, სადაც რკინის მადნის საბადოა, რამდენიმე ადგილასაა ცნობილი რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოების ნაშთები, რაც წიდის დიდი გროვებით დასტურდება. ერთ-ერთ ასეთ ადგილას ჩატარებულ იქნა გათხრები და აღმოჩნდა ნატეხი ქვისაგან თიხაზე აგებული მადნის გამოსაწვავი კამერის მჭრელი. რკინის სადნობი ქურის ნაშთები, რომლებიც სახელოსნოს ცენტრალურ ადგილას მდებარეობდა, ფერდობის მხრივ ძლიერ კედლით იყო შემოსაზღვრული (ტაბ. II, 2. ტაბ. VI, 1, 2). მის მარცხნივ ნახშირის დასაგროვებელი ღია სათავსო იყო; წინ რკინის წიდით შეკავშირებული, ნატეხი ქვისაგან აგებული. წაკვეთილი კონუსის ფორმის გრძემლი მდგარა, რომელზედაც ლუგვს ჩაჩქვავდნენ (ტაბ. III, 1). სახელოსნოში ჰემატიტის ცხვილის გროვაც აღმოჩნდა (ვამოსადნობად მომზადებული მადნის მარაგი). სახელოსნოს წინ, ფერდობზე, წიდის მოზრდილი გროვა იყო (ტაბ. VI, 1), რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ წარმოება საკმაოდ ფართოდ ყოფილა გაშლილი. ეჭვს არ იწვევს, რომ ასეთი ქურები მუშაობდნენ საბერველებით, რაც თიხის შტვირების ნატეხების აღმოჩენით დასტურდება. ამ ქურის ნაშთების გათხრის დროს მის თავზე და გვერდით ნაპოვნი იყო ბაქარ მეფის მიერ მოჭრილი სპილენძის ორი მონეტა. ამ მონეტებით ქურა და მთელი სახელოსნოც XVII—XVIII სს. თარიღდება.

მეტად საყურადღებო აღმოჩენას ჰქონდა ადგილი ამავე სახელოსნოს ტერიტორიის ზედა ტერასაზე. აქ, ძაწყში და გამრთული, თიხით ამოლესილი სფერული პატარა ქურის ნაშთები აღმოჩნდა, რომლის სამუშაო სივრცეში ნახშირის გარდა, ზედა ნაწილში გამოსაწვავად გამზადებული ჰემატიტის ნატეხების თხელი ფენა დადასტურდა. ჩანს, ეს ქურაც საბერველის დახმარებით მუშაობდა. ამ სახელოსნოს ნაშთების ცოტა ქვევით ვაკე ადგილას ნატეხი მადნის გამოსაწვავი მრგვალი, პრიმიტიული ქურის ნაშთები აღმოჩნდა (ტაბ. III, 2, ტაბ. VII, 1), რომლის კედელი თიხით იყო შელესილი და შემდეგ გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბწვარი. ასეთი ქურები მადნის დიდი ნატეხების გამოწვისათვის იყო განკუთვნილი. მათი კედლების სიმაღლე არცთუ ისე დიდი უნდა ყოფილიყო. მადნის გამოწვა ამ ქურებში ისევე პრიმიტიულად წარმოებდა, როგორც ამჟამად კირის ქვას წვავენ. ქურის კედლებში ნატეხ ქვასთან ერთად რკინის წიდის ნატეხებიც იყო გამოყენებული, რომლებიც გარეგნულად ზევით აღწერილი რკინის სადნობი ქურის წიდებს ჰგავდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მადნის გამოსაწვავი და სადნობი ქურები ერთდროულად მუშაობდა.

ამავე უბანზე, იქ, სადაც მადნის გამოწვა და დნობა წარმოებდა, ძველი დახრილი გვირაბის რამდენიმე გამოსასვლელია. ჩანს, რომ სწორედ აქედანაა გამოტანილი რკინის მადნის (ჰემატიტის) საკმაოდ დიდი რაოდენობა. მათი გროვები ალაგ-ალაგ აღნიშნული სამთო გამონამუშევრების ახლოსაც გვხვდება და სხვა ადგილასაც.

აღნიშნულ საწარმოო უბნებიდან, დაახლოებით, ნახევარი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ნასოფლარი თალა. მან ყურადღება იმით მიიქცია, რომ მის ტერიტორიაზე ბევრ ადგილას ნასახლარის წინ სამჭედლო წიდის დიდი გროვებია. ერთ-ერთი ნასახლარის გათხრებმა დაადასტურა, რომ აქ დაცული ორი ძირითადი ფენის შემცველი ნაგებობის ნაშთები. ზედა ფენა წარმოდგენილი იყო ნახევრად ოვალური კედლის მქონე ნაგებობის, მარნის, საკუჭნაოს და სამჭედლოს ნაშთებით. ქვედა ფენა—დარბაზის, სათონისა და მარნის ნაშთებით.

არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალით—თიხის ჭურჭლის და მინის სამაჯურების ნატეხებით, —ზედა ფენა XVII—XVIII სს. ხოლო ქვედა ფენა IX—XIII სს-ით თარიღდება. ვფიქრობთ, ასეთი აღმოჩენების სინათლეზე თითქოს უდავოა, რომ XVII—XVIII სს. რკინისწყლის უბანზე წარმოებდა რკინის მადნის მოპოვება და გამოდნობა, ხოლო სოფ. თალაში რკინის მზა ნაწარმის დამზადება (მჭედლობა).

ბოლნისის რაიონში XVII—XVIII სს. რკინის სადნობი სახელოსნოების ნაშთები რამდენიმე ადგილას სხვა ნასოფლარების მახლობლადაცაა ცნობილი. ერთ-ერთ ნასოფლარში, რომელიც სოფ. ფოლადაურის მახლობლად მდებარეობს, გათხრები იქნა ჩატარებული. აქაც რკინისწყლის მსგავსი რკინის სადნობი სახელოსნოს ნაშთები აღმოჩნდა.

4. ძველი ბოგვის სახელოსნო

ძველი ბოგვის ნასოფლარი, სადაც რკინის სადნობი სახელოსნოს ნაშთები აღმოჩნდა, მდებარეობს თეთრიწყაროს რაიონში სოფ. არდისუბნის სანახებში. იგი მდ. ბერძნისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ტერასულ ვაკობზეა განლაგებული, რომელსაც იქვე მაღლობებიც აკრავს. ნასოფლარზე შეინიშნება ნასახლარების ჩაღრმავებები და თიხის ჭურჭლის უსახო ნატეხების გავრცელება საკმაოდ დიდ ფართობზე. გათხრები ჩატარდა დანგრეული „სამკარება ეკლესიის“ სახლით ცნობილი ნაგებობის მახლობლად, იქ, სადაც მიწის ზედაპირზე რკინის წიდის პატარა გროვა იქნა შენიშნული.

ფართობზე, რომლის ზომა 200 კვადრატული მეტრი იყო, გათხრების შედეგად ოთხი ფენა აღმოჩნდა, რომლებიც სხვადასხვა ტიპის ნაგებობის ნაშთებს და კულტურულ ფენას შეიცავდა. ამ ადგილას აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის

ნატეხების მიხედვით: I (ზედა ფენა)—XVIII ს. ბოლოთი, II ფენა —XVII—XVIII სს; III ფენა—XI—XIII სს; ხოლო IV ფენა—VII—IX სს. თარიღდება.

მეორე ფენაში აღმოჩნდა რკინის სადნობი სახელოსნოს ნაშთები (ტაბ. II, 1). დადასტურდა, რომ თვით ქურა სახელოსნოს შუაში მდგარა (ტაბ. VIII). ქურის წინ, გრუნტში ქვის ფილებისაგან აშენებული ოთხკუთხა განივკვეთის მჭოვნე საწიდე არხი ყოფილა გაყვანილი, ხოლო გვერდით, მარცხნივ, ქვის ოთხკუთხა მაღალი ბაქანი გაუკეთებიათ (მადნისა და ნახშირის დასაყრელი ადგილი). სახელოსნოს მადნის საწყობიც ჰქონია, რომელშიაც გათხრების დროს რკინა-მარგანეცის მადნის ნატეხების გროვები აღმოჩნდა, დაახლოებით 2 კუბური მეტრის მოცულობისა. სახელოსნოს წინ, ფერდობზე წიდის გადაწყარი აღმოჩნდა (დაახლოებით ერთი კუბური მეტრი).

ძველი ბოგვის ქურა ბოლნისის რაიონის ამავე პერიოდის ქურებისაგან განსხვავებული კონსტრუქციით ხასიათდება. იგი ნატეხი ქვისაგან ყოფილა ნაგები თიხის ხსნარზე და ორი მუდმივი გოძივი კედელი ჰქონია, ხოლო რკინის წურვის დაწყების წინ, ორი განივი კედლის ამოშენებით პრიზმული მოყვანილობის სამუშაო ფართობი იფარგლებოდა. ქურა საბერველებით მუშაობდა. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ იმ ქურაში, სადაც რკინას იღებდნენ, სპილენძიც დაუწურავთ (ტაბ. VII, 2).

* * *

რკინის სადნობ სახელოსნოში ძირითად ნაგებობას ქურა წარმოადგენს. ციცი ბერვის ქურების კლასიფიკაცია პირველ ხანს (1956 წ.) კოგლანმა მოგვცა. მან ამ კლასიფიკაციას ბრძმედის სამუშაო სივრცის ფორმა დაუდო საფუძვლად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქურების მხოლოდ ამ ნიშნით დაჯგუფება სრული არ არის. არსებული მასალების საფუძველზე ავტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კლასიფიკაციის საფუძველს ერთი კი არა, რამდენიმე ნიშანთვისება უნდა წარმოადგენდეს. ასეთი ნიშანთვისება, ჩვენი აზრით, ხუთია. ამ საფუძველზე შედგენილ იქნა შემდეგი კლასიფიკაცია:

ჰაერის მიწოდება	სამუშაო სივრცე	საშენი მასალა	წიდის გაცლის საშუალება	კონსტრუქცია
1. ბუნებრივი ჰაერით	1. სფერული	1. გრუნტი თიხის შერესილობით	1. მიწისქვეშა (გაცილებული წიდის ამოტენვა ქურაში)	1. მარტივი (სადნობი)
2. ხელოვნური ბერვით	2. თაღიანი 3. შახტის	2. თიხები და ქვიშნარები 3. ქვა 4. შერეული (ქვა, თიხა, ხე).	2. მიწისზედა (გამდნარი წიდის გამოშვება ქურიდან)	2. რთული (საწვავსადნობი)

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შემოთავაზებული კლასიფიკაცია ასახავს ციცი ბერვის ქურების ხასიათს. ამ კლასიფიკაციით ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აღმოსავლეთ საქართველოს ციცი ბერვის ძველი ქურების ნოკლე დახასიათება ისე წარმოგვიდგება, როგორც ის ქვევითაა მოცემული:


1. **ქვემო ბოლნისის წინაანტიკური პერიოდის ქურა,** ხელოვნური ბერვის, შახტის, ქვის, მიწისზედა, მარტივი.

2. **გონბათის XI — XIII სს. ქურა.** ხელოვნური ბერვის, თაღიანი, ქვის, მიწისზედა, რთული.

3. **რკინისწყლის XVII—XVIII სს. ქურა.** ხელოვნური ბერვის, თაღიანი, ქვის, მიწისზედა, მარტივი.

4. **ძველი ბოგვის XVII—XVIII სს. ქურა.** ხელოვნური ბერვის, შახტის, ქვის, მიწისზედა, მარტივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



1



2

1. ქვემო ბოლნისის სანახებში აღმოჩენილი წინაანტიკური პერიოდის რკინის სადნობი ქურისა და მისი საწიდეების ნაშთები.
2. ნასოფლარ გონბათთან აღმოჩენილი XI — XIII სს. რკინის გამოსაწვავი და სადნობი ქურის ნაშთები, ხედი წინიდან.

საქართველოს სსრ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა



1




2

1. წასოფლარ ძველ ბოგვში აღმოჩენილი XVII — XVIII სს. რკინისა და სპილენძის სადნობი ქურის ნაშთები.

2. რკინისწყლის უბანზე აღმოჩენილი XVII—XVIII სს. რკინის სადნობი ქურის ნაშთები.



1




2


1. რკინისწყლის უბანზე აღმოჩენილი XVII—XVIII სს. ლუგვის დასაჩეჩქვი ქვის გრდემლი.

2. რკინისწყლის უბანზე აღმოჩენილი XVII—XVIII სს. რკინას მადნის გამოსაწვავი ჭურის ნაშთები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა




1. ქვემო ბოლნისის სანახებში აღმოჩენილი წინაანტიკური პერიოდის რკინის სადნობი სახელოსნოს ნაშთების გეგმა: 1. სახელოსნო, 2. ჭურა საწიდე ორმოებით, 3. ქვის ბალიშები, 4. მადნის გროვა (ჰემატიტი), 5. წიდის გროვა, 6. კედლები—ქვის წყობა თიხაზე.




2. ქვემო ბოლნისის წინაანტიკური პერიოდის ჭურის გრძივი და განივი ჭრილები: 1. ჭურის ქვის წყობა თიხებზე, 2. ჭურის სამუშაო სივრცე, 3. ქვის კარები, 4. საშტეპერე, 5. საწიდე ორმო, 6. გრუნტი.


ტაბ. V
ეროვნული ბიბლიოთეკა




1. ნასოფლარ გონბათის მახლობლად აღმოჩენილი XI—XIII სს. რკინის სადნობი და მადნის საწვავი ქურის სახელოსნოს ნაშთების გეგმა: 1. მადნის გამოსაწვავი დიდი კამერა, 2. რკინის სადნობი ქურა, 3. წიდის საწრეტი არხი, 4. წიდის გროვა.




2. ნასოფლარ გონბათის ქურის გეგმა და ჭრილები 1. ქვის წყობა თიხაზე, 2. მადნის საწვავი ქურის კამერა, 3. ქურის თიხის შელესილობა, 4. მადნის სადნობი ქურა, 5. სადნობი ქურის კარა-ქვის ფილა, 6. საბერველის შტვირის ადგილი.




1. ბოლნისის რაიონის რკინისწყლის უბანზე აღმოჩენილი XVII—XVIII სს. რკინის სადნობი სახელოსნოს ნაშთების გეგმა, 1. ქურის ქვის წყობა თიხაზე, 2. სანახშირე, 3. მადნის გროვა, 4. ლუგის საქეპი ქვის გრდემლი, 5. წიდის გროვა.




2. ფოლადაურის რაიონში აღმოჩენილი XVII—XVIII სს. რკინის სადნობი ქურის რეკონსტრუქცია, გეგმა და ჭრილი: 1. ქურის ქვის წყობა თიხაზე, 2. მადნის სადნობი განყოფილება, 3. ქურის კარები—ქვის ფილა, 4. შტვირის ხვრელი, 5. მადნის ფხვნილის გამოსაწვავი კამერა, 6. საწიდე ორმო. 7. გრუნტი.



1. რკინისწყლის უბანზე აღმოჩენილი XVII—XVIII სს. ნატეხი სადნის გამოსაწვავი ჭურის გეგმა და ჭრილი: 1. სადნის გამოსაწვავი ჭურის ქვის წყობა, 2. კედლის შელესილობა, გამომწვარი თიხა, 3. რკინის ქანგებით გაჟღენთილი გამომწვარი თიხა, 4. გამომწვარი თიხა, 5. ყვითელი ფერის თიხა (გრუნტი).



2. ძველი ბოგვის XVII — XVIII სს. რკინისა და სპილენძის სადნობი ჭურის გეგმა და ჭრილები: 1. ქვის წყობა თიხაზე, 2. ჭურის სამუშაო სივრცე, 3. ჭურის წინა განივი კედელი, 4. საბერველის მილის ღრუ, 5. საწიდე ორმო, 6. ხის ნახშირის ფხვნილი, 7. ჭურის ძირის ქვის ფილებით მოპირკეთება, 8. ყვითელი თიხა-გრუნტი.



1. თეთრი წყაროს რაიონის ნასოფლარ ძველ ბოგვში აღმოჩენილი XVII—XVIII სს. რკინისა და სპილენძის სადნობი სახელოსნოს ნაშთების გეგმა: 1. ჭურა, 2. ქვის ბაქანი (ნატეხი ქვა თიხაზე), 3. სპილენძის „წიდა". 4. საწიდე ორმო სპილენძის წიდით ამოვსებული, 5. რკინა-მარგანეცის მადნის ნატეხები, 6. სპილენძის მადნის ნატეხები (ხალკოპირიტი), 7. გამოუყენებელი წიდის საწრეტი ქვის არხი, 8. 9. მადნის საწყობი, 10. ქვის კედლები, 11. მოწითალო პლასტიკური თიხა შელესილობისათვის, 12. რკინის წიდების გროვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და გიგლიოგრაფია

კვლავ-სინონიმთა ლექსიკონის შესახებ

ც. ქიკვიძე

(პასუხად პატივცემულ ლევან გოთუას)

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 40/1365. 4. X. 1963) გამოქვეყნდა ლევან გოთუას წერილი ჩვენი რეცენზიის გამო (იხ. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე“, № 2, 1963).

ლ. გოთუას მიაჩნია, რომ ჩვენ „ფსევდო-მეცნიერული, ხელწამოკრული რეცენზიით... უაპელაციო „განაჩენი“ გამოვუტანეთ ჩვენს მხცოვან მეცნიერსა და **ღვაწლმოსილ** საზოგადო **მოღვაწეს**“.

სარეცენზიო წიგნის მეცნიერულ ანალიზსა და შეფასებას ჩვენ ლ. გოთუასგან არც მოველოდით და ვერც მოვთხოვთ მას, მაგრამ მის მიერ წამოყენებული ბრალდების დასასაბუთებლად მოსალოდნელი იყო, ის შეეცდებოდა რაიმე არგუმენტის მოყვანას ჩვენი შეფასების საწინააღმდეგოდ. ამას ლ. გოთუამ რატომღაც არჩია სხვათა ციტატებით ელაპარაკა მოყვანილი ციტატები კი ავტორთა მხოლოდ ზოგად შეხედულებას გადმოგვცემს—სარეცენზიო წიგნის შესახებ და სრულიადაც არ ეხება იმ საკითხებს, რომელთაც ჩვენ განვიხილავდით რეცენზიაში. თვით ლ. გოთუას შეფასებით კი ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ ყოფილა „საყვარელი“, „ქეთილი“, „სახელმოხვეჭილი“ წიგნი, „პირველი და ერთადერთი მერცხალი“.

ჩვენს რეცენზიაში განხილულია ის პრინციპები, რომელთა მიხედვით აგებულია სარეცენზიო ლექსიკონი. ამ მიზნით, ბუნებრივია, ჯერ თვით ავტორის მსჯელობა მოგვყავს ამ პრინციპთა შესახებ, ამასთანავე ვადასტურებთ, რომ „ლექსიკონი“, მართლაც, ავტორის მიერ შემუშავებულ პრინციპებზეა აგებული და შემდეგ კი, ენათმეცნიერებაში ოდნავ ჩახედული მკითხველისთვისაც კი ადვილად გასაგები მაგალითებით. ვამტკიცებთ ამ „პრინციპების“ არამეცნიერულობას. ესაა და ეს.

ჩვენ წიგნს განვიხილავდით და არა მისი ავტორის მოღვაწეობას და არავითარი „განაჩენი“ არ გამოგვიტანია ავტორისათვის.

რაც შეეხება ლ. გოთუას მენტორულ ტონს და იმ ეპითეტებს, რომლებითაც ის ჩვენ „გვამკობს“, არა გვგონია, ეს მის წერილს მეცნიერულ ხასიათს აძლევდეს. პატივცემულ ლ. გოთუას უნდა მოეხსენებოდეს, რომ მეცნიერებაში ესა თუ ის საკითხი ხმათა უმრავლესობით არ წყდება და მეცნიერული აზრის სისწორეც ავტორთა რანგით არ განიზომება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ახლა კვლავ ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ შესახებ:

1. სინონიმთა ლექსიკონის (და არა მარტო სინონიმთა ლექსიკონის) შედგენისას უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივია, გავარკვიოთ, თუ რის, რომელი ენის ლექსიკონს ვადგენთ. ცნობილია, რომ ლექსიკა, ენის სხვა მხარეებთან შედარებით, ყველაზე სწრაფად იცვლება. ძველი ქართული ენის ლექსიკა საგრძნობლად განსხვავებულია ახალი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკისაგან (ეს უკანასკნელი კი დიალექტების ლექსიკისაგან). შესაბამისად, ძველი ქართული ენის სინონიმური ლექსიკა არსებითად განსხვავებულია ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და მისი დიალექტების სინონიმური ლექსიკისაგან. ამის გამო დაუშვებელია (ყოველ შემთხვევაში **არამეცნიერულია!**) საერთო სინონიმური ლექსიკონის შედგენა ძველი ქართული, ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და მისი დიალექტებისათვის[1]. ცალკე უნდა შედგეს ძველი ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი, ცალკე—ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და ცალ-ცალკე ამ უკანასკნელის თითოეული დიალექტისათვის.

ალ. ნეიმანს კი თავისი „ლექსიკონისათვის“ მასალები შეუკრებია როგორც ძველი ქართული ენის ძეგლებიდან (ბიბლია, ვისრამიანი, ვეფხისტყაოსანი...), ისე ახალი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებიდან (ი. გრიშაშვილის, ი. წონეშვილის და სხვათა თხზულებანი) და დიალექტებიდან.

ამიტომაა, რომ სარეცენზიო ლექსიკონის მიხედვით სინონიმებადაა მიჩნეული: **ცხედარი** და **ქვეშაგები**, **ხურჭინი** და **მახალი**, **მოედანი** და **ურაკპარაკი** და სხვა. თუმცა ავტორი ვერ დაგვისახელებს ვერც ერთ შემთხვევას, რომ ეს სიტყვები სადმე სინონიმური მნიშვნელობით იხმარებოდეს[2].

გარდა ამისა, ხშირად ბუდეში შეტანილი ამა თუ იმ ძველი ქართული სიტყვის მნიშვნელობა სწორად არ ესმის ავტორს. მაგალითად, ბუდეში **ასპარეზი** სხვა სინონიმურ სიტყვათა გვერდით შეტანილია ძველი ქართული **უტევანი**[3]. ცალკეულ სიტყვათა სინონიმებად მიჩნევისათვის თუ აუცილებელი პირობაა, რომ მათ საერთო (resp.მსგავსი) მნიშვნელობა ჰქონდეთ, მათი სინქრონული, თანადროული ხმარება ერთ ენობრივ (resp. დიალექტურ) წრეში ამისათვის წინაპირობაა.

ამ აუცილებელ წინაპირობას ალ. ნეიმანის ლექსიკონი არ ითვალისწინებს[4].

2. ცნობილია, რომ ლექსიკური სინონიმია იყოფა ცალკეულ სიტყვათა სინონიმიად და ფრაზეოლოგიურ სინონიმიად. ამის შესაბამისად ცალ-ცალკე უნდა შედგეს სინონიმურ სიტყვათა და სინონიმურ გამოთქმათა ლექსიკონი. ალ. ნეი-

---

[1] არა თუ საერთო ლექსიკონის, არამედ საერთო გრამატიკის შედგენაც კი დაუშვებელია და არამეცნიერული (არც არავის უცდია), თუმცა ძველი და ახალი ქართული ენების გრამატიკული წყობა ნაკლებ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვიდრე მათი ლექსიკა.

[2] ასევე, **გრიტა** და **ბუჭულა** სინონიმები არ არის იმ უბრალო ფაქტის გამო, რომ ეს სიტყვები ერთად არსად არ იხმარება: **გრიტა** რაჭულშია (**ბუჭულა** რაჭულმა არ იცის), **ბუჭულა** კი ხევსურულში (**გრიტა** ხევსურულში არა გვხვდება), ხოლო სალიტერატურო ქართულში **გრიტა** არ დასტურდება.

[3] ძველ ქართულში აღნიშნავს მანძილის საზომ ერთეულს. ახალ ქართულში, ჩვეულებრივ, არ იხმარება.

[4] თუ ამ წინაპირობას არ დავიცავდით, რასაკვირველია, სინონიმებად უნდა მიგვეჩნია სხვადასხვა ენის ერთგვარი (მსგავსი) მნიშვნელობის სიტყვები.

მანის „ლექსიკონში“ კი სინონიმური გამოთქმები და სინონიმური სიტყვები ერეულია ერთმანეთში.

მაგალითად, „ლექსიკონში“ გვაქვს, ერთი მხრივ, **გამწყარალი, გაბრაზებული, გაჯავრებული** და სხვა, ხოლო მეორე მხრივ, **ალალ ლუკმას ჭამს, პატიოსანი; ალხანას ჩალხანა არ დაელევა, თანაბარი, რანაირიც ერიო, იმნაირი ბერიო** და სხვა.

„ლექსიკონში“ სინონიმურ სიტყვათა და სინონიმურ გამოთქმათა გვერდით ხშირად მეტაფორული თქმაც გამოჩნდება. მაგალითად, ბუდეში **ადამიანი** სხვა სიტყვებთან ერთად შეტანილია **ბუნების მეფე.**

ამრიგად, გაუგებარია, თუ რა არის სალექსიკონო ერთეული სარეცენზიო ლექსიკონისათვის.

3. ცალკეული სინონიმური წყვილები შეიძლება გაერთიანდეს სინონიმურ ბუდეებად, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ხელოვნური, სუბიექტური. აუცილებელია ბუდეში შემავალი თითოეული სიტყვა სინონიმური მნიშვნელობით იხმარებოდეს ყველა სხვასთან.

მაგალითად, ავი ბუდეში შემავალ სიტყვათაგან, მართლაც, სინონიმებია, ერთი მხრივ, **ავი, ავყია, ენამკვახე, ენამწარე** და, მეორე მხრივ, **ბაბაყული და ბაიყუში,** მაგრამ ყველა ამ სიტყვის ერთ სინონიმურ ბუდედ გაერთიანება, რასაკვირველია, გაუმართლებელია. **ბაიყუში** და **ბაბაყული** არ არის სინონიმი **ავი, ავყია, ენამკვახე, ენამწარისა.**

ხშირად ბუდეში სინონიმის ნაცვლად ავტორს მოჰყავს სიტყვის განმარტება, მაგალითად ბუდეში **ჲ. გაბრა** სინონიმებად მოყვანილია **აზამბარი** და **სმაში გათანასწორება; სმაში გათანასწორება აზამბარის** განმარტებაა, და არა მისი სინონიმი, ანდა კიდევ: „გადაჯერება, გადარწმუნება, რწმენის შეცვლევინება...“ ამ პირველი ორი სიტყვა, მართლაც, სინონიმებია, მაგრამ მესამე (**რწმენის შეცვლევინება**) **გადარწმუნების** განმარტებაა და არა სინონიმი.

ხშირად „ლექსიკონში“ ერთ ბუდეში გაერთიანებულია არასინონიმური მნიშვნელობის სიტყვები; მაგალითად, ბუდეში **აქვს** სინონიმებადაა მიჩნეული: **ფული აქვს, მინაჭებული აქვს, სიცხე აქვს;** ასევე ბუდეში **წასვლა** სინონიმებადაა **წაჩერჩეტება, თავის ამოყოფა** (ქალაქში თავი ამოყო), **მოხვედრა** (აქ როგორ მოხვდი), **ხლება** (ახლავს, იახლა), როგორც იტყვიან, განმარტება ზედმეტია.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ გაუგებარია, ალ. ნეიმანი რა პრინციპით აერთიანებს ცალკეულ ბუდეებად სიტყვებს. მაგალითად, ჩვენთვის აუხსნელია ისეთი ბუდის არსებობა სინონიმთა ლექსიკონში, როგორიცაა:

„ჩვილი ცხოველი: (ლომისა, მგლისა, ძაღლისა) ლეკვი, (ლომისა, ვეფხისა, ავაზისა) ბოკვერი, (დათვისა) ბელი, (კურდღლისა) ბაჭია, ბაცაცი, ბოცორი, კოტორი[5], კიკო[6], (სახედრისა) ჩოჩორი, (თხისა) ციკანი, (ბატკნისა[7]) კრავი, (კამეჩისა) ზაჭი, ღოღო, (ღორისა) გოჭი, თელი[8], ბურვაკი, (ძროხისა) ხბო, ბოჩოლა, კვებული, (აქლემისა) კოზაკი, (ცხენისა) აჯილღა, ცვიცი. (თაგვისა) წრუწუნა, (კატისა) კნუტი, ცინდალი, (შველისა) ნუკრი, (ირმისა) ბიჟიკი, ბიჟინი (!)“[9].

---

[5] ახალ სალიტერატურო ქართულში არა გვხვდება.

[6] გურული დიალექტიდან.

[7] ასეა! ალბათ, უნდოდა: **ცხვირსა. ბატკანი კრავის** სინონიმია.

[8] ახალ სალიტერატურო ქართულში არა გვხვდება.

[9] **ბიჟინი** „ნუკრის ხადილიო“ — განმარტავს საბა. „შვლის ნუკრის კიკინი“ — გვითხულობთ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, ტ. I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც თვით ავტორის განმარტებებიდან ჩანს, ეს სიტყვები სინონიმები არ არის, მაშ რატომ შეიტანა ისინი „ლექსიკონში“. ეს სიტყვები ბუდეში შეტანილია **თემატური** ივიეობის მიხედვით.

ეს მაგალითი შემთხვევითი არ არის, მსგავსი ბუდეა **დედალი ცხოველი** და სხვა.

თუ თემატური პრინციპით დაჯგუფებულ სიტყვებს სინონიმებად მივიჩნევდით, მაშინ სინონიმები აღმოჩნდებოდა: **კატა** და **ძაღლი** (შინაური ცხოველები), **თავი** და **ფეხი** (ადამიანის სხეულის ნაწილები), **სკამი** და **მაგიდა** (ავეჯი) და ასე უსასრულოდ. ვგონებ, ამ სიტყვებზე ლ. გოთუაც კი არ იტყვის: რა თქმა უნდა, სინონიმებიაო.

4. ლიტერატურულ მოწმობათა მოყვანას სინონიმთა ლექსიკონში არსებითი მნიშვნელობა აქვს. ლიტერატურული მოწმობანი ისე მარჯვედ უნდა შეირჩეს, რომ აშკარა გახდეს ბუდეში შემავალ სიტყვათა სინონიმურობა. ლიტერატურულმა მოწმობამ, გარდა ამისა, უნდა აჩვენოს, რომ ზოგიერთ კონტექსტში სინონიმები შეიძლება შეენაცვლოს ერთმანეთს, და გარკვეულ კონტექსტებში კი — არა.

ალ. ნეიმანის მიერ „ლექსიკონში“ უადგილოდ მოყვანილი ლიტერატურული მოწმობანი წიგნს, გარდა მოცულობისა, არაფერს მატებს. აქ განირჩევა სამი შემთხვევა:

ა) როდესაც სინონიმურ ბუდეებს საერთოდ არ ახლავს ლიტერატურული მოწმობა.

ბ) როდესაც მოყვანილი ლიტერატურული მოწმობა არაფრის მთქმელია ბუდეში შემავალ სიტყვათა სინონიმურობაზე; მაგალითად,

„აალებული, ალმოდებული, ანთებული, ცეცხლმოდებული. ცეცხლმოკიდებული, აბრიალებული, აგზნებული, მგზნებარე, მხურვალე, აგიზგიზებული, მღივანი, მწთებარე, გაღვივებული, გაფიცხებული.

ზედ დამაფრქვია ცეცხლი მწთებარე“.

ი. გრიშ.

რატომ მოიყვანა ავტორმა ეს მოწმობა, რის ჩვენება სურდა, გაუგებარია. სხვა ამის მსგავსი მაგალითები აღარ მოგვყავს: მთელი წიგნი ამის მაგალითია.

გ) როდესაც მოყვანილ მოწმობაში შემავალი არც ერთი სიტყვა არაა გატანილი ბუდეში. მაგალითად, ბუდე **წასვლას** ახლავს ასეთი მოწმობა: „დავკარი ფეხი და ყაჩაღად გავვარდი“ ილია. ბუდე **ნთებას**—„ლაპლაპა ალმა მარდად შემოურბინა შეშებს გარშემო და დაწყებინა სასიამოვნო გუგუნი“ ი. გოგ.

არც ერთი სიტყვა ამ ლიტერატურულ მოწმობათაგან არ ჩანს შესაბამის ბუდეში, მაშ, რის მოწმობაა? ეს თვით მკითხველმა განსაჯოს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ის გზა, რომელსაც ალ. ნეიმანი დასდგომია ლექსიკონის შედგენისას, მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია. „ლექსიკონის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში ალ. ნეიმანი წერს: „ცხადია, ბევრს მოიგებდა ლექსიკონი, რომ ასეთი ლიტერატურული დამოწმება ყოფილიყო სისტემატური და ჰქონდა იგი ბუდეში შემავალ თითო-ოროლა წევრს მაინც (!).

„მაგრამ ერთდროულად სინონიმების შეგროვება-დალაგებაც და მათი დოკუმენტაციაც ბევრ დროსა და ადგილს მოითხოვდა და ამიტომაც ვარჩიეთ სამუშაოს პირველი ნაწილით დავკმაყოფილებულიყავით. თუ შევძლებთ, მომავალში მეორე ნახევარსაც შევავსებთ“[10].

[10] ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1951, გვ. VII.

ყოველგვარი ლექსიკონისათვის მასალების შესაკრებად სათანადო ენის ძეგლებიდან ამოიწერება სალექსიკონო ერთეული შესაფერის კონტექსტებში. ასე რომ დოკუმენტაცია წინასწარი სამუშაოა ლექსიკონის შესადგენად და არა მომდევნო. ალ. ნეიმანთან კი საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ, თითქოს, ჯერ სალექსიკონო ერთეულებია შეგროვებულ-დალაგებული (საიდან?..), ხოლო შემდეგ ზოგიერთ მათგანს **მიწერილი აქვს** ლიტერატურული მოწმობა.

ამრიგად, 1. ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ არ არის არც ძველი ქართული ენის, არც ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და არც რომელიმე დიალექტის ლექსიკონი.

2. ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ სალექსიკონო ერთეული არ არის არც მხოლოდ სინონიმური სიტყვები, არც მხოლოდ სინონიმური ფრაზეოლოგია, არც მხოლოდ სინონიმური მეტაფორები, უფრო სწორად, ყველაა მეტ-ნაკლებად.

3. სიტყვათა ბუდეებად გაერთიანება ემყარება ხან ბუდეში შემავალ სიტყვათა სინონიმურობას და ხან მათ თემატურ ერთიანობას.

4. ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ არ არის აგებული სათანადო მეცნიერულ პრინციპებზე. ამან განსაზღვრა წიგნის ხასიათიც: ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ არც მხოლოდ სინონიმთა ლექსიკონია და არც განმარტებითი.

ჩვენი შეფასება სარეცენზიო ლექსიკონის ძირითადი პრინციპებისა და ფაქტობრივი მასალის ანალიზს ემყარება.

ლ. გოთუას არც ლექსიკონი განუხილავს და არც ჩვენს რეცენზიაში დასმული საკითხები: ის ხელაღებით აქებს ლექსიკონს.

ვფიქრობთ, ლექსიკონის ავტორისათვის შეურაცხმყოფელი არაა ჩვენი პირუთვნელი აზრი საგნის შესახებ, თუნდაც მკაცრად გამოთქმული.

ИНТЕРСНАЯ КНИГА О БЕЛИНСКОМ

Игорь БОГОМОЛОВ

Творчество великого русского критика В. Г. Белинского поистине неисчерпаемо. Проходят многие годы, меняются поколения, но благодарные потомки, сыны разных народов не перестают открывать все новые и новые грани его наследия, которые без всякого преувеличения можно назвать океаном великих идей. Одну такую неизведанную сторону творчества Белинского осветил недавно в своей книге «Белинский и гомеровский вопрос»[1] грузинский литературовед В. Баакашвили.

Как известно, великий русский критик высказал свои чрезвычайно ценные мысли о писателях и литературах многих народов, в том числе об античной литературе, и в частности Гомере. Правда, Белинскому не довелось создать специального труда, посвященного гомеровскому вопросу, однако в его многочисленных статьях, обзорах и письмах было высказано немало ценных положений, давно уже нуждающихся в специальном изучении, о чем, кстати, неоднократно ставили вопрос исследователи жизни и творчества величайшего поэта всех времен и народов. Теперь этот пробел в определенной мере восполнен книгой В. Баакашвили.

На протяжении ряда лет автор рецензируемого исследования добросовестно собирал, систематизировал и обобщал выводы Белинского, распыленные в многочисленных статьях великого критика. Задача заключалась в том, чтобы собрать эти выводы Белинского в единую стройную систему, показать тот неоценимый вклад, который внес критик в изучение гомеровского вопроса. И надо сразу же сказать, что В. Баакашвили вполне справился со своей сложной задачей.

Читаешь рецензируемую книгу и невольно поражаешься многогранности интересов Белинского, глубине его аналитичного мышления, удивительной способности постигать суть творений античного мира, делать из них справедливые, точные выводы. Порой, как явствует из рецензируемой книги, одна фраза Белинского была намного ценнее для науки, нежели отдельные «специальные» исследования. И в этом умении показать путем сопоставления с последними достижениями науки, занимающейся гомеровским вопросом, истинную цену высказываниям Белинского — кроется главное достоинство книги В. Баакашвили, которая состоит из введения и четырех глав.

Первая глава «Гомеровский вопрос» (стр. 9—23) написана с учетом новейших достижений как советского, так и зарубежного литературоведения. Автор в популярной форме определяет суть гомеровского вопроса, показывает его историю. Все это делается авторами книги для того, чтобы нагляднее показать заслуги Белинского. Однако, эта сама по себе интересная часть книги В. Баакашвили, является по сути дела еще не

---

[1] В. Баакашвили, «Белинский и гомеровский вопрос», изд., АН ГССР, Тбилиси, 1962, стр. 83 (на груз. яз.).

началом, а лишь подступами к основной теме, причем, подступами несколько затянувшимися.

Основной и главной частью книги является вторая глава «О поэтическом единстве и народности поэм Гомера» (стр. 23—48). Автор не случайно увязывает поэтическое единство поэм Гомера с вопросом об их народности. Как известно, было время, когда народность поэм Гомера видели лишь в том, что их автор сам вышел из гущи народа. Начиная с д'Обиньяка, к вопросу о народности «Илиады» и «Одиссеи» начали подходить с несколько иных позиций: если поэмы созданы одним человеком (т. е. находятся в поэтическом единстве), то они, как полагали ученые, не народны, если же они являются продуктом авторского коллектива, то тогда можно говорить об их народности. Этому извечному в прошлом спору о поэтическом единстве поэм Гомера и об их народности была впервые дана правильная характеристика Гегелем. «Но Гегель, — как правдиво пишет автор рецензируемой книги, — говоря о Гомере, в основном, заостряет внимание на целостности поэм и единоавторстве Гомера. Что же касается вопроса о народности этих поэм, то его изучение заметно продвинул вперед великий русский мыслитель Виссарион Белинский. Белинский решительно признал полное поэтическое единство «Илиады» и «Одиссеи», считая их создателем Гомера. Вместе с тем, Белинский всегда подчеркивал несомненную народность поэм Гомера» (стр. 24).

Несомненной заслугой Белинского, как справедливо доказывает автор книги, является не только то, что он дал правильное, глубоко аргументированное освещение вопросу о поэтическом единстве поэм Гомера, которое, кстати, не устарело и по сей день, но и то (а это особенно важно), что великий критик впервые глубоко-научно доказал народность «Илиады» и «Одиссеи». Для обоснования выводов Белинского автор приводит любопытный фактический материал, и в частности сравнивает «Илиаду» с «Энеидой» Виргилия.

Анализируя все те признаки, согласно которым Белинский считал поэмы Гомера народными (тесная связь с древнегреческим фольклором, оценка явлений с точки зрения народа, отображение в высокохудожественной форме типичных и значительных сторон жизни греков, их дум и чаяний, их богатейшей культуры, доступность творений Гомера всему народу, их влияние на дальнейшее развитие национальной культуры и т. д.), автор рецензируемой книги приходит к справедливому выводу, что «Белинский внес значительный вклад в дело изучения народности поэм Гомера. Он решительно признал народость творчества Гомера и подтвердил свои положения многими вескими аргументами. Для доказательства народности творчества Гомера, Белинский использовал два пути: с одной стороны, путь идейно-художественного анализа этих поэм, а с другой — путь их сравнения со старыми и новыми образцами эпической поэзии. Можно сказать, что Белинский был первым человеком, который поставил на подлинно научный путь дело изучения народности двух величайших поэтических творений древности, а последующим поколениям несравненно облегчил работу в этом направлении» (стр. 38).

В третьей главе «Герои и боги Гомера» (стр. 48—71) автор рассматривает характеристики, данные Белинскому Ахиллу, Агамемнону, Гектору и др., которые, как установлено, имеют большое значение в деле изучения гомеровского вопроса, т. к. великий русский критик, в отличие от многих своих предшественников, дал не только научный, но и блестящий литературный анализ образов Гомера, к оценке которых он подходил исторически, с учетом времени и места их создания.

В заключительной главе «Гнедичевский перевод «Илиады» (стр. 71—82) автор рассматривает высказывания Белинского, давшего заслуженно высокую оценку переводу «Илиады», выполненному Гнедичем. По справедливому мнению автора рецензируемой книги, великий критик в своих высказываниях не просто оценил титанический труд Гнедича, но и обосновал стройную теорию о закономерностях переводов творений Гомера вообще. В частности, большое значение приобрели высказывания Белинского о русском гекзаметре, выработанном Гнедичем, о языке перевода, в котором удачно использовано слияние архаичных форм с современным литературным языком и т. д.

К сожалению, ценное исследование В. Баакашвили не лишено отдельных недостатков. В частности, как явствует хотя бы из вступления к книге, Белинский оставил в наследие потомкам немало ценных мыслей об античной литературе вообще. Было бы желательно, если бы автор систематизировал и эту часть творчества великого критика, которая может иметь такое же важное значение для классической филологии, как и высказывания Белинского по гомеровскому вопросу. Использование указанного материала, как нам кажется, обогатило бы рецензируемую книгу.

Кроме того, порой, как бы не доверяя читателю, автор прибегает к повторам, а иногда слишком скрупулезно излагает те или иные положения. Так например, он слишком уж детально останавливается на анализе аналитического метода (стр. 43—44), тем более, что об этом уже шла речь в первой главе рецензируемой книги.

Подобные примеры можно было бы привести и еще, однако они не снижают, конечно, всей ценности книги.

Интересное исследование В. Баакашвили, несомненно, вызовет большой интерес читателей, т. к. в нем впервые показаны неоценимые заслуги великого русского критика в деле изучения гомеровского вопроса. Эта книга лишний раз доказывает сколь велик был творческий диапазон Белинского, сколь значительно его наследие не только для исследователей русской литературы, но и духовной культуры других народов. Несомненно и то, что эту книгу, написанную строго научно, но в то же время в доступной, популярной форме, было бы желательно издать и на русском языке, чтобы сделать ее достоянием еще более широкого круга читателей.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ვ. **ჯანუშაძე**, ვ. ი. ლენინი კომუნისტური შრომის განვითარების კანონზომიერებათა შესახებ . 3

ვ. **სულაძე**, საქართველოს ახალი სოციალისტური ინტელიგენციის ფორმირების ისტორიიდან . . 18

ი. **ანთელავა**, XIX ს. 30—50-იანი წლების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან 39

ა. **შუშანაშვილი**, საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების შესახებ . . . 58

შ. **კაკურია**, თბილისის მოსახლეობა 71

მ. **გონიაშვილი**, იმერეთის სამეფოს გაუქმების საკითხისათვის 94

მ. **სამსონაძე**, მე-19 საუკუნის რეფორმამდელი ხანის თბილისის სამრეწველო განვითარების ისტორიიდან 127

ლ. **სახაროვა**, გვიანი ბრინჯაოს ხანის ლეჩხუმის სამიწათმოქმედო იარაღების შესწავლისათვის . 156

ა. **შანიძე**, ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან . 170

გ. **თოფურია**, ერგატივისა და ადგილობით IV ბრუნვის ურთიერთობისათვის ლეზგიურ ენაში . 176

ი. **გაჟელიშვილი**, რკინის სადნობი ძველი სახელოსნოები აღმოსავლეთ საქართველოში . . . 186

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ც. **კიკვიძე**, კვლავ სინონიმთა ლექსიკონის შესახებ 193

ი. **გოგოთოლოვი**, საინტერესო წიგნი ბელინსკის შესახებ 198

СОДЕРЖАНИЕ

Чануквадзе В., В. И. Ленин о закономерностях развития коммунистического труда 3
Суладзе В., Из истории формирования новой грузинской социалистической интеллигенции 18
Антелава И., Из истории социально-политического положения и освободительного движения Грузии в 30—50 годах XIX века 39
Шушанашвили А., О принципах советского уголовного процесса 58
Какурия Ш., Население Тбилиси 71
Гоникишвили М., К вопросу об упразднении имеретинского царства . . 94
Самсонадзе М., Из истории промышленного развития Тбилиси в дореформенный период XIX века 127
Сахарова Л., К изучению земледельческих орудий Лечхуми позднего бронзового века 156
Шанидзе А., Страница из истории грузино-осетинских культурных отношений 170
Топурия Г., К вопросу о взаимоотношении эргативного и местного IV падежей в лезгинском языке 176
Гзелишвили И., Древние железоплавильные мастерские на территории Восточной Грузии 186

Критика и библиография

Киквидзе Ц., Еще раз о словаре синонимов 193
Богомолов И., Интересная книга о Белинском 198

რედაქციის მისამართი: თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
ტელეფონი: 9-87-03

შეკვ. 372 უე 02658 ტირაჟი 1000

გადაეცა წარმოებას 5.3.1964; ანაწყობის ზომა 7×12; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.3.1964;
ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ქაღალდის ფურცელი 6,75; საბეჭდი ფურცელი 18.50;
საავტორო ფურცელი 16,62; საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 17,90
ფასი 1 მან.

საქართველოს **სსრ** მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა, გ. ტაბიძის ქ. № 3/5.
Типография Издательства Академии наук Грузинской ССР, ул. Г. Табидзе, 3/5.